

# მოსახლე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მესამე

№ VI

თბილისი, 1898

ტფილისი

## შ ი ნ ა პ რ ს ი

I—ისე დაბირჩათ თავი! — ამბავი, დრეკბით ი განჯელისა .	83. 1
II—სიკვდილი და სიცოცხლე. — ხუთმოქმედებიანი კომედია დუტუ მეგრელისა (დასასრული) . . . . .	12
III—ამირანის უვილნი. — ისტორიული რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდან (დასასრული) . . . . .	42
IV—* * — ლექსი შ. ძღვამელისა . . . . .	68
V—ანტონიოს და კლემოკატრს. — ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია უილიამ შექსპირისა, თარგმანი ი. მახაბლისა . . . . .	71
VI—ტავმანიუს მოგზაურობიდან. — თარგმანი . . . . .	1
VII—გურიბ-აჭარბ. — მეზაფრის წერილები, თ. სახოკასაი . . . . .	11
VIII—ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან. — III, — თ-ლი ნ. ბაკათაუვილი. — გატა აბაშიძისა . . . . .	41
IX—ოკრი კვირბ მთაში. — მეზაფრის შენიშვნები, ი. კახელისა . . . . .	77
X—წერილი აფხაზეთიდან. — ს. აჭანდარბ. — აღიღმდებარეობა. — მეურნეობა. — ქურდობა. — სტუმართმოყვარეობა. — დღრუპუ და დღეობა. — ქრისტიანობა. კოწია ჭყაგ-შანელისა. . . . .	99

# მ ლ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი მეხუთე

№ VI

თბილისი, 1898

ტფილისი

საბეჭდო ფაბრიკა "საბეჭდო-ბეჭდვითი ტიპოგრაფია" სსიპი  
1898



ს ს ბ რ მ ბ

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Юля 1898 г.

---

2011.00000

ქართული

## შ ი ნ ა ა რ ს ი

I—	ისე დაბირჩათ თავი! — ამბავი, დრეუბითი გაჩუქელსა .	83 1
II—	სიკვდილი და სიცოცხლე. — ხუთმოქმედებიანი კომედია ჯუტუ შეგრელსა (დასასრული) . . . . .	12
III—	ამირანის ზვილნი. — ისტორიული რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდან (დასასრული) . . . . .	42
IV—	* * — ლექსი შ. ძღვამელსა . . . . .	68
V—	ანტონიოს და კლემოკატრა. — ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია უილიამ შექსპირისა, თარგმანი ი. მახაზელსა . . . . .	71
VI—	ტავმინის მოგზაურობიდან. — თარგმანი . . . . .	1
VII—	გურია-აჭარა. — მეზავრის წერილები, თ. სახოკასა . . . . .	11
VIII—	მთიულევი ქართულის ლიტერატურიდან. — III, — თ-ლი ნ. ბარათაშვილი. — კაცა აბაშიძისა . . . . .	41
IX—	ორი კვირა მთაში. — მეზავრის შენიშვნები, ი. კახელსა . . . . .	77
X—	წერილი აფხაზეთიდან. — ს. აბანდარა. — ადგილმდებარეობა. — შეურწეობა. — ქურდობა. — სტუმართმოყვარეობა. — დღრუპუ და დღეობა. — ქრისტიანობა. კოწია ჭყავ-შანელსა. . . . .	99

# ისა ღაზირჩათ თაჰვი!

(ამბავი)

## I

შუა ზაფხულია. მზემ ისე დააცხუნა, რომ არ იცი, სად შეიფარო თავი. პარასკევია, და რაკი ამდღეს ბაზრობა იციან, პატარა მაზრის ქალაქი ო—ი სავსეა მახლობელ სოფლებიდან ჩამოსული ხალხით: ორი-სამი მოკლე ქუჩა ძლივს იტევს ხალხს. პატარა მოედანიც ისეა სავსე ხალხით, რომ ძნელია ერთი მხრიდან მეორეზედ გადასვლა. აქ ერთ ადგილას იმერეთიდან გადმოსულ მეჭურჭლეებს გაუშლიათ თიხის ჭურჭელი, მეორე ადგილას—მთიულეთიდან ჩამორეკილი თხა-ცხვარი შეჯგუფულა ხის ქვეშ და თავებ ჩაღუნულნი სიცხისაგან ქშინავენ. მესამე ადგილას სოფლელებს გაუშლია საქონლის გამხმარი საქალამნე ტყავები. შიგ შუაგულზედ ამართულია ყანთარი, რომლის ახლოს მოჩანან სალიგვერდანიდან (კავკავის მაზრა) გადმოსული ოსების ურმები. ეს ურმები დატვირთულია სიმინდით. ოსები ვერ ასწრობენ სიმინდის ხორბლის წონას, ისე მარდად იყიდება მათი ნამუშევარი.

რაქა, მეტადრე ზემო რაქა, მთა ადგილია. სახნავი მიწა ჯერ ერთი რომ ცოტაა, მერე—ვერ არის კარგი მომცემი, ამისათვის რაქველს წლიური საზრდო არ მოსდის და იგი იძულებულია „სამონაგებოდ“ ანუ „მოსავლელოდ“ იაროს ხოლმე.

„მოსავლელოდ“ ანუ „სამონაგებოდ“ სიარული იმაში მდგომარეობს, რომ შემოდგომის გასულს, როდესაც ყოველგვარი მოსავალი „შეკარებულია“ სახლში, რაქველი სახლ-კარსა და

მასზე ზრუნვას თავის ცოლ-შვილს ახვევს თავზე, თითონ კი იკიდებს ზურგზე „გიდელას“ ცულით, ხელწოთი, ხერხით და სხვა ამგვარი იარაღით და ან მინდორისკენ (რუსეთისკენ) მიდის, ან ქართლისკენ, ქალაქისკენ, ან გურია-სამეგრელოსკენ, ან არა-და კახეთისკენ; ერთი სიტყვით, მთელ კავკასიას ედება, ზოგან დურგლობს, ზოგან სახლს აშენებს, ზოგან ფართალსა ჰყიდის ან ჩოხა-ნაბადზედა სცვლის (მაგ. ყარაჩაიში), ზოგან მეკურტნედა დგება, ზოგან მზარეულობასა და ხელზე მოსამსახურობასა (ლაქია) სწევს; ერთი სიტყვით, ყოველ ღონისძიებასა ხმარობს, რომ ზამთარში ცუდად არ დარჩეს და ორი გროში მოაგროვოს, რომ მტერსა და მოყვარეს პასუხი გასცეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძლიერ სამარცხვინოდ მიაჩნიათ „მოსავლელად“ წასულთ უფულოდ შინ დაბრუნება და, მართლაც, ძვირად დაბრუნდება რაჭველი სახლში უფულოდ.

— რა უჭირს, იმ ბედნიერს, ორ-ორი ბიჭუნეები მოსავლელადა ყავან გაგზავნილი, — ხშირად გაიგონებთ ერთი რაჭველისაგან მეორეზედ; პირველი დარწმუნებულია, რომ „ბიჭუნეები“ უფულოდ არ დაბრუნდებიან. როგორც ზევით შევნიშნეთ, მოსავლით რაჭა ღარიბი ქვეყანაა და, რომ ამ გზით რაჭველი იოლად არ მიდიოდეს, მისი მდგომარეობა უკიდურესი იქნებოდა.

## II

სხვა გლეხებ შორის იმ პარასკევს დ. ო — ში დაინახავდით გლეხს ბერუკა მეტრეველს, იგი თავჩაღუნული და ძალზე წელში მოხრილი თომიან\*) ქალამნებით აჩქარებული დადიოდა და ვილაცას ეძებდა.

— ქვე სადა ხარ, შვილო, რამდენი ხანია, გეძებ? ა, შვილო, სამ აბაზ-უზალთუნი, სასწორზედ მიდი, ორი „ნაოთხალი“ სიმინდა იყიდე და კიკოლას ურემზედ დოუდე და შინ წილდე;

\*) თომი ერთნაირი წმინდა ბალახია; ამ ბალახს რაჭველი გლეხი ფეხზედ იხვევს და ქალამანს ისე იცვამს, ასე რომ თომი წინდის შავიერობასა სწევს.

მე კი მეჩქარება, „სულში“ უნდა წვევიდე მაგ „გაურიავებულ“ ქრისტიანის საქმეზედ!—გულნატკენად და გაჯავრებით უთხრა შვილს ბერუკამ და აჩქარებული ნაბიჯით გასწია „სულისკენ“.

ბერუკას მამა, კაცია მეტრეველი, შეძლებული გლეხი იყო. მეზობლები კაციას დოვლათს შურით უყურებდნენ. ხშირად გაიგონებდით კაციაზედ: „კაციასთან ბევრი ვერ წადგამს ფეხს, კაციას მძიმე ოჯახი აქვს!“ მართალიც იყო მასზე ესეთი მსჯელობა: „ნამუშევარიც“ ბლომად მოსდიოდა, საქონელიც ბლომად ჰყავდა. რვა ვაჟი ჰყავდა და ხუთი ქალი\*). კაციას ოჯახიდან რომ მუშა გავიდოდა სამკალში, ან სათოხარში ქალიანკაციანად\*\*), გეგონებოდათ, სოფელში მოუკრეფთ და შეუწყვნიათ მუშაო. თითონ ბერი კაცია თავის სხვილი მუჯირათი (ბოლო რკინიანი ჯოხია) თავში მოექცეოდა მომუშავეთ და სიამონებით უცქეროდა თავის შვილებსა და რძლებს. შვილების ბარაქიან მუშაობას რომ უცქეროდა, ბერუკას გული ხარობდა, და როგორც მუშაობაში აღზრდილი, ამ დროს იგი სრულ ნეტარებასა გრძნობდა.

სალამოზედ, როდესაც მომუშავენი თოხებ ანუ ნამგლებ მხრებზედ გადადებულნი „ეი, ეი, ეა ვაჰა“-ს სიმღერით შინ ბრუნდებოდნენ, ბერი კაცია ამ დროს წინ მოუძლოდათ ხოლმე. შინ დიასახლისი\*\*\*) შესაფერ ვახშამს ახვედრებდათ. ვახშმის შემდეგ ბერი კაცია განკარგულებას ახდენდა მეორე დღის სამუშაოს შესახებ და ამის შემდეგ ყველანი ტკბოლ ძილს ეძლეოდნენ, ბედნიერნი და სრულიად კმაყოფილნი. პირველ რიჟრაჟზედვე კაციას მუჯირის ხმას თან მოჰყვებოდა ხოლმე: „შვი-

\*) ზემო-რაჭაში ქალი თითქმის არაფერ მუშაობაში არ ჩამორჩება მამაკაცს: მკის, თოხნის, სთიბავს, ეკიდება ხარ-ურემს, ლეწავს და მრავალ სხვა მამაკაცის სამუშაო საქმეს ასრულებს.

\*\*) ზემო-რაჭაში არის ისეთი ოჯახები, სადაც 20—30 სულია ხოლმე ერთ ოჯახში.

\*\*\*) რიცხვმრავალ ოჯახებში რიგ-რიგად თითო წლობით ირჩევენ ოჯახის გამგე ქალს, ანუ „დიასახლისს“, რომელიც ოჯახის შინაგან საქმეებს განაგებს. იგი დამოუკიდებელია თავის მოქმედებაში ოჯახის სხვა წევრებისაგან.



ლებო, ვათენდა, ადექით, თორემ დაგვიანდა“. ამის შემდეგ მთელი სახლობა წამოიშლებოდა... ზამთრობით ორი ძმა შინა რჩებოდა ხოლმე, დანარჩენნი „სამონაგებოდ“ ვადიოდნენ და სააღდგომოდ ყველანი შინ ბრუნდებოდნენ. ბედნიერი იყო კაცობა ოჯახი, სინამ მისი მარჯვე მკლავი ატრიალებდა ჩარხს, მაგრამ ბედნიერება, როგორც ბევრი რამ სხვა ამ ქვეყნად, მალე წარმავალია. ერთ ცივ ზამთრის დღეს კაცია გაცივდა, ფულტვების ანთება მოუვიდა და სული განუტევა. სიკვდილის წინ დაუძახა შვილებს, დალოცა, იგინი და უთხრა: „თქვენ იცით, შვილებო, აუ სოფელ-ქვეყანაში არ შემარცხვენთ და არ მომჭრით თავს, თქვენ იცით, როგორ მოუვლით ოჯახს. მაგრამ ყველაზედ უფრო იმას გეხვეწებიყე, არ გაიყვეთ. თუ ერთად იქნით, ბატონი ვერას დაგაკლებსყე, თუ არა და სათითაოდ ყველას დაგლუბავსყე, ხომ იცით მისი ამბავი“... კიდევ რაღაცას თქმა უნდოდა, მაგრამ ველარ მოახერხა, ენა ჩაუვარდა და საუკუნოდ განისვენა.

ერთი წელიწადი კი დარჩნენ ერთად ძმები მამის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ მერე სხვანაირად დატრიალდა საქმე: რძალმა რძალი ველარ იგუვა, ჩხუბში ქმრებიც ჩაითრიეს და მოხდა ის, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ხოლმე ამ შემთხვევაში: ძმები გაიყარნენ. კაცობის მძიმე ოჯახის მართო სახელილა დარჩა.

— ჰაი, ბეჩა კაცია, მალე არ დაეტყო შენ შვილებს უშენობა!— არა ერთხელ გაიგონებდით მეზობლებისაგან..

ყველა ძმებზედ უფრო ბერუკას დაეტყო მამის სიკვდილი და გაყრა. ბერუკა პირში მთქმელი კაცი იყო, ნაცუნობს, უცნობს, ძმას, ბატონს ერთმანეთში არ არჩევდა ხოლმე, როდესაც საქმე მართლის თქმაზედ მიდგებოდა. ამისათვის ბევრს ბერუკა ეჯავრებოდა, როგორც საზოგადოდ პირში მთქმელი კაცი, ყველაზედ უფრო კი მის ბატონს, მალაქიას, რომელიც ყოველ ღონისძიებასა ხმარობდა ბერუკას გაუბედურებისათვის. მალაქიამ ისე მოუხერხა საქმე, რომ თავი დაახსნევინა ერთ გვალვიან წელიწადს, როდესაც კოდი სიმინდი ოთხ მანეთად იყიდებოდა და საშოვარი არ იყო. ბე-



რუკას ფული არა ჰქონდა, ივალა და ისე გაისტუმრა ულ-  
მობელი ბატონი. ამის შემდეგ ჩავარდა ვალში და საშინლად  
გალატაკდა. ერთი მხრივ მევალე აწუხებდა, მეორე მხრივ—მა-  
მასახლისი და მესამე მხრივ—მღვდელი. მამასახლისი ფოშტის  
ფულს და წინა წლების „ნედლომკებს“ სთხოვდა, მღვდელი დრა-  
მის ფულს. ბერუკა გაქირვებაში ჩავარდა. ჰფიქრობდა მომა-  
ვალზედ, მაგრამ გულის გასაგმირავე ფიქრებს ერთი იმედის სხი-  
ვი არ მოჰყვნიდა.

— დაეტოვო ცოლ-შვილი და წავიდე სადმე „სამონაგე-  
ბოდ“, ამათ რალა ეშველებათ, ყველანი შიმშილით დაიხოცე-  
ბიან, არა-და, რა წყალსა და ჩეწყურს მივეცე? ჰა, ბეჩა მამია,  
ცოცხალი იყო, ესე არ იქნებოდა შენი ოჯახი გაქირებული,  
მაგრამ, რა გაეწყობა, დაილოცოს შენი სახელი და სამართა-  
ლი, უფალო!... რე ერთ უბედურებას უნდა გაუძლოს კაცმა:  
საზრდო მე არა მაქვს, ფოშტის ფული მისაცემია, დრამის ფუ-  
ლი ორი წლისაა ჩემზედ, თანაც რალაც „ნედლომკებს“ მედა-  
ვება მამასახლისი...

მამასახლისის ხსენებაზედ მოაგონდა მას იმ დღევანდელი  
ჩხუბი და დავა: „არ მოგცემ, არა მაქვს, რაც გერჩიოს, ის  
ჩაიღინე, ამაზედ მეტი რალა მომივა, რომ არა მაქვს-რა, რას  
წაიღებო.“ — „ბერუკა არ მომიკვდება, მაგ ფულს ამოვიგებ, სა-  
ხელმწიფო ფული არ დაიკარგება; იმ ერთ უღელ ხარს გავი-  
ყიდი და სახელმწიფო ფულს იქიდან ამოვიგებ, მაშ როგორა  
გგონია? შენი ყვირილით ვინც დაგიშინებია, ისევე ის შეაშინე,  
ჩემო ბერუკა, თვარა გიორგის შენ ვერას დააკლებ, იმდენს  
გირტყამ, რომ რაც სიგძე მაქვს, იმ სიპტყეს მოგცემ!“ — მოა-  
გონდა ბერუკას ეს სიტყვები და ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— ჰო-და, ახლა ჩვენთვისა ვთქვათ, ერთი თხისკენ, მეო-  
რე მგლისკენ, ნათქვამია, მამასახლისის რა ბრალია, რომ მივ-  
დექი და გაელანძღე? თავისთვის ხომ არა კრეფავს ფულს, იმა-  
საც პრისტავი უბრძანებს, პრისტავს ნაჩალიკი, ნაჩალიკს ღუ-  
ბერნატორი. მაგისი რა ბრალია? ადგება და გამიყიდის მართ-  
ლა ამ ერთ უღელ ხარებს და დავრჩები ცარიელ-ტარიელი.

უნდა როგორმე ვიწვა-ვიდაგო და უმოწონო ფული. ბევრი ეცა-და ბერუკა, მაგრამ ერთი გროშიც არავინ ასესხა. ერთ საღამოს კერასთან იჯდა და თავის მდგომარეობაზედ ფიქრობდა. ცოლი პატარა „კვიწიანაში“ (ქოთანია) ლობიოსა ხარშავდა, ბავშვები მარტო პერანგისამარანი გარს შემოხვეოდნენ კვიწიანას და მოუთმენლად ელოდნენ, როდის გადმოდგამდა დედა კვიწიანას და დაუწყებდა ლობიოს ზელას. ზოგი მათგანი კაკლის ნამტვრევებში ჩარჩენილ გულს ეძებდნენ. ამ დროს ძაღლმა დაიყეფა. ბერუკამ კარში გამოიხედა და დაინახა თავის ნათლი-მამა პაპია. პაპია „სუდიად“ იყო ამორჩეული. ამან გაიხმო ცალკე ბერუკა და შეატყობინა, რომ ხელ, პარასკევს, მამასახლისი გიპირობს ხარების წართმევას და გაყიდვასაო. ბერუკას გული ჩასწყდა. მოაგონდა თავის ქერა და წიქარა, რომელნიც შვილებივითა ჰყავდა გაზრდილნი.

— მოვიდეს და იმის ცოლის ლეჩაქი დამეხუროს თავზედ, თუ მე ის აქედანა ცოცხალი გოგუშვა. ჩემი უკანასკნელი იმედი ამ თიბვა-შკაზედ ხარები არიან და იმის წართმევასაც მიპირობენ? მობრძანდეს, მობრძანდეს, აქ დავხვდები, აქ, მე თუ სისხლი გამომივა, რძე არც იმას გამოუვა, ვნახოთ, ვინ ვის ცოლ-შვილს აატირებს ხვალ!!

პაპიას კარგადა ჰქონდა შესწავლილი როგორც ბერუკასი, ისე მამასახლისის ხასიათი, იცოდა, რომ ორთავენი ერთიერთ-მანეთზედ ჯიუტები იყვნენ და შესაძლო იყო მართლა სისხლის ღვრა მომხდარიყო, ამისათვის მან დაუყვავა ბერუკას, დაარწმუნა, რომ აქ მამასახლისი ისე არაფერ შუაშია, როგორც „გადამთიელი ოსი“, რომ ავგულობით კანონთან ვერას გააწყობ, შენ თავსაც დაღუბავ და ცოლშვილსაც გააუბედურებო. ასეთი ლაპარაკით პაპიამ ბერუკა დაამშვიდა.

— მაშ, რა ექნა, შე კაცო, ხომ ხედავ ვერსად რა ვიშოვნე?

— ჩემის აზრით, სხვა არა გაგეწყობა-რა, მე შევხვეწეწები მამასახლისს, ერთი კვირის ვადა მოგცეს, ხვალ პარასკევია, ჩაიყვანე ო—ში ხარი, გაყიდე და იქიდან გაისტუმრე. ვიცი,

ძალიან გაგიჭირდები უხარობა, მაგრამ, რა გაეწყობა, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო, ჩემი ხარები წაიყვანე ხოლმე, ღმერთმა ხომ იცის, მე შენ ისინი არ დაგიკავო.

ბერუკამ თავი ჩაჰკიდა, ხელები დაიქლო, ქვაზედ ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა. პაპიამ ჩიბუხი გაიკეთა და გვერდს მოუჯდა. დიდ ხანს იყვნენ ორთავენი გაჩუმებულნი. პაპიას გარკვევით ესმოდა ბერუკას გულისცემა; ბოლოს ბერუკამ ამოიკენესა, პატარა ბავშვივით ამოუჯდა გული და დაიწყო ტირილი.

თუ არ გინახავს, ძნელი წარმოსადგენია, მკითხველო, ხანში შესული მტირალი კაცი: ქვის გული და რკინის ნერვები უნდა გქონდეს, რომ არ იგრძნო მისი ტანჯვა-ვაება. პაპიას გულმა ვეღარ გაუძლო; და რომ მასაც ტირილი არ დაეწყოდა მითი კიდევ არ გაეძლიერებინა ცეცხლი ბერუკას გულში, ადგა და გაიარ-გამოიარა ეზოში. ბოლოს მივიდა ბერუკასთან, განუმეორა თავისი რჩევა, გამოემშვიდობა მას და შინისკენ გასწია. ბერუკა დიდ ხანს იჯდა ეზოში თავ-ჩალუნული და თვალეზ-დახუჭული. ბოლოს ჩაეძინა კიდევცა ამ მდგომარეობაში. ძილში სიზმარი ნახა. ბერუკა ხედავს თავის თავს, თემში, \*) გიორგობას, როდესაც ოცდა ხუთი წლის ვაჟაკი იყო. თემში პირველად ხედავს ნატალიას და ისე მოეწონება, რომ იმ დღესვე უცხადებს მამას, გინდა თუ არა, ნატალია უნდა შევიერთოო. მამა თანახმა უხდება, ბერუკა ნიშანსა ყიდულობს — ქარვის კრიალოსანს, თანაც ათი თუმანი მიაქვს ქალის დედ-მამასთან, ნატალიას გამოსასყიდად. აი ბერუკა საცოლეს სახლობაშია, სიდედრი და სიმამრი და აუარებელი სტუმრები გარს შემოაეხვევიან. ბერუკა იღებს ჯიბიდან გრძელ ქარვის კრიალოსანს და საცოლეს ყელზედ აცვავს, მერე იღებს ფულს და უთვლის საცოლეს დედ-მამას..... სულ ნეტარებაშია ბერუკა, თანაც ცალი თვალი ნატალიასაკენა აქვს....

— კაცო, რას აკეთებ აქ, ბოშები შიმშილით დაიხოცნენ, ეძინებათ, რატომ არ მოხვალ ვახშმის საჭმელად, — შიგ ყურში ჩასძახი ნატალიამ ქმარს

\*) თემობა — დღეობა.

— ჰა, რა იყო! — შეშინებული წამოვარდა ბერუკა. — ორი! ამოიკენესა და გაჰყვა ცოლს სახლში. უგემურად ჭამა ვახშამი და იქვე გაუხდელი მიწვა. მეორე დღეს დილა აღრიანად გააღვიძა ცოლი და უთხრა: „ნატალია, ყოველი ღონე ვიღონე, მაგრამ ფული ვერსად ვიშოვნე, ხარების გაყიდვას მექადება მამისახლისი, სხვის გაყიდვას ისევ მე გავყიდო ჩემი საქონელი, ის მირჩევნია, ამისათვის ერთ-ერთი ხარი უნდა გავყიდო დღეს ო — ში.“

— მერე შენ ღმერთს რაღას ეუბნები, ეგ ხარები ბოშების თავ-შემონავლები არ არიან? \*)

— ვიცი, მაგრამ რა ვუყო, განა იმ დალოცვილმა ღმერთმა კი არ იცის, როგორ და რის გულისათვისა ვყიდი მის საწირავს?

— მაშ რახან აღარ დაგიშლია, ისე წეიყვანე, ბოშებმა არ დაგინახონ.

ბერუკამ პირჯვარი გადიწერა, აიღო ხელში საბელი და ბოსლისკენ გასწია. ერთ-ხანობას ფიქრობდა, რომელი ხარი წაეყვანა, მაგრამ, როგორც მამა შვილებში ვერ ამოარჩევს დასაკლავად შვილს, ისე ბერუკამ ვერ ამოარჩია ხარებში უვარგისი. ორივე სახლში დაბადებული და გაზდილი იყვნენ, ორივე ერთნაირად უყვარდა. ამასობაში ბოსლის კარიც შეაღო და შევიდა. ქერა იწეა, წიქარა ზეზე იდგა და თავის ცალს კისერს ულოკავდა. ბერუკა დარეტიანებული მივიდა წიქარასთან, საჩქაროდ ჩააბა საბელი და შესძახა: „იიშ, წიქარა“. წიქარა გაიზმორა და ზღაზნით გაჰყვა ბერუკას. ქერამ თვალეები გააყოლა თავის ტოლს. მისი ჭკვიანური თვალეები თითქოს გაკვირვებით ამბობდნენ: „ჩვენ რომ არა ვართ ცალ-ცალკე უღელში ბმას დაჩვეულნი, დღეს რა მოჩვენა ბერუკასაო?“ ცოტა ხანს კი

\*) რაჭაში ჩვეულებადა აქვთ, ბავშვი რომ საშიშრად გახდება ავად, რომელიმე ცხოველს ანუ ფრინველს მიიყვანენ ბავშვის საწოლთან და ირგვლივ სამჯერ შემოატარებენ, „შემოაღლებენ თავს“ იმ იმედით, რომ ავადმყოფობა იმ ცხოველზედ გადავა. ესეთ ცხოველს, როდესაც პატრონისთვის გამოუსადეგარი ხდება, მიიყვანენ ხოლმე ეკლესიაზედ, პარაკლისს იხდიან და დაჰკლავენ სასოფლოდ. გაყოფვა ესეთი ცხოველისა ცოდოდ მიაჩნიათ.

ელოდა ქერა ბერუკას და მერე მოისმა მისი შეშინებული ხმა „მუუუ“!

— უი და ვაი არ მოუშალოს ღმერთმა ჩემს ასე დამწოკებელს!—ცრემლ მორეულმა და გულ ამომჯღადარმა წამოიძახა ბერუკამ და გაიგდო წინ წიქარა.

— მამია, სად მიგყავს ჩემი წიქარა?—უცებ მოისმა ბერუკას ქალის რვა წლის დაფიას ხმა.

— დასაქედად, შვილო, დასაქედად!—თავ-ზარ-დაცემულმა შესაძხა ბერუკამ თავის ქალს, რომელიც წიქარას, როგორც მის თავზე შემონაველებს, თავის საკუთრებადა სთვლიდა. ბერუკამ ისე სთქვა ეს სიტყვები, რომ უკან არ მოუხედნია თავის ქალისკენ.....

ო—ში ჩაყვანისათანავე ხარს ბევრი მუშტარი გამოუჩნდა, მაგრამ რაკი ხარი მსუქანი და მოზრდილი იყო, ნანია ყასაბმა ყველაზედ მეტი ფული შეაძლია და ბერუკამაც იმას მიჰყიდა ექვს თუმნად. ორი თუმანი მაშინვე მისცა, დანარჩენსაც იმ სალამოსთვის შეჰპირდა. რაკი ნანიას ბევრი მუშტარი ჰყავდა და ხორცს მალე ასაღებდა, ბერუკაც დასთანხმდა ნანიას. სალამოს ბერუკამ მიმართა ნანიას და სთხოვა დანარჩენი ფული.

— უკაცრავად, ჩემო ბერუკა, ხორცი თუმცა სულ გავყიდე, მაგრამ თითქმის სულ ნისიად წაიღეს; ეხლა ეს ერთი თუმანი მიიღე და დანარჩენს, გაძლევ პატიოსან სიტყვას, მეორე პარასკევს მოგცემ.

ბერუკა მიხვდა თავის შეცდომას, მიხვდა, რა კაცის ხელშიაც ჩავარდა, მაგრამ გვიან-ლა იყო. რას გააწყობდა, დასთანხმდა. გაიარა მეორე პარასკევმა, მას მოჰყვა მესამე, მაგრამ ნანია ურცხვად სულ შემდეგი პარასკევისათვის იბარებდა ბერუკას. შემდეგ, როდესაც ბერუკამ შეაწუხა ნანია, ეს უკანასკნელი გაჯავრდა და გულ-მოსულმა შესძახა:

— რას მიჰქარავ, რის ფული, ერთი თვეა, ხარი მიყიდნია, ფული მიგიღია, სხვა რაღა გინდა? ხომ არ გინდა, ცხვირ-პირი ამოგინაყო! წადი, სულში მიჩივლე, თუ გინდა, იქ მოგცემ პასუხს.



რაკი საქმემ აქამდის ზილწია, ბერუკამ მართლა უჩივლა ნანიას. ნანია ღარიბი აზნაური იყო. ბოლოს დროს ხელი მიეყო აღებ-მიცემობისათვის და სხვა-და-სხვა გაიძვერობით ქვეყნის მუვლფელად გარდაქცეულიყო. ტყუილი მოწმების შოვნა, ქურდობა-ტაცობა და ყოველ-გვარი გარყვნილობა მას თავის ხელობად გარდაექცია, და უნდა მოგახსენოთ, ყოველივე ეს და მრავალი ამგვარი რამეები მას შესანიშნავადა ჰქონდა შეთვისებული და შესწავლილი. აი სწორედ ამ ნანიას უწოდა ბერუკამ „გაურიავებული“ ქრისტიანი და მართალიც იყო.

### III

დანიშნულ დღეს, პარასკევს, ბერუკა ჩამოვიდა ო—ში, აყიდვინა შვილს სიმინდი, თითონ კი სასამართლოში წავიდა.

ნანიას ყველა ისე უყურებდა, როგორც მტაცებელს, ამისათვის მისმა და ბერუკას საქმემ საზოგადო ინტერესი მიიღო. ამის გამო ამ საქმის გარჩევას ბლომად დაესწრო ხალხი. მომრიგებელ-მოსამართლე გაკვირვებული იყო, რომ ამოდენა ხალხი მიაწყდა სასამართლოს. ცოტა ხნის შემდეგ მომრიგებელ-მოსამართლემ ამოიკითხა:

— ნანია ჩიკვაძე! ბერუკა მეტრეველი!— მომჩივან-მოპასუხე წინ წარდგენ.

— ნანია ჩიკვაძე, ბერუკა მეტრეველი გიჩივისთ, რომ ხარი გიყიდნათ მისგან, სამი თუმანი დარჩენილა თქვენზედ და თქვენ კი უარს ეუბნებით.

ეს სიტყვები გადუთარგმნა თარჯიმანმა.

— გსურთ თუ არა გარიგდეთ?— კვლავ თარჯიმანის პირით შეეკითხა მათ მომრიგებელ-მოსამართლე.

— არა, შენი ჭირიმე, არა!— უპასუხა ბერუკამ.

ამის შემდეგ მომრიგებელ-მოსამართლე შეუდგა მოწმეთა გამოკითხვას. ბერუკას მოწმეებმა ერთხმად აჩვენეს: „ვიცით, რომ ნანიამ იყიდა ბერუკასაგან ექვს თუმნად ხარი და სამი თუმანი იმ დღესვე მისცა, სამსაც დაჰპირდა. მისცა თუ არა, არ გვიყურებია.

ნანიას მხრივ დასახელებული იყო ყველასგან ცნობილი ივანიკა ოსი, რომელიც ერთი ჩარეკა ღვინისთვის თეთრს შავად აღიარებდა, შავს თეთრად. წადგა თუ არა ივანიკა მომრიგებელ მოსამართლის წინაშე, ხალხმა სიცილი დაიწყო. „წავიდა შენი საქმე, ჩემო ბერუკაო“,— მოისმოდა დამსწრეთაგან.

ბერუკა სულგანაბული ელოდა, რას იტყოდა ივანიკა ოსი.

— შენ რა იცი ამ საქმის შესახებ? სულ მისცა თუ არა ნანია ჩხიკვაძემ ბერუკა მეტრეველს დანარჩენი ფული?

— სულ, სენი წირიმე, სულ, მე თვითონ უყუტე!

— ასე დაგიჩნათ თავი!— გულის სიღრმიდან ამოიკვნესა ბერუკამ და ორი ობოლი მარგალიტივით ცრემლი გადმოვარდა თვალებიდან. ცრემლები ჩაჰყვნენ ბერუკას დაღარულ ლოყებს, ჩათუთქეს ისინი და დარცხვენილნი ჩაიმაღნენ ბერუკას სქელ წვერებში, თითქოს დარცხვათ, რომ თანაგრძნობა ვერაყისში გამოიწვიესო.

მომრიგებელ-მოსამართლემ ქართული არ იცოდა. მისთვის უმნიშვნელოდ დარჩა ყოველივე ის, რასაც უნდა ემოქმედნა მის რწმენაზედ. ამისათვის მან ფორმალურად შეხედა ამ საქმეს და ნანიას სასარგებლოდ გადასწყვიტა, ხარჯი კი ბერუკას დააწერა... ამის შემდეგ ყველანი გარედ გამოვიდნენ. ნაშუადღევის სამი საათი იყო. მზეს კიდევ უფრო დაეცხუნა, ტვინს ადუღებდა. ახლო დუქნებიდან მხიარული „მრავალ-ჟამიერი“ მოისმოდა....

ღრუბებიანი განჯული





# სიკვდილი და სისოცხლე

სუთ-მოქმედებიანი კომედია

მოქმედება პესაჟე

(ბაღის განმარტოებული ადგილი. შუაზე აგდია ხის კუნძი. შორს, სცენის სიღრმეში, მოჩანს საიდუმლო ფანჯატური. შემოდინ აღმასხანი და დარიკო).

გამოსელა ბირველი

**აღმასხან.** მოდი, შვილო, ამ კუნძზე ჩამოვსხდეთ! მინდა საჭირო საქმეზე მოგელაპარაკო (სხდებიან).

**დარაკო.** (მოაგონდება რაღაცა; ჩაიყოფს ჯიბეში ხელს და ამოიღებს წერილს) სულ გადამავიწყდა!.. ეს წერილი პლატონმა მოიტანა; ნიკოს გამოუგზავნია.

**აღმასხან.** (გამოართმევს წერილს) ვინ პლატონმა?

**დარაკო.** ვარდიშვილმა.

**აღმასხან.** ჩამოსულა კიდევაც?.. თეითონ იყო აქ?

**დარაკო.** იყო ერთ წამს.

**აღმასხან.** მერე რატომ არ მნახა?

**დარაკო.** არ ვიცო... ძალიან ეჩქარებოდა და აღარ მოიცადა.

**აღმასხან.** საკურველია, წინად სულ ჩვენსა იყო ხოლმე. ახლა დიპლომი რომ მიიღო, იმიტომ არა გვკადრულობს?..

(დარიკო თავს დახრის) ჰო, იმას გელაპარაკებოდი, რომ საჭირო საქმეზე უნდა მოგელაპარაკო-მეთქი... (ახველებს) ბევრი წილადობილა რა საჭიროა? საქმე ის არის, რომ შენი გათხოვების შესახებ მინდა...

**დაწაკა.** (გააწყვეტიანებს) ყველაფერი მითხრა ნესტორმა.

**აღმასხან.** (გაკვირვებით) რას ამბობ? ეინ ნესტორმა?

**დაწაკა.** როგორ ჰკვირობთ? ჩვენმა ნესტორმა. არ მეგონა, თუ თქვენ ჩვენ სიყვარულს არ შეიწყნარებდით. მაგრამ რა გაეწყობა?.. (თავისთვის) უკეთესიც არის, ამაღამ ჯვარს დავიწერთ კიდევ და ხვალ ბორჯომში ამოვყოფთ თავს.

**აღმასხან.** არ მესმის, რას ამბობ?..

**დაწაკა.** როგორ არ გესმით? მე და ნესტორს გვიყვარს ერთ-მანეთი და დღეს არ იყო, რომ გათხოვით ჩემი თავი?

**აღმასხან.** (შეწუხებული) დამშვიდდი, შვილო, დამშვიდდი!. ნესტორს ჩემთვის არაფერი არ უთქვამს და...

**დაწაკა.** (გააწყვეტიანებს) როგორ არ უთქვამს? დღეს არ გელაპარაკებოდათ სადილობამდის?

**აღმასხან.** არა, შვილო, არაფერი არ უთქვამს და კარგადაც ჰქნა, რომ არ მითხრა. მაინც მჭირს იმისი ჯავრი და ეგ კიდევ რომ ეთქვა, მოუკლავი არ მომირჩებოდა.

**დაწაკა.** (აღელვებული) რატომ? რა დაგიშავათ ნესტორმა?

**აღმასხან.** ის დამიშავა, რომ პატიოსანი კაცის სახლში შესაშვები არ არის ის გარყვნილი და გაფუჭებული, ისა! (თანდათან ცხარდება) ნესტორი და ნესტორისთანები, სამართალი რომ იყოს, აქ დასაყენებელნი არ არიან, რადგან არცხვენენ მთელ წოდებას, რყვნიან და სწამლავენ ჰაერსაც კი, რომლითაც სუნთქავენ. მიკვირს; შვილო, შენ როგორ არ გეზიზღება ნესტორი და ამბობ, მიყვარსო! რა ნახე მოსაწონი ნესტორში? მისი პირუტყული გამომეტყველება, მისი საზიზღარი ურცხვობა და თავხედობა?.. (შემოიკრას თავზე ხელს და გრძნობით) ვაი დაღუპულო ოჯახო, ვაი გამწარებულო სიბერეე!



**დაწაკა.** (აღღებულნი წამოდგება) მე არ მესმის, მამა, რას ამბობთ? თქვენ გინდათ, მაინც და მაინც გრიგოლს მიმართხოვოთ და იმიტომ უგონებთ ყველა ამას ნესტორს! (თვალეზე ხელს მიიფარებს და ტირილს დაიწყებს).

**აღმასხან.** მართლა მე არ მესმის, შვილო, როგორ იქცევი? მიეცა ჩემი ცოდვა ჩემ და სალომეს და ჩემ ქალბატონს შენი ასე გადაგვარებისათვის!

**დაწაკა.** ბარემ შემკარით კიდევ და ისე გამგზავნეთ საყდარში გრიგოლზე ჯვარის დასაწერად, როგორც ძველად იცოდით თურმე.

**აღმასხან.** (მწარედ ამოიოხრებს) ეეჰ, შვილო! ბევრი ნაკლულე-ვანება ჰქონდა ძველ დროს, მაგრამ ახლანდელი დრო მაინც ვერ დასცინებს! ახლა ყველაფერი არეულია: ძველი მიტოვებული გვაქვს, ახალი კი ჯერ ვერ შეგვითვისებია და შუაზე ვართ დარჩენილი, გარეგნად ეითომ განათლნბულად მოგვაქვს თავი, მაგრამ ნამდვილ განათლებასთან ჯერ შორსა ვართ!.. (მოჰკიდებს ხელს) დამშვიდდი, შვილო!... მე დიდი ხანია შენთან არ მილაპარაკნია. გული ამევსო შხამით და, თუ არ ამოვაქციე, ვეღარ დაიტევს და გასკდება. მე კი არ მინდა მოგვკდე, სანამ შენ არ დაგაბინავებ... ნუ გიკვირს, რომ ასე გელაპარაკები. ეს რამდენიმე წელიწადია, მთელი ჯოჯოხეთი მიტრიალებს გულში, მას აქეთ, რაც შენმა დედინაცვალმა ამ სახლში ფეხი შემოდგა, ერთი სასიამოვნო წამიც არ მინახავს... ერთად ერთი ჩემი მანუგეშებოლი ის-ღა იყი, რომ მეგონა, შენ და ნიკოს ბედნიერებით მაინც დავსტკბებოდი, მაგრამ დღეს შენც ნავთი დაასხი ჩემ ცეცხლ მოკიდებულ გულს...

**დაწაკა.** რა ვქნა, მამა, გრიგოლს სწორედ ვერ მივთხოვდები.

**აღმასხან.** კარგი, შვილო, კარგი! მე ძალას როდი გატან, მაინც და მაინც იმას მისთხოვდი-მეთქი... მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ შენი ამ სახლში ყოფნა აღარ

ვარგა, რადგან ანეტას და ნესტორის ყურება ხერს არ დაგაყრის...

**დაწაკა.** მე ვერცერთში ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავ.

**ალმასხან.** ჩემი სამწუხაროც ეგ არის, რომ იმედი გამიცრუვდა და აწი მინც უნდა ვეცადო, გამოგაბრუნო საჩვენოში, სანამ სრულიად არ ამოსვრილხარ იმ წუმბეში, რომელშიაც გორავენ ნესტორი, ანეტა, სალომე და სხვანი, რომელთათვისაც აღარავითარი წმინდა აღარ არსებობს.

**დაწაკა.** (თავისთვის) შეითქვენ, თუ რა არის, რომ ესეც პლანტონის სიტყვებს იმეორებს? (ალმასხანს) რა ვქნა, მამა, მე მიყვარს ნესტორი და იმასაც უყვარვარ.

**ალმასხან.** უყვარხარ? ნესტორს უყვარხარ? ხა, ხა, ხა!.. ნესტორს განა შეუძლიან სიყვარული ადამიანური?.. ნესტორი პირუტყვია და პირუტყვივით უნდა მხოლოდ თავისი ნებათა ღელვა დაიკმაყოფილოს! მისთვის სულ ერთია, შენ იქმნები, თუ სხვა ვინმე, ოღონდ ჭალი კი იყოს!.. ის როსკიბ დედკაცთანაც იმ ნაირადვე გაატარებს დროს, როგორც შენთან... (სიჩუმე) არ უნდა მეთქვა შენთვის ესენი, მაგრამ საშუალების გამოჩენის დრო აღარ არის. როცა კაცი წყალს მიაქვს, იმის რჩევაში თუ შეხვედი არაფერი ვატკინო, ვეღარ უშველი და დაიხრჩობა. შენც სწორედ ამნაირსავე მდგომარეობაში ხარ ახლა და მორიდების დრო აღარ არის-

**დაწაკა.** (მტკიცედ) თქვენ არავითარი დასამტკიცებელი საბუთი არა გაქვთ, ექვი შეიტანოთ ნესტორის სიყვარულის სიწმიდეში ჩემდამი.

**ალმასხან.** მაქვს, შეილო, დასამტკიცებელი საბუთიცა მაქვს, თუ უიმისოდ არა გჯერა.

**დაწაკა.** აბა მიჩვენეთ და დავრწმუნდები.

**ალმასხან.** შენგან სასაცილოდ აგდებულ ძველ დროში მარტო მამის სიტყვაც კმაროდა შვილისათვის, როგორც

მოვალისთვის მსესხებლის უღვაშის ღერი, მარა, რა-  
 ხან ახლა თამასუქ-წერილობითი საბუთების დროა,  
 აი ისიც! (ამოიღებს ჯიბიდან ბარათს და აძლევს).

**ღარაკო.** (გამოართმევს ბარათს, დახედავს და საშინლად გაფითრდება)  
 ნესტორის ხელია!.. (კითხულობს).

**აღმასხან.** ხელსაც იცნობ?.. შენც მიგიღია მისგან წერილი?  
 (დარიკო საშინლად ღელავს კითხვის დროს) ახლა ხომ გჯე-  
 რა, რაც გითხარი?..

**ღარაკო.** ოჰ, ის არამზადა, ისა! (თვალეებზე ხელს მიიფარებს და  
 ტირის).

**აღმასხან.** (გახარებული) აი, ეგ ცრემლი სულ სხაა?.. იტირე,  
 შვილო, იტირე და გამოიტირე წარსული შეცდომე-  
 ბი! (მოხვევს ხელს, მიიკრავს გულზე და გრძნობით აკოცებს)  
 აბა ახლა თვითონ სთქვი, შეიძლება კიდევ შენი აქ  
 დარჩენა?.. იმათ სიკვდილის მეტი აღარაფერი გაა-  
 სწორებთ და ამიტომაც არის, რომ ყურადღებას არ  
 ვაქცევ, მაგრამ შენ... შენ კი უნდა მოშორდე ამ  
 სისაძაგლეს!.. (სიჩუმე) გრიგოლი არ იყოს, სხვა იყოს,  
 თუმცა არც გრიგოლს უჭირს რამე. მართალია, ქვრი-  
 ვია და ცოტა ხნიერი, მაგრამ მაგიერად წარჩინებუ-  
 ლი პირია, მდიდარი, დიდი გვარისშვილი და ხელ-  
 მწიფისაგანაც დაჯილდოვებული!.. სხვა არა იყოს  
 რა, შეიძლება, მარშლად ამოვირჩიოთ აგერ და პირვე-  
 ლი ქალი იქმნები ჩვენში... (სიჩუმე) აბა, კარგად და-  
 ფიქრდი და მითხარი შენი აზრი! წელან მელაპარა-  
 კებოდა, დღესვე უნდა შევიტყო გადაწყვეტილი,  
 წამომყვება თუ არაო. ძალიან უყვარხარ საბრალოს,  
 როგორც ეტყობა... წავალ, ვნახავ, ხომ არ გამო-  
 უღვიძნია, შენ კი იფიქრე!.. ახლავე მოვალ, რომ  
 შევიტყო შენი გადაწყვეტილება (აკოცებს თავზე და  
 გადის; თან ნიკოს წერილს კითხულობს, რომელიც აქამდის  
 ხელში ეჭირა).

## გამოსვლა მეორე

დაწაკა. (კითხულობს აღმასხანისგან მიცემულ ბარათს) „ჩემოსულ-ზედ უტკბესო ანეტა, მივიღე შენი წერილი... თუმცა ამაღამ სხვაგანა ვარ დაბატოლებული, მაგრამ რაკი შენ გსურს, ჩვენ ფანჩატურში დავიბადები. ხომ იცი, შენი სურვილი ჩემთვის გარდუვალი კანონია. მაშ, დაღამებამდის!.. შენი სიყვარულით ბედნიერი ნესტორ ჯიქიაშვილი. (მღელვარებით) ოჰ ის ურცხვი, ისა... განა ამ ნაირი მოტყუება შეიძლება?.. (დაფიქრდება) მაგრამ, იქნება, ეს მისი დაწერილი არ არის და მამამ ჩემ მოსატყუებლად მოიგონა!.. ხელი ძალიან გავს მისას, მაგრამ რა ვუყოთ მერე? მამა იშოვიდა მის ნაწერს და მიამგზავსებდა!.. ასე საშინლად როგორ მომატყუებდა, მაშ?.. (დაფიქრდება) შევნიერი აზრია! წავალა ახლავე და ვაჩვენებ ანეტას ამ წერილს! ის წელან ფანჩატურისკენ მიდიოდა... თუ თავისად იცნო, აღელდა და ისე გამომართვა, ხომ მართალი იქნება ყველაფერი... კი, მაგრამ რომ მომატყუოს?.. არა, ვერ მომატყუებს! მაშინვე მის სახეზე და თვალეში ამოვიკითხავ სიმართლეს! (მიდის ფანჩატურისკენ და, რომ მიუახლოვდება, უცებ შედგება) ეს რა აგდია?.. (დაიხრება და იღებს ცხვირსახოცს) ნესტორის ცხვირსახოცი!.. ამას წინად რომ წამართვა, ისა!.. (დაფიქრდება) მერე აქ როგორ გაჩნდა ახლა?.. (ათვალიერებს) ეტყობა, ახალი დავარდნილია! (სასოწარკვეთილი) ღმერთო ჩემო, ნუ თუ მართალია ყველაფერი?.. ნუ თუ ახლაც აქ არის ნესტორთან ერთად და მე კი მომატყუა, მივდივარ, რომ მოვემზადო ამაღამ მოსატაცებლადო... (დაფიქრდება) მატყუებს, სწორედ მატყუებს! აკი მამიჩემისათვის დღეს სრულიადაც არა უთქვამს-რა და მე კი მითხრა, ბევრი ვეხვეწე, მარა არაფრის გუ-



ლისთვის არ დამთანხმდლაო!.. (გაიხედავს ფანჩატურისკენ)  
 აქ არიან, სწორედ აქ არიან ერთად!... მივალ და  
 ჩემის თვალთ ვნახავ ყველაფერს! (მიდის ფანჩატურის-  
 კენ ფეხ-აკრეფით; ამ დროს ფანჩატურიდან გამოვლენ ანეტა  
 და ნესტორი. ანეტა მარცხენა მხრისკენ წავა და დაიმალება,  
 ნესტორი კი დარკოსკენ წამოვა).

## გამოსვლა მესამე

**დაწაკა.** (საშინლად აღელვებული) ერთად ყოფილან!.. მართალია  
 ყველაფერი! (გადადგება გზიდან და ხეს ამოეფარება).

**ნესტორ.** (დარკოს ვერ ჰხედავს და მოდის თავდახრილი) სად ეშმაკ-  
 ში დამივარდა?.. დარკომ რომ ნახოს, ხომ თავს  
 მოიკლავს!.. (დაუმხარდამხარდება იმ ხეს, რომელსაც დარი-  
 კო აფარია და სახე გაბრწყინებული) ჩინებულად გამო-  
 ვაწყეთ საქმე! დარკოს ამ საღმოს წერილი მიუვა  
 ჩემგან, რომ ვერაფერს გაეხდი და შემდეგისთვის უნდა  
 გადავდეთ მოტაცება, მე კი აგერ ვიქნები ანე-  
 ტასთან.

**დაწაკა.** (გადმოსდგამს ფეხს და შეუტევს) ახ, შე უსინიდი სოცე, მატ-  
 ყუარავ, ფლიდო!...

**ნესტორ.** (შეკრთება) შენ აქ ყოფილხარ?

**დაწაკა.** დიალ, აქა ვარ და ყველაფერი ვიცი.

**ნესტორ.** რა, რა იცი?

**დაწაკა.** ის, რაც ჩემის თვალთ ვნახე და ჩემის ყერით გავი-  
 გონე, ვისთან ბრძანდებოდი ახლა?

**ნესტორ.** (ენა ებმება) ანე... ანეტასთან. იმას ჩვენი მხარე უჭი-  
 რავს და ერთად ვარჩევდით, როგორ უნდა მოვიქ-  
 ცეთ ამალამ, რომ აღმასხანმა ვერაფერი შეგვიტყოს.

**დაწაკა.** კმარა, კმარა თავალთმაქცობა!.. (აჩვენებს წერილს) ეს  
 რა არის?

**ნესტორ.** ანეტასთან მიწერილი ბარათი!.. (გამოჰგლეჯს უცებ ხე-  
 ლიდან და დახვეს) ეს არაფერი არ არის!..



- დაბაკო.** მაშ, მართალია ყველაფერი?!.. თქვენ ჩემს დედინაცვალს ჰყვარობდით და მე კი მატყუილებდით?!.. ოჰ, ღმერთო, რა დაფაშავე, რომ ასე საშინლად დამსაჯე?!.. (მიიფარებს თვალებზე ხელს; მიეყრდნობა ხეს და გულამომჯდარი ტირის).
- ნესტორ.** (საქციელ წამხდარი მიუახლოვდება) დამშვიდდი, დამშვიდდი, შენი ჭირიმე!.. ღმერთმანი, მე შენ მიყვარხარ!.. ეს წე... წე...რილი ჩემი დაწერილი არა არის... მე... მე შენ მიყვარხარ! (უნდა ხელი მოჰკიდოს).
- დაბაკო.** (არ ნებდება) გამეცალეთ იქით!.. (შემოდის ალმასხანი).

### გამოსულა მეოთხე

- ალმასხან.** (გაჯავრებული მივარდება ნესტორს და ჰკრავს ხელს) ცოლი გამირყვენო, შე არამზადავ, ოჯახი შემიგინე და შვილიც გინდა შემირცხვიო?... (ნესტორი ძლივს შეიმაკრებს თავს და იძრობს ხანჯალს; ალმასხანიც ამოიღებს ხანჯალს და უშიშრად), აბა გადმოდგი ფეხი და ახლავ ჩაგაძაღლებ.
- დაბაკო.** (დაიკვივებს და მივარდება ალმასხანს) მამა, შენ გენაცვალე!.. (ნესტორი არ ინძრევა).
- ალმასხან.** (მრისხანედ ნესტორს) ახლავე გატრიალდი და, უკან რომ არ მოიხედო, ისე, წადი ჩემი სახლიდან, თვარა მოუკლავს არ გაგიშვებ!
- ნესტორ.** (ჩააგებს ხანჯალს) ვა, რა გულზე ხარ დღეს, კნიაზ ალმასხან?
- ალმასხან.** (თვითონაც ჩააგებს ხანჯალს) იმ გულზე ვარ, რომ ახლავე წადი აქედან და ჩემ სახლში აღარ გნახოს ჩემმა თვალებმა, თვარა ან შენ იქმნები და ან მე!
- ნესტორ.** კარგი, წავალ; წავალ და, თუ გინდა, აღარც როდისმე მოვალ, მარა შენ რა შეგეძინება? (დაცინვით) მე არ ვიქმნები სხვა იქმნება, კაცის მეტი რა არის ქვეყანაზე? და შენ კი არასოდეს არ ამოგძვრება ეგ



რქები, რომლებიც შენმა მეუღლემ გამოგაბა (ორივე ხელს და თავზე რქებივით იკეთებს).

**აღძასხან.** (მივარდება გულ-მოსული და ჰკრავს ხელს) წადი-მეთქი, მე შენ გეუბნები!.. ამ სიბერის დროს სისხლში არ გამასვრევეინო ხელი!

**ნესტორ.** (წაბარბაცდება) დასწყევლოს ღმერთა, რა ღონე ჰქონია ამ ბებერს... მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ანეტას თავი დაუკარით ჩემ მაგიერ და უთხარით, ეტყობა, ამალამ აღარ გველის ერთად ყოფნა-თქო... (გატრი-აღდება და მილაპარაკობს) ცოლი გამირყვენიო!.. ჩემ გაცნობამდის კი უმანკო ანგელოზი იყო, მისმა მზემ!.. (გადის მარჯვნივ).

## გამოსვლა მეხუთე

**აღძასხან.** (გულზე მიიკრავს მტირალ დარიკოს) კარგია, შვილო, დამშვიდდი!.. მაღლობა ღმერთს, რომ ასე გათავდა საქმე! . (აკოცებს და მოჰყავს კუნძისკენ) მე, შვილო, ახალი საქრმო მეგულეობა შენთვის, თუ მაინც და მაინც გრიგოლი არ გინდა, და გაუთხოვრობა კი შენი შეუძლებელია. ნამეტურ მას შემდეგ, რაც დღეს მოხდა შენი აგრე დარჩენა აღარ ივარგებს. ახლა ნესტორი აღარაფერს აღარ დაზოგავს, სახელი გაგიტეხოს და მით მაინც ამოიყაროს ჩემი ჯავრი. ის კაცი კი არა, დაუნდობელი მხეცია და მხეცზე უარესიც, რადგან რა მხეცი შეედრება მხეცად გადაქცეულ ადამიანს?.. (სიჩუმე) ნიკოც მწერს, შვილო, დღევანდელ წერილში და ექვად მეც ვიცი, რომ პლატონს მოსწონხარ. მართალია, თავადიშვილი არ არის, მარა განათლებული კაცია, დოქტორი, და, თუ შენც მოგწონს, არაფერი არ უჭირს, რომ მისთხოვდე... (დარიკო საშინლად ლელავს) წინად, როგორც მახსოვს, შენც კი აქებდი ხოლმე პლატონს. მართლაც, რომ საქები

ყმაწვილია. ნიკო ხომ სულ გადარეულია მით და მთხოვს, თუ კი შენ ისურვებ, მე წინააღმდეგი არ ვიქმნე... (სიჩუმე) რას იტყვი, შვილო, პლატონის შესახებ?

**დაწაკა.** (მწუხარებით) მე პლატონის ცოლი ვერ შევიქმნები.

**ალმასხან.** რატომ? პლატონი არ არის დასაწუნი? განათლებული კაცია, საქმეზე სდგას.

**დაწაკა.** (თვალეებზე ცრემლი ერევა) ვიცი, რაც არის, მაგრამ ჩემთვის იგი აღარ არსებობს...

**ალმასხან.** შენი ნებაა, შვილო!... იქმნება, გრიგოლ გირჩევნია იმას?... კაი მოგცეს ღმერთმა, კაი საქმრო ჩვენში ახლა ის იყო!...

**დაწაკა.** რა იყო, მამა, რას ჩამაცვიდი?.. სულ აღარ მინდა გათხოვება.

**ალმასხან.** აბა რა გინდა, შვილო?.. განა იმის შემდეგ, რაც შეიტყე, შეგიძლიან კიდევ ანეტასთან ყოფნა? მისი ყურება?.. მე ასე მგონია, რომ სულ მისი ბრალია ყველაფერი: ის ურჩევდა ნესტორს, რომ ჩემზე ექვი არ აიღონ, დარეკოს გაუარშიყდიო... აი, შვილო, როგორი ხალხია ისინი? არავის არ დაინდობენ, ოღონდ თავიანთი სურვილი აისრულონ და თვითონ ისიამოვნონ.

**დაწაკა.** (აღელვებული) ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ვქნა?!..

**ალმასხან.** (დამშვიდებით) უნდა გათხოვდე, შვილო, მეტი გზა არ არის. აღარც დასაგვიანებელია, რადგან ოცი წლის ქალი ხარ აგერ. არც შეიძლება ამ ორ კაცზე უკეთესი საქმრო იშოვო როდისმე: ერთი ყმაწვილია და ნასწავლი; აზნაურია, მარა კაი ოჯახის შვილია და ესეც არ იყოს, გვარს რაღა მნიშვნელობა აქვს ახლა. „ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ არის, რას არგებს გვარიშვილობა“-ო, უთქვამთ, რა ხანია, ჩვენს ძეგლებს, თვარა ახლა ხომ სულ სხვა დროა... მეორეა

და დიდი გვარის შვილი, თან დამსახურებული და ხელმწიფისგან დაჯილდოვებული. ცოტა ხნიერია, მარა არც იმ ხანშია, რომ ახალგაზდა ქალი არ მიეცემოდეს. ხომ იცი, კაცი უფროსი უნდა იყოს ქალზე?.. აბა, ამოირჩიე ბარემ ერთ ერთი და გავათავოთ საქმე!.. (სიჩუმე; დარკო საშინლად იტანჯება) გრიგოლი მოუთმენლად ელის პასუხს; ახლავე უნდა შევატყობინო გადაწყვეტილი, გინდა, თუ არა? (დარკო დაფიქრებულია და ეტყობა, ებრძვის თავის თავს) რა ვქნა, წავიდე და უარი ვუთხრა?

**დარაკო.** (თავზედ ხელებს მოიკიდებს და საშინელის ხმით) ოჰ, ღერთო ჩემო!..

**ალმასხან.** მაშ, წავალ და უარს ვეტყვი, მარა მერე ველარ გამოვაბრუნებთ ამ საქმეს და მხოლოდ პლატონი-ლა დაგვრჩება...

**დარაკო.** არა, არა!... ისევ... (ენა ებმება) ისევ გრიგოლი უნდა ავირჩიო... წადი უთხარი, რომ თანახმა ვარ.

**ალმასხან.** (გახარებული მიიკრავს გულოზე) ბარაქალა!.. მეც რომ შენს ადგილზე ვყოფილიყავი, სწორედ გრიგოლს გამოვირჩევდი. რაც უნდა იყოს, ჩვენი ტოლი კაცია და გვარი აღარ დამკირდება!.. მაშ, წავალ და გავახარებ! ვერ წარმოიდგენ, რა გულკეთილი და გულჩვილი ყოფილა! კაცი ათას ომშია გამოვლილი, მარა კინალამ იტირა, შენზე რომ მელაპარაკებოდა. სწორედ ბედნიერი ქალი ხარ, ბედნიერი, რომ ამისთანა ქმარი იშოვავ!.. მომილოცავს! (აკოცებს თავზე) ღმერთმა გაგაბედნიეროს!.. აი, ახლავე აქ მოვიყვან და შენ თვითონ უთხარი, რომ თანახმა ხარ. (გაღის).

## გამოსვლა მეექვსე

**დარაკო.** (რამდენიმე ხანს გაშტრებულივით სდგას; მერე უცებ სიცილს დაიწყებს და ისტერიულად ხარხარებს) ხა, ხა, ხა, ხა, ხა!..

ჩემი სიტყვა ხომ მაინც შევასრულე და პლატონს აღარ მივმართე!.. მე გახლავართ კნენა მთავარიძისა, პოლკოვნიცა!.. მალე შევიქმნები მარშლის ცოლიც და პირველი ქალი ვიქმნები ჩვენში. დიად, პირველი... ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი! ვინ იცის, რამდენი ქალი შემომნატრებს და გული შურით აეცება, როცა შეიტყობს, რომ მე გრიგოლს მივყვები... გრიგოლს, გრიგოლს... (ისევ გაშტერდება და რამდენიმე ხანს ჩუმად არის; მერე უცებ სახე საშინლად დაედმანტება და საშინელის ხმით) ახ!.. (ორივე ხელს ქაჩორში ჩაივლებს და სასაწყვეთილი) ღმერთო ჩემო, ეს რა ვქენი?!.. (სიჩუმე) არა, არა, ეს შეუძლებელია: მე გრიგოლს ვერ დავუკავშირებ სამუდამოდ ჩემს ბედს, მისი ცოლი ვერ შევიქმნები!.. წავალ, წავალ ისევ პლატონს ჩავუვარდები ფეხ ქვეშ და ვსთხოვ, მაპატიოს, დამიხსნას... (სიჩუმე) მერე რომ არ მიმიკაროს, ხელი მკრას და გამომაგდოს?... არა, არა!... იმის შემდეგ, რაც ყოფა დავუწიე, რა ნება მაქვს, მასთან მივიდე?.. არ მეტყვის, დღეს არ მოთხარით, მძულხართ და მეზიზღებით და ახლა რა პირით მოდიხართ ჩემთანო?... მართლაც, რა პირით უნდა მივიდე იმასთან, როგორ უნდა შევხედო?... არა, არა, მე ვერ გავუძლებ იმის ცეცხლის მფრქვევ თვალებს!... მე აღარა ვარ მისი ღირსი!... ის მკვდარია ჩემთვის და მე მისთვის!... (სიჩუმე) მაშ, რა ვქნა?... როგორ დავიხსნა თავი ამ საშინელ მდგომარეობიდან?... (დაფიქრდება და ცოტა ბრძოლის შემდეგ სახე გაბრწყინებული) ააა, ვიცი, ვიცი, რასაც შეუძლიან ჩემი დახსნა!... (გადაწყვეტით) სიკვდილი, სიკვდილი!... აი, ერთად ერთი ჩემი დამხსნელი ამ სატანჯველიდან! სიკვდილი, სიკვდილი მალე და საუკუნო მოსვენება!.. (გაიქცევა).

## მოქმედება მეოთხე

(პლატონის ოთახი. ერთ კედელთან სდგას რკინის კრავატი, ფანჯარასთან სტოლი წიგნებითა და ქაღალდებით სავსე. დაღონებული ქეთო გაასწორებს ქვეშაგებს და დაუწყებს ლაგებას წიგნებს სტოლზე).

### გამოსვლა პირველი

ქეთო.

(გაიხედავს ფანჯარაში) კიდევ არსადა სჩანს!.. საკვირველია, სად წავიდა ამდენი ხანი? აღმასხანის სახლიდან მაშინვე წამოსულა და ახლა კი აგერ დაღამდება; ალბად ძალიან შეაწუხა დარიკოში იმედის გაცრუებამ და შინაც იმიტომ არ ბრუნდება, რომ არ გვაჩვენოს თავისი ტანჯვა!.. ნამეტურ, ჩემი რცხვენოდეს იქნება ახლა იმას, რომ არ დამიჯერა!.. (გათავებს სტოლის ლაგებას და რამდენიმე ხანს გაშტერებული სდგას. მერე მიდის და დაიწყებს საგზაო ჩამადნიდან ტანისამოსების ამოლაგებას; ამოლაგების დროს წააწყდება რევოლვერს და შემკრთალი) ოჰ, რევოლვერი!.. (ამოიღებს ჩამადნიდან და სინჯავს) ახლა უყვიდა!.. მგონი გატენილიც არის!.. არა, არა, ძნელი სანდობია, უნდა წავიღო აქედან. ვინ იცის, რა არ მოუვა კაცს თავში, როცა ტანჯვისგან აღარაფერი ახსოვს?.. ერთ წამს არის კაცის სიცოცხლე! დღეს მაინც საშიშია!.. (ჩაიდებს რევოლვერს ჯიბეში და დაფიქრდება) ეეჰ, რა ხარ, ადამიანო?.. ამ წუთში ბედნიერი ხარ; გინდა, სიცოცხლით სტკებბოდე მარადის, იმ წუთში კი შენს ტანჯვას სამზღვარი აღარა აქვს და სიკვდილი გენატრება!.. ამოაგება ამოაგებათა და ყოველივე ამოა არსო, მართალი უთქვამს ამის მთქმელს. ვოცნებობთ, მივისწრაფვით საით-

კენაც, გვგონია, ბედნიერებას, ნეტარებას მივალ-  
წევთ, მაგრამ უეცრად ჰქრება ყველაფერი და იწყება,  
ტანჯვა-წვალება, მწუხარება, კნესა-ტირილი!.. რის-  
თვის, რისთვის?!... (დაფიქრდება; კარს შემოაღებს სუსანა).

### გამოსულა მეორე

**სუსანა.** (გახარებული) მოდის, მოდის ჩემი ბიჭი, ვენაცვალე.  
**ქეთო.** მართლა?.. (გაიხედავს ფანჯარაში) უჰ, რა შეწუხებულია!  
ეტყობა, სულ კლდე-ლრე-ტყეში ურბენია, ისე შემო-  
სდებია ეკლები და გამტვერიანებულია. მე წავალ, არ  
დავენახვები, თვარა ეგონება, დავცინი, რომ ჩემი  
სიტყვა გაუმართლდა. (გაღის, სცენა ცოტას ხანს ცარიე-  
ლია; მერე შემოდის თმა-აბურძენული და სახე გაფითრებული  
პლატანი, გაოფლიანებული, გამტვერიანებული; ტანისამოსი  
ეკლებით აქვს სავსე. უკან მოჰყვება სუსანა).

### გამოსულა მესამე

**სუსანა.** (კარებშივე შედგება და მოკრძალებით) ხომ არაფერი გინ-  
და, შვილო?  
**ზღაგონ.** (თავ-აუღებლად) არა.  
**სუსანა.** იქნება, საკმელი გინდა, გენაცვალე?... დღეს არაფე-  
რი გიჭამია, მოგიკვდა ჩემი თავი.  
**ზღაგონ.** არა, არ მინდა.  
**სუსანა.** არც ქეთო გინდა, რომ შემოვიდეს?  
**ზღაგონ.** (წყენით) არა, არა!.. არავინ და არაფერი არ მინდა.  
თავი დამნებეთ, მინდა, მოვისვენო,  
**სუსანა.** (თვალ-ცრემლიანი) მოისვენე, გენაცვალოს დედა, მოი-  
სვენე! (გაღის).

## გამოსვლა მეოთხე

**პლატონ.** (კარს გადაჰკეტავს, ფარდას ჩამოათარებს ფანჯარაზე და წამოწვება! მერე საშინლად ამოიოხრებს, ადგება და მეტის მეტად აღელვებული გაივლ-გამოივლის) არა, მე ვერ მოვისენებ, სანამ გულში მაქვს ის ჯოჯოხეთის ცეცხლი, რომელიც დღეს აღმეგზნო და ეს ცეცხლი კი მანამ არ გაჰქრება, სანამ სრულიად არ დამწვამს. (გაჩერდება ერთს ადგილზე და გრძნობით) თვალი გახელილი მაქვს, თუ დახუჭული, ვმოძრავობ თუ გაჩერებული ვარ, თვალწინ მიტრიალებს დღევანდელი სცენა და თავიდან არ მშორდება ის საშინელი ფიქრი, რომ ყველაფერი გათავებულია ჩემთვის. რწმენა, იმედი, ნატვრა, ოცნება, ყველა გაჰქრა და „რა ვარ აწ სოფლად დარჩენილი უსაგნოდ მარტო, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“?.. რა ვარ და არაფერი, ან ერთი მუჟა მიწა, როგორ ცხონებული ჩვენი ისაკ დავითიჩი იტყოდა ხოლმე, (ცალ ხელს გააშვერს) ოოჰ, ჩემო ისაკ დავითიჩ, რამდენჯერ გულით გამიცინია, როცა შენ მოგიმართავს ჩემთვის ამ სიტყვებით: „რას იქიმები, ყმაწვილო, რას იქიმები? ერთი მუჟა მიწა ხარ, ჩემი რჯულის მადლმა, მეტი არაფერი!“ ოჰ, ვინ არის ერთი მუჟი მიწა, ვინ?.. მე პლატონ ვარდიშვილი, რომელიც ხვალ გიმნაზიას გავათავებ, წავალ უნივერსიტეტში, ჩამოვალ მეცნიერებით აღჭურვილი და მთელს ქვეყანას შევანძრევ-მეთქი! ვფიქრობდი მაშინ გულში, მე, რომელსაც გვერდით მეყოლება თვით ზეციდან ჩემ მფარველ ანგელოზად მოგზავნილი დარიკო? არა, არა, მე გმირი ვარ, ყოვლის შემძლებელი გმირი, რომელმაც უნდა გავაბედნიერო, თუ მთელი კაცობრიობა არა, ჩემი ბედკრული სამშობლო მანაც-მეთქი! დიალ, ასე ვფიქრობ-

დი მაშინ, მაგრამ დღეს, როცა უკანასკნელი იმედიც გამიქრა, მეც შენი თანახმა ვარ, ჩემო ისაკ და ვგრძნობ, რომ მართლა ერთი მუჭი მიწის მეტი არა ეყოფილ-ვარ-რა!.. (გაივლ-გამოივლის დაფიქრებული, შემდეგ ისევ გაჩერდება ერთს ადგილზე და ტანჯვით საესე ხმით

„სულთ ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად, ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად? მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა, რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“?...

ოჰ, ნეტავი თქვენ, პოეტებო, რომ ყოველთვის შე-გიძლიანთ, როცა რამე შეგაწუხებთ, ჩამოჰკრათ ხელი თქვენის გულის სიმებს, ააკვნეს-აამღეროთ და იმ კვნესა-სიმღერაში ჩაკლათ თქვენი დარდი და ვარა-მი; ჩაკლათ და, ფენიქსებრ განახლებულთ, იწყოთ ხელახალი ცხოვრება!.. (სახე გაბრწყინებული) მოდი, მეც მივბაძო პოეტებს! (მიდის სტოლთან) ოჰ, რომ შე-მეძლოს ახლა იმისთანა რისამე დაწერა, როგორც არის, მაგალითად, ბარათაშვილის „სული ობოლი“, რასაკვირველია, დავმშვიდდებოდი! (აღფრთოვებული).

„ძნელი არის მარტოობა სულისა:

მას ელტვიან სიამენი სოფლისა,

მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,

ოხვრა არის შვება უბედურისა“!..

რასაკვირველია, ამ ნაირი ოხვრა რომელსაც ამოაქვს კაცის დატანჯულ გულიდან ამისთანა ფას-დაუდებელი მარგალიტიც, როგორც ქარიშხალს აღელვებულ ზღვის უფსკრულიდან, შვების მომტანი იქნება! (მოუჯდება სტოლს, დაიდებს წინ ჭალაღს, აიღებს კალამს ხელში და რამდენიმე ხანს ღრმად ჩაფიქრებულია; შემდეგ ისევ დააგდებს კალამს და ადგება) არა, არა, მე ვერაფერს ვერ დავწერ!.. მაშ, რა ექნა? როგორ მოვახერხო, რომ დავივიწყო ყველაფერი და დავმშვიდდე?.. (სიჩუმე)



ოჰ, ახლა კი მესმის ლოთების გრძნობით წარმოთ-  
 თქმული: „Съ горя“, როცა არაყს მოუსხდებიან ხოლ-  
 მე!.. დიად, პოეტები წერით იქარვებენ მწუხარებას  
 და ლოთები ღვინის სმით! მე პოეტი არა ვარ, ლო-  
 თი... ლოთი კი არ მინდა შევიქმნე... (სიჩუმე) მაშ, რო-  
 დემდის უნდა ვიწვავო ასე, როდემდის? (ტანჯვით სავსე  
 ხმით) ოოხ, ღმერთო!.. (თავზე ხელს წაივლებს და საშინ-  
 ნელი მწუხარება ეტყობა) არა, არა, ამ ნაირ სიცოცხლეს  
 სიკვდილი სჯობია! (გაიქცევა და დაიწყებს ძებნას ჩამა-  
 დანში, მაგრამ რომ ვეღარ იპოვის, რასაც ეძებდა, სახე საშინ-  
 ლად დაემანჭება და საშინელი ხმით) აღარ არის!.. დაუ-  
 მალავთ!.. ქეთო დამალავდა!.. ჰქონდეთ!.. თუ კაცმა  
 თავის მოკვლა გადაწყვიტა, ვის შეუძლიან, ხელი  
 შეეშალოს?.. თავის მოკვლა!.. თავის მოკვლა კი  
 არა, თავის გაცოცხლებაა, სულის განთავისუფლებაა  
 იმ საშინელ საპრობილიდან, იმ უმგზავს ხენჭეფო-  
 დან, რომელსაც კაცის სხეული, ეს ერთი მუჭი მიწა  
 წარმოადგენს! დიად, თუ სულია, როცა ხორცი  
 კვდება, მაშინ იწყებს ის ხელახლად დამოუკიდებელ  
 სიცოცხლეს, რომელსაც მოკლებული იყო, სანამ  
 სხეულთან იყო მიკრული, ხოლო თუ სული არ არის,  
 კიდევ უფრო უნდა გვენატრებოდეს სიკვდილი, რად-  
 გან არაფერი სასახლოა ადამიანის განვითარებულ  
 გონებისთვის უბრალო მატლის მგზავს არსებად ყოფ-  
 ნა!.. (გაივლ-გამოვივლის და შედგება იმ კუთხეში, სადაც  
 ქვეშაგების ნახვევი ფარდაგი და თოკი ადია) აა, ეს ხომ  
 აქ არის! (აიღებს თოკს) თავის ჩამორჩობა უფრო სა-  
 ინტერესოც არის. გამოვცდი მაინც, რომ ამბობენ,  
 არის ერთი წამი დარჩობის წინად, როცა კაცს გამო-  
 უთქმელი სიტყვების ურუანტელი უვლის მთელს  
 სხეულში და სამოთხისებურ ნეტარებას გრძნობსო!..  
 (ათვლიერებს კედლებს, „რომ თოკი ჩამოაბას სადმე; ამ დროს  
 მოისმის კარზე რაზუნი. პლატონი შეკრთება და გაიქცევა კუ-  
 თხისკენ, შეშინებული. რაზუნი თან და თან ძლიერდება და  
 მოისმის ქეთოს ხმა):

**ქეთოს ხმა.** პლატონ, პლატონ, გააღე კარი მალე!

**პლატონი.** ოოჰ, რა უნდათ ჩემგან, რა უნდათ?... (ეშინიან და კუთხეში იმალება).

**ქეთოს ხმა.** პლატონ, პლატონ, პლატონ!

**პლატონი.** ღმერთო ჩემო, სად დავიმალო? როგორ დავიხსნა თავი ამათგან? (ხან ერთ კუთხეში მივა და ხან მეორეში, ნამეტანი შიშისგან აკანკალებული. კარზე შეწყდება რახუნი და ახლა ფანჯარაზე მოისმის; პლატონი თრთის და აღარ იცის, რა ჰქნას; ამ დროს გატყდება ფანჯარის მინა, გადიწევა ფარდა და თავს შემოჰყოფს მეტად აღშფოთებული ქეთო; პლატონი ბნელს კუთხეში მიიჭუჭკება და სულს განაბავს).

### ვამოსგლა მესუთე

**ქეთო.** (მიიხედ-მოიხედავს და, პლატონს რომ ვერსად შეხედავს, დაიკვივლებს საშინელის ხმით) პლატონ, სად ხარ?

**პლატონი.** (ათრთოლებული) რა გინდა, რა გინდ?... აგერა ვარ!

**ქეთო.** ღმერთო ჩემო, როგორ ირჯები?... გააღე კარი მალე!.. დარიკოს თავი მოუწამლავს...

**პლატონი.** (გაკვირვებით) ვისა?!

**ქეთო.** დარიკოს თავი მოუწამლავს, ეს არის ალმასხანმა კაცი გამოგვიგზავნა, გვიშველეო.

**პლატონი.** (სახე გადაეშლება) დარიკოს თავი მოუწამლავს!.. (მივარდება კარს და აღებს; შემოდის ქეთო).

**ქეთო.** ჰო, თავი მოუწამლავს და საშინლად იტანჯება თურმე!.. წავიდეთ მალე, იქნება, უშველო როგორმე!.. (შეამჩნევს ხელში თოკს) ეს რა არის? (გამოჰგლეჯავს ხელიდან) რა იყო, რას აკეთებდი, რომ კარის გაღება არ გინდოდა?

**პლატონი.** არაფერს.

**ქეთო.** (მიამტვრდება) ღმერთო ჩემო, ნუ თუ შენც?..

**პლატონი.** (ხელს მოჰკიდებს და დამშვიდებული) კარგი, კარგი, დამშვიდდი!.. რაც იყო, იყო!.. ნურავის ეტყვი, რაც ნახე!.. ახლა წავიდეთ და დავიხსნათ სიკვდილისაგან

ჩენი დარიკო... დეე, იმანაც იცოცხლოს!..  
 დედას რაზე ექმნება შენახული და გამოართვი, მეც  
 წამლებს მოვძებნი (ქეთო გადის).

### გამოსვლა მეექვსე

**პლატონ.** (მიდის სტოლთან, აღებს საგზაო აფთიაკს და იღებს შუშებს)  
 მაშ, ასე: ერთსა და იმავე დროს ორივეს მოგვსურ-  
 ვებია თავის მოკვლა, კარგია!... (იღიმება) ხომ გით-  
 ხარით, კნიაენა, დღეს, მეორე პაციენტი ჩემი თქვენ  
 უნდა იქმნეთ-მეთქი? აი, რა მალე გაიართლდა ჩემი  
 სიტყვა?.. აბა, ბატონო ექიმო, თქვენი საქმეა ახლა!  
 თქვენ მან დაგიბრუნათ სიცოცხლე და თქვენც სა-  
 მაგიერო უნდა გადაუხადოთ, აგრეთვე დაუბრუნოთ  
 სიცოცხლე! (შემორბის ქეთო და შემოდინან სუსანა და  
 დარისპანა).

### გამოსვლა მეშვიდე

**ქეთო.** რძე მზად არის!

**პლატონ.** (სრულიად დამშვიდებული და სახე-გაბრწყინებული) მეც მზა-  
 და ვარ, წავიდეთ! (მიდის).

**ქეთო.** (უკან მიჰყვება და თავისთვის) საკვირველია, ისე დამშვი-  
 დებულია, თითქო სულაც არაფერი გადახედოდეს  
 თავს; ის კი არა, თუ თვითონაც ამ ერთი წუთის  
 წინად თავის მოკვლას აპირობდა. გმადლობ, შენ  
 ღმერთო, რომ ასე გათავდა!.. (გადიან).

### გამოსვლა მერვე

**დარისპან.** (გააყოლებს თვალებს პლატონს და ქეთოს და დაკინფითი  
 ღიმილით) ესეც განათლებაა, აბა რა ეშმაკია?.. ეწყი-

ნებათ რამე, თუ არა მაშინვე გალესენ სპიჩკის თაყვანს, ან სხვა რამე საწაშლავს იშოენიან და გადაჰკვრენ, ან კიდევ სხვა ნაირად ისპობენ სიცოცხლეს!.. არა, წინდაწინვე რომ იკლავ თავს, რა გეჩქარება?.. როცა დრო მოვა, თვითონ ვერ მოგძებნის სიკვდილი?.. მე გეტყვი შენ-და, დაემალეები სადმე, ბოქაულებით რომ მოგადგება კარზე! მოუცადე შენ დროს, შე ოხერო, და მაშინ მოკვდი, რა სული მიგდის?.. მაგრამ ეეჰ, ახლანდელეებს სიჩქარე ყველაფერში ეტყობათ და ეტყობათ! გაჰქრა ძველებური სიდარბაისლე და სიღინჯე. ახლა ყველაფერი ეჩქარებათ: სიცოცხლეც და სიკვდილიც! დიად, სიკვდილიც კი ეჩქარებათ!... სასაცილოა, მე და ჩემმა ღემრამა, რომ სატირალიც არ იყოს!..

ფარდა

## მოქმედება მეხუთე

(მდიდრულად მორთული ოთახი. პირდაპირ დარიკოს ოთახის კარები გაღებულია და სცენის სიღრმეში მოსჩანს დარიკოს საწოლი. მარჯვენა კარებიდან შემოდის ანეტა და დარიკოს ოთახისკენ მიდის; ამავე დროს დარიკოს ოთახიდან გამოდის პლატონი და წინ შეხვდება ანეტას).

## გამოსულა პირველი

**ზლატონ.** რა გნებავთ, კნენინა?

**ანეტა.** დარიკოსთან საქმე მაქვს (მიიწევს კარებისკენ).

**ზლატონ.** (გადაეღობება წინ) რა დროს საქმეა ახლა?

**ანეტა.** რა უდროოა?

**ზლატონ.** არ შეიძლება ახლა დარიკოსთან შესვლა?

- ანეტა. (წყენით) რატომ? თქვენი და თუ არის იქ, მე არ შემძლიან შევიდე?
- ზლატან. ეს არის, იმდენ აღელვებისა და ტანჯვა-წვალების შემდეგ, ჩასთვლიმა. იქნება, დმერთმა ჰქმნას და დაეძინოს!.. ძლივს დაწყნარდა და...
- ანეტა. (გააწყვეტინებს და ხმა მალა) მე საქმე მაქვს იმასთან და უსათუოდ ახლავე უნდა ვნახო (მიიწევს).
- ზლატან. (გაუსწრობს წინ, გამოზურავს დარიკოს ოთახის კარებს და დადგება) ღეთის გულისათვის წყნარად ილაპარაკეთ!... რაღა ახლა გავხსენებიათ რაღაც საქმე? ხვალ ვერ მოესწრობით?..
- ანეტა. (ყვირილით) ხვალ მე მაგისთვის არ მეცლება; გეუბნებით, ახლა უნდა ვნახო-მეთქი (უნდა შესვლა).
- ზლატან. მე თქვენ გითხარით, რომ იქ შესვლა არ შეიძლება (ჰკიდებს ხელზე ხელს). იქ არავისი შესვლა არ შეიძლება ახლა და მით უმეტეს თქვენი.
- ანეტა. სხვისა არ ვიცი და მე კი ვერაფერს დამიშლის ჩემ სახლში ვერაფერს! მე მინდა ჩემი შვილი ვნახო და თქვენ როგორ მეუბნებით უარს?
- ზლატან. ჯერ ერთი, რომ თქვენ დედა არა ბრძანდებით დარიკოსი და მეორეც, თუ საჭიროება მოითხოვს, არც დედას შეუშვებენ ავადმყოფთან და არც მამას.
- ანეტა. (ყვირილით) მე თქვენთან სალაპარაკოდ არ მოვსულვარ... მე მინდა დარიკოს ნახვა და უნდა ვნახო კიდევ! (უნდა კარი გააღოს).
- ზლატან. (ხელს მოჰკიდებს და გამოსწევს) იძულებული ვიქნები, ხელით გაგიყვანოთ აქედან, თუ თქვენ თვითონ არ გაბრძანდებით.
- ანეტა. (გაანჩხლებული) როგორ თუ გამიყვანოთ?.. ჩემი სახლიდან თქვენ უნდა გამიყვანოთ?
- ზლატან. მე არ მოგახსენებთ, თქვენი სახლიდან გაგიყვანთ-მეთქი. მე გეუბნებით მხოლოდ, რომ გაგიყვანთ ამ ოთახიდან, რადგან შეაძლება, თქვენმა ყვირილმა ავადმყოფი შეაშინოს და გამოაღვიძოს.



- ანეტა.** (ცდილობს გამოეშვას ხელიდან და უმატებს ყვირილს) არ ვყვირი!.. და თუნდაც ვიყვირო, თქვენ რა ნება გაქვთ დამიშალოთ.
- ზლატან.** აბა რა არის ეს, თუ არ ყვირილი? (შემოდის მარჯვენა კარებიდან აღმასხანი).

## გამოსულა მეოთხე

**აღმასხან.** რა ამბავია?

**ზლატან.** (გაუშვებს ხელს ანეტას) არაფერი. კხენია შემოვიდა და დაიწყო ყვირილი, მაინც და მაინც დარიკო უნდა ვნახოვო. მე კი არ შეეფუშვი, რადგან ეს არის დაისვენა და ხელახლავ აღელვება და აშფოთება მისი არ ივარგებდა.

**აღმასხან.** (ანეტას) რა გინდა, ქალო, რა? რა დაგემართა? ვერ დაეტე შენ ქერქში?

**ანეტა.** მე უნდა ვკითხო დარიკოს, რა წერილია ის წერილი, შენ რომ ამბობ?

**აღმასხან.** გითხარი და გავათავე, რაც წერილი იყო. შენთან მოწერილი წერილი იყო ნესტორისგან. სხვა რომ არაფერი გამივიდა, იმით მიხლოდა დამერწმუნებინა საბრალო, რომ ნესტორი შენ გყვარებოდა და იმას კი ატყუებდა.

**ანეტა.** ეგ სუყველაფერი შენი მოგონილია, რომ დარიკოსთვის ნესტორი შეგეძულებინა და გრიგორისთვის მიგეცა. წავიდეთ და გამოვართვათ აბა ის წერილი, თუ მართალს ამბობ! (მიდის დარიკოს ოთახისკენ).

**ზლატან.** (გაიქცევა და დადგება დარიკოს ოთახის კარებთან) ბატონო, არ შეიძლება ახლა დარიკოს გაღვიძება და მით უმეტეს ამ საგანზე ლაპარაკი. როგორც ეტყობა, თავის მოკვლა სული მიტომ გადუწყვეტია, რომ ვერ აუტანია იმ კაცში იმედის გაცრუება, ვინც უყვარდა, და თქვენ ხელახლა გინდათ მოაგონოთ ყველაფერი?



- ალმასხან.** (მოჰკიდებს ხელს ანეტას) რა გინდა, შე უნამუსოე?...  
სულ შენი ბრალია ყველაფერი და კიდევ აღარ დაგვეხსნები?
- ანეტა.** (გაანჩხლებული ჰყვირის) ვინ არის უნამუსო, ვინ, შე ბებერო ძაღლო?
- ალმასხან.** აქ ნუ ყვირი! (მიათრევს მარჯვენა კარებისკენ) გაეთრიე აქედან და, რამდენიც გინდა, იყვირე!
- ანეტა.** მაშ, მაგდებ სახლიდან?.. (მიდის) კარგი, კარგი, მე წავალ, მარა იფთხად არ დაგისვამ ჩემ წასვლას, თუ ქალი ვარ.
- ალმასხან.** ჯანდაბამდის გზა გქონია, თუ წახვალ!.. ან კი რაღა დასადგომი პირი გაქვს, როცა ნესტორი გავაგდე და თვალით ვეღარ ნახავ აწი ჩემ სახლში?
- ანეტა.** (შედგება და მუქარით) შენი ფეხი დამკარი, თუ არ განანიო ჩემი ასე გაბიაბრუება.
- ალმასხან.** ჰო კარგი! კარში გავიდეთ და იქ იყბედე, რამდენიც გინდა!
- ანეტა.** მე აღარც აქ გელაპარაკები და აღარც კარში. მე წავალ და მოლაპარაკეს გამოვგზავნი, თუ ქალი ვარ.
- ალმასხან.** წახვალ და წადი! ოღონდ შენ კი მომშორდი და რაც მომივა, მომივა!.. ახლავე ეუბრძანებ, რომ ეტლი შეაბან და დაედევნე უკან შენს ნესტორს! (გადიან).

### გამოსვლა მესამე

- პლატონ.** (გააყოლებს თვლებს ანეტას და ალმასხანს) დასწყევლოს ღმერთმა, რა ურცხვი და უტეხი ყოფილა!.. ამისი შემხედვარე კიდევ კარგი, რომ სულ არ წახდა დარიკო და, როცა თვალი აეხილა, გადასწყვიტა განშორებოდა აქაურობას. (დარიკოს ოთახის კარები იღება და გმოდის ქეთო).

## გამოსვლა მეოთხე

- პლატონ.** რა ამბავი? ხომ არ გამოუღვიძნია დარიკოს?
- ქეთო.** არა, მშვენიერად სძინავს. ძალიან კი მეშინოდა, როცა ხმაურობა ატყდა, მარა არ გაუგონია! რა იყო, რა აყვირებდა იმ აშარს?
- პლატონ.** დალახვრა ღმერთმა! დაიქინა, მაინც და მაინც დარიკო უნდა ვნახოვო.
- ქეთო.** კარგი გიქნია, რომ არ შემოაუშვი... როგორც ეტყობა, თვალით აღარ დაენახვება დარიკოს. საწყალი! რამდენი ტანჯვა გამოიარა მაგათი წყალობით!.. (სიჩუმე) პლატონ, აბა წაიკითხე ეს წერილი! (გაუწვდენს წერილს, რომელიც ხელში ჰქონდა დამალული).
- პლატონ.** (გაკვირვებით) რა წერილია? (გამოართმევს და დახედავს) ჩემთან მოუწერია! (აღვლევებული) თვითონ მოგცა?
- ქეთო.** არა. მის სტოლზე ვნახე. ეტყობა, თავის მოკვლა რომ გადაუწყვეტია, მაშინ დაუწერია. აბა წაიკითხოთ!
- პლატონ.** (კითხულობს ხმის კანკალით) „ჩემო ძვირფასო მეგობარო პლატონ... მეგობარო-მეთქი გეუბნები მიუხედავად იმ შეურაცყოფისა, რომელიც დღეს მოგაყენე, რადგან, იმედია, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მაინც მაპატიებ ყველაფერს, რაც ჩვენს შორის მოხდა... მე ეს არის გადაწყვეტიტე, თავი მოვიკლა და მინდა, სანამ ჩემს გადაწყვეტილებას სისრულეში მოვიყვანდე, ორი სიტყვა გითხრა და ბოდში მოვიხადო შენთან... ოოჰ, რომ ვიცოდე, რომ შენ შეგიძლიან მაპატიო ჩემი დანაშაული, დაივიწყო დღევანდელი ამბავი და ისევ ისე გიყვარდე, როგორც დღემდის, მაშინ... მაშინ ჩემს ბედნიერებას საზღვარი აღარ ექნებოდა, მაგრამ არა, არა, ეს შეუძლებელია და არც გთხოვ ამას! მე მინდა მხოლოდ, გითხრა, რომ





არც ისე დაცემული ვარ, როგორც დღეს გაჩვენე... ჩემი დანაშაული ის არის, რომ ერთობ სუსტი ხასიათის ვყოფილვარ: სანამ ქეთოსთან და შენტან ვიყავი, თქვენ გავლენას ვექვემდებარებოდი და, როცა ჩემი დედინაცვლის და ჩემი მამიდის საზოგადოებაში მოვხვდი, მეც იმათ ავყევი. ან კი რას უნდა გაემტკიცებინა ჩემი ხასიათი? ოჯახს?... სკოლას?... მაგრამ რა დროს თავის მართლებათა ახლას?... არა, არა!... შენტან მაინც არა მაქვს გასამართლებელი პირი და ამიტომ მხოლოდ შენდობასა გთხოვ და არა გამართლებას!... იქმნება, შენ ცოცხლისთვისაც შეგენდო ყველაფერი, მაგრამ მე ვგრძნობ, რომ შენი ღირსი აღარა ვარ და კმაყოფილი ვიქნები, თუ მკვდარს მაინც შემიწოდებ!... დიად, რაც მინდა ვიყო, იმაზე ხელი აღარ მიმიწვდება, ხოლო რაც ვიყავი, იმადვე დარჩენა აღარ შემიძლიან და ვიკლავ თავს... მაშ, რა ექნას?... ანეტასთან და სალომესთან ყოფნას სიკვდილი სჯობია!.. მაშ, მშვიდობით!.. მშვიდობით-თქო, უთხარი ჩემ ძვირფას ამხანაგსა და მასწავლებელს ქეთოსაც. მშვიდობით, ჩემო მეგობარო!.. იმედია, ხანდახან მაინც მოიგონებთ, მაგრამ არა ზიზღით, არამედ სიბრალულოთ, თქვენ ერთ დროს საყვარელს და დღეს კი უღირს მეგობარს დარიკოს!...

**ქეთო.** (თვალეზის წმენდით დაარღვევს სიჩუმეს) პლატონ!

**ზღაგონ.** რა გინდა?

**ქეთო.** რას ჰფიქრობ ამ წერილის შესახებ?.. შეგიძლიან შეუნდო გზა-დაბნეულს და შემდეგი კი გულწრფელად მონანიებულს არსებას წარსული შეცდომა?

**ზღაგონ.** მე დარიკო გულწრფელად მიყვარდა და მიყვარს ახლაც კიდევ უფრო, როგორც მკვდარი და ხელახლა გაცოცხლებული.

**ქეთო.** (ალტაცებით) შენ გენაცვალე, ჩემო პლატონ! (გადანებნება და აკოცებს) რა ერთ წამს არის ყველაფერი:

უბედურება და ბენიერება, სიკვდილი და სიცოცხლე...  
(შემოდის ბიტი).

### გამოსვლა მეხუთე

- ბაჭა.** (ქეთოს) ბატონო, თქვენთან კაცი მოვიდა და თქვენს ნახავა უნდა.
- პლატონ.** წადი, დაამზიდე ჩვენები!
- ქეთო.** მართლა, სულ გადამივარდა გულიდან, რომ ისინი ჩვენს ლოდინში იქნებიან. წავილ ერთ წამს და შევატყობინებ ყველაფერს.
- პლატონ.** წადი და მალე მოდი, იქნება, დარიკომ გამოიღვიძოს და გიკითხოს.
- ქეთო.** ახლავე მოვალ... (გადის და ბიტიც თან მიჰყვება).

### გამოსვლა მეექვსე

- პლატონ.** (დააჩერდება წერილს) საბრალო ახალგაზდა ქალი!... რამდენი ტანჯვა უნდა გამოველო?... (გაივლ-გამოვიღოს ღრმად ჩაფიქრებული) ოჰ, ღმერთო, როდის ეღირსებათ რიგიანი აღზრდა ჩვენს ქალებს? როდის დადგება ის ნეტარი დრო, როცა ისინი მარტო სათამაშო და გასართობ ტიკინებად კი არ იქმნებიან გადაქცეულნი, არამედ ნამდვილ მამულისშვილებად და ოჯახის ბურჯებად?... (ღრმად ამოიოხრებს) ეგჰ, ეტყობა, მანამდის კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის და ბევრი დარიკოსთანა ბუნებით კეთილი არსება გაუკეთურდება, ან სიცოცხლეს გამოეცხადება!... (გაივლ-გამოვიღოს და შემდეგ საათს დახედავს) ოჰო, სამი საათი შესრულებულა! (გაიხედავს ფანჯარაში) საცაა, გათენდება კიდევ... (დაიწყებს მთქნარებას და წამოწვევა ტახტზე, რომლის წინაც დიდ სტოლზე ანთებული ხომლი სდგას) მეც

დარიკოზე ნაკლები ტანჯვა აღარ გამომივლია! (მიიწვევს ხომალს და ისევ კითხულობს დარიკოს წერილს; ცოტა ხანს შემდეგ დაეძინება და წერილი პირზე დაეცემა. რამდენსამე ხანს სრული სიჩუმეა. შემდეგ გამოდის დარიკო).

## გამოსვლა მეშვიდე

**დარიკო.** (კარებშივე მიიხედ-მოიხედავს, მაგრამ პლატონს ვერ დანინახავს და დაღონებული) არც აქ არიან!.. ორივენი წასულან და მე მარტო მამისეულის ამარა დავუგდივარ, რომელსაც ისე ტკბილად სძინავს თავის სკამზე, თითქო ბუმბულში იწვეს... (გამოდის შუა ოთახში) ევბ, ცხადია, პლატონი მხოლოდ ისე მოვიდა, როგორც ექიმი და, გაათავა თუ არა თავისი საქმე, წავიდა... ქეთო კიდევ იმიტომ მოვიდა ალბად, რომ ცნობის-მოყვარეობა დაეკმაყოფილებინა... (ამოიოხრებს) მე კი მეგონა, როცა ორივე ისე შეწუხებული დავინახე, ყველაფერი უპატიებია-მეთქი, მაგრამ არა, განა იმის პატიება შეიძლება, რაც მე ჩავიდინე?.. არ შეიძლება და არც შემიძლიან ვუსაყვედურო რამე იმათ!... (აღელვებული) მაშ რად დამიბრუნე სიცოცხლე, პლატონ, თუ მასთან ერთად სასიცოცხლო ძალასაც არ მომცემდი, შენს სიყვარულს არ დამიბრუნებდი?.. ახლა რა?.. ხომ იმევე მდგომარეობაში ვარ, რომელშიაც ვიყავი და, მაშასადამე, ისევ თავის მოკვლა მიჩვენია, რომ თავი დავისნა ამ საშინელ მდგომარეობიდან!... (ნაღვლიანის ღიმილით) ყოველთვის ხომ ვერ მომისწრებთ თქვენ, ბატონო ექიმო?.. (შეხედავს ფანჯარას) აი, ამ ფანჯრიდანაც რომ გადავვარდე, მგონი, საკმაო იქნება!... (მიდის ფარჯარისკენ, დანინახავს მძინარ პლატონს და სახე გაბრწყინებული) ჩუ, აგერ ყოფილა პლატონი!... ეტყობა, ძალიან დაღალულია და დასძინებია!... (მიუახლოვდება) ეს რა ქალაღია,

პირზედ რომ დაუფარებია?... (მიდის ცერებზე და აღ-  
ლებს წერილს) ჩემი!.. წერილი ალბად ქეთომ ნახა და  
მოუტანა... ეტყობა, ესეც არის წაუკითხავს და და-  
სძინებია. მერე რა იფიქრა ნეტავი, როცა წაიკითხა  
და გაიგო, რაც ეწერა.. (დახედავს და მზიარული) ღი-  
მილი, ღიმილი დასთამაშებს პირზე!.. ცხადია, მაშ,  
კმაყოფილია და კამაყოფილია იმიტომ, რომ სიამოვ-  
ნებია წერილის წაკითხვა... (აღტაცებით) სწორედ, სწო-  
რედ, თვარა პირზე რად დაიფარებდა?... (გრძნობით)  
ჩემო პლატონ, ჩემო საყვარელო, მაშ, მაპატივე  
ყველაფერი?.. (დაიჩოქებს და უნდა აკოცოს, მაგრამ თავს  
შეიკავებს) არა, არა!.. (დაიკდობს ხელებს გულზე და დასჩე-  
რებია) უმჯობესია ასე ვიყო და ცოტას ხანს მაინც  
ესტკებოდე იმის ყურებით, თვარა რომ გაიღვიძოს  
და მითხრას: რა გნებავთ ჩემგანო, რა უნდა ვუთხრა?..  
(პლატონი ძილში წამოიბოდებს) ჩუ, რაღაცას ამბობს!..  
(ყურს დაუგდებს).

**შლატონ.** (ძილში) დარეკო, დარეკო!...

**დარეკო.** (აღტაცებით) ჩემი სახელი ახსენა!..

**შლატონ.** (ძილში) დარეკო, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო!..

**დარეკო.** (თავდავიწყებული) შენ გენაცვალე, ჩემო პლატონ!...  
(გადაეხვევა და აკოცებს).

**შლატონ.** (გამოთხიზლდება და გაკვირვებით) ეს ცხადია და არა სიზ-  
მარი!... (მოხვევს ხელს დარეკოს და აყენებს) შენ აქ რო-  
გორ გაჩნდი, ჩემო საყვარელო?

**დარეკო.** საყვარელო, ცხადადაც მეუბნები?... მაშ, მაპატივე  
ყველაფერი და ისევ ისე გიყვარვარ?.. ოჰ, ღმერთო  
ჩემო, რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი!... ჩემო პლა-  
ტონ, ჩემო მხსნელო, მითხარი, მითხარი კიდევ ეგ  
ტკბილი სიტყვა!...

**შლატონ.** დამშვიდდი, დამშვიდდი!.. აღელვება გაწყენს...

**დარეკო.** (შეწუხებული) ახლა აღარ მიძახი საყვარელს?... მაშ,  
მაშინ წამოგცა მხოლოდ და ნამდვილად კი არ გი-  
ყვარვარ?.. მაგრამ ან მე რა უფლებით გთხოვ, რომ

მე გიყვარდე?.. განა ჩემი სიყვარული შეიძლება ვატიოსანი კაცისგან?... არა, არა, მე შენი სიყვარულის ღირსი არა ვარ...

**პლატონ.** (მოხვევს ხელს და მიიკრავს გულზედ) დამშვიდდი, დამშვიდდი, შენი ჭირიმე!.. მე შენ ისევ ისე მიყვარხარ, როგორც მიყვარდი!.. კიდევ უფროც მიყვარხარ მას შემდეგ, რაც მოხდა, როგორც მკვდარი და ხელახლა გაცოცხლებულა...

**დარაკო.** ოჰ, ჩემო პლატონ, ჩემო გულკეთილო, ჩემო დიდსულოვანო!.. (დაუჭერს ხელს და ჰკოცნის) როგორ, შენ დაივიწყე ყფელაფერი, მახატივე და შემინდე დღევანდელი შეურაცხყოფა?..

**პლატონ.** რაც მოხდა, რომ არ მომხდარიყო, ამ წუთს ის თასი როდი ექნებოდა, რომელიც აქვს... კარგი, დამშვიდდი და დარწმუნებული იყავი, რომ მე ერთს წამსაც არ შემცვლია გული შენზე და ყოველთვის მიყვარდი, მიყვარხარ და მეყვარები!.. (მიიკრავს გულზედ და აკოცებს) ახლა წავიდეთ და ისევ დაწვივი!... შენთვის მოსვენებაა საჭირო.

**დარაკო.** ოჰ, არა, არა!.. მე სრულიად კარგადა ვარ და შენთან მინდა ვიყო! (ხელახლავ ჩაეკვრის გულში და ჰკოცნის; ამ დროს დარიკოს ოთახიდან შემოდის ნამძინარევი მამისეული, მარჯვენა კარებიდან კი შემოდის ქეთო, ალმასხანი, დარისპანი და სუსანა).

## გამოსვლა მერვე

**ალმასხან.** (გაკვირვებით) ამას უყურეთ!.. ჩვენი ავადმყოფი ამდგარა კიდევ და აქეთ გამოსულა!.. (ყველანი გაკვირვებულნი მისჩერებიან დარიკოს).

**დარაკო.** (მიდის ალმასხანთან, თან მიჰყავს პლატონიც) მამა, წელან, როცა შენ მეხვეწებოდი, პლატონს მისთხოვდიო, უარი გითხარი, რადგან არ მეგონა, თუ ეს შესაძლებ-

ბელი იქნებოდა; ახლა კი თვითონა გთხოვ, ნება მომცე, მისი ვიქმნე, ვინც სიკვდილს გადამარჩინა და სასიცოცხლო ძალაც მომცა.

**ალმასხან.** (გახარებული) ძალიან კარგი, შვილო, ძალიან კარგი!.. (მოხვევს ორივეს ხელს) ღმერთმა აკურთხოს თქვენი კავშირი და ბედნიერად გაგატარებინოთ ღრმა მოხუცებამდის თქვენი ცხოვრება!..

**დარიკო.** (მივა დარისპანთან და სუსანასთან) თქვენ ბევრი ცუდი გიგონიათ ჩემზე!.. მართლაც, რამდენიმე ხანია ჩემს ჭკუაზედ აღარ ვიყავი და, რას ეშვებოდით, არ ვიცოდით, მაგრამ დღეიდან კი, პლატონის წყალობით, სულ სხვა ვიქნები და, იმედი მაქვს, არ შეგარცხვენთ და ღირსეულ რძლობას გაგიწევთ!.. (დარისპანი და სუსანა ჩაიკვრენ გულში დარიკოს და ლოცავენ).

**ქეთო.** (გახარებული აქრობს სანთლებს, ახდის ფანჯარებიდან ფარდებს და აღტაცებით) გათენდა, გათენდა და ჩვენც მხოლოდ ის-ღა დაგვრჩენია, ჩვენს პოეტთან ერთად მადლობით წარმოვსთქვათ:

„ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს,  
მის ფერუთვალავს შევენებას?  
სიბნელეს აქრობ ნათელით,  
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!..“

(გადახვევა დარიკოს და ჰკოცნის; მამისეული პლატონს ულოცავს; ალმასხანი, დარისპანი და სუსანა ერთმანეთს ულოცავენ და ეხვევიან. საერთო მზიარულება).

ფ ო რ დ ო

დუბუ შკერელი

# ამიჩანის უპილნი

ისტორიული რომანი

აფხაზეთის ცხოვრებიდან

მესამე ნაწილი

XIV\*)

დრო გადიოდა, ხოლო აფხაზეთი კი არამც თუ არ დაწყნარდა, პირიქით, მემბოხენი უფრო და უფრო თავს გადიოდნენ, მათს სისასტიკეს საზღვარი არა ჰქონდა. არსლან-ბეი რაც უფრო ხანში შედიოდა, სიმხნევეც ემატებოდა. ეს კაცი ნამდვილი შთამომავალი იყო პრომეთეოსისა, შთამომავალი იმ მღვეისა, რომელმაც ოლიმპის ღმერთებს ომი გამოუცხადა.

მართალია, ერმოლოვის წარდგენის შემდეგ, ხელმწიფემ აფხაზეთის მთავრად ახალგაზდა მიხეილ შერვაშიძე დანიშნა და მაიორის ხარისხიც უბოძა ახალს მთავარს, მაგრამ ძალა და გაყლენა გაცილებით ნაკლები ჰქონდა, ვიდრე მისს განსვენებულს ძმასა. მიხეილს ისე უყურებდნენ, როგორც ბალღს, და ამ ბალღს გადიებად რუსები ჰყავსო. სოფელ ჭიჭის ანაცარმტუტებაც ისე არ შერჩა, თუმცა არსლან-ბეიმ იმას თავი დაანება და შეეცადა ჯავრი პოდპოლკოვნიკ მიხინზე ეყარა. მიხინის რაზმმა ერთი მახლობელი სოფელი აიკლო და სოხუმში ბრუნდებოდა, ისე წინ აფხაზების ჯგუფი შემოხვდა და დი-

\*) იხ. „მოამბე“ 1897 წ. №№ XI და XII; 1898წ. №№ I, II, III, IV და V.

დი ზარალი მიაყენეს. აფხაზებს თუთშული მოუძღვებოდა, არსლან-ბეის ძუძუდას მამა. რუსის ჯარის-კაცები თავგანწირვით იბრძოდნენ და მეტის მეტი გმირობა გამოიჩინეს. თვით მიხინი რამდენჯერმე ჩაერია ხელჩართულ ომში და სულ წინ მიუძღვებოდა თავისს რახმსა. რამდენსამე ალაგას დასჭრეს ხლმითა, ტყვიაც მარტო ერთი და ორი არ მოხვედრია, მაგრამ მაინც ჯარის-კაცებს აქეზებდა, სანამ თუთშულმა ოსმალურის მჭრელის ხმლით თავი შუაზე არ გაუბო.

— ესეც შენ სოფელ ჭიჭის აკლებისათვის, ჩემის ქათმებისა და ქოხისათვის! — გაჰკივოდა აფხაზი და თან მიხინს ბოლოს უღებდა.

ორმოცზე მეტმა ჯარის-კაცებმა თავი დასდვა ამ საბედისწერო ტყეში, დანარჩენნი გამძაფრებულნი იყვნენ თავისის უფროსის დაკარგვით, ხელით მიჰქონდათ მცხედარი და თან თვით ციხის კარამდე ისე მივიდნენ, რომ თოფებს გაუწყნარებლივ ესროდნენ მტერსა.

არსლან-ბეი კი ლიხინის ასაღებად წავიდა. ეს იყო მისთა წინაპართა სატახტო ადგილი, აქ ბევრი რომ გადახდენია თავს, ავიცა და კარგიც, ჯერ ისევ პატარა იყო. ის იყო, სოფ. ჭიჭიდან, სადაც თავისუფლად იზრდებოდა თვისის გამზრდელის სახლში, ახლად მოიყვანეს და მოუსვეს არაბულსა და ოსმალურს ანბანს. ეზიზღებოდა ეს ანბანი, მტრად სახავდა, სატყვერითა სთხრიდა „თვალეზა“, ე. ი., მისთვის გაუგებარს ანბანებსა, სჭრიდა ხლმითა, დამბაჩას ესვროდა და, ბოლოს, ბრაზ-მორეულმა ყურანს დააფურთხა იმისთვის, რომ მისი კითხვა არ იცოდა. აქ, ლიხინში, შემდეგში თავისი მამა, ქელეშ-ბეგი, მოჰკლა. იქვე, ამაზე წინად, თავისს მომხრეს აურუს ლაყვარს, მოაწამვლინა თავისი ძმისწული, თავადი დიმიტრი შარვაშიძე. იქ ახლა იმედი ჰქონდა, ცოცხლად ჩავიგდებ ხელში მეორე ძმისწულსა, „ლეკვს“ მიხეილს და მის დედას, „სულელს ცხვარს“ თამარსა.

აფხაზეთის ახალგაზდა მთავარი მოელოდდა, მკაცრი ბიძა-ჩემი ლიხინს უნდა დაეცესო, და, ამიტომ, საჩქაროზე გაისტუმ-





რა სოხუმის ციხეში, თვითონ კი ემზადებოდა მტრის დასახვედრად. მაგრამ არსლან-ბეიმ დაინახა. დიდ ძალს ჯარს ამზადებდა აფხაზებისა და ჩერქეზებისაგან. რუსის ჯარს ზღვის ნაპირით არ გავატარებო და ამ აზრით მთელი გზა ილოარიდან სოხუმამდე გადასთხარა, ყველგან ჯებირები გააკეთა და მხოლოდ 1824 წლის თიბათვის პირველს რიცხვებში დაიძრა ლიხინისაკენ. შტაბს-კაპიტანი მარაჩევსკი, რაკოცის მოადგილე, გულმოდგინედ შეუდგა მძლავრისა და რიცხვმრავალის მტრის დასახვედრად მზადებას.

— მეტი გზა არ არის, ქალაქის გარშემო მდებარე ადგილები ქალაქის ციხეს უნდა ვანაცვალოთ,—უთხრა მარაჩევსკიმ თავადს მიხეილს, როცა ჯაშუშებმა მტრის მოახლოვების ამბავი მოუტანეს:—მე ვუბრძანებ, დაანგრიონ ყველა ქოხები და დუქნები, რომ მტერს თავის შესაფარებელი არაფერი ჰქონდეს.

— განა მტერი დაერიდება და პირდაპირ ციხეს არ მოადგება ასაღებად?—ჰკითხა მიხეილ შარვაშიძემ.

— არა მგონი... ციხის აღებას ვერ გაბედავენ... მთიელი საზოგადოდ ჯებირებს უკანიდან იბრძვის, გული მაგარი მაშინა აქვს, როცა რისმე უკან არის ამოფარებული.

— მართალს ამბობ,—დაეთანხმა მთავარი.

— შეშა და წყალიც უნდა მოვიმარაგოთ.

— სურსათისა როგორა ვქნათ?

— ახალი სიმინდი შემოსულია. ტაროები დავტეხოთ და ვჭამოთ.

უფროსმა ბრძანება გასცა და ჯარის-კაცებიც, ახალგაზდა პოდპორუჩიკის ზემცევის წინამძღოლობით, ციხიდან გამოვიდნენ სამუშაოდ. ოთხ ჯგუფად გაიყვნენ: ერთი ჯგუფი ტყეში წავიდა შეშის მოსაზიდად, მეორე ჯგუფი—ტიკებით წყალს ეზიდებოდა ციხეში, მესამე—ტომრებს ჭყლინტი სიმინდის ტაროებით ავსებდა, ხოლო მეოთხე ჯგუფი ციხის ახლო-მახლო მდგარ დუქნებისა და სახლების დანგრევას შეუდგა. მოკლე ხნის განმავლობაში ქალაქის მოედანი და ციხის გარემო ადგილები, სადაც ამაზე წინად, როგორც ეტყობოდა, მთელმა აფ-

ხაზეთმა თავადს დიმიტრი შერვაშიძეს თავისი ერთგულება შეჰჰყიდა, ქვების ყორეებით დაიფარა. აქვე ეყარა დანგრეულ სახლებსა და დუქნების მსხვილი ძელები, რომელთა შეთრევა ციხეში ვერ მოესწროთ.

8 თიბათვეს დილით მტერიც გამოჩნდა. ზღვიდან პატარა ქარიც ჰქროდა და გაშლილს დროშებს არხევდა. დროშა სულ ხუთი იყო. ყველაზე მაღალ ჭოგრზე განიერი დროშა ფრიალებდა წითლად, შუაში დიდი ნახევარ-მთვარე ჰქონდა გამოსახული და ოქროს ფოჩები ეკიდა. ეს დროშა მაღალის ტანის, ალისფერ ჩოხაში გამოწყობილ, ცხენოსანს ეჭირა; უმტვერო თოვლივით თეთრ ფაფახს ოქროს ნახევარ-მთვარე უმშვენებდა, მალგალიტით შემკული. მიხილ შერვაშიძე ციხის კედელზე იყო გადმომდგარი, მარაჩევსკის გვერდით. ამ დროშიანს შეხედა თუ არა, მაშინათვე იცნო: ბიძა ჩემი არისო. მას გვერდით მოჰყვებოდა თეთრს ცხენზე შემჯდარი, როგორც ეტყობოდა, ლამაზი ყმაწვილი. მისს ფაფახზე გაკეთებული მარგალიტის ფრთა ცისარტყელასავით ეღვარებდა. მთავარმა ეს ყმაწვილიც იცნო:—ესმა-ხანუმი იყო, მისი გულის წამტაცი ბიციოლა. სხვა დროშები თავადს ბეჟან შარვაშიძესა და აურუს ლაყვარს ეჭირათ.

მტერი, როგორც ეტყობოდა, ადგილ-მდებარეობას ათვალთვლიერებდა. ყველაფერი დანგრეული იყო, სახლი არსად იდგა, მტერს არ შეეძლო თავი შეეფარებინა, ამიტომ უძნელდებოდა ციხეს მიახლოვება. არსლან-ბეი სრულებით არ მოელოდდა ამ დაბრკოლებას და საშინლად გაბრაზდა. ზურგს უკანიდან თოფი მოიხსნა, და ციხის კედელზე გადმომდგართ თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს, ისე გავარდა თოფი და ტყვია კედლის ქვას დაენარცხა, მიხილ შარვაშიძის ფეხებს ქვემოთ.

ამ დროს ერთმა მოხუცმა ჯარის-კაცმაც დასცალა ციხიდან თოფი. ტყვია ესმა-ხანუმის ფაფახის მარგალიტის ფრთას მოხვდა.

— ეხ! — დავაცდინე. ცოტა მაღლა მომივიდა ნიშანში ამოღება... დაებერდი, — გულმოსულად დაიბურღლუნა მოხუცმა.



ამ სროლამ ჩოჩქოლი ასტეხა მტრის რაზმში. ერთბაშად ოც, ოც და ათზე მეტმა თოფმა იქექა, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოხვდა ნიშანში-ამოდებულებს. სამაგიეროდ, ციხიდან გამო-სროლილმა ტყვიებმა არა ერთი და ორი მხედარი მოუყლა მტერ-სა. ერთს დროშიანს ხელიდან დროშა გაჰვარდა.

— ბარაქალა, ბარაქალა! — შესძახა მთავარმა და ტაში და-ჰკრა.

ამასობაში მარაჩევსკიმ ზარბაზანი გასტენა და მტრის ბა-ნაკს შიგ შუაგულში ესროლა. ჰაერში იმავ წამს შეჰქანდა ალისფერი დროშა და ძირს დაეცა. ამასთან ერთად რამდენი-მე ცხენოსანიც მოკვდა.

მტრის ლაშქარი აირია. დაჭრილი ცხენები იქით-აქეთ ეწ-ყვეტებოდნენ; ზოგს თავს ვერ უმაგრებდნენ მხედრები და წინ იწვევდნენ; სხვები უკან იხევდნენ, ზედ ახტებოდნენ სხვა ცხე-ნებს და ძირსა სცემდნენ. ციხიდან ზუზუნით მოდიოდა ტყვია. მტერმა უკან დაიხია და ცდილობდა, ტყვიებისაგან თავი დაე-ფარა. მაგრამ არც ის უნდოდა, სულ წასულიყო და თავი დაე-ნებებინა იმისთვის, რისთვისაც მოსულიყო. მარჯენივ, სერზედ თავის დასაფარავად საიმედო ადგილი ეგულებოდა — ეს იყო ძველ მონასტრის კედლები და სათოფურები, რომლებიც ზედ დასცქეროდა ციხესა. იქიდან მტერს შეეძლო ციხეში მდგომ-თათვის ზევიდან ესროლა თოფები. ისეც მოიქცნენ. ციხიდან შეამჩნიეს, რომ მონასტრის კედლებში გაცხარებულად მუშაო-ბენო. ძველს სათოფურებს ამაგრებდნენ და ახლებს აკეთებდნენ არსლან-ბეის მომხრენი. ერთნი რომ დაილღებოდნენ, სხვანი ჩადგებოდნენ იმათს ადგილას სამუშაოდ. დაუშინეს თოფები ცი-ხესა. მტრის ტყვია შიგ ციხეში სცივოდა, და ციხეში მომ-წყვდელულთ არ იცოდნენ, სად წასულიყვნენ. თან წყალიც, სა-დაც იყო, შემოვლელიდათ, ამიტომ რომ წყლის შესანახი არა ჰქონდათ-რა, ხოლო მზე უარესად აქერდა და მებრძოლთ წყურ-ვილი ახრჩობდათ. მაშინ მარაჩევსკიმ ისევ ზარბაზანს მიჰმარ-თა. ზარბაზნის წყალობით ნიშანში ამოდებული სახურავი მო-ნასტრისა გადატყდა და რამდენიმე სათოფურებიც დაინგრა.

— ახლა, თქვენო კეთილშობილებავ, ხიშტებს მივმართოთ, — მიჰმართა ერთმა გამოცდილმა ჯარის-კაცმა აფიცერს. აფიცერიც დაეთანხმა.

ძველს ჯარის-კაცს ბევრი გამოუჩნდა ანანაგი: სხვებმა ტიკები და სათილები მოაშხადეს წყლისათვის. მაშინათვე დაცალეს ზარბაზნები და ჯარის-კაცებიც გარედ გამოიჭრნენ. გაირბინეს რამდენიმე მანძილი და შეუტყის გაოცებულს მტერს. გულადმა ჯარის-კაცებმა ხიშტებით მონასტრიდან გამორეკეს მტერი, ერთი მტრის დროშაც წამოიღეს და უკან დაბრუნდნენ. დროშა ახალგაზდა მთავარს მოჰქონდა დიდის ამბით.

## XV

მკათათვის პირველ რიცხვებში შავისზღვის ნაპირით ყულევიდან კოდორისა და სოხუისკენ გაგრძელებულ რაზმებად, წეროებსავით გაკიდებული, მიდიოდნენ რუსის ჯარის-კაცები, ხოლო მათს მალიგორად, ნაპირზე მახლობლად, ზღვით მოცურავდა ორი სამხედრო ხომალდი. მათს იალქნებს სუსტი ქარი სამხრეთისას ძლივა ჰბერავდა. ერთი მათგანი ფრეგატა „სპენი“ იყო, მეორე ბრიგი „ორფეი“. უკანასკნელზე კარავი დაედგათ და ქვეშ თავს იფარავდნენ მწვავე მზისაგან ჩვენი ნაცნობი მეზღვაურები პერელიოშინი და ნახიმოვი. იქვე მოეკალათნა გქიმს პეტრ პეტროვიჩს, რომელმაც წყლიდან ამოყვნილ ესმანუმს უშველა.

სამნივე ლაპარაკში იყვნენ გართულნი. ამ დროს ხმელეთიდან თოფის ხმა მოესმათ.

— აი, სადა ყოფილან! — დაიძახა ნახიმოვმა და გემის კიდესთან მიიბრინა.

ბრიგსა და ფრეგატზე ფაცა-ფუცი შეუდგათ. ერთ ოთახიდან აფიცერი ამოვიდა. ხელში ჭოგრი ეჭირა. ეს იყო თავადი გორჩაკოვი, რომელიც უფროსობდა ხმელეთით წამოსულ ჯარსა და ზღვით მომავალ სამხედრო ესკადრას.

— მე ვიცოდი, რომ ასე იქმნებოდა... ჯებირებია, — უთხრა გორჩაკოვმა ნახიმოვსა და პერელეშინს, როცა ესენი მიუახლოვდნენ. — აქედანვე უნდა დავუშინოთ ზარბაზნები, თორემ ეს ჯებირები ბევრს ხალხს იმსხვერპლებს. ბატონებო! — სთქვა ბოლოს: — სალამი მიეცით ზარბაზნით — თავისის ბუნაგიდან გამოაგდეთ ეს საზიზღარი არსლანი.

ეგვევ ბრძანება გასცა გორჩაკოვმა რუპორით ფრეგატაზე მჯდომთ. ფრეგატა ფეხ-და-ფეხ მოჰყვებოდა ბრიგსა, რომელზედაც თვით გორჩაკოვი იჯდა. ნახიმოვი და პერელეშინი თავთავის ადგილას დასხდნენ და მაშინათვე დაუშინეს ზარბაზნები ჯებირებს. მარჯვედ ნასროლი ყუმბარები ზარბაზნისა მუსრს ავლებდა მტერს. არსლან-ბეის მომხრეთ ზღვიდან სრულებით არა ჰქონდათ მტრის შიში, ამიტომ თავტანი დაჰკარგეს და გაქცევისა და თავის შველის მეტი არაფერი დარჩენოდათ.

— გმადლობთ, ბატონებო, — უთხრა გორჩაკოვმა სახელოვანს მეზღვაურებს: — ჯებირებს უკან არავინაა, მაგრამ არა მგონია, დიდი ხნით დაენებებინოთ თავი... კარგად ვიცნობ არსლანს: მთელი ნაპირი მოფენილია ჯებირებითა, მთელი გზა გადათხრილია... უეჭველია, ხიშტებით უნდა დავერიოთ, თორემ ისე ნაპირას ვერას დავაკლებთ.

დიდ ხანს არ გაუვლია, ისევ ცისკიდურზედ რომელიღაც გემი გამოჩნდა. იალქნები გაეშალა და პირდაპირ „ორფეისა“ და „სპეშნისკენ“ მოდიოდა.

— ოსმალების კრეისერი თუა, არსლანის გამოსახსნელად წამოსული? — სთქვა გორჩაკოვმა და დააკვირდა მომავალს ხომალდს.

— არა, თავადო, — უთხრა ნახიმოვმა: — სიარული არ უგავს, გარდა ამისა, ოსმალური რომ იყოს, ასე თამამად ვერ წამოვიდოდა.

— ჩვენი „მერკური“ უნდა იყოს, — შენიშნა პერელეშინმა.

მართლაც და, ეს ბრიგი იყო, „მერკური“. „ორფეის“ მოუახლოვდა თუ არა, მის კიდეს ნავი მიადგა, რომელშიაც სამართთან ქვეითი ჯარის აფიცერი იჯდა.

— რა ამბავია, ბატონო აფიცრო? — დაუძახა ერლოდან ნახიმოვი.

— მის ბრწყინვალეობას უნდა მოვახსენო, — უპასუხა აფიცრომა.

გორჩაკოვი გემის კიდესთან მივიდა.

— ვისგანა? — ჰკითხა გორჩაკოვი.

— თავად აფხაზისაგან, თქვენო ბრწყინვალეობავ, — უპასუხა აფიცრომა: — პატივი მაქვს მოვახსენოთ, რომ ჩვენს რაზმთან, ეს-ეს არის, მოვიდა თავადი დადიანი და მეგრელთა მილიცია მოიყვანა.

— რამდენია?

— ათას ასი კაცი.

— კარგი... ბრიგზე ამოდით.

აფიცროს კიბე ჩაუგდეს და ისიც „ორფეის“ ერლოზედ ავიდა.

— ბატონებო, ოთახში წამობრძანდით, — უთხრა გორჩაკოვი და ყველანი უკან გაჰყვნენ.

აფიცროები დასვა, გაშალა რუკა და სინჯვა დაუწყო გორჩაკოვი, თან რაღასაც საზრობდა.

— ახლა, ბატონებო, შეგვიძლიან მტერზე იერიში მივიტანოთ, — სთქვა მან ბოლოს. — ბატონო აფიცრო, თავადს დადიანს და თავადს აფხაზს ჩემი ბრძანება მოახსენეთ: — დადიანი თავისის მილიციით მთის ბილიკებით წავიდეს და მტერს წინიდან უყელოს, მე კი ფრეგატს „სპეშნის“ ვუბრძანებ სალამო ხანს წინ წავიდეს და მდ. კელასურის პირდაპირ დადგეს, სადაც მთავარი ჯებირები აქვს მტერს გაკეთებული. როცა იქიდან გავრეკავთ, ჩვენ „ორფეისა“ და „მერკურის“ წინ წავიყვანთ და ყუმბარებით გზას გავსწმინდავთ — მტერს სოროდან გამოვადგებთ. გაიგეთ, ბატონო აფიცრო?

— გავიგე, თქვენო ბრწყინვალეობავ, — უპასუხა მისულმა აფიცრომა.

— მაშ წადით თქვენებთან.

დადგა სალამო 9 მკათათვისა. ზურგ-ქარი ჰქროდა და „სპეშნი“ კელასურისაკენ გაემართა. გორჩაკოვი, ნახიმოვი და პერელეშინი დიდს ხანს აცილებდნენ თვალებით.

— სიცხე დაგვადგება ხვალ,—სთქვა გორჩაკოვმა, როცა დაინახა, როგორ ნელ-ნელა ჩაეშვა მზე ზღვაში.

— რა აზრითა ბრძანებთ მაგასა?—ლიმლით ჰკითხა ნახიმოვმა.

— ორნაირის აზრით, — უპასუხა გორჩაკოვმა: — ცხელი დღეც იქმნება და ომიც დაგვაყენებს სიცხესა.

— განსაკუთრებით, ომში დაგვცხება,—შენიშნა პერელეშინმა.

— დიად, არსლანს სამი ათასი კაცი ჰყავს, მერე—სულ თავზე ხელ-აღებულები.

— საცა „სპეშნია“, იქ საქმე არ გაგვიჭირდება,—სთქვა ნახიმოვმა.

სულ ჩამოწვა სიბნელე. შორს, კილასურის პირდაპირ, ჰაერში ცეცხლის ზოლი გამოიხაზა.

—კორნილოვია, რომ სალამს აძლევს,—სთქვა, გორჩაკოვმა და ყუმბარა ანიშნა.

— ახლა სოხუმსა და ლიხინში მიხვდებიან, რომ მალე მივეშველებით,—შენიშნა ნახიმოვმა.

— სოხუმისა არ მეშინიან, მაგრამ ლიხინისა კი რა მოგახსენოთ,—განაგრძო გორჩაკოვმა: —იქ მტერს შეუძლიან გამარჯვება დაირჩინოს.

— თავადი მიხვილ შარვაშიძე სოხუმშია?—ჰკითხა პერელეშინმა.

— არა... სავალალოც ის არის... სოხუმში მარტო დედა გამოგზავნა, თვითონ ლიხინში დარჩა.... მეტად უშიშარი რამ არის. მარაჩევსკიმ მომწერა, რომ ეს ყამაწვეილი ციხიდან სულ გარედ იწვესო. ერთხელ მაინც გამოვარდნილა და ჯარისათვის წყალი უშოვნია, თან მტრის დროშაც მოუტაცნია. უნდა ვეცადოთ, არ მოგვიკლან:—კანონიერი მთავარი აფხაზეთისა ამის მეტი სხვა არავინაა.

ნაპირზე ცეცხლი გამოჩნდა: რუსის ჯარის-კაცები დაბანაკებულიყვნენ და ცეცხლი გაეჩაღებინათ.

XVI

დილა-ადრიადა „სვეშნიდან“ ზარბაზნის ყუმბარები დაუშინეს კილასურის ჯებირებს. ზარბაზნეპის გუგუნის ხმაზე ზღვა-სა და მთებს თითქო ატრეოლებდაო...

გორჩაკოვი, ნახიმოვი და პერელეშინი გემის კიდეზე იდგნენ და ზარბაზნის ხმას ყურს უგდებდნენ.

— ახლა ჩვენც უნდა დავიწყოთ ზარბაზნის სროლა, სანამ მოწინავე რაზმი ამ ჯებირებთან არ მისულა, — სთქვა გორჩაკოვმა. — მერე კი არ შეიძლება სროლა, თორემ ყუმბარები ვაი თუ ჩვენებს მოხვდეს... გეთაყვა, განკარგულება მოახდინე, — მიუბრუნდა პერელეშინს.

აგეთივე ბრძანება მისცა გორჩაკოვმა „მერკურის“ კაპიტანს. ახლა ზარბაზნები მთელს ნაპირს დაუშინეს სიგრძეზე. ყუმბარები, ეტყობოდა, დიდს ზიანს აძლევდა მტერს, ამიტომ რომ ორი-სავ ბრიგიდან სჩანდა, როგორ ანებებდნენ აფხაზები და ჩერქეზები ხან ერთსა და ხან მეორე ჯებირს თავს და ტყეში გარბოდნენ. მათს ალაგას რუსის ჯარის-კაცები იჭერდნენ და წინ იწევდნენ. ბრიგებიც წინ მიდიოდნენ და ნაპირისაკენ ზარბაზნებსა სკლიდნენ; ხოლო მტრისაგან დატოვებულ ჯებირებთან ისევე ცხარდებოდა ბრძოლა, ამიტომ რომ აფხაზები და ჩერქეზები, რა კი ხედავდნენ, რომ გემები დაწინაურდნენ და ჩვენ თავი დაგვანებესო, ტყიდან გამორბოდნენ და ჯარის-კაცებს უკანიდან ესხმოდნენ თავსა. რუსები ხიშტებით იგერებდნენ მტერსა.

— ეს წყეულები უთვალავია! — წამოიძახა გულმოსულმა გორჩაკოვმა, როცა ქოგრით ნაპირს გაჰხედა: — ჯებირებიდან გაჰრეკეს და უკანიდან კი იმდენი მოაწვა, თითქო ტომრებიდან ჰყრიანო.

უარესად ჩამოცხა. თოფისწამლისა და მზისაგან გამდნარ ფისის სუნისაგან სუნთქვა უჭირდებოდა გემში მჯდომთ. მთელს ნაპირს მტერი მოედო და ორივე მხარე თავ-განწირვით იბრ-



ძოდა. ყოველ ფეხის დადგმა მიწის აღება ძვირად უჯდებოდათ, ყველა ფეხის დადგმა მიწა გაჟენთილი იყო მტრისა და რუსის სისხლითა. როცა, ხანდისხან ზარბაზნის ხმა შესწყდებოდა, ნაპირიდან მკაფიოდ მოისმოდა ხან „ურას“ ძახილი, ხანაც ყვირილი აფხაზებისა.

ჯოჯოხეთი წარმოგიდგებოდათ, და ამ ჯოჯოხეთს თავს დასცქეროდა მოწმენდილი, ციალა ცა, დამშვიდებული ზღვა გამოზომვით ნაპირსა ჰკოცნიდა, შორით მოსჩანდა პირქუში და სხვის მწუხარების უგრძნობელი მთები.

— აი, გაცხელებული ომი ემანდეა, მარცხნივ, — სთქვა გორჩაკოვმა, როცა ზარბაზნები ერთის ხნით დასცხრა.

— წითელი დროშასთან? — ჰკითხა ნახიმოვმა.

— ჰო, ეს მისის უფლების ნიშანია... გვერდით ესმა-ხანუმი უდგას, — სთქვა გორჩაკოვმა და ქოგრით გახედა.

— ნუ თუ?

— მკაფიოდა ვხედავ, თეთრი ფაფახი ხურავს.

— საკვირველი არსებაა! ჩვენ მაინც არ გადაგვეჩინა წყალში დახრჩობისაგან!

— როგორ? — გაიკვირვა გორჩაკოვმა.

— მაშინ სულ პატარა იყო. — და ნახიმოვმა უამბო მისი ზღვიდან ამოყვანის ამბავი.

ამასობაში ხმელეთზედ ბრძოლა უარესად ცხარდებოდა. ეტყობოდა, მტერმა ვერ გაუძლო რუსებს და აღისფერ დროშას უკან გაედევნა. ნახიმოვმა რომ დაინახა, აფხაზები რუსებს კარგა მანძილზედ დაშორდნენო, უბრძანა ზარბაზნები ესროლათ გაქცეულთათვის. ზარბაზნებმა კვლავ იქუხეს.

— აი, წითელი დროშა დაეცა! — თითქო შეეშინდაო, წამოიძახა მოხუცმა ექიმმა.

— დაეცა... ტყვია მოხვდა, — დაემოწმა პერელეშინი.

მაგრამ ვიღამაც საჩქაროზედ აიტაცა, და ისევ აფრიალდა ჰაერში.

მზე ზღვისკენ დაეშვა და მიზანს, ის-ის იყო, მიატანეს: საჭირო იყო, კიდეც უკანასკნელად დაეტანებინათ თავისთვის ძალა.

— საცაა, სოხუმში ექნებით, — სთქვა ექიმმა და თავისუფლად ამოისუნთქა: — მადლობა ღმერთს!

„სპეშნი“ უკვე სოხუმის პირდაპირ იდგა. მისი ბაირალი ჰაერში ირხეოდა, თითქო დამაეალოს მზის სხივები ეალერსებოდა.

აფხაზები ჰგრძნობდნენ, ვერ გავიმარჯვებო და უკანასკნელად კიდევ ეძგერნენ სიცხისაგან ქანც-გამოლეულს ჯარს რუსებისას. განსაკუთრებით, ძნელი იყო უკანასკნელი წამი, სოხუმში ჩასვლის წინანდელი: ყვირილი, თოფის სროლა, წყევლა არ შემწყდარა და მთები ბანს აძლევდა ამ ერთმანეთში არეულ ხმებსა.

აჰა, სოხუმიცა. აფხაზებს შეეშინდათ, ციხიდან ახალი ჯარი არ მოეშველოს ჩვენს მტერსაო და მთებისაკენ გასწიეს. არსლან-ბეის აღისფერი დროშა, თითქო ჩამავალის მზის სხივები უკან მისდევსო, თვალთაგან მიეფარათ რუსებსა.

— მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს! — ამოიოხრა და პირჯვარი გამოისახა გახარებულმა გულკეთილმა ექიმმა. — დიდი უსამართლობაა ეს ომი! ღვთის წინაშე დიდი ცოდვა და დანაშაულია! — ჩურჩულებდა თავისთვის, — ამას მეუბნება მთელი ბუნება, აი ეს მშვიდი ლურჯი ცა, ეს სირცხვილისაგან დამწვარი მთები, ეს ზიზღით საგვე უკანასკნელი სხივები დღის მნათობისა, რომელიც ზღვის ფსკერში იმალება, რომ ხვალ ისევ უყუროს ამ უსამართლობას, ამ ბოროტებას... ოხ, ღმერთო, ღმერთო!..

როცა „ორფეი“ და „მერკური“ სოხუმის ნავთსადგურში შემოდრიოდნენ, ქვეითა ჯარი რუსეთისა უკვე ციხეს შემოერთყა. დაღლილი ჯარისკაცები თავს ვერ იმაგრებდნენ და ძირს ეცემოდნენ, ისე გაუჭირა საქმე ამ პაპანაქება სიცხეში მტერთან ბრძოლამა. როცა გორჩაკოვი, ნახიძოვი, პერელეშინი და ექიმი ნავში ჩასხდნენ ნაპირად გასასვლელად, სოხუმიდან საშინელის სისწრაფით მეორე ნავი წამოვიდა მათკენ. ამ ნავში თავადი აფხაზი იჯდა და გორჩაკოვის შესახვედრად მოეჩქარებოდა.

— გამარჯვება მომილოცნია, თავადო,—მხიარულად უთხრა გორჩაკოვმა, როცა თავადი აფხაზი იცნო.

— გმადლობთ, მაგრამ ეს გამარჯვება ძვირად დაგვიჯდა, თქვენო ბრწყინვალეებო,—უბასუხა აფხაზმა.

— როგორ? ცნობები შეჰკრიბეთ?

— შევკრიბეთ! მოკლულია ერთი აფიცერი და ოც და ათი ჯარის-კაცი; დაჭრილია ერთი აფიცერი და ორმოც და თვრამეტი ჯარის-კაცი, სამიც სადღაც დაიკარგა.

— მადლობა ღმერთს!.. გააღმასებულ მტერს რომ ვუყურებდი, მე მეგონა, უფრო უარესად დაგვიზარალებდა ჯარი-მეთქი,—სთქვა გორჩაკოვმა,—იმათის ზარალისა ხომ არა იცით-რა?

— დიდი ზარალი მოუვიდათ!... აუარებელი ხალხი დაეხოცათ, იმდენივე დაჭრილები გაზიდეს...

— ღმერთო, ღმერთო!—ჩურჩულებდა ამასობაში ექიმი. წინდაწინვე იცოდა, რამდენი ჯაფა მოელოდდა დაჭრილებისაგან.

ექიმმა თვალი ზეცად აღაბყრო. მარჯვნივ, შორეულ მთებიდან, ბადრი მთვარე ამოსცურდა, მისი მოლურჯ-რძისფერო სინათლე ზღვის გაშალაშინებულს ზედაპირს გადაეფინა გრძელ, ვერცხლის ფერად მოკაშკაშე ზოლად, რომელიც სადღაც შორს, ცისკიდურთან იკარგებოდა. ვარსკვლავები ფერმკრთალ ცეცხლებსა ჰგვანდა, და თითქო ვისმე გაუფანტია ცის თვალ-უწვდენელ სივრცეზედაო. ჰაერში დასრიალებდნენ ღამურები, თითქო მთვარის ფაფუკ სინათლეში სცურავენო. მთელ ბუნებაში გაბნეული იყო მშვიდობა, სათნოება და სიყვარული... და მე კი იქ კენესა მომეღის დაჭრილთა და მომაკვდავთაო...

— ბოროტებაა, ბოროტებაა,—ჩურჩულებდნენ მისნი მოხუცებულნი ბაგენი.

## XVII

11 მკათათვეს დილით სოხუმს ერთი საწმენდრო გემიც მოაღვა. ეს იყო ბრიგი „ჭანიმედი“, სებასტოპოლიდან სოხუმის ესკადრის მოსაშველებლად მოსული.

— ახლა შეგვიძლიან, უფრო მხნედ ვიბრძოლოთ, — სთქვა გორჩაკოვმა, — თანაც უნდა დავეშურნეთ, არსლანი რაკი აქ დამარცხდა, ჩემის აზრით, განსაკუთრებულის სიბრაზით დაეცემა ლიხინს, რომ თავისი ძმისწული შემეუსროს.

ამ დროს ყაზახ-რუსებმა ერთი ცალ-თვალა აფხაზი მოიყვანეს. იმათ ეგონათ, მტრის ჯაშუშიაო.

— აა, ძველო ნაცნობო, — უთხრა თავადმა აფხაზმა: — საიდან ან რისთვის?

— განა იცნობთ? — ჰკითხა გორჩაკოვმა.

— როგორ არ ვიცნობ, თქვენო ბრწყინვალეებავ! თქვენ კი დაგავიწყდათ? ეს ჩვენი მომხრეა. ამ სამი წლის წინად თოფის წამლის საწყობში წყალი ამან ჩაუსხა აქაურ ციხეში არსლან-ბეის. ეს ახმედ თეიმურაზია.

— მახსოვს, მახსოვს, — უთხრა გორჩაკოვმა, — საიდან მოხვედი?

— ლიხინიდან, ბატონო, ჩემმა ბატონმა მიხეილმა გამომგზავნა მის დედასთან, დედოფალ თამართან.

— როგორ? ლიხინიდან მოდიხარ? — გაეხარდა გორჩაკოვს: — რა ამბავია იქა? საქმე როგორაა?

— ლიხინში, ბატონო, მშვიდობაა.

— მტერი?

— მტერს უნდა თავისს იდაყვს უკბინოს, მაგრამ ვერ ახერხებს.

— რას ამბობ? — ყველაფერი მითხარი... ციხეში აკი წყალი არ არისო?...

— არა, ბატონო, — ახლა მიხეილს წყალი თავსახმელი აქვს... სულ თავისს ცხონებულს ჰაპას ქელეშ-ბეგსა ჰგავს! ამ ორის კვირის წინედ მომიხმო და მიბრძანა: — ჩემო ერთგულო მაჰმედ! ჩუმად სოხუმში გაიპარე და დედაჩემს მოახსენე, გემში მკირეოდენი რაზმი ჩასვას რუსებისა და ლიხინში გამომიგზავნოსო. როცა გემი წამოვა, შიგ-მჯდომნი ისე მოიქცნენ, ვითომ ნაპირად გასვლა უნდათ, რომ თავს დაესხნენ მტერს, ლიხინის ციხეს გარსშემორტყმულსაო. როცა აფხაზები ამას



დაინახავენ, ციხეს თავს დაანებებენ და იმათკენ გაეშურებინან, რომ ნაპირად არ გამოუშვანო. მაშინ ჩვენ ვიხელთებთ, ციხიდან გამოვალთ და, რაც ლიხინში ქვევრები და კასრებია, სულ წყლითავევსებთო“. დედოფალიც თავისის შვილის ნათქვამისაებრ მოიქცა. როცა გემი ლიხინს მოადგა, აფხაზებმა ციხეს თავი ანებეს და ზღვისკენ გაიქცენენ,—მტერი არ გამოეშუშვათ ნაპირსაო. გემი კი ხან ერთს ალაგას მიადგებოდა ნაპირას, ხან მეორეგან, აფხაზებიც ენაგამოგდებულები უკან დასდევდნენ. ასე აწვალა გემმა აფხაზები დაღამებამდე... ლიხინში კი ამასობაში წყალს ეზიდებიან და აფხაზებს სასაცილოდ იგდებენ... ლიხინში რომ მოვედი, იმდენი წყალი დამხვდა, რომ არ იცოდნენ, სად გადაელვართ...

— ხა, ხა, ხა! —ახალგაზდა მთავარი ნამდვილი გენიოსი მემოძირია... რა ოსტატურად აუხვევია თვალები მტრისათვის!...

ამ დროს მოვიდნენ ნახიმოვი, კორნილოვი, იაშვილი და ექიმი, რომელნიც დაჭრილების სანახავადა იყვნენ წასულნი.

— ბიქოს! ამას ხომ მე ვსწამლობდი,—სთქვა ექიმმა, როცა თეიმურაზს დააკვირდა.

— მე, ბატონო, მე გახლავარ თეიაურაზი, მოსისხლე მტერი ძაღლის არსლან-ბეისა.

თეიმურაზს, ბოლოს, მადლობა გადაუხადა გორჩაკოვმა კარგის ამბისათვის და უბრძანა, დედოფალ თამართან წადი და შვილის ამბავი ახარეო.

— ბატონებო,—უთხრა ყველას გორჩაკოვმა,—იმის შემდეგ, რაც ჩვენ ლიხინიდან ამბავი მოგვეიტანეს, ჩემის აზრით, საჭირო არ არის აჩქარება; სჯობს, დაღლილი ჯარი კარგად შევასვენოთ და მერე წავიდეთ. მანამდე კი, თქვენის შემწეობით, ბრიგის „ორფეით“ დავათვალიერებ ნაპირებს ლიხინამდე ანუ თვით ბიჭვინტამდე, რომ ვიცოდეთ, რა და რა ადგილას აქვს გაკეთებული მტერს ჯებირები და საფრები. თან ისიც უნდა შევიტყოთ, სად უფრო მოსახერხებელი აქნება ნაპირად გასვლა. თანახმა ხართ, ბატონებო?

— ყველანი თანახმა ვართ,—უპასუხეს მეზღვაურთ.

16 მკათათვეს გორჩაკოვი, ნახიმოვი და პერელეშინი ავი-  
 დნენ ბრიგ „ორფეიზე“ და ნელო-ნელა ლიხინისაკენ გაემართ-  
 ნენ. მოღრუბლული დღე იყო. მთის მწვერვალნი ღრუბლებში  
 იყვნენ გახვეულნი, მაგრამ ოღნავ ქარი ჰქროდა და ყველას მზავ-  
 რობას უადვილებდა. ნაპირას აქა-იქ მოსჩანდნენ ჯგუფები აფ-  
 ხაზებისა და ჩერქეზებისა—არსლან-ბეის საზვერაჟად დაეყენებინა.

როცა „ორფეი“ ცოტათი დაუახლოვდებოდა ნაპირს, რომ  
 დაენახა, ჯებირები იყო თუ არა, მაშინათვე თვალს მოჰქრავ-  
 დნენ ნაპირიდან და მოემზადებოდნენ მტრის დასახვედრად.

ცოტაც რომ გაიარა, „ორფეი“ სოფელ ფსირცხას დაუ-  
 პირდაპირდა, ბრიგიდან დაინახეს, რომ სწორედ ამ ადგილას  
 გაეკეთებინათ მიუვალი ჯებირები. მოფარებული ჰქონდათ ნან-  
 გრევეები ძველის ციხისა.

— აბა ერთი შეხედეთ, ბატონებო,—სთქვა გორჩაკოვმა  
 და ნაპირზედ მიუთითა.

— მართალსა ბრძანებთ, აქ მიუვალი ადგილია,—სთქვა  
 ნახიმოვმა,—ამას ვერ მოუვლის კაცი და ველარც აიღებს... ამ  
 მოსხლექილ კლდეზე მარტო ჩიტს შეუძლიან გადაფრენა.

— ნაპირ-ნაპირ სიარული არ შეიძლება,— გადასწყვიტა  
 გორჩაკოვმა,—პირდაპირ გემში უნდა ჩავსხათ ჯარი და თავი  
 ავარიდოთ ამ ხაფანგს.

— მეტი გზა არ არის, ამას იქით უნდა ვცდებოთ ისეთი  
 ადგილი, რომ ჯარს ნაპირად გასვლა შეეძლოს,—სთქვა ნახი-  
 მოვმა.

— ჩვენ ახლავე შევუდგებით ასეთის ადგილის ძებნას.

ჯებირებიდან ბრიგის მოახლოვება დაინახეს და შესაშინ-  
 ებლად რამდენიმე თოფი დასცალეს, მერე ძველის ციხის ნახევ-  
 რად დანგრეულ კედელზე აღისფერი დროშა აფრიალდა.

„ორფეი“ ამასობაში სულ წინ მიდიოდა, ხოლო აღის-  
 ფერი დროშა ჰაერში ფრიალებდა, თითქო დასცინის მიმავალ  
 ბრიგსაო. შორიდან, შვიდის ვერსის მანძილზე, როგორც იყო,  
 გამოჩნდა ლიხინის ციხე და ნაცრისფერი კედლები ნახევრად  
 დანგრეულის მონასტრისა.

— აი, აქ უნდა ამოვიდეთ ნაპირზე, — სთქვა გორჩაკოვმა და ნაპირზე მიუთითა. — ბატონებო, უბრძანე, ცოტას ხნით იალქნები ჩამოხსნან და მე კი რუკას დავხედავ, გავიგებ, ამ ადგილს რა ჰქვია.

სანამ იალქნებს ჩამოხსნიდნენ, გორჩაკოვი ოთახიდა დაბრუნდა, და უთხრა, რომ სოფელ ეილაღთანა ვართო.

— აქ ადვილია გასვლა, — სთქვა მან. — ეს ადრევეა ცა მაქვს შენიშნული. აქ შეგვიძლიან თოფის სროლა ავსტეხოთ და მტერს თვალი ავუხვიოთ; მაშინ ლიხინის ხსნა ექვს გარეშე იქმნება.

— მართალსა ბრძანებთ, — დაეთანხმა ნახიშოვი. — მაგრამ მე კი მგონია, რომ ასეთის გამარჯვებით აუხაზებს მაინც ვერ დავიმორჩილებთ. სანამ თქვენ, თაეაღო, თქვენის ჯარითა და ჩვენ — ესკადრითა ფხიზლათა ვართ, ეს ქვეყანა თითქო ჩვენი მორჩილიაო. მაგრამ საკმაოა სადმე წავიდეთ, რომ აუხაზეთი ხელიდან გავვისხლტეს.

— სკდებით, — უთხრა გორჩაკოვმა. — თუ ჩვენ გავმაგრდით ან ლიხინსა და ან სოხუმში — მთელი ქვეყანა დამორჩილებულია. ყირიმი ოსმალეთს მაშინ ჩამოეცალა, როცა სებასტოპოლი დავიპყრეთ, აგრევე, რომს ერთს დროს ასეთის გარნიზონების წყალობით მთელი ქვეყანა ეპყრა: გალია, ჰისპანია, საბერძნეთი, ეგვიპტე, პალესტინა — ყველა ეს ქვეყნები რომს დამორჩილებული ჰყვანდა. ეგვიპტელებს სძულდათ რომაელნი, მაგრამ რაკი ალექსანდრიაში რომაელთა ჯარი იდგა, ეგვიპტე მისი ყურმოჭრილი მონა იყო. ებრაელებს სძულდათ რომაელნი, მაგრამ იერუსალიმში პილატე იჯდა ჯარითა და ქრისტე პილატეს მიჰგვარეს განსასამართებლად. აქაც ისეა: თუ ქუთაისი ჩვენია, სადაც მე პილატის როლსა ვასრულებ, — იმერეთიც ჩვენია, თუმცა იქ ამაზე წინად საკუთარი მეფე იჯდა, სოლომონი, იერუსალიმის მეფის მსგავსად.

სალამოზე „ორფეი“ სოხუმში დაბრუნდა.

XVIII

ორ დღის განმავლობაში ლიხინში გასალაშქრებლად ემზადებოდნენ, ხოლო 20 მკათათვეს ჯარი ფრეგატ „სპეშნი-ზე“ და ბრიგებზედ: „ორფეიზედ“, „მერკურზე“ და „ჰანიმედეზედ“ დასხეს. სულ რვაასი კაცი იყო და თან ერთი ზარბაზანი მიჰქონდათ.

იმავე დროს, როცა გემები გამწკრივდნენ და ფსირცხისა და ლიხინისაკენ გაემართნენ, სოხუმიდან ხმელეთით 400 კაცი ეგერებისა გაეიდნენ. ესენი შესაშინებლად-ლა მიდიოდნენ. მხოლოდ უნდა ეჩვენებინათ მტრისათვის, რომ ჩვენი განზრახვა თქვენი ჯებირების აღება არისო. ის კი არა, თვალი უნდა აეხვიათ მათთვის და სალამოზედ ისევ სოხუმში უნდა დაბრუნებულ იყვნენ. ჯარის-კაცებმა ეს გაიგეს და ისე ეჭირათ თავი, თითქო სასეირნოდ არიან წამოსულნიო, თანაც თავისს აფიცრებს სიმღერით ატკობდნენ.

ამასობაში ესკადრა ფსირცხას დაუპირდაპირდა, სადაც მიუვალნი ჯებირები იყო გაკეთებული. მთელ დღეს იქით-აქეთ დადიოდა განგებ, რომ მტერს თვალი არ მოეშორებინა. აფხაზებს მტრის შიში ზღვიდანაცა ჰქონდათ და ხმელეთიდანაც, და ამიტომ, რაც შეიძლებოდა, გამაგრდნენ აქ. მთელი ნაპირი აქრელებული იყო: ჰაერში დროშები ფრიალებდა, მზეზე იარაღს პრიალი გაჰქონდა, მოსჩანდა შავი ნაბდები, სხვა-და-სხვა ფერის ჩოხები, ყაბალახები, თეთრი და შავი ფაფახები, მოისმოდა ცხენთა ქიხინი. დღე უკვე მიიწურა და ჯებირების აღებას არც კი შესდგომიან. გემებიდანა ხედავდნენ, რომ ხან-გამოშვებით სოხუმისკენ აფხაზები ცხენებს მიაჰქენებდნენ და მერე ისევ უკან ბრუნდებოდნენ. აფხაზები, ეტყობოდა, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსები იმიტომ არა ცდილობდნენ ჯებირების აღებას, რომ ხმელეთიდან ქვეით ჯარს მოელონო. ქვეითი ჯარი კი შორს იყო. როცა დაღამდა, აფხაზებიც დამშვიდნენ. ამასობაში ესკადრაზე სანთლები დააქრეს, მტერმა არ



დაგვინახოსო, და ჩუმად გაემართნენ დანიშნულ ალაგისკენ, ნაპირად გასასვლელად.

— მგონია, ვერაფერს გვამჩნევენ,—სთქვა პერელეშინმა, როცა დააკვირდა კლდიან ნაპირებს.

— არა, ნურც მაგრე ამბობთ,—სიტყვა გააწყვეტინა გორჩაკოვმა,—არსლან-ბეი ბებერი ტურაა; დარაჯები ეყოლებოა ლიხინამდე გამწკრივებული. თუ ფსირცხა ყველაზედ მეტად აქვს გამაგრებული, არც დანარჩენი ნაპირი ექნება უკაცოდ დაგდებული; მთვარე ამოვა თუ არა, ესკადრას ვერ დაინახავს, და მიგვიხვდება ჩვენს ოსტატობას... მაშინ ვილაღთან უნდა გავცეთ ერთმანეთს პასუხი: უეჭველია, სიცხე დაგვადგება ორსავე.

გორჩაკოვის ნათქვამი გამართლდა. ცოტათი ინათა თუ არა, ზღვის ნაპირი ვილაღთან მტრის რაზმებით მოიფინა. ჰაერში აფრიალდა მათი ღროშაცა. გორჩაკოვმა მაინც უბრძანა, ნავეები გადაუშვით და შიგ ჯარი ჩასვითო. მშვიდობიანად და წესიერად გადასხდნენ ნავეებში და გამწკრივდნენ.

— ღმერთს შეევედრეთ, ბატონებო!—შესძახა ნავეებში მსხდომთ დავადმა აფხაზმა თავის კრიალა ხმითა.

ყველამ პირჯვარი გამოისახა... ნეტავ ვინ განუტევებს საუკუნოდ სულს ამ პირქუშ ნაპირთან? .

— გასწით!—უბრძანა გორჩაკოვმა და ნავეები შურდულივით გასრიალდნენ ზღვაზე.

იმავე დროს, ოთხივე გემებიდან ზარბაზნების ყუმბარები წამოვიდა ნაპირისაკენ. ისე მწყობრად ისროდნენ და მარჯვედ იღებდნენ ნიშანში, რომ მტერი მოჭრილ თივასავით დააწვინა ნაპირას. აფხაზები მკვდრების წაღებას ვერ ასწრობდნენ. ზარბაზნების ხმას უერთდებოდა წყველა-კრულვის ხმა თავისის მიწა-წყლის დამცველებისა. დესანტი ამ ჯოჯოხეთურ მუსიკაზე ნაპირს უახლოვდებოდა. აფხაზები მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევთ მტერსაო, აპკრიბეს დაჭრილ-დახოცილები, ტყეს ამოეფარნენ და გაიქცნენ საშველად. როცა ჯარის-კაცები ნაპირად გავიდნენ და „ურას“ ძახილით წინ გაიქცნენ, ბრძოლის ველი უკვე დაცარიელებული იყო. მხო-

ლოდ აქა-იქ ეყარნენ გაქცევის დროს დავარდნილი ნაბღენი და ქუდები. ნაპირის ქვიშა და ბალახი ადამიანის სისხლით იყო შეღებილი. ყველაფერი მოწმობდა, თუ რა მტარვალობა ჩაედინა ადამის შეიღნა. მაგრამ დაგვიანება არ შეიძლებოდა. აფხაზები მერე გონს მოვიდნენ და სამ ათას კაცისაგან შემდგარს ჯარს რუსების ერთი ბეწო რაზმი ერთ ლუკმად არ ეყოფოდა, მით უფრო, რომ აქ, ნაპირას, საფარი არაფერი ჰქონოდათ. ამიტომ, გორჩაკოვმა ბრძანა, ჯებირები გააკეთეთ ძელებისა და მოქრილ ხეებისაგან, რომლებიც უხვად ეყარა ფსირცხისა და ლიხინისაკენ მიშავალ გზაზე; სადაც შეიძლებოდა, ქვის ყორეები უნდა გაეკეთებინათ, ან მიწა ამოეთხარათ. იმავე დროს ფრეგატი „სპეშნი“ და ბრიგები „მერკური“ და „ჰანიმედი“ სოხუმში გაგზავნეს დანარჩენის ჯარის მოსაყვანად.

— ამ პირველ ბრძოლის შემდეგ მტერს სული არ უნდა მოვათქმევინოთ, — სთქვა გორჩაკოვმა, როცა კორნილოვი ესკადრაზე გააცილა, — ახლა ან ჩვენზე მოიტანს იერიშსა გაალმასებული, ან და ლიხინზე იყრის გულის ბუხარსა. ეყოფა, რაც სირცხვილი სჭამა, მე შესწავლილი მყავს ეს ხალხი. როგორც ცეცხლში ჩავარდნილი მორიელი, თვითონვე უკბენს თავის თავს სასიკვდილოდ.

მაგრამ არსლან-ბეი არც იმ დღეს, და აღარც მეორე დღეს არ დასცემია რუსებს. 23 მკათათვეს, განთიადისას, ზღვაზე ფრეგატის და ბრიგების თეთრი იალქნები გამოჩნდა: სოხუმიდან ჯარი მოჰყავდათ.

სოხუმიდან მოსული ახალი რაზმი ნაპირად რომ გავიდა, გორჩაკოვმა შემდეგი განკარგულება მოახდინა: — მტერს ჩვენი ნამდვილი განზრახვა არ გავაგებინოთ და ამიტომ ფრეგატს „სპეშნის“ და ბრიგებს „მერკურის“ და „ჰანიმედს“ უბრძანა, ლიხინს გასცლით და ბიჭვინტისაკენ გაემართენით და იქ თვალი აუხვიეთ მტერს, ვითომ ნაპირად გასვლა გინდათ.

— ბიჭვინტა არსლან-ბეისათვის ძვირფასია, აფხაზეთიდან ლტოლვილის იქ თუ შეუძლიან თავის დაფარვა, — უთხრა გორჩაკოვმა ნახიშოვს. — ეცდება, მტერი ნაპირად არ გამოუშვას და



ამიტომ თავისის ჯარის ერთს ნაწილს იქ გაგზავნის და იმით თავის ლონეს შეასუსტებს; აი, ამ დროს, მეც დროს ვუპოვნე და თავზე დავესხმი.

მართლაც, როცა „სპეშნი“ და ორივე დასახლებული ბრიგები ბიჭვინტისაკენ გაემართნენ, იმათ არ შეეძლოთ არ შეენიშნათ, რომ აფხაზებისა და ჩერქეზების რაზმს, რომელიც გარს ერტყა ლიხინს, ერთი ნაწილი მოშორდა და ორის დროშით ბიჭვინტისაკენ გასწიეს. იმავე დროს თავად აფხაზისა და კაპიტან ლინდენ-ფელდის რაზმები, თავადის გორჩაკოვის წინამძღოლობით, პირდაპირ ლიხინისაკენ გაემართნენ. წინ მიუძღოდათ სამხედრო მუსიკა და მომღერალი რუსები.

გავარდა რამდენიმე თოფი გაუბედავად და ხმა ისევ მისწყდა. რაზმს ძალიან უშლიდა გზებზე დახერგილი ხეები, მაგრამ გაჩერებით მაინც ვერ გააჩერა.

აჰა ლიხინიცა. აქ აფხაზებმა გადასწყვიტეს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ეომნათ. ყველა ქოხიდან, ბალ-ვენახებიდან, თვით ხეებიდან, სადაც თავზე-ხელახებულები ასულან, ყველა მხრიდან ტყვია ზუზუნით წამოვიდა. მაგრამ რუსებმა მამაცად გაიარეს საშიში ადგილი და ხიშტებ-მომარჯვებულნი „ურას“ ძახილით ეკვეთნენ მტერსა.

— ურა! ურა! — გაისმა უცბად აფხაზების ზურგს უკანიდან.

ეს ლიხინის ციხის ჯარი იყო. მოულოდნელად გამომძვრლან და თავად მიხეილისა და მარაჩევსკის წინამძღოლობით მტერს ზურგიდან შეუტყეს. მიხეილ შარვაშიძე ისე თავგანწირვით იბრძოდა, იტყოდით, ვერაფერსა ხედავსო. ხმაღს მარჯვნივ და მარცხნივ იქნევდა და პირდაპირ იქითკენ მიჰქროდა, სადაც ალისფერი დროშა ფრიალებდა ჰაერში, ხოლო მის ქვეშ ცხენზე მრისხანედ იჯდა დიადი სახე მისის ბიძისა. მაგრამ უცბად დროშა შეირხა, წაბარბაცდა, წაბარბაცდა ცხენზე არსლანბეიცა. საშინლად აირია ყველაფერი, გაისმა კიჟინა, კვნესა...

— აჰა, შე კინკა, შენა! — მოესმა მიხეილს ხმა მოხუცის ჯარის-კაცისა. როცა იმ ადგილას მიიბრძინა, არსლან-ბეი არ და-



ხვდა, ხოლო მომაკვდავ მშვენიერ თეთრ ცხენის გვერდით მიწაზე იწვა... ესმა-ხანუმი!.. ჯარის-კაცი იქვე ახლოს იდგა და გასისხლიანებულს ხიშტს ბალახითა სწმენდა.

— ახლა ველარ წახვალ, მორჩა! — ბურღლუნებდა ჯარის-კაცი.

მიხეილ შარვაშიძემ ყველაფერი გაიგო.

— ეგ რა ჰქენი? — დაუყვირა მთავარმა და მიწაზე გაშლართულ მშვენიერ ქალს ზედ დააკვდა. — ხანუმი!.. ძვირფასო... ჩემო კარგო... გული წასვლია.

ხელში აიყვანა როგორც პატარა ბავშვი და ექიმის საძებნელად გასწია საჩქაროზე, თან აღგზნებით ჰკოცნიდა მის გაცივებულს ტუჩებს, ღაწვებს, თმას. წინ შემოხვდნენ მოხუცი ექიმი და ბულათ-ალი-ოღლი, რომელთაც ჯარის-კაცები მოჰყვებოდნენ ტახტრევანებით.

— თუ ღმერთი გწამთ, უშველეთ! — შეევედრა მწუხარედ ახალგაზდა მთავარი.

— ვინ არის? ვინაა?... ფრთხილად ტახტრევანზე დააწვინეთ, — უთხრა აჩქარებით პეტრ პეტროვიჩმა.

— ესმა-ხანუმი! — წამოიძახა შეშინებულმა ალი-ოღლიმ: — ისევ ისაა...

დაიხარა, მაჯა გაუსინჯა და აკანკალებულის ხელით ჩოხის ღირკილოები გაუხსნა.

გაუხსნა და დახედა... მარცხენა ძურქს ქვემოლ სამკუთხიანი ჭრილობა ჰქონდა. ესმა-ხანუმი უკვე მკვდარი იყო.

— საწყალი, საწყალი ბავშვი! — ჩურჩულებდა ექიმი პეტრ პეტროვიჩი, და თან მწუხარედ აცქერდებოდა მიცვალებულის მშვენიერის სახის ნაკვთებს. — განა ამისთვის გადაგარჩინეთ სიკვდილს? საბრალო!

თავადი მიხეილ შარვაშიძე ჩუმად სტიროდა.

## XIX

არსლან-ბეი საშინლად დამარცხდა. თვითონაც დაიჭრა და მისმა მხლებლებმა ძალით გაიყვანეს ბრძოლის ველიდან. ხოლო ისინი, ვისაც ესმა-ხანუმის წაღება უნდოდათ, ყველანი მოჰკვდნენ რუსის ხიშტებისაგან. მთავარმა და გორჩაკოვმა განკარგულება მოახდინეს, ესმა-ხანუმი მისის ღირსების შესაფერ პატივით დაემარხათ. თავისს თეთრ ნაბადში გახვიეს და მთელი საფლავი ყვავილებით ამოავსეს.

ვინც მოჰკლა, იმანვე გაუთხარა საფლავი თავისს მსვერპლსა,—ეს იყო მოხუცი ჯარის-კაცი, რომელსაც თავისი ამხანაგი ეხმარებოდა.

ესმა-ხანუმის დასაფლავების შემდეგ, თავადმა გორჩაკოვმა სამხედრო თათბირზე შემდეგი კითხვა აღძრა:—რა ვუყოთ ისტორიულ რეზიდენციას აფხაზეთის მთავრებისას, ან ბუღეს შარვაშიძეთა სახელოვან გვარის ყოველგვარ უბედურებათა და ავკაცობათაო.

—აქ, ლიხინში,—ამბობდა გორჩაკოვი,—ამ უბედურებათა ბუღეში ჩაეყარა საძირკველი სისხლის ღვრასა სახელოვან ქელეშ-ბეგსა და მისს უღირსს, ავაზაკ შვილსა, არსლან-ბეის, შორის; აქ, ლიხინში, ამ წუთისოფელს ავაზაკურად გამოასალმა თავისი მოხუცი მამა არსლან-ბეიმ. აქავე ამ საზიზღარმა მამის მკვლელმა მოღალატურად მოსწამლა თავისი დვიძლი ძმისწული, კანონიერი მთავარი აფხაზეთისა. აქავე, დღეს, ჩვენს თვალწინ, ეს ტურა თავისის ქვეყნისა, ეს უკეთური შთამონაკვეთი შარვაშიძეთა გვაროვნობისა, ცდილობდა მთავრობა წაერთმია მეორე ძმისწულისათვის, მისს ბრწყინვალეობა მიხეილ შერვაშიძისათვის და კიდევ აისრულებდა გულის წადილსა, ძლევა-მოსილი მხედრობა რუსეთის ხელმწიფისა რომ არ მიშველებოდა კანონიერს მთავარსა.... ლიხინი—განაგრძო გორჩაკოვმა—საიმედო ადგილი არ არის. ექედან აფხაზეთისა და მისის მთავრის უფლებათა დაცვა ძნელია:—ლიხინის ციხე მაგარი არ

არის, ჯარი ხალვათად ვერ თაყსდება შიგა, გამაგრება არ შეიძლება, — და თავიდათავე, — ეს ადგილი სსმელ წყალს მოკლებულია. აფხაზეთის კეთილ-დღეობისაგან, შარვაშიძეთა გვარის სიმტკიცისათვის, ჩემის აზრით, უმჯობესია ეს ადგილი დავთმოთ — დავანგრიოთ ძველი რეზიდენცია აფხაზეთის მთავრებისა, დავანგრიოთ, მიწასთან გავასწოროთ ლიხინი!

ყველანი ხმაგაკმენდილნი უსმენდნენ. აფხაზეთის ახალგაზდა მთავარს თვალეზზედ ცრემლები მოადგა. განა ადგილი ასატანი იყო მისთვის დანგრევა ლიხინისა, მისთა წინაპართა საცხოვრებელ ადგილისა, დანგრევა მის უმანკო ყრმობის აკვნისა, სადაც იმდენი რამ ახსოვს, იმდენი რამ გამოაუცდია!.. მაგრამ აქ კვალთა ბოროტებისა, კვალთა და ხსოვნა სირცხვილისა, რომელმაც ჩირქი მოსცხო მის გვარსა. გორჩაკოვი პასუხს ელოდდა.

— დიად, თავადო, თქვენ მართალი ბრძანდებით, — ხმის კანკალით უპასუხა მთავარმა, — დეე, აღიგავოს პირისაგან დედამიწისა ლიხინი!

— მოხარული გახლავართ, რომ თქვენმა ბრწინვალებამ ჩემი აზრი გაიგო, — სთქვა გორჩაკოვმა და ხელი გაუწოდა, — ამ მსხვერპლს თქვენ სახელმწიფო სიბრძნე გთხოვთ. უბრძანეთ, თქვენს სასახლეში რაც რამ განძეულობაა, ერთად შეჭკრიბონ და ჩვენ მაშინვე გავვზავნით ურმებით და გემით სოხუმში, სადაც, თქვენის ძველის, უვარგისის ბუდის დანგრევის შემდეგ, თქვენც წაბრძანდებით მაშინათვე თქვენს დედასთან.

გორჩაკოვის წინადადება ყველამ მოიწონა. სანამ ურმებზედ მთავრის ბარგს აწყობდნენ, ჯარის-კაცები შეერთებულის ძალით ციხის კედლებს ანგრევდნენ, რაც დასაწვავი იყო, ცეცხლს უკიდებდნენ, სწვამდნენ და ამტვრევდნენ დუქნებსა და ქოხებს, ასე რომ საღამოს ხუთ საათამდე აფხაზეთის მთავრების რეზიდენცია წარმოადგენდა ნანგრევთა ყორეს.

ლიხინის დანგრევას რომ მორჩნენ, ჯარი ნანგრევებს მოშორდა და ზღვის პირას დაბანაკდა, რომელსაც ზედ დაჰყურებდა დედა-ქალაქი აფხაზეთისა, კვამლით მოცული. ჯარის-



კაცებმა, მზე ზღვაში დაიმალო თუ არა, ცეცხლი დაანთეს, ჯამთ ფებად გარს შემოუსხდნენ, დაიწყეს ლაპარაკი თავიანთ თავ-გადასავლისა.

დრო გადიოდა. ცეცხლი ცოტ-ცოტათი დაიფერფლა და მთელი ბანაკი ძილმა მოიცვა. დღიურ მუშაობისაგან დაღლილთ ყველას ეძინა აფხაზეთის ლურჯ ცის ქვეშ. მხოლოდ დარაჯების ხმა-ლა მოისმოდა აქეთ-იქიდან. დიდ ხანს არ დაეძინა აფხაზეთის მთავარს, დაღონებული უცქეროდა ფერფლად-ქცეულს რეზიდენციას თვისთა წინაპართა... აღზად, ასე ჰნებაგს ღმერთსაო... ბოლოს, იმასაც მოერიოა ძილი. სიზმარში დაინახა, რომ ლიხინის ნანგრევებთან კი არა, ელისაბედის მთა-ზედაა, კისლოვოდსკის მახლობლად... აქ არიან მისი ძმა დიმიტრი შარვაშიძე, ბარბარე გაგარინისა, თავადი გოლიცინი, პატარა კატია, სერიოჟა და ექიმი. შორს მწვერვალი მოჩანს კავკასიონისა და თოვლით დაფარული იალბუზი. ესმის მთაში კვნესა ქარისა... „ეს ქარი არ არის,— ამბობს ექიმი,— შეხედეთ მანდეთკენ, იალბუზს... ხედავთ უშველებელ კაცის სახესა? ისა კვნესის, ამირანია. ხედავთ, რა ბუმბერაზი ჩრდილი ეცემა მისთა ზეცად აღპყრობილ ხელთაგან, ხედავთ მის თავსა და ზედ გაშლილს ფრთებს უშველებელის ფრინველისას? ეს არწივია იუპიტერისა...“ მაგრამ აი, მზეც ჩაესვენა და საშინელი კვნესა შესწყდა... ცაში, მათს თავს ზემოდან, საშინლად აშრილდა ქარი. ყველამ ზეცისაკენ აიხედა:—იქ, მალლა, ლურჯ ცის სივრცეში უზარ-მაზარი ფრინველი გაჩერდა, ჩრდილოეთისაკენ მიფრინავს... არწივი იყო უშველებელის სიდიდისა, მაგრამ საკვირველი ის იყო—ორი თავი ჰქონდა!..

აქა თავდება ჩვენი მოთხრობა.

ბარბარე თავად გაგარინის ასული დიდს ხანსა სტიროდა თავისს პირველს სიყვარულსა. ხან სელს მოიგონებდა ჩუმ სლავიანკის პირას დადგმულს, ხან ბედნიერ ცხოვრებას კისლოვოდსკში. მაგრამ მერე ყოვლად-ძლიერმა დრო-ყამმა თავისი ჩრდილი გადააფარა წარსულს ბედნიერებას, ცოტ-ცოტად განამრთელა ქრილობანი ახალგაზდა გულისა,— და სამის წლის შემდეგ

ვარია გოლიცინს მისთხოვდა, დარწმუნდა, კარგი კაცია და უც-  
ვლელად ვუყვარვარო. კატია ოცნებობდა, გავიზრდები, სულ  
დიდი გავხდები და მაშინ „გმირს მიშას“ მივსთხოვდებო. ხო-  
ლო მისს ძმას, სერიოჟას, იმედი ჰქონდა, მალე მეც გმირი ვი-  
ქმნები და ტყვეთ წამოვიყვან არსლან-ბეისაო.





\* \* \*

დაუძღურდა, გატედა ცხენი,  
ადარ მოსდევს ფეხში ძალა;  
ვინც ზედ იჯდა, სამკაულზე  
გაჭვიდა და გადასცვალა.

აქამდისინ ბედაური,  
დღეს შეიქმნა მახანჩალა,  
რაც ხატრონმა მას დამართა,  
ბედს და იღბალს დააბრალა.

ბედმა რა ჰქნას, შე საბრალე,  
როცა კაცმა გადალატა,  
გარედ გამოუყვანელი  
ადარ დარჩა სახელში კატა:

მანამ სურდა, გამსახურათ,  
კათრიათ და გაწანწალათ,  
რომ შეგატყოთ მოხუცება,  
აკიდოთ და გამოგლალათ.

შენ კი მაინც ბედს აბრალე  
ეველა ამას, ჩემო ცხენო,  
უსამართლო მოქცევების  
არ გსურს კაცი შეახვეხო.

ის კვლავ ისევ დარბია,  
შემოაცვდა სამკაული,

შენ სიტყვებზე მოგანიჭა  
 ტანჯული და წამებუდი!...

მოკვდა ცხენი, გაატყავს  
 და მინდორში გაათრიეს;  
 ყვავ-უოცანმა სანადირო  
 ლეშზე მეფე მოიწვიეს.

და არწივიც მედიდურად  
 ფრთებს შლის, თვალებს აბრიალებს,  
 აქეთ - იქით აუურება,  
 ახლო არვის აწანწალებს.

ფრთხილად, ფრთხილად, ფრინველთ მეფე,  
 მძაფრი არვინ გამოგტაცოს,  
 უხატონოდ ტიალ-მკვდარი  
 ახლა სხვამ არ ითავაზოს! ..

ცბიერსა და ორ-ხირ მელას  
 შორით ეცა ლემის სუნი,  
 დაუარა ტყის ნადირებს,  
 წაჭკრა თითო მუჟღუკუნნი.

იცის, ფრინველთ ძლიერს მეფეს  
 ვერას უსამს მარტო მელა,  
 თუ სხვა გზით არ უსწავიკვდა  
 და არავინ მიიშველა.

გამობრძანდნენ ბუნადან:  
 ღამი, ვეფხვი, მგელი, ტურა,  
 სადაც მკვდარი ცხენი იყო,  
 უველამ იქით მიაშურა.

ერთი შესეთ რა უოფაა,  
 რა ამბავი, რა სერი,

დიდი ლუკმა უნდა ვეკლას,  
 დაუღიათ მწარედ შირი.

მაგრამ ღომი არვის უშვებს,  
 ვინ გაჰბედავს წადგეს წინა,  
 ვისაც გაჰკრა ბასრი კბილი  
 ზურგზე ბედვირი აადინა.

მელა განგან იარება,  
 ახლო რადი ეკარება,  
 გაათრებულ ხადირების  
 წაკიდებას ელოდება.

აკერ, მართლაც, ძე აფთარმა  
 მეტი ველარ მოითმინა,  
 გულ-მოსულმა ცხენისაკენ  
 ცალი ტოტი გააწვდინა.

ასტედა ომი სსშინელი,  
 კბილთა ღრჯენა, ღრიანტელი,  
 ღომთა და ვეფხვთ მწარე გრკვინვამ  
 გააურუა მთა და ველი.

მკვდარ ლეშს თავი დაანებეს,  
 ღომი აფთარს წაეკიდა,  
 ვეფხვი — კატუნს, ფოცხვერი — მტელს,  
 ტურა ფრინველთ გაეკიდა.

აერთა გზა და კვალი,  
 დააფიწდა ლეში ეველას;  
 მკვდარი ცხენი საჭიჯგნელად  
 დარჩა დათვის და ცბიერ მელას.

შ. ძღვიძელი

# ანტონიოს და კლეოპატრა

ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია

უილიამ შექსპირისა

მოქმედნა პირნი:

მარკოს ანტონიოს, ოქტავიოს კეისარი, მარკოს ემილიოს ლეპიდოს, სექსტოს პომპეოს.	} ტრიუმვი- რნი.	ტავროს, კეისრის უფროსი თანაშემწე. კანდიოს, ანტონიოსის უფროსი თანა- შემწე.
დომიციოს ენობარბოს, ვენტიდიოს, ეროს, სკაროს, დერცეტას, დემეტრიოს, ფილო, მეცენას, აგრიპა, დოლაბეოა, პროკულებოს, თირეოს, გალოს, მენას, მენეკრატეს, ვარიოს.		} ანტონიოსის მომხრენი.
} კეისრის მომხრენი.	ალექსას, მამლიან, სელევკოს, დიომედეს, მკითხავი. გლეხი, კლეოპატრა, ეგვიპტის დედოფალი. ოქტავია, და კეისრისა და ანტონიოსის ცოლი.	
} პომპეოსის მომხრენი.	ქარშიანა, ირას, ოფიცრები, ჯარის-კაცნი, შიკრიკნი და სხვა მსლებელნი.	

მოქმედება სწარმოებს რომის იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილს.

## პირველი მოქმედება

### ს უ რ ა თ ა I

ალექსანდრია. ოთახი კლეოპატრას სასახლეში.

(შემოდინან დემეტრიაოს და ფალო)

**ფალო.** ეს ტრფიალებით გადარევა ჩვენის სარდლისა  
 მეტის-მეტია. იმ ბრწყინვალე თვალებით იგი,

რანიც საომრად დარაზმულის ჯარის წინაშე  
 ელავდნენ ხოლმე ვით შევერცხლილ მარეხის თვალნი,  
 ეხლა შეჭხარის და შესცქნავის შევეტრუხა სახეს.  
 თვითონ გულმაც კი, რომელიც მას ცხარე ბრძოლის დროს.  
 უწყვეტდა ლილეებს მხარ-მკერდზედა მედგარი ძვერით,—  
 ამ დიდებულის სარდლის გულმა თავის ბუნება  
 დასტოვა მისთვის, რომ საბერვლად, მარაოდ იქცეს  
 და ვნებათ-ღელვა გაუგრილოს ბოშის დედაკაცს.  
 (საყვირის ხმა)

აგერ მოდიან. ყური უგდე და შენც შეამჩნევ,  
 თუ ვით მესამე დედაბოძი მთელის ქვეყნისა  
 თავის მასხარად გაუხდია მაგ უნამუსოს.

(შემოდინან ანტონიას და კლეოპატრა თავიანთი ამალით.  
 სანჭუნასნა მარაობით უგრილებენ.)

კლეოპ. მართლა გიყვარვარ? რაოდენად, ისიც მითხარი.

ანტ. ნამდვილ სიყვარულს ანგარიში როდი შეჭფერის.

კლეოპ. მაინც სამზღვარი მსურს ვიცოდე მაგ სიყვარულის.

ანტ. სამზღვრად მონახე მაშ სხვა ზეცა, სხვა დედამიწა.

(შემოდის ერთი მსღებქელი).

მსღებქელი. ამბავი გახლავს რომიდანა, ბატონო ჩემო.

ანტ. რა დროს ეგ იყო!.. ბარემ გეთქვა.

კლეოპ. გთხოვ, მოუსმინო.

ვინ იცის, ეგებ ფულვიაა გაჯავრებული,

ან კეისარი ახალად წვერ-ულვაშ-აშლილი

გიგზავნის მძლავრად თვის ბრძანებას: „მოიქეც ასე,

„ეს სახელმწიფო დაიპყარ, მას ანებე თავი

„და თუ ამას არ შეასრულებ, სასჯელში მიგცემთ.“

ანტ. სატრფოვ, რას ამბობ?

კლეოპ. ან იქნება... რალა „იქნება“,

უთუოდ ასე უნდა იყოს: გადაგაყენა

კეისარმა შენ, აღარა გაქვს აქ ყოფნის ნება.—

უნდა მათ სწორედ მოუსმინო... აბა ფულვიას

ბრძანება ვნახო... კეისრისა მინდოდა მეთქვა;

ან თუნდ ორივე მაჩვენე აქ.—უთხარ შაკრიკნი წარმოგიდგინონ.—ანტონიოს, გაწითლდი კიდევ?! როგორც ამ ჟამად დედოფალი ვარ ეგვიპეტისა, ისე მე ამას სწორეს ვამბობ. მაინც მორჩილი სისხლით და ხორციით ხარ კეისრის და მხოლოდ მაშინ წითლდები კიდევ, როს აშარი ფულგია გლანძღავს. უხმე შაკრიკთა.

**ანტ.** დეე, რომი ტიბრმა წალეკოს და ძირს დაემხოს ამ ძლიერის სახელმწიფოს ვრცელი კამარა. მე აქა ვარ და აქ მსურს ყოფნა. მტვერნი არიან სამეფონი და მიწის ქუქყი კაცსაც, პირუტყვსაც ასაზრდოებს ყველას თანაბრად; დიდებულებით ცხოვრება კი აი რას ჰქვიან:  
 (მოეხვევა კლეოპატრას)

ორი არსება ამისთანა როს ჩავხუტულვართ, მთელ ცის-ქვეშეთსა მოვიმოწმებ, მართალი მითხრან, თუ სადმე ნახვენ დედამიწის ზურგზედ ჩვენს ბადალს.

**კლეოპ.** რა კარგად სცრუობს! მაშ ფულგია არ გყვარებია ცოლად შერთვის ჟამს. ნუ გგონივარ ნურც აგრე სუსტი, როგორცა ვჩანვარ; ანტონიოსს ვერა რა შესცვლის...

**ანტ.** დიად, ოლონდაც, კლეოპატრას ტრფიალის მეტი. კმარა. გაფიცებ სიყვარულის ძალას, ღის ტკბილ წამთ, ნუ გავიმწარებთ სიცოცხლესა ამ ტუქსვა-კილვით, ყოველ წუთისთვის მოვნახოთ რამ სიამოვნება: რით გავატაროთ ამაღამ დრო?

**კლეოპ.** ელჩთ მოუსმინე.

**ანტ.** უჰ, გესლიანო დედოფალო! შენ ყველა გშვენის: იკინი, სტირი, სტუქსავ ვისმე, ყოველი ენება მშვენიერდება გასაოცრად შენში შენითვე; შენგან მივიღებ მხოლოდ ელჩსა, მე სხვა არ მინდა. წამო, წავიდეთ, ქუჩა-ქუჩა დაველოთ ამაღამ და დავუკვირდეთ მდბაღ ხალხის ყოფა-ცხოვრებას; წუხელის ასე ისურვე შენ, ჩემო ხელმწიფევ.

შიკრიკებზედ კრინტს ნულარ დასძრავთ.

(ანტონიოს და კლეოპატრა თავიანთ ამაღლით გადიან).

დეპეტროს.

ასე სცემს პატრის

ანტონიოსი კეისარსა?

ფილა.

ხანდისხან, როცა

ჰკარგავს თვის სახეს, ჰკარგავს ხოლმე იმ სიმტკიცესაც,  
რაც ანტონიოსს აროდეს არ უნდა განშორდეს.

დეპეტ. ეწუხვარ მე დიდად, რომ მექორეთ სიტყვას ამართლებს,  
რომელნიც რომში ავრცელებდნენ სწორედ მაგ ხმებსა.  
ხვალ უკეთესის იმედი მაქვს. მშვიდობით იყავ. (გადიან).

## ს უ რ ა თ ა II

იგივე ქალაქი. სხვა ოთახი კლეოპატრას სასახლეში.

(შემოდინან ქარპანა, იანას, ალექსას და მკითხავი)

ქარპანა. ბატონო ალექსას, ჩემო ტკბილო, ჩემო ყველაფე, ჩემო  
სწორ-უპოვარო ალექსას! აბა, სად არის ის მკითხავი,  
დედოფალს რომ ისე ძლიერ უქებდი. ოჰ, როგორ მინ-  
და შევიტყო, მეუღლედ ვინ მეყოლება და, შენის თქმი-  
სა არ იყოს, ყვავილებით თავის რქებს ვინ დაიმშვენებს.

ალექსას. ეი, მკითხავო!

მკითხავი. რა გნებავეს?

ქარპ. მაშ ეს არის? შენა ხარ, ძმაო, გულთმისანი?

მკით. ცოტა ვკითხულობ საიდუმლოს მე ბედის წიგნში.

ალექს. აბა აჩვენე ხელის გული. (შემოდის ენაბაზბოს).

ენაბაზბოს,

მიართვით ჩქარა,

ნულარ უყურებთ! საქმელები და ღვინოც ბლომად,  
რომ კლეოპატრას სადღეგრძელო უხვად დალიონ.

ქარპ. აბა, ეცადე, კარგი ბედი მომცე.

მკით. მე არავის რას ვაძლევ, მე მხოლოდ ვმკითხაობ.

ქარბ. მაშ მიკითხე.

მკათ. შენ ეხლანდელზედ მეტად გალამაზდები.

ქარბ. როგორ, ხორცი მომემატება?

იხას. არა, როცა დაბერდები, ფერ-უმარილით თხუზნვას მო-  
 ჰყავები.

ქარბ. ღმერთო, დამიფარე სახის დაღმეკვისაგან.

აღკქს. ნუ აწვალებთ, ყური უგდეთ.

მკათხ. უფრო შენ შეიყვარებ, სანამ შენ შეგიყვარებენ.

ქარბ. რაკი აგრეა, იმდენსა ვსვამ, რომ ნაღველა გამისკდეს.

აღკქს. დაიცადე, სთქვას.

ქარბ. კარგი მითხარ რამე: აი, თუნდ ერთ დილას სამი ხელ-  
 მწიფე შემრთე და სამივეზედ დამაქვრივე; ორმოც და ათი  
 წლისას იმისთანა შვილი მაყოლე, რომელსაც ებრაელთ  
 მეფე იროდიც კი თაყვანსა სცემდეს. ოქტავიოს კეისარს  
 მიმათხოვე და ჩემი ქალბატონის მეგობრად გამხადე.

მკათხ. შენ შენს ქალბატონზედ მეტს იცოცხლებ.

ქარბ. ძალიან კარგი, მე სიცოცხლეს ლედვზედაც კი არ გავ-  
 ცვლი.

მკათხ. შენი მომავალი ბედი წარსულზედ უარესი იქნება.

ქარბ. მაშ ნეტა უშვილოდ გადავეგო. ბარემ ისიც მითხარ, რამ-  
 დენი ვაჟი მეყოლება და რამდენი ქალი?

მკათხ. თუ დარგვალდება თვითეული სურვილი შენი  
 და ნაყოფს მოგცემს, მილიონი კიდევ ცოტაა.

ქარბ. დაიკარგე, სულელო! კუდიანი რომ არ იყო, ამას არ  
 გაპატივებდი.

აღკქს. მეგონა, მარტო შენმა ლოგინმა იცოდა შენი ჭინის  
 ამბები?!

ქარბ. კარგი აბა, ახლა ირასს უკითხე.

აღკქს. ყველას გვინდა ჩვენი ბედის შეტყობა.

ენობადაბ. ჩემი და ბევრი ჩემისთანას ბედი ამაღამ ის იქნება,  
 რომ ღვინოში თავები ჩავიღრჩოთ.

იხ. აი ეს ხელის გული ქალწულებასა ნიშნავს, სხვა კი არ  
 ვიცი, რასა.



**ქაძმ.** როგორც მოდიდებული ნილოსი შიმშილობას.

**იწ.** წადი, უნამუსო, მკითხავობისა შენ რა გეყურება!

**ქაძმ.** თუ სველი ხელის-გული ნაყოფიერებას არა ნიშნავს, მაშინ მართლა არა მცოდნია-რა. ვეთაყვა, ამას უბრალო რამ ბედი გამოუძებნე.

**მკათხ.** თქვენ ორივეს ბედი ერთნაირია.

**იწ.** როგორ, განსხვავება სულ არა არის-რა?

**მკათხ.** რაცა ვთქვი, ვთქვი.

**იწ.** ერთი გოჯით მაინც მაგაზედ ბედნიერი არა ვარ?

**ქაძმ.** მართლა რომ ერთი გოჯით იყო ჩემზედ ბედნიერი, სად მოათავსებდი მაგ გოჯსა?

**იწ.** რასაკვირველია, არა ჩემის ქმრის ცხვირში.

**ქაძმ.** ღმერთო გვაშორე ცუდ ფიქრებს!—აბა ეხლა აღექასას უკითხე, ამის ბედი შეეიტყოს.—ტკბილო იზიდავ! შენ შეჰყარე მას ცოლად კუტი-საპყარი; ის მოუკალ და მერე უარესს შეახვედრე, უარესს უარესი მოჰყვეს და ყველაზე უხვირომ გააცილოს ეგ ხითხითით საფლავამდე ორმოც-და ათჯერ რქებ-გამობმული. კეთილო იზიდავ, ოლონდ ეს შემისმინე და სხვა უფრო საჭირო თხოვნაზე თუნდ უარი სთქვი, გვედრები, კარგო იზიდავ!

**იწ.** ამინ! მოწყალე ღმერთავ, შეისმინე ჩვენი თხოვნა. თუ ცოდოა, რომ კარგ კაცს ცუდი ცოლი ჰყავდეს, ის უფრო სამწუხარო იქნება, წუწკი ქმარი რქებ-გამოუზმელი დარჩეს. სამართალი ჰქმენ, იზიდავ, და ეს ისე დააჯილდოვე.

**ქაძმ.** ამინ.

**აღექს.** ერთი შეგხედეთ! ამათ ხელში რომ ვიყო, სულ მთლად გაუნამოსდებოდნენ, ოლონდ ჩემზე რქები ენახათ.

**ენობ.** ჩუმად იყავით! ანტონიოს აქ მობრძანდება.

**ქაძმ.** დედოფალია და არა ის. (შემოდის კლეოპატრა).

**კლეოპ.** ანტონიოსი

ხომ არ გინახავთ?

**ენობ.** არ გვინახავს.

**კლეოპ.** აქ არ ყოფილა?

ქანძ. არა, ხელმწიფევე.

კლეოპ. მხიარულად იყო, მაგრამ იმ  
 რომის ამბავმა შეაშფოთა. — შენ, ენობარბოს...

ენობ. ჩემო ხელმწიფევე!

კლეოპ. იპოვე და სთხოვე, მობრძანდეს. —  
 ალექსას!

ალექს. აი, აქ გახლავარ. ავერ თვით იგიც.

კლეოპ. მის ნახვა არ მსურს. თან წამომყეთ.

(გადიან. შემოდის ანტონიოს. თან შაკრაკი და მსღვებელ-  
 ნა მოსდევენ).

შაკრაკი. ჯერედ ფულვია,  
 შენი მეუღლე გამოვიდა საომარ ველზედ.

ანტ. როგორ, ჩემის ძმის, ლუციოსის წინააღმდეგა?

შაკრ. დიად, მაგრამ კი მალე ბოლო მოეღო იმ ომს  
 და შერიგება მოჰყვა მტრობას. მაშინ შეერთდნენ,  
 კეისარს ომი აუტეხეს, დამარცხდნენ პირველს  
 შეხვედრაზედვე და ძლეულნი იტალიიდან  
 განდევნილ იქმნენ.

ანტ. სხვა უარესს კიდევ რას იტყვი?

შაკრ. ცუდი ამბავი ცუდად სახავეს თვით მოამბესაც.

ანტ. დიად, სულელიის, ან ლაჩარის თვალში, მაგრამ მე  
 არ შეეუდრკები მას, რაც მოხდა, რაც მომცა ბედმა.  
 მართლის მომთხრობელს, თუნდ სიკვდილი ეკეროს ენას,  
 ისე მოვუსმენ, როგორც ქების პირმოთენედ შემსხმელს.

შაკრ. ლაბინოსმა, — უარესის ამბიდან ვიწყებ —  
 პართიელ ჯართა დახმარებით მთელი აზია  
 ევფრატის წყლამდე დაიჭირა; მისნი დროშანი  
 ძლევა მოსილნი სირიას თავს დაჰფრიალებდნენ,  
 ლიდიის ქვეყნებს, იონიას, იმ დროს, როდესაც...

ანტ. ანტონიოსი, გსურდა გეთქვა...

შაკრ. ბატონო ჩემო.

ანტ. ნურას დამალავ, ხალხის ენას ნუ მოხდის ბოდისს,  
 და რასაც რომში კლეოპატრას სახელსა სდებენ,

იგივე უწოდებ; გაილანძღე ფუღვიოს ერთ  
 და თავისუფლად ჩემნი ნაკლნი გაჰკიცხე მკაცრად  
 ისე, ვით რისხვას და სიმართლეს ამის ნება აქვთ.  
 როს მივყურდებით, ღვარძლი მოგვაქვს მხოლოდ ნაყოფად  
 და ჩვენის წუნის პირში თქმა ამ ღვარძლს ამოადგებს.  
 წა, დაისვენე პატარა ხანს.

**შაკრ.** შენი ნებაა. (გაღს).

**ანტ.** სიკიონიდან რაღა იცით, ისიც მითხარით.

**შირგედი მხლებ.** სიკიონიდან რომელი ხარ?

**შეორე მხლებ.** აქ გახლავს, ელის  
 შენს ბრძანებასა.

**ანტ.** დაუძახეთ! არა, უთუოდ  
 დამსხვრევა უნდა ამ ეგვიპტის მაგარ ბორკილებს,  
 თორემ მომიღნობს ტრფიალება სულით ხორცამდე.—  
 (შემოდის სხვა შიკრაგა)

შენ რაღას იტყვი?

**შეორე შიკრაგა.** შენი ცოლი გარდაიცვალა.

**ანტ.** სად მოჰხდა ეგე?

**შეორე შიკრაგა.** სიკიონში. აი აქედან  
 შეიტყობ ყველას, რის გაგებაც საჭირო არის  
 და ან რით იყო იგი ავად. (წერილს აძლევს)

**ანტ.** კარგია, წადი.—

რა დიდებული სული თვის გვაშს განშორებია!  
 მე კი ვნატრობდი ამ ამბავსა. ხშირად მოხდება,  
 რომ დაბრუნება გვწადის ჩვენგან უარ-თქმულისზე  
 და სიხარული მეტის-მეტად აღტყინებული  
 აქარწყლებს თვითვე თვის ბუნებას. რაკი მომშორდა,  
 ძვირფას ქმნილებად გადაიქცა იგი აწ ჩემთვის  
 და სიცოცხლეს მას სიხარულით დავუბრუნებდი.  
 თუ რომ ამ გრძნულ დედოფალსა არ გავეყარე,  
 ეს უსაქმობა ათასს ბოროტს შემამთხვევს კიდევ,  
 ჩემთვის ჯერ უცნობს და უხილავს.—ჰე, ენობარბოს.

(შემოდის კნობარბოს)

ენობ. რა გნებავს, ბატონო ჩემო?

ანტ. მინდა საჩქაროდ აქედან წავიდე.

ენობ. მაშ აქაურ ქალებს ბარემ ყელეები დავეკრათ. ცოტა რომ გულგრილად მოვექცეთ, თავს იკვლენ და ჩვენი წასვლა ხომ ერთიანად ამოჰხოცავს.

ანტ. უნდა წავიდე-მეთქი.

ენობ. თუ მართლა წასვლა საჭიროა, რა ეუყოთ, დაიხოცნენ, მაგრამ უბრალო საქმისთვის კი ნუ გაეწირავთ, ცოდონი არიან. ესეც კი მართალია, რომ ცოტა მძიმე საქმესთან შედარებით დედაკაცი უბრალო რამ არის. კლეოპატრა, ყურს მოჰკრავს თუ არა ამ ამბავს, მაშინვე სულს დაღვეს. მე ბევრჯერ მინახავს მკვდარი ბევრად უფრო მცირე მიზეზით. თითქო სიკვდილში რაღაც ცხოველი ძალაა და ამ ძალას ტრფიალებით ეარშიყებაო, ისე ეხალისება სიცოცხლესთან გამოსალმება.

ანტ. ენით აუწერელი თვალთმაქცია.

ენობ. არა, ბატონო. ყოველი ენება მასში ნამდვილი სიყვარულის წმინდა ნაწილია. იმის ოხვრასა და ცრემლს ოხვრა და ცრემლი არ უნდა ერქვას: ეს არის საშინელი ავდარი და უძლიერესი ქარიშხალი, რომლისთანა კალენდრებშიაც არა სწერია. ეს თვალთმაქცობა არ არის და თუ არის, იკი იუბიტერსა მზგავსებია და წვიმა-ავდარიც იმის ხელთა ყოფილა.

ანტ. ნეტავი ჩემს დღეში მე ის არ მენახა.

ენობ. მაშ უუსაკვირველესს ქმნილებასაც ვერა ნახავდი, ვერ დასტკებოდი მასთან ყოფნით და შენი მოგზაურობაც ფუჭი იქნებოდა.

ანტ. ფულვია მომკვდარა.

ენობ. ბატონო ჩემო!

ანტ. ფულვია მომკვდარა-მეთქი.

ენობ. ფულვია?!

ანტ. ჰო, მომკვდარა.

**ენაბ.** ღმერთებს მაშ მადლობის მსხვერპლი შესწირე. როცა ისინი კაცს ცოლს ართმევენ, ნუგეშად მკერვლებზე მიუთითებენ ხოლმე. მკერვლებს გაცვეთილი ტანისამოსის მაგივრად ახლის შეკერვა შეუძლიანთ. ფულეიას გარდა რომ ქვეყანაზედ დედაკაცი არ იყოს, მაშინ დიდი დანაკარგი იქნებოდა და გლოვა-ტირილიც გმართებდა. ეხლა კი მწუხარებას ნუგეში ავვირგვინებს. ქალის ძველი პერანგისა ახალი ქვედატანი გამოაქრევინე და მაკ დარდის გასაქარვებელი ცრემლები ერთ თავ ხაზში მონახე.

**ანტ.** მისგან დაწყებული საქმე ჩემს იქ ყოფნასა თხოულობს.

**ენაბ.** და შენგან აქ დაწყებული საქმე უფრო არა თხოულობს შენს აქ ყოფნასა, მეტადრე კლეოპატრას საქმე, რომელიც უშენოდ არ გარიგდება.

**ანტ.** დაეხსენ მსუბუქ ლაპარაკსა. შეატყობინონ ჩვენი განზრახვა ჩვენს ოფიცრებს. მე თვით ავუხსნი დედოფალს ეხლა წასვლის მიზეზს და ნებას მოვთხოვ. მე ძალას მატანს არა მარტო ცოლის სიკვდილი და ზედ დართული სხვა მიზეზი, არამედ იგიც, რომ წერილებით ბევრი ჩემნი დარბაისელნი მეგობარნი რომს მიმიწვევენ. სექსტ პომპეოსი შებშია თურმე კეისარსა, ზღვებს მთლად მფლობელობს და ჩვენი ხალხიც ჩვეულებრივ დაუდგრომელი ღირსეულ კაცსა სიკვდილს შემდეგ აფასებს ხოლმე და ეხლაც ღიდის პომპეოსის პატივ-ღირსება შეილზედ გადმოაქვს. ამ სახელით გამაყებულს მალლა უჭირავს თურმე თავი, ვით პირველ სარდალს და, თუ დროზედ არ შევაჩერეთ, ქვეყნიერებას შიში მოეღის. მრავალი რამ მომხდარა კიდევ, რაც ცხენის ძუის მსგავსად თურმე მოძრაობს მხოლოდ და გველივით კი ჯერ ვერ შხამავს. უთხარი-მეთქი ჩემთა ხელქვეითთ, რომ წასვლა მსურს.

**ენაბ.**

ენლაფ, ბატონო. (გადიან).

ს უ რ ა თ ი III

იგივე ქალაქი. სხვა ოთახი კლეოპატრას სასახლეში.

(შემოდინა კლეოპატრა, ქარმიანა, ირას და ალექსას)

კლეოპ. სად არის იგი?

ქარმ. მე მასუკან აღარ მინახავს.

კლეოპ. წადი, მოსძებნე, ისიც ნახე, ვინ არის მასთან, ან რას აკეთებს. ეს იცოდე, მე როდი გგზავნი. თუ მოწყენილი იყოს, უთხარ, რომ მე ვცეკვაობ, თუ მხიარული, შეიქმნა-თქო უცებ ავადა. წადი და ისევ მალე მოდი. (ალექსას გადის.)

ქარმ. ბატონო ჩემო, თუ მართლა გიყვარს და ისიც გსურს, იმას უყვარდე, აგრე არ უნდა ეპყრობოდე.

კლეოპ. მაშ რა უნდა ვქმნა და არ ჩაედივარ?

ქარმ. ნუ უხდები წინააღმდეგი, თავი ანებე, რაც უნდა ჰქმნას.

კლეოპ. ეგ სულელური რჩევაა სწორედ. აგრე ქცევით ხომ სულ დაგვარგე.

ქარმ. მოთმინებას ნუ გამოუღევე, შენ თვით ითმინე; რაც კი გვაშინებს, ხშირად ბოლოს გვძულდება ხოლმე. აგერ თვით იგიც.

კლეოპ. შეუძლოდ ვარ, სევდა მომაწვა. (შემოდის ანტონიოს)

ანტ. არ ვიცი, როგორ მოვახერხო, ვით გაეუშეღავნო.

კლეოპ. ოჰ, ქარმიანა, მიშველე რამ, ლამის წავიქცე, ვერა ბუნება ვერ გაუძლებს ამდენს გასაჭირს.

ანტ. ჩემო ძვირფასო დედოფალო!

კლეოპ. ახლო ნუ მოხვალ.

ანტ. რაო, რა იყო?

კლეოპ. გატყობ, გატყობ, თვალეზში გატყობ,  
 კარგი ამბავი რამ მოგსვლია. რას გწერს ცოლი ქმარს?  
 უნდა წახვიდე. ოპ, ნეტავი აქ მოსვლის ნება  
 შენთვის არას დროს არ მოეცა. ნუ ათქმევინებ,  
 ვითომ აქ გიქერ, აბა მაგის ძალა სადა მაქვს,  
 შენ იმისი ხარ, მთლად იმისი.

ანტ. ღმერთთა იციან...

კლეოპ. ამ სახით არც ერთ დედოფლისთვის არ უმუხთლიათ,  
 მაგრამ პირველშივე მე ლალატსა ცხადად გატყობდი.

ანტ. ოპ, კლეოპატრა!

კლეოპ. არა, სიდან წარმოვიდგინე,  
 ჩემი ერთგული იქნებოდი, თუნდ თვითონ ღმერთნი  
 საშინელ ფიცით შეგერყია მათ ტრაპეზებზედ!  
 შენ არ უმტყუნე ფულვიასა? უქკობა,  
 კაცი გაებას იმ ფიცის და აღთქმის ბადეში,  
 რაიცა იშლება და იბნევა წარმოთქმის უმაღ.

ანტ. სულზე უტკბესო დედოფალო!

კლეოპ. მიზეზს რად ეძებ,  
 წადი პირდაპირ, რისთვის ხარჯავ უბრალოდ სიტყვებს?  
 ეგ მაშინ იყო საჭირო, როს ითხოვდი ნებას  
 აქ დარჩენისას. ოპ, მაშინ ხომ ციური ნიჭი  
 ამოძრავებდა ყოველ ჩემ ნაკვთს, ჩემ ტუჩ-თვალეზში  
 ისახებოდა საუკუნო ცხოვრების ხატი  
 და ნეტარებით დაჰხაროდი ამ მოხრილ წარბებს.  
 მე იგივე ვარ, რაც ვიყავი, ან შენ გარდიქეც,  
 უუდიდესი მეომარი მთელ ცის-ქვეშეთში,  
 უუძლიერეს ცრუპენტელად.

ანტ. აბა, რას ამბობ!

კლეოპ. შენი ძალ-ღონე მომცა ნეტა, გაგრძნობინებდი,  
 რომ ეგვიპტეში ჰფეთქავს კიდეც ამაყი გული.

ანტ. გთხოვ, მომისმინო, დედოფალო: საჭიროება  
 მიმიწვევს სხვაგან ცოტა ხნითა, მაგრამ ეს გული

მთლად და სრულიად შენთან რჩება. ჩვენი ქვეყანა პრიალებს თურმე ძმისგან ძმაზედ მოქნეულ ხმლებით და რომის კარებს სექსტ პომპეოს უახლოვდება. თანასწორობა ორისავე მელმარ მხარის ჰბადებს საშინელს, სამარცხვინო შფოთს, ხოცვა-ჟლეტას და მოძულეებულთ რაკი ეხლა ღონე მოიციეს, ხალხის სიყვარულს თან იძენენ. ბევრნი არიან კიდევ ისეთნი, რომელნიც ამ ჟამთა ტრიალში სასურველს გზასა ვერ დაადგნენ და იმათ გულთან ჩუმად იკეთებს განდევნილი პომპეოს ბუდეს მამის სახელით მოქადული, თითქო მშვიდობას, დასწეულბუდეს მყუდროებით, სურს განიწმინდოს რაიმე საშიშ ცვლილებითა. თვით მე კი კერძოდ სხვა მაქვს მიზეზი, რაც შენს თვალში უფრო ბოდის მხდის, მე ვამბობ სიკვდილს ფულვიასას.

**კლეოპ.** თუ წლოვანებამ  
 ქვეა არ შემძინა, ბავშვი მაინც ხომ აღარა ვარ.  
 განა ფულვია მოკვდებოდა?

**ანტ.** სწორედ, მომკვდარა.  
 აი წერილი, მით შეიტყობ, როს დრო გექმნება,  
 რომდენი შფოთი, უწესობა მოუხდენია  
 და ბოლოს როგორ, ან რა ადგილს მომკვდარა იგი  
 ჩვენდა ნუგეზად და საამოდ.

**კლეოპ.** ვაშ, ცრუ სიყვარულს!  
 მაჩვენე, აბა, სად არის ის წმინდა ფიალა,  
 რომელიც უნდა მოზღვავებულ ცრემლით გაგვესო?  
 ეხლა კი ვხედავ, ვხედავ კარგად მაგ მაგალითით,  
 ჩემის სიკვდილის ამბავსაც თუ ვით დაუხვდები.

**ანტ.** ნუ მიჯავრდები, მოისმინე ჩემი განზრახვა,  
 რასაც სრულიად შეგუთანხმებ შენს რჩევა-სურვილს.  
 ვფიცავ იმ ცეცხლსა, რაც ნილოსის ღამს აცხოველებს,  
 უნდა მიგულო შენს ხელქვეით ყურ-მოჭრილ მონად:  
 გსურს და ვიომებ, გსურს, ქვეყანას მოვფენ მშვიდობას.



- კლეოზ.** გამხსენ ზორანი, ქარმიანა! დაე, დაეხსენ.  
ხან ავადა ვარ და ხან კარგად. ანტონიოსის  
სიყვარულს ვბაძავ თითქო ამით.
- ანტ.** უძვირფასესო,  
ენდე სრულიად ამ სიყვარულს და გამოსცადე,  
რა გზითაცა გსურს.
- კლეოზ.** აგერა ვცდი თვით ფულგიაზედ.  
იქით მიბრუნდი, დააბნიე მის გამო ცრემლი  
და სთქვი, ეგვიპტეს რომ ვშორდები, მისთვის ვტირი-თქო.  
რალას უყურებ, ითამაშე ერთ-ერთი სცენა  
თვალთმაქცობისა, წრფელი სახე მიიღე უცბად.
- ანტ.** კარგია, კმარა, ნუ მაცხარებ.
- კლეოზ.** მე უკეთესის  
იმედი მქონდა; მაგასაც კი არა უშავს-რა.
- ანტ.** ამ ხმალსა ვფიცავ...
- კლეოზ.** სთქვი, ფარსაცა, აგრე კარგია,  
თუმცა უმჯობესს ველი კიდევ.—ერთი შეჰხედე,  
შეჰხედ-მეთქი, ქარმიანა, რომის ჰერკულესს,  
როგორ უხდება მრისხანება.
- ანტ.** მაშ მოგშორდები.
- კლეოზ.** ბატონო ჩემო, სიტყვა მაქვს რამ შენთან სათქმელი:  
უნდა გავშორდეთ ჩვენ ერთმანეთს... არა, ეს არა.  
ჩვენ ერთმანეთი ხომ გვიყვარდა... არა, არც ესა,  
ისედაც კარგად იცი ეს შენ... რის თქმა მინდოდა?..  
რა გულ-მავიწყი გაეხდი მზგავსად ანტონიოსის  
და დავავიწყდი თვით მეც ყველას.
- ანტ.** რომ არ ვიცოდე,  
შენს ძლიერებას უქკუობაც ემორჩილება,  
მაშინ შენ თითონ უქკუობა მეგონებოდი.
- კლეოზ.** მართლაც ძნელია უქკუობამ გულთან ალაგი  
დაიღოს ისე, როგორც აი ამ გულთანა აქვს.—  
გთხოვ მაპატიო! ჩემი ქცევა როცა არ მოგწონს,  
მევე სულს მართმევს, იქ მიგიწვევს მოვალეობა

და ნუ მოჰხედავ ჩემს სიგიჟეს, ყურს ნუ მათხოვებ. გიძლოდენ ღმერთნი ყველა ერთად, დაფნის გვირგვინით შემკობილ გექმნას ხმალი ნიშნად გამარჯვებისა და წარმატება ფიანდაზად წინ გაგფენოდეს.

**ანტ.** გშორდები, მაგრამ არც გშორდები... რჩები შენ აქა და მოჰფრინავ კი გულით ჩემთან. მე თუმც მივდივარ, მაინც მუდამ აქ, შენთანა ვარ. აბა წავიდეთ (გაღიან).

## ს უ რ ა თ ი IV

რომი. ოთახი კეისრის სასახლეში.

(შემოდიან **ექტავიოს კეისარი, ლეზიდოს და მხაქებელი**)

**კეისარი.** აი, აქედან დაინახავ, ლეზიდოს, კარგად, (წერილს აძლევს), რომ კეისარსა არ სჭირს ჭირად მოცილეობა და სიძულვილი მოცილესი. ალექსანდრიით იწერებიან ამ ამბებსა: — „თევზაობს, ლოთობს, „ღამეს დღედ აქცევს, არ ასვენებს თვით ცის მნათობთა, „გაქალაჩუნდა, ვაჟკაცობას გამოესალმა „და ეჯიბრება კლეოპატრას დედაკაცთ ზნეში. „არცკი ათხოვა კარგად ყური თქვენ გამოგზავნილთ „და ამხანაგნი რომ ჰყავს სადღაც, აღარც ის ახსოვს. „რაც აღმიიანთ გვარში ნაკლი მოიპოვება, „დაბუდებულა მასში ყველა.“

**ლეზიდოს.** მაინც არ ეგონებ, წუნმა დაჰფაროს ყოველივე იმის სიკეთე. მისი ნაკლი ჰგავს ცაზედ მიკრულს ბრწყინვალე ლაქას, რაიც თვალსა სჭრის უფრო ღამის სიწყვლიადეში. მას ეგე ნაკლი ბუნებითვე შეუძენია და მოშორება სამწუხაროდ მის ხელთ არ არის.

**კეისარი.** შენ მეტად ხარობ. ნუ დაეძრახაეთ თუნდა იმისთვის, რომ პტოლომეის სარეცელში ურცხვად გორაობს,

რომ ერთის წამის ქეიფისთვის სახელმწიფოებს  
 ჯილდოდ არიგებს და მონებთან ატარებს სმით დროს,  
 დახეტილობს ქუჩა-ქუჩა დღის სინათლეზედ  
 ოფლით მყრალ ხალხთან, დუქან-ბაზარს ფეხითა სთელავს,—  
 უხდება იმას, ვთქვათ, ეს ყველა, თუმც უცნაური  
 აგებულება უნდა ჰქონდეს, რომ ამ ამბებსა  
 უვნებლად მოიჩქეს, — მაგრამ როგორ მოიხდის ბოდისს,  
 რაკი იმისი სიმსუბუქე ჩვენ ასე გვავენებს?!  
 თავისუფალ დროს დასდოს თავი გარყვნილებაზედ,  
 ძვლებიდან ტვინი ამოიშროს, რაც უნდა, ის ჰქმნას,  
 მაგრამ თვის ქეიფს სწირავს იგი თვითონ იმ დროსაც,  
 რაც საქმისათვის საჭიროა და სირცხვილში გვეყრის  
 თავისთან ერთად ჩვენ ორივეს. გასაკიცხია  
 ისე, ვით ვკიცხავთ ხოლმე ჰაბუკათ ჰკუით მოწიფულთ,  
 მაგრამ უგონოდ გატაცებულთ დღეის სიამით.

(შემოდის შაკრაკია)

ლკმ. კიდევ ახალი რამ ამბავი.

შაკრ.

შენი ბრძანება

ასრულდა, დიდო კეისარო. საათში ერთხელ  
 რაც რამ მოხდება, გაცნობებენ. ზღვაზედ ჰომბეოს  
 გამაგრებულა და იგი მათ შეჰყვარებიათ,  
 ვისაც კეისრის შიში ჰქონდა. ნავთ-სადგურებთან  
 მისწრაფიან მომღურაფნი თქვენნი და ხალხი  
 იძახის თურმე უსამართლოდ შეურაცხ-ჰყვესო.

კეის. ეგ აგრე უნდა ყოფილიყო. დასაბამითვე

ვიცოდით: იგი გვინდა გვეავდეს, ვინც კი არა გვეყავს,  
 მოძულეებული და არც ღირსი სიყვარულისა  
 ძვირფას ქმნილებად გარდიქცევა, რა ვეღარ ვხედავთ.  
 ხალხი ჰგავს სწორედ მიმომავალს ზღვაზედ იალქანს,  
 რაიც ცვალებადს ზვირთებს იმდენს მიჰყვებ-მოჰყვება,  
 ვიდრე დაღებება და იქცევა ნაკუწ-ნაკუწად.

შაკრ. აი კიდევ რას მოგახსენებ, ბატონო ჩემო:

ძლიერ მეკობრეთ, მენეკრატესს და მენასს თურმე

ზღვა ერთიანად დაუპყროით; მათი გემები  
 სხვა-და-სხვა გვარნი თავისუფლად მიდი-მოდიან  
 და იტალიის ქვეყნებს ბევრგან დასხმიან თავსა.  
 ნაპირის ერთი შიშით თრთიან იმათ წინაშე,  
 ახალგაზღობა დრტვინავს თურმე; ვერა ხომალდი  
 ველარა ბედავს ცურვას მათგან შეპყრობის შიშით  
 და თვით აშკარა ომზედ უფრო მეტს თავზარსა სცემს  
 მარტო სახელი პომპეოსის.

კეის.

ოჰ, ანტონიოს!

დაეხსენ ემაგ ფუფუნებას, მაგ გარყვნილებას.  
 არ გახსოვს, ერთხელ მოდენადან როცა განგდევნეს,  
 სადაც კონსულნი ჰირციოს და პანსა დახოცე!  
 უკან შიმშილი მოგდევდა შენ, ნებიერად აღზრდილს  
 და ამ საშინელს მტერს ებრძოდი მოთმინებითა  
 ნადირ-ხალხთათვის საძნელოთი; სვამდი ცხენის შარდს,  
 დახავსებულის, ყვითლად მზინავ წუმპის წყალს სვამდი,  
 რასაც პირუტყვნი ზიზლით არც კი ეკარებოდნენ,  
 ჰგემობდი ტყის ხილს მკვახეს, მაგარს, ყოვლად უფარგის  
 და ვით ირემი, როცა თოვლი საძოვარს ჰფარავს,  
 ხეს ქერქს აფცქენიდი. ალბის მთებზედ შენ გიჭამია  
 ისეთი ხორცი უცნაური, რომლის ნახვაზედ  
 გულს ეყრებოდათ დამშეულთ და იხოკებოდნენ;—  
 და ეს ყოველი,—უნდა გწყინდეს, ეხლა რად ვამბობ,—  
 აგიტანია, როგორც ჰფერობს მამაც ჯარის-კაცს  
 და ოდნავაც არ დაგტყობია ტანჯვა სახეზედ.

ლემ. საბრალისია სწორედ იგი!

კეის.

ნეტავი ძალა

სირცხვილმა მაინც დაატანოს და რომს მოვიდეს.—  
 ორნივ გავიდეთ ლაშქრად ეხლავ და ამისათვის  
 შეეყაროთ ფიცხლად რჩევა, თორემ ჩენი უქმოზა  
 გააძლიერებს პომპეოსსა.

ლემ.

ხვალ მე გაცნობებ,

თუ რამდენს ლაშქარს გამოვიყვან ზღვაზედ, ან ხმელზედ

ამ ომისათვის.

ქ. მ. მ. მეც აგრეთვე ვიანგარიშებ.

მწიფლობით იყავ.

ქ. მ. მ. შენც მწიფლობით. თუ სცნა ამბავი

გარეული რამ, გთხოვ, მეც ყველა შემატყობინო.

ქ. მ. მ. რა თხოვნა მინდა, ვალი მიწვევს, აგრე მოვიქცე. (გაღიან).

## ს უ რ ა თ ა V

ალექსანდრია. ოთახი კლემენტრას სასახლეში.

(შემოდინ კლემენტრა, ქანძიანა, არას და მარდიან)

კლემ. ქარმიანა!

ქანძ. რა, დედოფალო?

კლემ. გთხოვ, მანდრაგორა  
დამალევიანო.

ქანძ. რაღა გნებავს?

კლემ. მსურს, სულ მეძინოს,  
ვიდრე ჩემს სატრფო ანტონიოსს კვლავ შევეყრები.

ქანძ. მეტად ბევრს ჰფიქრობ შენ იმაზედ.

კლემ. ის მოლალატე  
არ არის, განა?

ქანძ. არა, ვგონებ.

კლემ. შენ, საჭურისო  
მარდიან, აქ მო.

მარდ. რა სურს შენსა დიდებულებას?

კლემ. არ მსურს, იმდერო; ან კი, აბა, საჭურისისგან  
რას მოვისურვებ! ოჰ, მარდიან, ბედნიერი ხარ,  
რომ მოკვეცილი გრძნობას ფიქრით ვერ გაპტრინდები  
ეგვიპტის გარე. სიყვარულის რამ გაგეგება?

მარდ. რატომაც არა, დედოფალო.

კლემ. მართლა?

მარდ. რას ბრძანებ!

შენგან არ მიკვირს, მართლა ვინ რას გამაგებინებს. უმანკოებას ვერ ვუმუხთლებ, მაგრამ მაინც კი არ შიყობა მსურს და თვალ-წინ სულ ის მებლანდება, მარცხ ვენერას ვით ეტრფოდა.

**კლეოპ.**

ოჰ, ქარმიანა,

სად უნდა იყოს იგი ეხლა, ნეტა ვიცოდე!  
 ზის, ფეხით დადის, თუ ცხენითა? რა ბედნიერი არის ის ცხენი, ანტონიოს მას ზურგზედ უზის.—  
 თავმოწონებით გმართებს იყო, იცი, ვინ დაგყავს? თვით ატლასის მთა, მაღლა ზეცას აყუდებულო, კაცთ ნათესავის მუზარადი, მარჯვენა ხელი.  
 აჲ, მესმის, ის ამბობს ეხლა, ნეტა სად არის ჩემი ასპიტი,—აკი ასე მიწოდებს ხოლმე.—  
 ოჰ, რა ტყუილად ვიწამლავ თავს ტკბილ საწამლადავით. ჩემზედ იფიქრებს იგი ეხლა?! შავად დამწვარვარ მზისა შექთაგან, სახე ღრმად დამნაოქვბია; ვის რად უნდივარ! ოჰ, მაშინ კი, მაშინ სხვა ვიყავ, როს შეუბლ-გაშლილი კეისარი ცოცხალი იყო და აქ მეწვია, საკადრისი ვიყავ მეფეთა; მაშინ თვით დიდი პომპეოსიც შეჩერდებოდა, ამ ჩემს თვალ-წარბში მოსძებნიდა თავის სადგურსა და მოკვდებოდა უკვდავებას მიულწვეელი.

(შემოდის ალექსანს).

**ალექს.** დიდხანს იცოცხლე მეუფეო ეგვიპტისაო.

**კლეოპ.** მარკ ანტონიოსს შენ ვერ ჰგავხარ, მაგრამ იმასთან რაკი ყოფილხარ, დაგფერავდა თვის ბრწყინვალეობით. მითხარ, რას სჩადის, როგორ არის ჩემი ხელმწიფე?

**ალექს.** უკანასკნელი მისი საქმე იყო, რომ ესე აღმოსავლეთის მარგალიტი მთლად გადაჰკოცნა და რაც დაურთო კოცნას სიტყვით, გულს მიმარხია.

**კლეოპ.** მაშ ამ ყურებით ამოგაძრობ გულიდან სიტყვებს.

**ალექს.** „აი, რას გეტყვი, მეგობარო,“ მიბრძანა იმან, „მოახსენე, რომ ლოკოკინის იმ ძვირფასს განძსა

„ეგვიპტის მფლობელს უგზავნის ძღვენად რომის სარდალი,  
 „რომ ამ მცირე ძღვენს ბოდის მოეხდის; იმის მდიდარ  
 „მრავალ სამეფოს დავუმონებ და თვის პატრონად, [ტახტს  
 „თვის მბრძანებელად იწამებს მთლად აღმოსავლეთი.“  
 მასუკან თავი დამიქნია და ზე მოახტა  
 დარახტულ მერანს, რაიც მოჰყვა ხმა-მალლა ჭიხვისს,  
 ისე რომ ჩემი ლაპარაკი დაახშო სრულად.

**კლეოპ.** შეწუხებული იყო იგი, თუ მხიარული?

**ალექს.** არც მხიარული, არც მწუხარე იმ დროის მზაკვსად,  
 რაც ცხელ ზაფხულის და ცივ ზამთრის შუა ხოლმე.

**კლეოპ.** ოჰ, ქარმიანა, დაუყვირდი იმის გუნებას;  
 კაცი ასეთი უნდა იყოს: „არც მწუხარეო“,  
 ვინ მიაწვდენდა მაშინ სხივთა მის მოტრფიალეთ!  
 „არც მხიარული“, თითქო ყველას ეუბნებოდა,  
 რომ ჩემს სიხიარულს ეგვიპტეში გამოვესალმე.  
 ორივე, არცე რაი, რა ციურთა გრძნობათ ნასკვია.  
 შეწუხებული იყო გინდა, გინდ მხიარული,  
 ორივე გშვენის ისე, როგორც არც ერთ სულიერს.—  
 არ შეგხვედრია ჩემნი კაცნი?

**ალექს.** ოცამდე შემხვდა.

რად საჭიროებ, დედოფალო, მაგდენ შიკრიკსა?

**კლეოპ.** თუ დღე გავა და ანტონიოსს წერილს არ მივწერ,  
 გლახადმცა იყოს ყველა იმ დღეს დაბადებული.—  
 საწერ-კალამი, ქარმიანა!—მშვიდობით, წადი,  
 ჩემო ალექსას.—ქარმიანა, ერთი ეს მითხარ,  
 ასე მიყვარდა კეისარი?

**ქანძ.** ოჰ, კეისარი

ძლიერი იყო.

**კლეოპ.** მაგ თქმისათვის ჭირმა დაგაღრჩოს!  
 გიბრძანებ ასე სთქვი, ძლიერი ანტონიოს-თქო.

**ქანძ.** მამაცთ-მამაცი კეისარი!

**კლეოპ.** იზიდას ვფიცავ,

ცემით სისხლს გადენ კბილებიდან, თუ კვლავ გაბედავ  
 და შეადარებ კეისარს ჩემს გამირს ანტონიოსს.

**ქაშმ.** მე შენს სიმღერას, დედოფლო, მხოლოდ ბანს ვაძლევ.

**კლეოპ.** ეგ სიყმაწვილის ქამი იყო, ქვეა არ მიჭრიდა  
 და გულ-ციობით მომდიოდა მაგ სიტყვების თქმა. —  
 რაღას უყურებ, მომეც ჩქარა საწერ-კალამი,  
 წავიდეთ მალე, კაცი უნდა ვგზავნო მუდამ დღე,  
 თორემ გავაწყობ ეგვიპტეში კაცთ სახსენებელს. (გადიან)

**მეორე მოქმედება**

**ს უ რ ა თ ი I**

მესინა. ოთახი პომპეოსის სახლში.

(შემოდინ **პომპეოს**, **მენეკრატეს** და **მენას**)

**პომპ.** თუ სამართალი უჭრას ღმერთებს, ჩვენებრ მართალთა  
 უნდა შეწყენა.

**მენეკრ.** ეს იცოდე, ღირსო პომპეოს,  
 დაგვიანება როდი ნიშნავს უარის თქმასა.

**პომპ.** ვიდრე ვედრებით ვდგავართ მათ წინ, შევედრებული  
 ლამის სრულიად დაგვეღუპოს.

**მენეკრ.** ხშირად მოხდება,  
 უგუნურებით მოვთხოვთ რასმე ჩვენსავ სავენებელს  
 და ჩვენისავე სიკეთისთვის არ გვისრულებენ;  
 განსაცდელს ბრძნულად გვაცილებენ მაათის უარით

**პომპ.** აგრე გვეგონოს. მართლაც ხალხმა მე შემიყვარა;  
 ზღვაც ჩემს ხელთ არის. ჩემი ძალა მთვარეს ჰგავს ახალს  
 და იმედს მაძლევს გული დიდსა, რომ გაივსება.  
 ეგვიპტურ ნადიმთ ანტონიოს გაუტაცნიათ  
 და ომისათვის ვერ მოიცილის. კეისარი კი



ფულებს ჰკრებს თურმე იქ, სადაცა ხალხის გულს ჰკარგავს,  
 ლეზიდ ორივეს პირ-მოთნეობს, ასმენს ქებასა  
 და ქებას ისმენს ორივესგან, მაგრამ არც ერთი  
 იმას არ უყვარს, არც მათ სტკივათ გული იმისთვის.

**მენეკრ.** ბრძოლად მოდიან კეისარი და ლეზიდოსი.  
 ძლიერი ჯარი ჰყავთ თან თურმე.

**შოაძმ.** საიდან იცი?

ეგ ტყუილია.

**მენეკრ.** სილვიოსმა შემატყობინა.

**შოაძმ.** სიზმრად უნახავს. ეხლა ერთად არიან რომში  
 და მიელიან ანტონიოსს.— ოჰ, კლეოპატრა,  
 შენს მიმქრალ ტუჩებს ტრფიალები გრძნება მოჰფინე,  
 მოითილისმე ეგ შეენება, ვნებით მოჰკაზმე  
 და ის გარყენილი დაატყვევე სურვილის ბადით;  
 ამო სასმელით გაუხურე ტვინი და მადა  
 გაუცხოველე შეზავებულ ტკბილ საჭმელებით.  
 დეე, დაღუბონ მის სახელი ჭამამ და ძილმა,  
 ვით ღუპავს ლეთა წარმავალსა თავის ტალღებში...  
 რაო, ვარაიოს? (შემოდის **ჯარაოს**)

**ჯარაოს.** მსურს, გაუწყო სწორე ამბავი:  
 რომს მოელიან ყოველ საათს ანტონიოსსა.  
 რაც წამოსულა ეგვიპტიდან, მეტი ხანია,  
 ვიდრე საჭირო არის ესეთ მგზავრობისათვის.

**შოაძმ.** სხვა უმნიშვნელო ამბავს უფრო ხალხისიანად  
 დავუგდებდი ყურს.— არ მეგონა, მენას, მე სწორედ,  
 რომ ის გარყენილი ამ უბრალო ომის გულისთვის  
 დაიხურავდა მუზარადსა. მის სიძამაცე  
 იმის ამხანაგთ სიძამაცეს ერთად აღებულს  
 ორჯერა მეტობს. ეიამაყოთ იმითი მაინც,  
 რომ ჩვენგან ომში გამოწვევამ ვნებით დამთვრალი;  
 გაუმადლარი ანტონიოს ეგვიპტელ ქვრივის  
 კალთას მოჰგლიჯა.

**მენას.** იმედი მაქვს, რომ კეისარი

და ანტონიოს სიამით ვერ შეიყრებიან:  
 მისმა აწ მკვდარმა ცოლმა ბევრი ავნო კეისარს  
 და ძმამ ხომ ომიც აუტეხა, თუმცა მგონია,  
 თვით ანტონიოსს არ აქვს ბრალი.

ზამბ.

შესაძლო არის,

მენას, რომ მცირე უფოთი დასცხრეს დიდის წინაშე.  
 მათ წინააღმდეგ ჩვენ თუ ბრძოლა არ განგვეზრახა,  
 მოეპოვებათ საკმარისი მიზეზი მისთვის,  
 რომ ერთმანეთსა ასტეხოდნენ; ეხლა არ ვიცი,  
 იქნება ჩვენის შიშით იმათ კავშირი შეჰკრან  
 და დაანებონ თავი ჩხუბსა ერთმანეთ შორის.  
 დეე, ის მოხდეს, რაც ღმერთთა სურთ; ჩვენს მკლავს მი-  
 სიკვდილ-სიცოცხლე მას ჰკიდია. წავიდეთ, მენას. [ვენდოთ,  
 (გადიან)]

## ს უ რ ა თ ა II

რომი. ოთახი ლეპიდოსის სახლში.

(შემოდიან ენობარბოს და ჯეზადეს)

ჯეზ. შენ, ენობარბოს, სწორედ კარგად და ღირსეულად  
 მოიქცეოდი, ჩაგვეგონა შენის სარდლისთვის,  
 რომ სიტკბოებით, მართებულად ელაპარაკნა.

ენობ. მე იმასა ვთხოვ, თავის სახეს არ უღალატოს:

თუ გააჯავრებს კეისარი, იმანაც უნდა  
 ხმა აღიმალლოს მარეხივით, მრისხანედ დახვდეს.

იუპიტერის მადლსა ვფიცავ, ანტონიოსის  
 წვერი რომ მქონდეს ამ ნიკაპზედ დღევანდელ დღისთვის  
 ერთ ბეწვსაც კი არ მოვაკლებდი.

ჯეზ.

საკადრისია

ამისთანა დროს კინკლაობა?

ენობ.

ყოველისფერი

საკადრისია, რაც დროს მოაქვს.

ღებ. წვრილმანმა საქმემ

უნდა დაუთმოს ხომ ალაგი უფრო სამძიმოს.

ენახ. რადა, წვრილმანი თუ მძიმეზედ აღრე მომხდარა.

ღებ. მეტად გულფაცხობ, გთხოვ, ცეცხლში ცეცხლს ნუ შეუ-  
 ანტონიოსი მოდის აგერ. [კეთებ.

(შემოღიან ანტონიოს და გენტიდიოს).

ენახ. და კეისარიც

იქიდან მოდის. (შემოღიან კეისარი, მეტენას და აგრიპას).

ანტ. თუ აქ საქმე კარგად მოვაწყეთ,

შენ, ვენტიდიოს, პართიაში უნდა წახვიდე.

კეის. აგრიპას ჰკითხე, მე, მეტენას, არა ვიცი-რა.

ღებ. კეთილშობილნო მეგობარნო! ჩვენ დიდმა საქმემ

შეგვეყარა ერთად და ნუ გაგვეყრის მცირე მიზეზი.

ტკბილად ერთმანეთს მოვუსმინოთ, თუ რას ვემდურით.

როცა ყვირილით ვცდილობთ წვრილმან შფოთის მოსპო-

[ბას,—

ეს ავადმყოფის მოკვლასა ჰგავს წყლულთა რჩენის დროს.

მაშ გვედრებით, ამხანაგნო, ფრთხილად შეეხოთ

უთანხმოებას, მწარე სიტყვით ნუ ვამწვავებთ.

ანტ. ლამაზად ამბობს. აწ რომ ჩვენის ჯარის წინ ვიდგეთ

და მივდიოდეთ საბრძოლველად, სწორედ მაგ სიტყვით

მას მივმართავდი.

კეის. გილოცავ რომს მშვიდობით მოსვლას.

ანტ. მალლობელი ვარ.

კეის. გთხოვ, დაბრძანდე.

ანტ. ჯერ შენ დაბრძანდი.

კეის. კარგი, დაეჯდები.

ანტ. მე შევიტყე, რომ შენ გწყენია

ზოგიერთი რამ, რაც საწყენი არ იყო, ვგონებ,

და, თუნდ რომ იყოს, შენ სრულიად არ შეგეხება.

კეის. რად გავხდებოდი სასაცილო და რად ვიწყენდი,

მეტადრე შენგან, საწყენი რომ არ ყოფილიყო;

და კიდევ უფრო სასაცილო შევიქნებოდი,  
 რომ გამეკიცხე მისთვის, რაც მე არ შემეძება.

**ანტ.** მაშ ეგვიპტეში ჩემი ყოფნა შენ რას გიშლიდა?

**კეის.** იგი მიშლიდა სწორედ იმდენს, როგორც შენ ჩემი  
 აქ, რომში ყოფნა; მაგრამ თუ კი ქვეშ-ქვეშაობით  
 მახის დაგებას ეცდებოდი ჩემთვის იქიდან,  
 მაშინ თვალ-ყური ეგვიპტეზე უნდა მქეროდა.

**ანტ.** როგორ თუ მახის დაგებასა?

**კეის.** ეხლავ მიხვდები,  
 რომ გაგახსენებ, რაც ამბავი გადამხდა აქა:  
 შენმა მეუღლემ და ძმამ ომი ამიტეხეს მე  
 შენი სახელით და შენთვისვე.

**ანტ.** ძალიან სკდები,  
 თავის საქმეში ჩემს ძმას მე არ გავურევიავარ;  
 გამოვიძიე ეს სარწმუნოდ თვით იმ პირთაგან,  
 ვინც შენვე მომხრედ გარს გეხვივნენ. განა ჩემს სახელს  
 შენის სახელის დამკირებით არას ავნებდა?!  
 ერთი წადილი გვაქვს ორივეს და ვინც შენ გებრძვის,  
 იგივე იბრძვის ჩემს წინააღმდეგ: ეს ყველაფერი  
 უნდა შეგეტყუო ჩემის წინა-წერილებითა.  
 მაინც და მაინც თუ შეოთი გსურს, სხვა რამ მონახე,  
 ეგ მიზეზები მასალად არ გამოგადგება.

**კეის.** გსურს, დამიწუნო მოსაზრება, თვით თავი იქო  
 და საბოდიშოდ რაღაცაებს მიჰკიბ-მოჰკიბავ.

**ანტ.** არა, მერწმუნე. მაგას, აბა, ვით წარმოვიდგენ,  
 ეს არ გესმოდეს, რომ მე შენთან წილ-ჩადებული  
 იმ საქმეში, რის დაღუპვასაც იგი ცდილობდა,  
 ვერ შევხედავდი კარგის თვალთ ჩემის მშვიდობის  
 შემარყვევლს ომს; და ჩემს ცოლს კი რაც შეეხება,  
 ნეტა შეგყარა იმისთანას. თუმცა მფლობელობა  
 მთელ ცის-ქვეშეთის მესამედსა და ატრიალებ  
 შენსავ ნებაზე, მაინც მას ვერ მოარჯულებდი.

- ენოზ.** ნეტა ყველას იმისთანა ცოლები გვეყოლოდა, მაკაცებს ომი დედაკაცებთან მოგვიხდებოდა.
- ანტ.** მოუღრეკელმა და უთმენმა მის ხასიათმა, რასაც არ აკლდა საქმეებში ჩახედულობა, ბევრი წვალემა მოგაყენა, მართალი არის, მაგრამ დაშლა მე რად შემეძლო, რას გავაწყობდი?
- კეას.** მე წერილები მოგიგზავნე ალექსანდრიას მაშინ, როდესაც ქეიფებში გართული იყავ, შენ მათ წაკითხვაც არ აღირსე; ჩემნი შიკრიკნი გამომირეკე და აიგდე მასხარადაც კი.
- ანტ.** შენი შიკრიკი უკითხავად შემომივიარდა, ის იყო, როცა სამს ხელმწიფეს გავუმასპინძლდი და გუნებაზედ არ ვიყავი, ვით ჩვეულებრივ დილით ვარ ხოლმე. მეორე დღეს თვით მოვუწოდე და ეს უდრიდა თითქმის ბოდის. არა, ისევე სჯობს, იმ კაცს დაეხსნა, ის ჩვენს ჩხუბში რა შუაშია!
- კეას.** შენგან დაფიცულს გადახვედი, მე ხომ მაგ ბრალსა ვერავინ დამდებს.
- ჯეპ.** კეისარო, კარგი, დამშვიდდი.
- ანტ.** დაე, ლებიდოს, დაეხსენ, სთქვას. ძვირად მიღირს მე პატიოსნება, რასაც ჩემში ეგ ველარ ჰხედავს. ბარემ განაგრძე, დაფიცულსა ვით გადავედი...
- კეას.** როცა მოგთხოვდი, უნდა რჩევით, ჯარით გეშველნა, შენ ორივეზედ უარი სთქვი.
- ანტ.** დაუდევრობით მომივიდა ეგ მაშინ, როცა ჰკუა-გონება რალაც თილისმამ დამიტყვევა. ამ შეცოდებას შენსა წინაშე აღვიარებ გულის სიწრფელით და ჩემს უფლებას, ძლიერებას მით ნუ ევენება. კიდევ ფულვიას დაუწყია ომი მისთვის, რომ გამოვეტყუე ეგვიპტიდან და მე, უვიცი მიზეზი თვითონ ამ ომისა, ბოდისა ეხდილობ, როგორც შეჭფერის იგი ჩემსა პატივ-ღირსებას.

ლემ. კეთილშობილი სიტყვა არის.

მეგნას.

სჯობს, დაივიწყოთ,

რაც რამ მომხდარა და გახსოვდეთ, რომ აწინდელი გარემოება ითხოვს თქვენგან ერთობა-ძმობას.

ლემ. მეგნას, სწორედ ღირსეული სიტყვაა ეგე.

ენაბ. ან კიდევ შეიძლება ერთიერთმანეთის სიყვარულს ერთმანეთს დაესესხოთ და, როცა პომპეოსზედ ლაპარაკი შეწყდება, ნასესხები უკანვე დაუბრუნოთ. ჩხუბისთვის ყოველთვის იპოვით იმისთანა დროს, როცა საქმე არა გექმნებათ-რა.

ანტ. რომ გაჩუმდე, სჯობს, შენ მეომრად დაბადებულხარ.

ენაბ. მართლა, კინალამ დამავიწყდა, რომ უნდა ჩუმიად იყოს სიმართლე.

ანტ. რადა გელანძღავე, ჩუმიად იყავი!

ენაბ. აი, უსიტყვო შევიქნები, როგორც ქვა და კლდე.

კეის. მომწონს თვით რჩევა, მხოლოდ საქმე შესრულებათ.

ვით დავმეგობრდეთ, როს სხვა-და-სხვა გზისკენ მივიღტვით. მაგრამ რომ იყოს სადმე ჯაჭვი ჩვენი შემკვრელი, კიდით კიდემდე მოვძებნიდი და ვიპოვიდი.

აგრაზა. ნება მიბოძე, კეისარო, ერთის სიტყვისა.

კეის. რაო, აგრიბა?

აგრ. დედის მხრითა გყავს შენ ერთი და, შევენებით სავსე ოქტავია. ძლიერი მარკის ანტონიოსი აწ ქვრივია.

კეის. ჩუმიად, აგრიბა!

რომ გაგიგონოს კლეოპატრამ, დაგსჯის მაგგვარის თავხედობისთვის.

ანტ. კეისარო, დეე, განაგრძოს,

მე ხომ ის ცოლად არ შემირთავს.

აგრ.

რომ საუკუნოდ

დამყარდეს ძმობა, მეგობრობა თქვენ ორთა შორის და მკვიდრ კავშირით დაკავშირდეთ,—ანტონიოსმა ცოლად შეირთოს ოქტავია. იმის შევენებას

სწორედ შეპყრის ქმრად ვაჟკაცი სწორ-უბოვარე,  
 მის სათნოება და სინაზე თვით იღვმენ ენას  
 და ლაღადებენ ხორციელზედ უფრო მეტყველად. [შფოთს,  
 ამ შეუღლებით მოსპობთ ყოველ წვრილმან შუღლს და  
 რაც ეხლა დიდად მიგაჩნიათ; მოსპობთ ყოველ შიშს,  
 უთანხმოების წარმომშობელს და თუ ამ ჟამად  
 სიმართლის ფერს სდებთ თვითონ ქორსა, მაშინ ნამდვილსაც  
 მიიჩნევთ ქორად. სიყვარული ორივესადმი  
 ოქტავიას მხრივ შეგაყვარებთ ჯერ ერთმანეთსა  
 და მერე ყველას გულს მოგიგებთ. გთხოვთ, მომიტევოთ;  
 რაც მოგახსენეთ მე ასეთის კანდიერებით,  
 როდი მომსვლია უცებობით. ვით ვალი მაწევს,  
 წინდაწინვე მაქვს ყოველივე მოფიქრებული.

ანტ. ნეტა რას იტყვის კეისარი?

კეის.

არაფერს, ვიდრე

არ სცნობს ნათქვამი ვით მიიღო ანტონიოსმა.

ანტ. აგრიპას სიტყვას რა ძალა აქვს, თუნდ რომ დაეთანხმდე  
 და ვუთხრა, კარგი, აგრე იყოს.

კეის.

მიიღე იგი,

ვით ჩემი სიტყვა, ვით ჩემი ხმა ოქტავიასთან.

ანტ. რაკი აგრეა, ღმერთთა ნურც კი მაფიქრებინონ

ამ ჩინებულად განზრახულის წინააღმდეგი.

მომეცი ხელი, შევდგეთ მაგ მადლ-ფენილ საქმეს

და ამ დღიდანვე სიყვარულით, ძმურის კავშირით

განვაგოთ ჩვენი ყოველივე განსაგებელი.

კეის. აი, გაძლევ ხელს, გაძლევ დასაც, რომელიც მიყვარს

ისე, როგორც სხვა და არა ძმას არ ჰყვარებია.

კავშირად ექმნას იგი ჩვენ გულთ, ჩვენ სამფლობელოთ

და სიტკბოება ნულარა ჟამს ნუ განგეშორდება.

ლუბ. ამინ, იყავით ბედნიერნი!

ანტ.

არა ვფიქრობდი

ომის დაწყებას პომპეოსის წინააღმდეგა:

მრავალ გზისა ვარ მე იმისგან დავალებული

ამ ბოლო ჟამსაც. ჯერედ უნდა გადაეუხადო  
 ღირსი მადლობა, რომ ცუდად არ მომიხსენიონ  
 და მერე ბრძოლად გამოვიხმო.

**ლკპ.** დრო აღარ გვერჩის;  
 უნდა ეხლავე გავემართნეთ პომპეოსისკენ,  
 თორემ ის თითონ მოგენახავს ჩვენ.

**ანტ.** სად დგას, თუ იცი?

**კეის.** მიზენას კონცხთან.

**ანტ.** რამდენი ჰყავს ჯარი ხმელეთზედ?

**კეის.** მრავალი თურმე, ემატება კიდევ თანდათან  
 და ზღვა ხომ სრულად მის ბრძანებას ემორჩილება.

**ანტ.** ეგ თქმაა მხოლოდ. ჩვენ ვეცადოთ, აბა, საჩქაროდ  
 ურთიერთთანა შეთანხმებას; მაგრამ ვიდრემდე  
 აღვიჭურვოდეთ საბრძოლველად, ბარემ იმ საქმეს,  
 რაზედაც გვქონდა ლაპარაკი, ბოლო მოვულოთ.

**კეის.** სიამოვნებით გეთანხმები. აი, წავიდეთ,  
 ეხლავ ჩემს დასთან წაგიძღვები.

**ანტ.** გთხოვ, წამოხვიდე  
 შენცა, ლეპიდოს.

**ლკპ.** წამოვალ, თუნდა შეუძლოდ ვიყო.  
 (საყვირის ხმა. გადიან **კეისარი**, **ანტონიუს** და **ლკპი**).

**მეგრენ.** კეთილი იყოს შენი ეგვიპტიდან მოსვლა.

**ენკბ.** გამარჯვება, ღირსო მეცენას, კეისრის გულის ამონაქე-  
 რო. შენც გავიმარჯვოს, აგრიპა, ჩემო ღირსეულო მეგო-  
 ბარო.

**აგრ.** გმადლობ, ენობარბოს.

**მეც.** მადლობა ღმერთთა, რომ საქმე ასე კარგად დატრიალდა,  
 მაგრამ, ვკონებ, თქვენ უამისოდაც არა გიჭირდათ-რა ეგ-  
 ვიპტეში.

**ენკბ.** დიდაც რომ არა გვიჭირდა-რა. მთელი დღეები უსირ-  
 ცხვილოდ გვეძინა და ლამეები ჩვენის ნადიმებით გაჩაღე-  
 ბული იყო.

**მეც.** მართალი არის, რომ საუზმისათვის რვა შემწვარი ტახი  
 მოჰქონდათ და სუფრაზედ კი მარტო თორმეტნი ისხედით?



**ქნაბ.** ეგ კიდევ რა! ისე უცნაურად ვატარებდით დროს, ისეთ შესანიშნავ საქმელებსა ვქამდით, რომ ეგ ამბავი ისე არა გამოჩნდება-რა მათთან, როგორც ბუზი არწივთან.

**მეგ.** თუ მართალია, რასაც ამბობენ, დიდებული ქალი უნდა იყოს.

**ქნაბ.** დიდებული და აგრე! შეხვდა თუ არა მარკ ანტონიოსს ციდნოსის მდინარის ნაპირებზედ, მაშინვე იმის გული მოინადირა და დაატყვევა.

**აგწ.** მართლა, პირველად იქ მოსჩვენებია, როგორც მიაშხეს.

**ქნაბ.** მე გეტყვი ყველას: ის ხომალდი, რაშიაც იჯდა, ელავდა წყალზედ, ვით სამეფო ბრწყინვალე ტახტი; წმინდა ოქროსი ჰქონდა ბოლო; ძოწეულ აფრათ სუნნელებათა ნაფრქვევთ თითქო სიო შესტროფოდა; ვერცხლის ნიჩაბნი აყოლებდნენ სალამურის ხმას მათგან მოსმულის წყალის შხაპუნს და შორს ნატყორცნი ტალღა იკვროდა ფიცხლად ერთად და უკან სდევდა, თითქო არშიყი ყოფილიყო ნიჩაბთ ცემისა.

კლეოპატრაზედ რალა გითხრა, ენა ვით ასწერს!

წამოწოლილი იყო იგი საჩრდილობელ ქვეშ, მორთული ოქრო-ქსოვილითა, უბრწყინვალესი ვენერაზედაც, რომლის სახის მოხაზულობით ისე დასჩაგრა ხელოვნებამ თვითონ ბუნება.

აქეთ და იქით მოლიმართა კუბიდონთ მზგავსად ლამაზნი ბავშვნი, ლოყებ ოდნავ ჩაღრმავებულნი მარაოებით უგრილებდნენ სხვა-და-სხვა ფერით, მაგრამ სიგრილვე თითქო უფრო მის ნარნარ ლაწევებს აღატყინებდა და თვით შლიდა თვის ნამოქმედარს.

**აგწ.** ეგ სანახავი ანტონიოსს გააცვიფრებდა.

**ქნაბ.** მისნი მხვეალნი ნერეიდთა მზგავსნი შევენებით თვალ-წარბში ხარბად შესტკეოროდნენ თავის დედოფალს, რომ მის არც ერთი ნიშანი არ გამოჰპაროდათ. ერთიც სახითა სირინოზი საქესთან იჯდა და მის ყვავილებრ ნაზის ველის მიკარებაზედ

გზას უჩვენებდა გემს ბაწარი აბრეშუმისა.  
 წყალის ნაპირებს უცნაური რამ სუნნელება  
 ეფინებოდა ხომალდიდან და მთლად ქალაქი  
 მოგროვილიყო საყურებლად. ანტონიოსი  
 მოედანს იჯდა მარტო ტახტზედ და თავს ირთობდა  
 ჰაერში სტვენით. თვით ჰაერიც სიამოვნებით  
 მიიჭრებოდა დედოფალთან, რომ შესძლებოდა  
 ცარიელ სივრცის დატოვება.

**აკვ.** საკვირველება  
 რამ უნდა იყოს.

**ენობ.** გამოვიდა, თუ არა, ნაპირს,  
 ანტონიოსმა მყისვე ვახშმად მიიპატიჟა;  
 სჯობს, რომ შენ თითონ მეწვიო, შემოეთვალა.  
 და ჩვენმა ზრდილმა ჯართ-უფროსმა, რომლის პირიდან  
 ჯერედ არც ერთ ქალს უარი არ მოუსმენია,  
 წვერი თხუთმეტჯერ გადიპარსა, დაესწრო ნადიმს  
 და სასყიდელში უძღვნა გული თავისი სრულად,  
 თუმც მარტო თვალნი ასაზრდოა იმისი ცქერით.

**აკვ.** ხელმწიფეების ლუკმა არის ეგ უნამუსო.  
 ეგ არ იყო, რომ დიდ კეისარს იმისი ხმალი  
 ჩაადებინა ქვეშსაგებში და გამოიღო  
 ნაყოფი მისგან ნახნავ ველზედ.

**ენობ.** ერთხელ ქვევითი  
 გადაიარა მოედანზედ ოციოდ ბიჯი  
 და შეეხუთა სული მეტის დაღალულობით;  
 მაგრამ ამ წუნმა დაამშვენა ის კიდევ მეტად  
 და ძლიერება გამოსჭვირდა უძლოურ ტანიდან.

**მკვ.** აწ კი სრულიად დანებებს თავს ანტონიოს.

**ენობ.** რა სათქმელია! მას ვერა სცვლის ჟამთა ტრიალი  
 და არც გაცვდება უღვეველთა მის ნიჭთა ძალა;  
 სხვა ქალთ ბუნება გულს უსუყებს, კაცთა სწყინდება  
 და ეგ კი უფრო ამშვეს, რაც მეტს აკმაყოფილებს;  
 რა გარყვნილებაც ჩაიდინოს, მის ვასაკიცხად

არ მოგდევს ენა და თვით მოგვნი შეჩვენების წილ  
 ქებას უძღვნიან.

**მეც.** თუ შევენებას, გონიერებას  
 და კდემა-მოსილს ყოფა-ქცევას ის შეუძლიან,  
 გული და გრძნობა დაატყვევოს ანტონიოსის,  
 ეს ხვედრი სწორედ ოქტავიას შერთვით ერგება.

**აგვ.** დროა, წავიდეთ.—ენობარბოს, სანამ აქა ხარ,  
 გთხოვ, რომ ჩემს სახლში ისადგურო.

**ენობ.** დიდადა გმადლობ.  
 (გადიან).

### ს უ რ ა თ ა III

იგივე ქალაქი. ოთახი კეისრის სასახლეში.

(შემოდინ ანტონიოს, კეისარა, მათ შორის ოქტავია და მხლებელნი)

**ანტ.** ზოგჯერ მოხდება, ქვეყნის საქმემ და ჩემმა დიდმა  
 თანამდებობამ განმაშოროს შენს მკერდსა, სატრფოვ.

**ოქტ.** და მე მთელ იმ ხანს მუხლ-მოდრეკით ღმერთთა წინაშე  
 შენთვის მლოცველი გავატარებ.

**ანტ.** მშვიდობით იყავ,  
 ბატონო ჩემო.—ოქტავია, ამასა გვედრებ,  
 ხალხის ენასა ნუ აჰყვები და ნუ გამკიცხავ.  
 მართალი არის, წამცდენია თუმც ფეხი ხშირად,  
 მაგრამ დღეიდან რიგიანს გზას აღარ გადუხზევ.  
 ჩემო ძვირფასო, გეთხოვები, მშვიდობით იყავ.

**ოქტ.** მშვიდობით, ჩემო ხელმწიფეო.

**კეის.** იყავ მშვიდობით.

(კეისარა და ოქტავია გადიან.—შემოდის მკათხავი)

**ანტ.** რას იტყვი, შენ ეი, ეგვიპტეში დაბრუნება აღარ გინდა?

**მკათხ.** ნეტა არც მე წამოვსულიყავ ჩემს დღეში იქიდან და  
 არც შენ იქ მოსულიყავ.

ანტ. ვითომ რატომ, თუ იცი?

მკათხ. მიზეზს ერთ ვერ აგისსნი, გულითა ვგრძნობ, მაგრამ  
მაინც გირჩევ, ისევ ეგვიპტეში ვაეშურო.

ანტ. ერთი ეს მითხარ, ბედი მაღლა ვის უფრო ასწევს,  
კეისარს, თუ მე?

მკათხ. კეისარსა. ოჰ, ანტონიოს,  
ნუ დაუდგები ახლო იმას. როცა მარტო ხარ,  
ის ანგელოზი, რომელიც შენ წინამძღოლად გყავს,  
დიდებულია, მხნე, მაღალი, შეუდარები,  
მაგრამ მის გვერდით იჩაგრება, საპყარ-ლაჩრდება  
და ამის გამო კიდევ გეტყვი, შორს იყავ მასთან.

ანტ. ეგ აღარსად სთქვა.

მკათხ. ამას მარტო შენ გეუბნები,  
და აღარც ვიტყვი, თუ არ შენთან. რა თამაშშია  
შეეჯიბრები, შენ წააგებ, თუნდა მჯობი იყო  
და თავის ბედის წყალობითა ყოველთვის დაგძლევს.  
მის ვარსკვლავს გვერდით შენს ვარსკვლავსა ბნელი ეფარვის.  
კვლავ გიმეორებ, იმის გვერდით სულით ეცემი  
და რა გშორდება, მხნევდები კვლავ.

ანტ. კარგი, მომშორდი

და ვენტიდიოსს დამიძახე, მინდა ვუთხრა რამ.—

(მკათხაფი გადის).

უნდა გავგზავნო პართიაში.—არ ვიცი, ცოდნით  
მოუვიდა, თუ უცაბედად, მართალი კი სთქვა:  
ყველაში მჯობნის, კამათელიც ემორჩილება  
და ცოდნა ჩემი ვერა სჭირს მის ბედის წინაშე;  
წილის ყრაშია ც იგი იგებს; იმის მამლები  
ჩემებს ადვილად ამარცხებენ, მწყრებიც სჯობნიან,  
თუნდ ჩემნი ბევრით უკეთესნი იყვნენ მისაზედ.  
დროა, წავიდე ეგვიპტეში. ამ ქორწინებით  
თუმცა მშვიდობა მოვიპოვე, სიამოვნება

აღმოსავლეთში უნდა ვძებნო.— (შემოდის კენტიდიოს).

ოჰ, ვენტიდიოს,

მინდა გაგზავნო პართიაში. აბა, წამომყე  
და ჩაიბარე, რაც საქმე მაქვს მოსანდობელი. (გდიან).

### ს უ რ ა თ ი IV

იგივე ქალაქი. ქუჩა.

(შემოდინ ლეზიდოს, მეტენას და აგრძელებს)

ლეზ. ნულარაფერზედ ნულარ სწუხართ, გაჰყევით სარდლებს.

აგრ. მარკ ანტონიოს ესალმება ეხლა თავის ცოლს  
და რომ შორჩება, მაშინათვე გზას გაუუდგებით.

ლეზ. მაშ გესალმებით, ვიდრე ომის საჭურვლით გნახავთ,  
რაც დაგაშვენებთ თქვენ ორივეს.

მეტ. თუ არა ვცდები,  
ლეზიდოს, უნდა შენზედ წინად მივიდეთ მთებში.

ლეზ. თქვენ მოკლედ ივლით, მე კი უნდა გარს მოვუარო.  
ორი დღით აღრე მიხვალთ ბინას.

მეტ. და აგრ. ბატონო ჩემო,  
ვისურვებთ შენთვის გამარჯვებას.

ლეზ. თქვენც გაგიმარჯოთ.  
(გდიან).

### ს უ რ ა თ ი V

ალექსანდრია. ოთახი კლეოპატრას სასახლეში.

(შემოდინ კლეოპატრა, ქანძიანა, ირასა, ალექსას და მხლებელნი)

კლეოპ. მომასმენინეთ მუსიკა რამ. ოჰ, სიყვარულით  
გატაცებულთა საზრდო არის მართლაც მუსიკა,  
თუმცა მომგვრელი თან სევდისა.

მხლებელი.

ეი, მუსიკა!

(შემოდის ქანძიან).

**კლეოპ.** ეხლა აღარ მსურს. ვიბურთაოთ მოდი, ქარმიანა

**ქანძ.** მე ხელი მტკივა, მამდინთან სჯობს ითამაშო.

**კლეოპ.** გინდ საჭურისთან, გინდ ქალებთან მითამაშნია,  
სულ ერთი არის.—რაო, გინდა ჩემთან თამაში?

**მანდ.** რატომაც არა, დედოფალო, თუ კი შეეძლებ.

**კლეოპ.** თუნდ ვერ შეიძლო ხალისისთვის გეპატივება.  
აღარც ეგ მინდა; სათევზაო ჩანგალი მომეც;  
წყალზე წავიდეთ. იქ შორეულ საკრავის ხმაზე  
ბჭყვრიალა თევზებს დაეატყვევებ, მონრილი კავი  
რომ ჩაერჭობა ლორწოიან ლაყუჩებში მათ,  
ზე ამოვითრევ, შევადარებ ჩემს ანტონიოსს  
და მივაძახებ სათითაოდ:—ჰე, დაგიჭირე!

**ქანძ.** გახსოვს, რამდენი ვიცინეთ ჩვენ, როდესაც ერთხელ,  
ვინ უფრო მარჯვედ დაიქერსო, დასდეთ ნაძღვეი,  
როცა მცურავი შენი წყალში ჩაყურყუმელდა  
და მლაშე თევზი წამოუცო ჩუმად ჩანგალზედ?  
როგორ ამაყად ამოიღო ნადავლი წყლიდან!

**კლეოპ.** ის სხვა დრო იყო, სიამის დრო. ჩემის სიცილით  
დავაკარგვინე მოთმინება და იმავ ღამეს  
კვლავ ვაპოვნინე სიცილითავე. მეორე დილას  
ღვინით დავათვერ ქვეშსაგებში და ტანთ ჩავაცვი  
ჩემი სამოსი, მე კი წელზედ მოვირტყი ხმალი  
მისგან ფილიპის ომს ნახმარი.

(შემოდის შიკრაკი)

იტალიიდან

მოდინხარ, განა? ეს ყურები დამშეულია,  
ამიესე ჩქარა ნაყოფიერ საამო ამბით.

**შიკრ.** მე დედოფალო....

**კლეოპ.** ანტონიოს ხომ არ მომკვდარა?  
თუ ამას იტყვი, საზიზღარო, მაგითი მოკვლავ  
შენს დედოფალსაც და თუ მოგაქვს კარგი ამბავი,  
აჰა ეს ოქრო, საკოცნელად აჰა ეს ხელი,  
მშვენიერებით გამჭვირვალი; მას თვით მეფენი  
მოწიწებითა ემთხვეოდნენ, სურვილით თრთოდნენ.

შაკრ. ის მოსვენებით იმყოფება.

კლეოპა. ჰა, კიდევ ოქრო!

მაგრამ ეს მითხარ, რას ეძახი მოსვენებასა?  
მკვდარზედაც აგრე ვამბობთ ხოლმე. თუ ეს გაქვს აზრად,  
ეხლავ მაგ ოქროს გადავადნობ და შიგ ჩავასხამ  
აეყია პირში.

შაკრ. დედოფალო, გთხოვ მომისმინო.

კლეოპა. სთქვი და ყურს გიგდებ, მაგრამ კარგს ვერ გატყობ სა-  
თუ ანტონიოს თავისუფლად, კეთილად არის, [ხეზედ.  
აგრე მწუხარედ რად მაუწყებ საამო ამბავს?  
და თუ კი არა, კაცად რისთვის გამომესახე?  
უნდა ქაჯივით დაგეხურა თავზედ გვირგვინი  
ქრელი გველებით მოკაზმული.

შაკრ. აღარ მომისმენ?

კლეოპა. გალახვა მინდა შენი, ვიდრე იტყოდე რასმე,  
მაგრამ თუ იტყვი, ცოცხალია ანტონიოსო,  
მეგობრად არის კეისართან, არა იმის ტყვედ  
და უვნებელად იმყოფება, ოქროს გაწვიმებ  
და ზედ მოგაყრი თვალ-მარგალიტს.

შაკრ. უვნებლად გახლავს.

კლეოპა. ძალიან კარგი.

შაკრ. და მეგობრად კეისართანა.

კლეოპა. შენ პატროსან კაცსა ჰვავებარ.

შაკრ. ჯერედ არას დროს

არა ყოფილან ერთმანეთთან ასე ტკბილადა.

კლეოპა. ბედში ჩავაგდებ დამერწმუნე.

შაკრ. მაგრამ ეს კია....

კლეოპა. რა მძულს ეგ „მაგრამ“, რაც საამოდ ნათქვამს სრულად  
ფუი მაგ „მაგრამ“-ს, ციხის საზარ დარაჯის მზგავსსა, [შლის!  
რომელიც აგერ საცაა წინ წამოგვიყენებს  
საშინელს რასმე ავაზაკსა. მაინც სთქვი ყველა,  
კარგიც და ავიც ერთიანად ასმინე ამ ყურთ.  
რაო, კეისარს მეგობრობსო, კარგად არისო,

თავისუფლადა.....

შაკრ. „თავისუფლად“ მე როდი მითქვამს.

პირიქით იგი შეკრულია ოქტავიასთან.

კლეოპ. როგორ შეკრული, რა აზრითა, ვამაგებინე.

შაკრ. იმ აზრითა, რომ ლოგინიდან არ გადმოცვივდნენ.

კლეოპ. ხომ არ გადამკრა, ქარმიანა, ფერმა სახეზედ?

შაკრ. ანტონიოსმა ოქტავია ცოლად შეირთო.

კლეოპ. ქირმა და სნებამ წაგიღოს შენ! (სცემს).

შაკრ. რადა კადრულობ,

ბატონო ჩემო?

კლეოპ. რაებს ჰბოდავ, გადი აქედან, (კვლად სცემს)

შე საზიზღარო, თორემ თვალებს ბუდით დაგაძრობ  
 და წინ გავისვრი ბურთებივით; თმას მთლად დაგავლეჯ;  
 (ჩასწვდება თმაში და ზე-ქვე აქანებს).

რკინის ჯაჭვებით გაცემინებ და ნელ-ნელს ცეცხლზედ  
 მარილ-წყალში და ნაცარ-ტუტში ცოცხალს მოგხარშავ!

შაკრ. მე, დედოფალო, თითონ ხომ არ დავაქორწინე,  
 მარტო ამბავი მოგიტანე.

კლეოპ. სთქვი, ვიცრუე-თქო,  
 ოღონდ ესა სთქვი და მთელ მაზრას საყმოდ გაჩუქებ,  
 შენის ბედითა გაამაყებ და მაგ ცემაში  
 გაგიბრი, რაიც მაწყენინე. რას მოინდომებ,  
 რომ დაგიჭირო და არ მოგცე უხვის ხელითა.

შაკრ. ცოლად შეირთო, დედოფალო, ხომ მოგახსენე.

კლეოპ. მოგქარბებია, ავაზაკო, აღბად სიცოცხლე.  
 (დანას ამოიღებს).

შაკრ. რაკი აგრეა, გავიქცევი.—მე რა ბრალი მაქვს,  
 რას მემართლები! (გარბის).

ქანძ. დედოფალო, შემოიკრიბე  
 კკუა-გონება. უბრალოა სრულად ეგ კაცი.

კლეოპ. მეხთა ისარი როდი არჩევს ბრალს და უბრალოს.—  
 დეე, ეგვიპტე მთლად წალეკოს ნილოსის ტალღამ  
 და უბრალონიც გადაიქცნენ შხამიან გველად.—





უხმეთ იმ კაცსა, თუმც გიჟი ვარ, მაგრამ არ ვუყვებო  
აქ უხმეთ-მეთქი.

**ქარბ.** როდი მოვა, მეტად დაშინდა

**კლეოპ.** არაფერს ვაწებ.—

(ქარბიანა ვადის).

ან კი როგორ ვაკადრე ამ ხელთ  
ჩემზედ მცირედის მიკარება, როცა მიზეზი  
თითონ მევე ვარ.—

(ქარბიანა და შაკრია დაბრუნდებიან).

შენ, აქ მოდი! ცუდის ამბის თქმა,  
სიმართლესაც რომ შეჭფეროდეს, არ არის კარგი.  
ამოდ საცნობი თუნდ ათასის ენით აუწყუე,  
ავმა კი თავი თვით იჩინოს, თვით ეგრძნობინოს.

**შაკრ.** მე შევასრულე ჩემი ვალი.

**კლეოპ.** მაშ დაქორწინდა?

თუ კვლავ „ჰო“-ს იტყვი, მაინც მეტად ვერ შეგიძაგებ,  
როგორც აწ მძაგხარ.

**შაკრ.** დაქორწინდა, ჩემო ხელმწიფევე.

**კლეოპ.** დაგწყევლონ ღმერთთა, აღარ იშლი, იმასვე ამბობ!

**შაკრ.** მაშ ტყუილი ვთქვა?

**კლეოპ.** სთქვი, სთქვი-მეთქი, ნუ ერიდები,

თუნდ მით ეგვიპტეს პირზედ წყალი გადაეფაროს  
და გველთა სამყოფ აკლდამებად გარდიქმნეს იგი.  
გადი, მომშორდი! რომ მიიღო ნარცისის სახე,  
მაინც საზარლად მეჩვენები. დაქორწინდაო?

**შაკრ.** გთხოვ, მომიტევე, დედოფალო.

**კლეოპ.** სთქვი, დაქორწინდა?

**შაკრ.** ღმერთთა იციან, შენი წყენა არა მაქვს აზრად  
და რომ დამსაჯო მისთვის, რასაც თვით მათქმევეინებ,  
უსამართლობად ჩაგთვლება. მართალი არის,  
ანტონიოსმა ოქტავია ცოლად შეირთო.

**კლეოპ.** მის დანაშაულს გაუხდინხარ შენც ავაზაკად,  
თორემ ავაზაკს არა ჰგავხარ. კარგია, წადი.

ჩემთვის ძვირია ეგ სავაჭრო, რომით რომ მოგაქვს,  
ზურგთ აიკიდე და ჯანდაბას გარდაიხვეწე.

(შაკრავა გადის).

ქაძმ. გრთხოვ, დედოფალო, მოითმინო.

კლეოპ. ანტონიოსი

ბევრჯერ მიქია, კეისარი მიძაგებია.

ქაძმ. დიალაც ბევრჯერ.

კლეოპ. აი, ეხლა გადამხდა მისთვის.

გთხოვ, წამიყვანო... გული მიმდის... ირას, ქარმიან...

არა მიჭირს-რა... წადი, წადი, ჩემო ალექსას,

იმ კაცს უთხარი, ოქტავიოს სახე გიამბოს,

თუ რა ხნისაა, ან რა ზნე სჭირს; არ დაგავიწყდეს,

თმის ფერი ჰკითხე და მალე აქ მაცნობე ყველა.

(ალექსას გადის).

მაშ მოვიშორო სამუდამოდ? ვერა, ვერ შევძლებ.

იცი, ქარმიან, ცალი გვერდით თუმც გორგონსა ჰგავს,

მეორე გვერდით მარეხია. (მარდიანს) ალექსასს უთხარ,

შემატყობინოს, რა ტანი აქვს, რამ სიმაღლეა.

ოჰ, ქარმიანა, შემიბრალე მხოლოდ სიტყვით კი

ნურათფერს მეტყვი.—ჩემს ოთახში წავიდეთ, მოდით. (გადიან)

## ს უ რ ა თ ა VI

მიზენას კონცხს ახლო.

(საყვირის ხმა. ცალის მხრივ შემოდინან ზემბუქოს და მენას დაფდაფებითა და ბუკ-ნალარით. მეორე მხრიდან კეისარა, ანტონიუს, ლეზიდას, ენობარბოს და მერკენას. უკან ჯარისკაცნი მოსდევენ).

ზემპ. ამანათები თქვენი მე მყავს, ჩემნი თქვენა გყავთ  
და ბრძოლის დრომდე შეგვიძლიან საქმე განვსაჯოთ.

კეის. დიალაცა სჯობს ლაპარაკი გავმართოთ ჯერედ  
და ამისათვის დაწერილი ჩვენი პირობა



გამოგიგზავნეთ. თუ აქამდის გასინჯული გაქვს, გვითხარ, თანხმა ხარ, რომ ქარქაშში ჩააგო ხმალი და სიცილიას დააბრუნო ის ქაბუკები, რომელთ სიკვდილი უამისოდ ელის უწყალო?

**პაძე.** თქვენ სამთ მოგმართავთ ამ დიადის ქვეყნის გამგებელთ, მთელ ცის-ქვეშეთის პატრონთ, ღმერთთა მოადგილეებს: მამა-ჩემს რატომ უნდა აკლდეს სისხლის ამღები, როცა შვილიც ჰყავს, მეგობრებიც, თუ კეისრისთვის თავგამოდებით იბრძოდით თქვენ ფილიპის ახლო, სად მის აჩრდილი კეთილ ბრუტოსს გამოეცხადა? რამ ჩააგონა შეთქმულობა ფერ-მკრთალ კასიოსს, ან რისთვის მორწყეს კაპიტოლი სისხლით ბრუტოსმა, პატიოსანმა რომაელმა და მრავალთა სხვათ, თავისუფლების გულისათვის თავდადებულთა, თუ არ მისთვის, რომ კაცის სახე კაცსავე შერჩეს?! ამავ მაზეზით შევამზადე გემთა კრებული, რაც ოკეანეს ისეთ მძიმე ტვირთად დააწვა, რომ იგი ღელავს გულმოსული, პირზედ ქაფს იგდებს. ამ ძალითა მსურს დავსაჯო ის უმაღლურება, რაიც მამა-ჩემს გაუწია ბოროტმა რომმა.

**კეის.** მაგის დრო არის განა ეხლა?

**ანტ.**

ვერ შეგვაშინებ,

პომპეოს, შენი ხომალდებით: ზღვაზედაც გებრძვით, ვცდით მაგ ძალასა და ხმელზედ ხომ, ეს კარგად იცი, ბევრით ძლიერნი ვართ შენზედა.

**პაძე.**

ოღონდაც რომ ხარ,

რაკი მამა-ჩემს გამოსწირე იმის ქონება.

გუგულიც ბუდეს თავისთვის ხომ არ გაიკეთებს და შენც იქ დარჩი, ვიდრე ბედი და ჟამი გწყალობს.

**ლეშ.** ისა სჯობს, გვითხრა,—ეს სულ მეტი ლაპარაკია,— ჩვენნი პირობა მოგეწონა?

**კეის.**

ღიად, ეგ გვითხარ.



**ანტ.** ნუ გგონია, რომ გთხოვდეთ რასმე, როგორც გიჯობდეს, ისე მოიქეც.

**კეის.** და მეტი თუ მოიწადინო, ისიც იფიქრე, რა მოჰყვება ამ მეტის წაღილს.

**ზოპზ.** სიცილიას და სარდინიას საკუთრად მაძლევთ; ნაცვლად მე უნდა ზღვები ვიხსნა მეკობრეთაგან და რომს ხორბალი გავუგზავნო; როს შევთანხმდებით, ჩვენსავ სახლებში დავბრუნდეთ ხმლის ამოუღებლად.

**კეის., ანტ.** და ლეზ. ჩვენი პირობა ეგრეთია.

**ზოპზ.** მაშ ეს იცოდეთ,

აქ თქვენზედ წინად მოვედი იმ განზრახულებით, რომ ეგ პირობა მიმეღო მე; მაგრამ ცოტათი ანტონიოსმა გამაჯავრა.—არ არის კარგი, რომ ამას ვამბობ, ჩამეთვლება თავის ქებადა, მაგრამ მაინც კი გაუწყებ, რომ, როცა კეისარს და შენს ძმას ომი ჰქონდათ, მაშინ სიცილიაში დედა-შენს ტკბილად, მეგობრულად გავუმასპინძლდი.

**ანტ.** ეგ ვიცოდი მე და მის ცდაში ვიყავ, ზომბეოს, რომ დავალება ღირსეულად გადამიხანდა.

**ზოპზ.** ხელი მომეცი, არ მეგონა, აქა გნახავდი.

**ანტ.** აღმოსავლეთში ქვეშსაგები მეტად რბილია და მადლობელი შენი უნდა ვიყო, რომ აღრე გამომიწვიე განზრახულზედ. ამ დაჩქარებით ვგონებ, რომ არა წავაგე-რა.

**კეის.** უკანასკნელად როდესაც გნახე, გამოცვლილხარ მას აქეთ ფრიად.

**ზოპზ.** არ ვიცი სახეს მძაფრმა ბედმა რა კვალი დასდო, მკერდ ქვეშ კი იგი ვერ იბუდებს, გულს ვერ დასჩაგრავს.

**ლეზ.** კეთილი იყოს აქ შეხვედრა ერთმანეთთანა.

**ზოპზ.** და კეთილადაც გათავდება.—რაკი შევთანხმდით, დავწეროთ ყველა ეგ პირობა, ბექლით დავბეჭდოთ.

**კეის.** აგრე უნდა ექნათ.

**ზოპზ.** და ვიდრემდე გავიყრებოდეთ,

გავუმასპინძლდეთ ერთმანეთსა; წილი ვუყაროთ,  
 ჯერედ ნადიმი ვინ გამართოს.

ანტ. ჯერ მე გავმართავ.

შამშ. წილის ყრია იყოს, ანტონიოს, ნუ შევშლით წესსა,  
 მაგრამ პირველი გამართავ, თუ უკანასკნელი,  
 შენი ეგვიპტურ სანოვაგით სრულად დაგვჩაგრავ.  
 გამიგონია იულიოს კეისარი იქ  
 გასუქებული მეტის ქამით.

ანტ. ბევრს ქორს ამბობენ.

შამშ. მე როდი ვხუმრობ, მართალს ვამბობ.

ანტ. ლამაზად იცო

შენ ყველაფრის თქმა.

შამშ. ისე ვყიდი, როგორც ვიყიდე;

აპოლოდოროსს მიჰქონდაო, ესეც გავიგე....

ენაბ. რა ვუყოთ მერე, რომ მიჰქონდა... სხვა ბრძანე რამე.

შამშ. სთქვი, რა მიჰქონდა.

ენაბ. დედოფალი კეისრისათვის

ბუმბულ-ყვირთუქში გახვეული.

შამშ. ეხლა გიცან შენ,

ჩემო მამაცო; როგორა ხარ?

ენაბ. ძალიან კარგად

და კიდევ უფრო გავკეთდები. ხუმრობა არის,

ოთხი ნადიმი გველის ერთად.

შამშ. მომეც ეგ ხელი,

არ მძულეებიხარ, დამერწმუნე, მე არა დროსა

და ომში კი რომ მინახავხარ გმირად მებრძოლი,

შემშურებია.

ენაბ. მე არა დროს არ მყვარებიხარ,

თუმც ქება მითქვამს შენი ბევრჯერ და ერთი-ათად

მეტის ღირსი ხარ იმ ქებაზედ.

შამშ. იყავ ყოველთვის

აგრე გულ-ღია. გშენის კიდევ უზაკველობა.

აბა, წავიდეთ ჩემს ხომალდზედ. გთხოვთ, წინ მიბრძანდეთ.

კეის., ანტ. და ლემ. გზა შენ გვიჩვენე და მოგყვებით.

შემკმ.

აჰა, მობრძანდით.

(მენასასა და ენობარბასსა გარდა ყველანი გადიან)

მენას. (თავისთვის) პომპეოს, თავის დღეში მამა-შენი ამისთანა პირობას არ დასთანხმდებოდა.—მე და შენ, ჩემო ბატონო, ერთ დროს ერთმანეთს ვიცნობდით.

ენობ. ვგონებ, ზღვაზედ შევხვედრივართ.

მენას. სწორედ.

ენობ. და კარგადაც ირჯებოდი იმ ზღვაზედ.

მენას. არცარაფერს შენ აშაგებდი.

ენობ. ვინც მაქებს, ქებითვე გადავუხდი, მაგრამ ქებაც რომ არ იყოს, ვინ უარ-ჰყოფს ჩემს შრომასა და ღვაწლს ხმელეთზედ.

მენას. ან ჩემსას წყალზედ.

ენობ. ზოგიერთზე კი რომ აშა გეკრა, გერჩინა. ზღვაზე შენ დიდი ქურდბაცაცა იყავ.

მენას. და შენ კი ხმელეთზედ.

ენობ. მაშ უარი მითქვამს მასზედ, რაც ხმელეთზედ მიღვაწნია; მოიტა, მენას, შენი ხელი. ჩვენი თვალები რომ მთავრობის კაცთა თვალებად გადაიქცეს, ორს მეკობრეს ერთბაშად შეიპყრობდნენ.

მენას. ხელებმა რაც უნდა ჰქმნან, სახე ადამიანებს ყოველთვის პატიოსანი აქვთ.

ენობ. არა, ლამაზ ქალებს არც სახე აქვთ პატიოსანი.

მენას. ეგეც მართალია, მათი სახე გულებს იპარავს.

ენობ. ჩვენ ხომ თქვენთან საბრძოლველად მოვედით აქა.

მენას. მე თუ მკითხავ, ძალიანა მწყინს, რომ ბრძოლა ლოთობაში გავცვალებთ. დღეს პომპეოსმა თავისი ბედი სიცილით კარს უკან გააცილა.

ენობ. და ძნელი ის არის, რომ შინ ტირილითაც კი ველარ შემოიტყუებს.

მენას. მართალი სიტყვაა.—ჩვენ მარკოს ანტონიოსი აქ არ გვეგონა. ერთი ეს მითხარ, კლეოპატრაზედაც დაქორწინდა?

ენაბ. კეისრის დას ოქტავია ჰქვიან.

მენას. ეგ ვიცი, კაიოს მარცელოსის ცოლი იყო.

ენაბ. ეხლა კი მარკოს ანტონიოსისა არის.

მენას. რას ამბობ?

ენაბ. მართალს გეუბნები.

მენას. მაშ ის და კეისარი სამუდამოდ დაკავშირებულან.

ენაბ. მე რომ დამავალონ, გაიგე, ამ კავშირს რა მოჰყვებაო, აგრე არ ვიწინასწარმეტყველებდი.

მენას. მგონია, მაგ საქმეში პოლიტიკა უფრო უნდა ერიოს, ვიდრე ცოლ-ქმრული სიყვარული.

ენაბ. მეც აგრე მგონია. აი, ნახავ, თუ ეს კავშირი, რომელ-მაც შეგობრობა უნდა განამტკიცოს, სწორედ ამ შეგობრობის საღრჩობელად არ გადიქცეს. ოქტავია სათნოიანია, მშვიდი, წყნარი.

მენას. მერე მაგისთანა ცოლს ვინ არ მოინდომებს.

ენაბ. ის არ მოინდომებს, ვინც თითონ მაგისთანა არ არის, ესე იგი, მარკოს ანტონიოსი. ის ისევე თავის ეგვიპტის ანდამატს დაუბრუნდება და ოქტავიას ოხვრა კეისრის რისხვას უფრო ცეცხლს წაუკიდებს. ბოლოს, რასაც მათ შორის შეგობრობა უნდა დაემყარებინა, უფოთის მიზეზი შეიქმნება. ანტონიოს თავის სიყვარულის საგანს ვერ მოშორდება, ეს ქორწინება მას ანგარიშით მოუვიდა.

მენას. იქნება მართლაც აგრე მოხდეს. აბა წავიდეთ გემზედ, მინდა შენი სადღეგრძელო დავლიო.

ენაბ. მეც პასუხს გაგცემ. ეგვიპტეში ჩვენი ყანყრატოები ნუნუას შევაჩვიეთ.

მენას. წავიდეთ. (გადიან).

## ს უ რ ა თ ა VII

პომპეოსის გემზედ, მიზემას ახლო.

(მუსიკის ხმა. შემოდის ორი ან სამი მკსამსახურე საქმეებით ხელში)

ზარგ. მკსამს. აქ მოვლენ-მეთქი, გეუბნები. ზოგნი ისე ჩაიღრჩენენ ლვინოში, რომ ფეხზედ ველარა დგანან. რომ შეუბერო, წაიქცევიან.

**მეორე მასამს.** ლეპიდოს ქარხალივით გაწითლებულა.

**1 მას.** ის სამადლოდა ჰყავთ გვერდით და სამადლოდ აქმევ-  
 ასმევენ.

**2 მას.** იმათ რომ ერთმანეთს უსიამოვნო სიტყვა უთხრან, ის  
 მაშინვე წამოიძახებს ხოლმე: „კარგი, გეყოფათ“, ერთმა-  
 ნეთს არიგებს და საშუაკაცოსა ყლურჰავს.

**1 მას.** სხვებს არიგებს, მაგრამ თავის გონებასთან მწყურალად  
 არის და ღვინო თუ არ გამოუღიეს, კიდევ უფრო შე-  
 მოსწყურება.

**2 მას.** დიდ-კაცებში რომ კაცი მარტო სახელისთვის გაერევა,  
 აგრე მოუფა. გინდა უბრალო ჩაღა მჭერია ხელში, გინდა  
 სარდლის კვერთხი, თუ კი ჯეროვანად ვერ მოვიხმარებ.

**1 მას.** მაღალ წრეში ისე გარევა, რომ არავინ გამჩნევდეს,  
 იმასა ჰგავს, თვალების მაკვირად მარტო ბუდეები გესხას  
 და სახეს გიმახინჯებდეს.

(საყვირის ხმა. შემოდინ: **კეისარი, ანტონიას, ლეპიდოს  
 ზემშეოს, აგრანა, მეტენას, ენობანბოს, მენას და სხვა  
 ჯანთ-უფრანსა**)

**ანტ.** დიად, ნილოსის სიმაღლეზედ ატყობენ ხოლმე:  
 დანიშნული აქვთ პირამიდაზედ და წინად სცნობენ,  
 უნდა ელოდონ შიმშილობას, თუ კარგ მოსაგვალს,  
 მის კვალობაზედ, დაბლა სცემს, თუ მაღლა წყლის ტალღა.  
 მოდიდებული ნილოსი უხვ მოსაგვალს ნიშნავს.  
 როცა დაწყდება წყალი, გადის მინდვრად მთესველი  
 და შლამში აბნევს თესლს მალიად ნაყოფის მომცემს.

**ლემ.** ამბობენ, უცნაური გველები იცის იქაო, მართალია?

**ანტ.** ეგეც მართალია.

**ზემშ.** დაბრძანდით, ღვინო ვსვათ, ეს ლეპიდოსის სადღეგრძე-  
 ლო იყოს.

**ლემ.** შე მართლაც ცოტა კარგად ვერა ვარ, მაინც არავის ჩა-  
 მოეუტრჩები.



**ენაბ.** სანამ არ დაიძინებ; მაგრამ ვაი თუ ისე წაგართვას თავი ძილმა, რომ აქაც ჩარჩე.

**ჯეზ.** მე გამიგონია, პტოლომეოსის პირამიდები საკვირველება რამ არისო, საკვირველება... მე გამიგონია-მეთქი, გეყუ-რებათ!

**მენას.** (ცალკე პომპეოსს) პომპეოს, ერთი სიტყვა მაქვს მე შენთან სა-  
**ზამზ.** (მენასს) ყურში მითხარი, რის თქმაც გინდა. [თქმელი.]

**მენას.** (პომპეოსს) ადევ მცირე ხნით. საჭირო არის, დამიჯერე.

**ზამზ.** ეხლავე მოვალ.—  
 ეი, მოართვით ჩქარა ღვინო ბატონს ლეპიდოსს.

**ჯეზ.** ის თქვენი ნიანგი როგორია, რა პირუტყვია?

**ანტ.** ნიანგი სწორედ ნიანგსა ჰგავს; განით თავის სიგანისა და სიმაღლითაც თავის სიმაღლისა; ფეხებით დადის და რა-საცა სჭამს, იმითი საზრდოვობს. როცა კვდება და იხრწნე-ბა, სხვა ცხოველად გარდაიცვლება.

**ჯეზ.** რა ფერია?

**ანტ.** ფერიც თავისი აქვს.

**ჯეზ.** უცნაური გველი ყოფილა.

**ანტ.** მერე კიდევ რა, ცრემლები სველი იცის.

**კეას.** კმაყოფილდება მაგ აღწერითა?

**ანტ.** მოდი და ნუ დაკმაყოფილდება ახალი თასის შემდეგ, აკერ პომპეოსმა რომ მიაწოდა. მაინც ეგ ეპიკუროსის დიდი მომხრეა.

**ზამზ.** (ცალკე მენასს) წადი, მომშორდი, გამეცალე, რა დროს ეგ ის შეასრულე, რაც გითხარი. სად არის თასი? [არის!]

**მენას.** (პომპეოსს) ადევ სუფრიდან, გაფიცებ ჩემს ერთგულს სამ-

**ზამზ.** ხომ არ გაგიჟდი? სთქვი, სთქვი ბარემ. [სახურს.  
 (ადგება და მენასთან ერთად გაივლის).]

**მენას.** მე ხომ ყოველთვის ქუდ-მოშვლებილი მდგარვარ შენის ბედის წინაშე.

**ზამზ.** ვიცი, ერთგულად მმსახურებდი. მერე, რა ვუყოთ!—

გამხიარულდით, ბატონებო.

**ანტ.** უფროთხილდი თხელ წყალს,  
თორემ დაგლუპავს, ჩემო ლეპიდ.

**მენას.** არ გინდა იყო  
პატრონი მთელის ცის-ქვეშეთის?

**ზაქმ.** რაეჭსა ჰბოდავ?

**მენას.** არ გინდა-მეთქი ცის-ქვეშეთის პატრონი იყო?

**ზაქმ.** კარგა გადაჰკარ?

**მენას.** ღვინოს არც კი მივკარებდივარ.  
გაბედე-მეთქი და შეიქმენ სამყაროს ღმერთად.  
თუ მოისურვებ, ოკეანე რასაც არტყია,  
ან რასაც ზეცა ჰფარავს, ყველა შენი იქნება.

**ზაქმ.** როგორ, ან რა გზით?

**მენას.** სამნივ, ქვეყნის სამად გამყოფნი  
შენს გემზედ სხედან. ბრძანე, ლუზა ავახსნევირთ,  
და როცა გავალთ შუა ზღვაში, ყელეები დასჭერ.  
მაშინ შენია ყოველივე.

**ზაქმ.** ეგ უნდა გექმნა  
და არა გეთქვა. ჩემთვის ეგე ავკაცობაა  
და შენგან ქმნულს კი დასახავდნენ ერთგულებადა.  
იცოდე, ჩემში სარგებლობას პატიოსნება  
წინ უძღვის, უკან როდი მოსდევს. გიმართებს ნანვა,  
რომ აგრე გაქცა შენმა ენამ. მოულოდნელად  
რომ გექმნა, ერთხელც იქმნებოდა, მოგიწონებდი,  
ეხლა კი უნდა გაიკიცხო მაგ რჩევისათვის.  
დაეხსენ, გიჯობს და ღვინო სვი.

**მენას.** (თავისთვის) მაშ ამას იქით  
შენს მისუსტებულს ბედის-ჩარხსა მე აღარ მივდეგ.  
თუ რასაც ეძებ, ხელთ გეძლევა და შენ ირიდებ,  
მის პოვნას ველარ ეღირსები.

**ზაქმ.** ლეპიდოს, შენი  
საღდეგრძელოა.

**ანტ.** წაიყვანეთ ნაპირზედ.— მომეც

მე დავლევ მაგის მაგივრად.

ენობ. მენას, იცოცხლე.

მენას. მადლობელი ვარ, ენობარბოს.

ჰომჰ. დაასხი ისე,  
თასს ნაპირები აღარ უჩნდეს.

ენობ. შეხედე ერთი,  
მენას, იმ კაცსა, რა ღონე აქვს.

(აჩვენებს ერთს მსახურს, რომელსაც ლეპიდოს ზურგით მიაქვს).

მენას. რაო, რაზედ სთქვი?

ენობ. ვერ ჰხედავ, ქვეყნის მესამედი მიაქვს ზურგითა.

მენას. მაშ მესამედი გამომთვრალა. ნეტავი ბარემ  
მთელი ქვეყანა დამთვრალიყო და მოჰყოლოდა  
გორგოლაქებზედ პროწიალსა.

ენობ. აჰა, დალიე  
და მიუმარჯვე გორგოლაქებს.

მენას. მოიტა დავლევ.

ჰომჰ. აღექსანდრიულ ნადიმს მაინც ვერ მოგაგონებს  
შენ ეს ნადიმი.

ანტ. რატომ, მზგავსობს თანდათან უფრო.—  
თასი თასს დავკრათ.—კეისარო, შენ გადღეგრძელებთ.

კეის. ეხლა კი დროა, გავათავოთ. სირცხვილი არის,  
ღვინით ვირეცხავთ თითქო ჭკუას და ამ რეცხვაში  
ვუკარგავთ ძალას, ვასაპყარებთ.

ანტ. უნდა დრო-ჟამსა  
დაემორჩილო.

კეის. კარგი, დავლევ, ჯერ შენ დალიე;  
მაგრამ მერჩინა, მემარხულნა მთელი ოთხი დღე  
ერთ დღეში ამდენ ღვინის სმასა.

ენობ. (ანტონიოსს) ჩემო სარდალო,  
ეგვიპტურ ცეკვას არ ინებებ? ლოთურად გავკრათ.

ჰომჰ. ჰო, ეგ ძალიან მოგაგონდა, აბა, გვაჩვენეთ.

ანტ. ხელი-ხელს მივცეთ ყველამ ერთად, ვიდრემდე ღვინოს  
ეს გრძნობა ლეთას ტკბილ ტალღებში არ ჩაუღობია.

ენაბ. ხელი-ხელს მივცეთ, საკრავებმაც დაიგრიალოს,  
მე დაგაყენებთ რიგზედ და ამ ბიჭმა დაიწყოს,  
თქვენ კი ბანო სთქვით, რაც ძალი და ღონე გაქეთ, მაღლა.

(მუსიკა უკრავს. ენაბარბოს ყველას გარშემო ხელი-ხელს  
მიცემულს აყენებს. მოისმის სიმღერა):

ბახუს, ღვინის ღმერთო მაღალ-სვიანო,  
ჩვენთან დაჯექ, დაქლაქ-ლოყებიანო,  
ყურძნის წვენში ჩავკლათ გულის დარდები,  
ყურძნის მტევნის დავიწნათ ნაწნავები.  
ვსვათ, დაიწყებს სანამ მიწა ტრიალსა,  
ვსვათ, დაიწყებს სანამ მიწა ტრიალსა.

კეის. აღარ ეიკმარებთ?! — გამარჯვებით იყავ, ჰომპოს. —  
წავიდეთ, ძმაო, ასე თავის ამსუბუქება  
ჩვენს მძიმე საქმეს არ შეჭფერის. — აბა მობრძანდით,  
თქვენც, ბატონებო. დაწვნი ღამის სიციხით დაგვასკდეს.  
მიგვისუსტდა თვით ენობარბოს, მეც ენა მებმის,  
მასხარაებად გაგვაკეთა მეტმა ღოთობამ.  
სხვა რა საბუთი მოგიტანოთ! ღამე მშვიდობის. —  
ხელი მომეცი, ანტონიოს.

ჰომპ. ნაპირს გამოვალ  
და იქაცა გცდით.

ანტ. უეჭველად ხელი მომეცი.

ჰომპ. ოჰ, ანტონიოს, მამი-ჩემის სახლი შენა გაქვს,  
მაგრამ რა ვუყოთ, ჩვენ ხომ ახლა მეგობრები ვართ.  
ჩასხედით ნავში.

ენაბ. არ ჩაცვიედეთ წყალში, გაფრთხილდით. —  
(გაღიან ყველანი ენაბარბოსისა და მენასის გარდა).

მენას, მე ნაპირს ჯერ არ გავალ.

მენას. კარგი, წაგიყვან

ძირს, ჩემს ოთახში.—დაუკარით საყვირ-დაფლაფი!  
 ხმა, ხმა მიეცით, თვითონ ნებტუნს გავაგებინოთ,  
 დიდებულ სტუმრებს ვით ვაცილებთ. დაჰკარით-მეთქი,  
 ჩაჰბერეთ და თუნდ ზედ შეაკვდით!

(დაფლაფისა და საყვირის ხმა).

ენაბ.

ქული ჭერსა ვკრათ,

ვაშა შეეძახოთ!

მენას.

ვაშა, ვაშა! აბა წამომყე.

(გალიან).

იგ. ძაჩაბული

(შემდეგი იქნება)



# ტავერნიეს მოგზაურობიდან

(Jean Baptiste Tavernier—Les six voyages, qu'il a fait en Turquie, en Perse, et aux Indes. Première partie, ou il n'est parlé que de la Turquie et de la Perse. Paris, 1677) <sup>1)</sup>.

## I

მე განვიზრახე ვრცელი აღწერა სპარსეთისა და ყველა იმ პროვინციებისა, რომელნიც დამოკიდებულნი არიან სპარსეთისაგან, და მკითხველს კიდევ გავაცნე შავი ზღვის დაყოლებაზე რაც სანაპირო ადგილებია და აგრეთვე ერთი ნაწილიც კასპიის ზღვის სანაპიროსი. ეხლა მსურს წარვუდგინო მკითხველს მოკლე აღწერა ზემოხსენებულ ზღვებს შუა მდებარე ქართლისა და სამეგრელოსი (des Royaumes de Géorgie et de la Mengrelie) და აგრეთვე სხვა მოსაზღვრე პროვინციებისაც, რომელნიც კასპიის ზღვის ნაპირას მდებარეობენ და რომელთაც საზღვრავენ ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით რუსეთი (la Moscovie) და სათათრეთი (la Tartarie).

ქართლს ზოგიერთები უწოდებენ გურჯად (Gurgie) ან გურჯისტანად (Gurgistan). საზღვრავს მას აღმოსავლეთით კასპიის ზღვა და დასავლეთით ის მთები, რომელიც ჰყოფს მას სამეგრე-

<sup>1)</sup> ტავერნიემ იმოგზაურა აზიაში 1636—1686 წლებში. მისი მოგზაურობიდან ჩვენ ვთარგმნეთ მესამე წიგნის ორი კარი, რომელიც შეეხებოდა საქართველოს, სახელდობრ: IX. Relation de l'Etat present de la Georgie და X Relation de l'Etat present de la Mengrelie. ნიშნები [?] ტექსტში და სხოლიოები მთარგმნელისა არის.



ლოსაგან<sup>2)</sup>. წინაღ ქართლი და სამეგრელო შეადგენდნენ ერთ სამეფოს, რომლის ერი საერთოდ ქრისტიანი იყო; ხოლო დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც იმათ შეერივნენ მაჰმადიანები, რომელთაც იქ ფეხი მოიკიდეს. სპარსეთმა თავის მხრით განხეთქილება ჩამოაგდო სამეფოს ორ ნაწილს შუა და იქამდე მიიყვანა საქმე თვისდა სასარგებლოდ, რომ შექმნა ორი სამეფო. ეს ორი სამეფო სპარსეთს თავის პროვინციად მიაჩნია და, მართლაც, ეს ოც და ხუთი, თუ ოც და ათი წელიწადია, რაც სპარსეთი ნიშნავს იქ მმართველებს (*des Gouverneurs*) იქაურ მთავრებისაგან (*des Princes*), რომელნიც ამ ღირსების მისაღებად იძულებულნი არიან მაჰმადიანობა მიიღონ, და დამტკიცდებიან თუ არა მმართველებად, მეფეებად იწოდებიან. სანამ მათი გვარი არ მოსპობილა, სპარსეთის ხელმწიფეს არ შეუძლიან ააცილოს მათ შთამომავლობას ეს ღირსება.

ამ ორ მეფეს შორის უფრო ძლიერი ის არის, რომლის სატახტო ქალაქი ტფილისია (*Teflis*) და რომელსაც იქაურ ენაზე უწოდებენ ქართლის (*Cartelè*) მეფედ. აწინდელი მეფე უკანასკნელი იყო, რომელსაც შერჩენოდა თავის ოთხიშვილით ქრისტეს სარწმუნოება; ხოლო რამდენიმე ხანია მას აქეთ, რაც სპარსეთის ხელმწიფემ ისე მოახერხა საქმე, რომ მეფის უფროსი შვილი მიიწვია თავის სასახლეში და თუ საჩუქრით, თუ დაპირებით, მაჰმადიანობა მიიღებინა და მაშინვე მმართველად დაინიშნა. მაჰმადიანობა რომ არ მიეღო მეფის შვილს, იმ შემთხვევაში, სპარსეთის ხელმწიფეთა დაკანონებული წესის ძალით, იგი ვერც მამის მემკვიდრედ გახდებოდა.

თვითეულ მმართველს ამ ორი სამეფოისას თავ-თავისი მკველი რაზმი ჰყავს, რომელსაც შეადგენს სამასი ცხენოსანი მაჰმადიანი. ორსავე სამეფოში სულ ამ ქამად არის თორმეტი ათასი კომლი მაჰმადიანი.

<sup>2)</sup> სამეგრელოდ, როგორც სჩანს, ტავერნიე უწოდებს მთელს აღმოსავლეთის საქართველოს, რომელსაც ძველი ბერძნები უწოდებენ კოლხიდად. მეჩვიდმეტე საუკუნის იტალიელი მოგზაურები კოლხიდად უფრო სამეგრელოს უწოდებდნენ, მაგალითად, ლამბერტი: *Relazione della Colchida hoggi detta Mengrellia, Napoli, 1654*. ამის შემდეგ ტავერნიეს კი კოლხიდის მაგიერ სამეგრელო გაუხდია დასავლეთ საქართველოს საერთო სახელად.

ტფილისის მეფე ფულსა სკრის სპარსეთის ხელმწიფის ხელით ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა ვერცხლის ფულე-ბისაგან, მაგალითად, ესპანიის რეალებისა (reales), საფრანგეთის écus-ებისა და სხვ. ეს ფულები ევროპიდან მოაქვთ სომხებს და სამაგიეროდ ვააქვთ აქედან სხვა-და-სხვა სავაჭროები.

მართლმსაჯულებას აწარმოებენ ქრისტიანები და არც ერთი მაჰმადიანი, თვით მეფეც, არ იღებს არავითარ მონაწილეობას მის წარმოებაში. აი რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ სწარმოებენ იმათი სამართალი. პირველად ვიტყვი ქურდობის შესახებ: ქურდი თავისუფალია, უკეთუ ზღავს ნაქურდალის შვიდეულ ფასს. ორი წილი ამ ფასისა ერგება პატრონს, ერთი — მოსამართლეს და ოთხი — მეფეს. თუ ქურდს არ შეუძლიან ამდენი ზღოს, იმ შემთხვევაში მას გაჰყიდნიან და თუ მისი ფასი არ ჰყოფნის და ცოლი ჰყავს, ცოლსაც გაუყიდნიან, და თუ ცოლის ფასიც არა კმარა, შვილებსაც გაუყიდნიან. ხოლო ქურდის შელავათი აქვს, რომ თუ პატრონმა შეიბრალა იგი და არ მოისურვა არაფრის გადახდევინება, იმ შემთხვევაში ვერც მეფე და ვერც სასამართლო ვერას მოსთხოვს ქურდს. მკვლევობისათვის დამნაშავეს სამართალი უნიშნავს სიკვდილს და ასეთი სასჯელის სისრულეში მოყვანა მოკლულის ნათესავების ხელთ არის. ხოლო იმათ შეუძლიანთ აპატიონ დამნაშავეს, უკეთუ დამნაშავე მიუყვანს მოკლულის ქირისუფალს სამოც ძროხას. რაც შეეხება ვალებს, მევალეს შეუძლიან გაუყიდოს თავის მოვალეს ყოველივე ქონება, სანამ არ იზღავს იმ ფულს, რომელიც უსესხებია, და თუ მოვალის ქონება არ აუვიდა, უფლება აქვს გაუყიდოს მას ცოლ-შვილი, თუ ჰყავს, რასაკვირველია.

საქართველოს ქრისტიანები უმეტესად ძლიერ უვიცი არიან, განსაკუთრებით სარწმუნოების საქმეში. ცოტა რასმე, რაც იცაან, იძენენ მონასტერში, სადაც სწავლობენ აგრეთვე წერა-კითხვას. საზოგადოდ, ქალებმა მეტი იციან, ვიდრე მამაკაცებმა. ამის მიზეზი, გარდა იმისა, რომ ქალების მონასტრები მეტია, ისიც არის, რომ საზოგადოდ ყველა ახალგაზდა ვაჟი ან მიწას მუშაობს და ან ომში მიდის.





როგორც კი ქალი ცოტად წამოიზრდება, თუ სრულწლოსზე უენიშნეს, მის მოტაცებას ადრე ცდილობენ, უფრო ხშირად იტაცებს ვინმე მახლობელი ნათესავი, მოტაცებული მიჰყავთ რომელსამე უცხო ქვეყანაში, მაგალითად, ოსმალეთში, სპარსეთში და თვით დიდი მონგოლის საბრძანებლოშიც.

მშობლები კი, თავიანთ ქალებს რომ ასეთი უბედურება თავიდან ააცილონ, იძულებულნი არიან მისცენ იგინი ძლიერადრე მონასტერში. უმეტესობა აქ ხალისით სწავლობს. ვინც მეტ წარმატებას გამოიჩენს, ხშირად სამუდამოდაც რჩება მონასტერში. მონასტრებში ქალები ჯერ მორჩილის და სქიმოსანის ხარისხს ატარებენ და შემდეგ კი, როცა ხანში შევლენ, ნათლობისა და თვით მირონცხების უფლებაც ეძლევათ, ვითარცა ეპისკოპოსებსა და არქიეპისკოპოსებს [?] \*).

საქართველოში ბევრი ღვინო მოდის და ქართველებიც ძალიანი მსმელები არიან. უფრო მაგარი სასმელი, არაყი, უყვართ. მამაკაცებიც და დედაკაცებიც ღვინოში არაყს უფრო ეტანებიან, ვიდრე ღვინოს [?]. დედაკაცები საჯაროდ თავიანთ ქმრებთან პურს არა სჭამენ. ქმარი რომ ნადიმს გაუმართავს თავის მეგობრებს, ცოლიც მეორე დღეს, ან სხვა დროს, უმართავს ცალკე ნადიმს თავის მეგობარ ქალებს. შენიშნულია, რომ დედაკაცების ნადიმზე მეტი ღვინო დაილევა, ვიდრე მამაკაცებისაზე. სტუმარს მადის მოსაყვანად მიართმევენ ხოლმე საღვინო დარბაზში შემოსვლის უმაღლეს-სამ პატარა ნუღლსა (dragees) და არაყით სავსე თასს, რომელშიაც ჩადის ნახევარი ბოთლი. ქართველები ბევრსა სჭამენ ხახვსა და სხვა მწვანეულობას, სრულიად უმსა.

ქართველებს ძლიერ უყვართ მოგზაურობა ზე კარგი (grands) ვაჭრებიც არიან [?].

შვილდ-ისარსა ხმარობენ საოცარი სიმარდით და მთელს აზიაში საუკეთესო მეომართა სახელი აქვთ. სპარსეთის მეფეს

\*) ამასვე ამბობს მეორე მოგზაური Pitton Tournafort: „Elles y [dans les monastères] sont reçues Novices, ensuite Professes, après quoi elles font les fonctions Auriales, comme de baptiser et d'appliquer les saintes huiles (Relation d'un voyage de Levant. Paris, 1717, tome II, p. 321).

ჰყავს ქართველებისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი, რომელსაც სასახლიდან არ იშორებს და რომლის ერთგულებისა და მამაცობის დიდი იმედი აქვს. დიდი მონგოლის სამსახურშიც ბლომად არიან ქართველები, რომელნიც ომში მედგრად იცავენ თავის ადგილებს და უკან არასოდეს არ დაიხევენ.

ქართველები საზოგადოდ მშვენიერი ფერ-ხორცისანი არიან; უფრო მოყვანილი კაცები არ ნახულა. რაც შეეხება ქალებს, იმათი სიმშვენიერე ხომ განთქმულია მთელ აზიაში. სპარსეთის ხელმწიფეს საქართველოდან მოჰყავს უმეტესობა თავისი ცოლებისა და ბრძანება გაცემული აქვს, რომ სხვა სახელმწიფოებში არ გაიყვანონ ქართველი ქალებიო. ქართველ ქალებს კიდევ ერთი უპირატესობა აქვთ: განსაკუთრებით ტფილისში ისეთი თავისუფლება აქვთ მოპოვებული, რომლის მსგავსი ქალებს არსად სხვაგან აზიაში არა აქვთ.

ჩემის შენიშვნების დასასრულებლად საქართველოს შესახებ, ვიტყვი, რომ ტფილისს, რომელიც ქართლის სატახტო ქალაქია, კარგი მდებარეობა აქვს, საკმაოდ დიდია და კარგად გაშენებული და აქ აბრეშუმის დიდი ვაჭრობა სწარმოებს. ქართველები, როგორც უკვე ვთქვი, თითქმის ყველანი ქრისტიანები არიან. მათი სარწმუნოება შემდგარია სომხების [?] და ბერძნების სარწმუნოებისაგან; უფრო კი ეტანებიან სომხების სარწმუნოებას [?]. აღმოსავლეთის ყველა ქრისტიანთა შორის ქართველები უფრო შესათვისებლნი არიან.

## II

სამეგრელოს აღმოსავლეთით ჰყოფს ქართლისაგან მთის გრებილი და დასავლეთით საზღვრავს შავი ზღვა<sup>4)</sup>. ამ ქამად შესდგება იგი სამის ნაწილისაგან, თვითიუღს ნაწილს ჰყავს თავისი მფლობელი (Roy). პირველ ნაწილს ჰქვიან იმერეთი ანუ ბაშაჩუქ, რომლის მეფე დანარჩენი ორი ნაწილის ბრძანებლობასაც იჩემებს. ამის გამო ხშირია მათ შორის ომი, ომი ძლიერ

<sup>4)</sup> იხ. ზემოდ შენიშვნა 2.



სასტიკი, რადგან რომელი მხარეც ტყვეებს დაიჭერს, მაშინვე გზავნის გასაყიდად ოსმალეთში. ისე მიჩვეულნი არიან ამ ქვეყანაში ერთმანეთის გაყიდვასა, რომ როგორც კი ქმარს ან ცოლს ფული დასჭირდება, მაშინვე ერთ-ერთ შვილს ჰყიდიან; და ხშირად შვილსა ცვლიან ნაქრებში ან სხვა ამ გვარ საქონელში.

მეორე ნაწილსა ჰქვია სამეგრელო—მთელი მხარის სახელი. მის მთავარს ჰქვიან დადიანი (le Roy de Dadian).

მესამე ნაწილია გურია. მის მთავარს ჰქვია გურიელი (le Roy de Gurie),

წინად სამეგრელო ექვემდებარებოდა იმერეთის მეფეს, რომელიც ჰგზავნიდა იქ მოურავს. ამ მოურავს ერქვა დადიანი. ერთი ამ მოურავთაგანი ძლიერ ჰქვიანი კაცი იყო და ისე შეაყვარა თავი ხალხს, რომ ხალხმა სთხოვა, მეფედ გაგვიხდით. ამ რიგად მოხდა სამეგრელოს განცალკევება იმერეთისაგან.

გურიის თავადებმა რომ ნახეს, დადიანი დამოუკიდებელ მთავრად (le Roy) გახდაო, მაშინვე წაბაძეს სამეგრელოს და იმერეთის მეფის უღელი მოიშორეს და თავიანთ შორის ამოირჩიეს მთავარი. ორივე მთავარნი დღესაც დამოუკიდებელნი არიან სულთანის შემწეობით.

სულთანი ძლიერ კმაყოფილია ამ ქვეყნის აგრე დანაწილების გამო, რადგან როცა სამივე ნაწილი ერთად იყო, ერთის ხელმწიფობის ქვეშ, სულთანს არ შეეძლო მათი დამორჩილება. მიზეზი ამისი ის იყო, რომ იმერეთის მეფეს მაშინ შეეძლო მოკლე დროში გამოეყვანა სალაშქროდ თითქმის ორმოც და ათი ათასი კაცი. განუდგა თუ არა იმერეთის მეფეს დადიანი, ეზრახა სულთანს და აღუთქვა, ყოველ წელიწადს ამდენსა და ამდენს რკინას მოგართმევო, იმ პირობით კი, რომ, როცა იმერეთის მეფე ჩემზე გამოილაშქრებს, უბრძანო ტრაპეზონის, არზრუმის და ყარსის ფაშებს, მომაშველონ ოციათასი ცხენოსანი კაციო. სხვაგანაც აღვნიშნე, რომ ოსმალეთში რასაც რკინას ხმარობენ, უმეტესი ნაწილი სამეგრელოდან მოტანილია-მეთქი.



იმერეთის მეფე აჭრევიებს ფულებს იმავე სიდიდისა და იმავე წონისას, როგორც არის სპარსეთის ხელმწიფისა და აგრეთვე ტფილისში მოჭრილი ფულები. მაგრამ რადგან მის ფულებს იგივე ხარისხი არა აქვს და აკლია ასზედ ორი ნაწილი ვერცხლი, საფიქრებელი იყო, რომ ვაჭრობაში, რომელიც საკმაოდ დიდია სპარსეთსა და იმერეთს შორის, ამ ფულებს მსვლელობა არ ექნებოდა. რომ ვერე არ მომხდარიყო, იმერეთის მეფემ აი რა იღონა: ფულებზე ამოაჭრევიანა, როგორც სპარსეთის ხელმწიფის სახელი, ისე თავისიც. მართლაც, ამ საშუალების გამო იმერულ ფულებს დაუბრკოლებლად იღებენ. იმერეთის მეფე ამოაჭრევიებდა თავის ფულებზე სულთანის სახელსაც და ამით უფრო ისარგებლებდა კიდევ, მაგრამ მთელ ოსმალეთში მხოლოდ პატარა ფულები იჭრება, სახელდობრ ასპრები, თუ არ ჩავთვლით იმ ცოტაოდენ ღუკატებს, რომელსაც სჭრიან ქაირში და რომლის შესახებ მე ვრცლად ვილაპარაკე სულთანის სასახლის მიმოხილვაში. იმერეთის მეფე, როგორც ქართლის მეფეც (le Roy de Teflis), თავის ფულების მოსაჭრელად ხმარობს ყოველგვარ უცხო ფულებსა.

სამივე მთავარი (Roys) — იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოსი — ქრისტიანები არიან. როცა სალაშქროდ მიდიან, თან მიჰყვებიან ყველა საეკლესიო პირნი, არქიებისკოპოსები, ეპისკოპოსები, მღვდლები და ბერები, არა იმისთვის, რომ იბრძოლონ, თუ არა სურთ, არამედ ჯარის გასამხნეველად და ლოცვების შესასრულებლად.

ებლა მაგონდება, რომ პირველი ჩემი მოგზაურობის დროს მე ენახე კოსტანტინოპოლში სამეგრელოს მთავრის ელჩი, რომელსაც გიჟური ცხოვრებისათვის დასცინოდნენ ყველა იქ მყოფი ფრანგები. სულთანს მიართვა მან ძღვნად სამეგრელოს მთავრის მხრით რკინა, ფოლადი და მრავალი მონა. როცა პირველად წარსდგა იგი სულთანის წინაშე, მას ახლდა ორას კაცზედ მეტი, ხოლო ყოველ დღე რომელსამე მათგანს ჰყიდდა, რათა ხარჯში გამოსულიყო, ასე რომ თავის ქვეყანაში დაბრუნების დროს ორასი კაცისაგან შერჩა მხოლოდ მღივანი და ორი ფარეში.

სახით იგი კარგი შესახედავი კაცი იყო, ხოლო ქკუა წაკლებად ჰქონდა. მის უგუნურობისას ორ-სამ მაგალითს მოგახსენებთ: სულთანის წინაშე იგი წარსდგებოდა ხოლმე თეთრი ჩაღმით. ქრისტიანებს ყველას უკვირდათ, რომ ვეზირი უთმენდა ამას და არას ეუბნებოდა, რადგან სხვა ქრისტიანი ეგრე რომ მოქცეულიყო, ან უნდა სიცოცხლეს გამოსთხოვებოდა, ან და გამაჰმადიანებულიყო. აქედან სჩანს, როგორ აფასებს სულთანი სამეგრელოს მთავრის მეგობრობას და როგორ შიშობს მისგან გამოგზავნილ გვამთა წყენას. სულთანმა იცის, რასაკვირველია, რომ იქაური ხალხი არას მოუთმენს და ერთი საწყენი სიტყვის გამო ხმაღზე ხელს იკრავს; იცის აგრეთვე, რომ მათი გაბრაზებით ვერას მოიგებს.

ხსენებულმა ელჩმა მოიწადინა ერთხელ სადარბაზოდ მისულიყო ერთ ფრანგის პოლკოვნიკთან, რომელიც თავის რაზმით ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს უნგრეთის ომის დროს. ეს პოლკოვნიკი წმინდად ლაპარაკობდა თათრულს და სულთანის სახედრო საბჭოს წევრადაც ირიცხებოდა. როცა სამეგრელოს ელჩი გამოემშვიდობა პოლკოვნიკს და შინ მიდიოდა, გზაზედ წვიმამ მოუსწრო და იმის შიშით, რომ ჩექმები არ გამიფუქდესო, გაიძრო, ხელში დაიკავა და ტანისამოსის კალთა გადააუარა და ამ რივად მთელი გზა თავის სახლამდე ამჯობინა ფეხშიშველი გაევილო, ვიდრე ჩექმები დაესველებინა.

ელჩი დაეჩვია წირვის მოსმენას კორდელიერების ეკლესიაში, რომელიც გალატაშია აშენებული წმ. ფრანსუას სახელობაზედ. ამ ეკლესიის დღეობას ესწრობიან ხოლმე რომის კათოლიკე სარწმუნოების კოსტანტინოპოლში მყოფი ყველა ელჩები. ბერები ამ დღეობაზე ნებას აძლევენ წვრილმან ვაჭრებს მოიტანონ თავიანთი საქონელი და ივაჭრონ ეკლესიის გალავნის გარეშემო. სამეგრელოს ელჩმა რომ დაინახა ეკლესიიდან გამოსვლის დროს საწვრილმანო, მივიდა და იყიდა რამდენიმე ბეჭედი, ორი თუ სამი პატარა სარკე და ერთი სტვირი. ეს სტვირი პირში ჩაიდვა და, როგორც ბავშვი, ისე უკრავდა მთელი გზა, სანამ სახლში მივიდოდა.

დავუბრუნდები ისევ იმ ქვეყნებს, რომელთა აღწერას შევუდექი და შევნიშნავ, რომ ამ ქვეყნებში მოიპოვება არა თუ რკინა, არამედ ოქრო და ვერცხლიც ორ ადგილს, ტფილისიდან ხუთი-ექვსი დღის სავალზედ. ერთ ადგილსა ჰქვიან სვანეთი და მეორეს—აბხაზეთი [Obetet?]. ხოლო, საუბედუროდ, იქაურებს ძნელად თუ ვინმე ამუშავებს, რადგან იმათ ეშინიანთ, რომ მიწა არ ჩაინგრეს და თან ხალხი არ ჩაიტანოს. ამისთანა შემთხვევა, მართლაც, ხშირად მომხდარა. ერთი ოქროს მადანი მთაშია, არტანუჯის მახლობლად, და ერთი ვერცხლის მადანიც გუნიხე-კონეში (Guniche-Kone), რომელიც მდებარეობს აზრუმისა და ტრაპიზონის მოშორებით, ხუთი დღის სავალზე.

ესლა მოგითხრობთ ქართლისა და სამეგრელოს რამდენსამე ჩვეულებასა და სარწმუნოების წესსა.

პირველად ის არის შესანიშნავი, რომ ხალხი ნაკლებად ნაღვლობს, თუ მათი მღვდლები და ეპისკოპოსები უვიცნი და მანკიერნი არიან და შეუძლიათ რიგიანი წინამძღვრობა, თუ არა. მდიდრებს მეტი ნდობაც აქვთ და, ვითარცა კანონმდებელნი, ისე მბრძანებლობენ ღარიბებზე. არიან ეკლესიის მთავარნი, რომელთაც ისეთი უფლება მოუპოვებიათ ხალხზე, რომ შეუძლიათ, ვინც უნდათ, გაჰყიდონ, და მართლაც ხშირად ჰყიდიან იქაურებს ოსმალელებზე და სპარსელებზე. მეტი ფულის გამოჩინისათვის არჩევენ უფრო ლამაზ ბიჭებს და გოგოებს. ქვეყნის დიდებულნი არ ზოგავენ (jouissent à discretion) არც ქმრიანსა და არც გაუთხოვარ ქალებს. დიდებულნი ნიშნავენ საეპისკოპოსო ხარისხისათვის თავიანთ ყმაწვილებს, როცა ესენი ჯერ კიდევ აკვანში არიან, და თუ მეფემ გამოაცხადა თავისი უკმაყოფილება მითი არჩევის შესახებ, მაშინ მთელი სამღვდლოება არჩეულის მხარეს იჭერს, და ამ რიგად ხშირად სასტიკი ომი ატყდება ხოლმე. ომის დროს მთელს სოფლებს იკლებენ და ღარიბ ხალხს, როგორცა ვთქვი, ჰყიდიან სპარსელებზე და ოსმალებზე. კაცებისა და ქალების გაყიდვა ისეთ საზოგადო ჩვეულებად არის გადაქცეული ამ ქვეყნებში, რომ ეს შეადგენს მათი ვაჭრობის უდიდეს საგანს და სწარმოებს თითქმის ყოველ

უბრალო შემთხვევის გამო. ამ საგანზე მე ბევრი მქონდა სა-  
 თქმელი, მაგრამ ვამჯობინებ სხვა საგნებზე გადავიდე და და-  
 ვასრულო მოთხრობა იმისი, რაც ამ ხალხთა ჩვეულებათა შე-  
 სახებ შემინიშნავს.

ეპისკოპოსები ქორწინებას ხსნიან, როცა უნდათ და გან-  
 შორებულს სხვასთან უსკენიან გვირგვინს. დამნაშავე მხარეს კი  
 გზენიან გასაყიდად. ქმარი აღვილად სტოვებს ცოლს, თუ  
 აღარ მოსწონს და მოჰყავს სხვა ქალი ღროვებით და სასყიდ-  
 ლით, ოსმალთა ჩვეულებისამებრ.

უმეტესმა ნაწილმა ხალხისამ არც კი იცის, რა არის ყმა-  
 წვილის მონათვლა. ქალი რომ ლოგინად დაწვება, ორი-სამი  
 დღის შემდეგ, მღვდელი მოვა, მოიტანს ზეთს, იტყვის რამდენ-  
 სამე ლოცვას, მერმე წასცხებს ზეთსა დედასა და შვილს, და  
 ჰგონიათ, რომ ეს საკმაოა მონათვლისათვის.

საზოგადოდ ქართლისა და სამეგრელოს ხალხს არ ეტყო-  
 ბა არც ლოცვებზე და არც მღვდელმოქმედებაზედ, რომ დი-  
 დი ღვთისმოსაენი იყვნენ. როგორც ზემოდა ვსთქვი, მრავალი  
 მონასტერი და სემინარია აქვთ ახალგაზდების აღსაზრდელად,  
 მაგრამ იქ უფრო ქალები სწავლობენ, ვიდრე ვაჟები. ქალე-  
 ბი უფრო სწავლობენ თვით მღვდლებზედაც კი. როცა ქალე-  
 ბი ზედმიწევნით შეიძენენ სწავლას, მაშინ, სულ ერთია დარჩე-  
 ბიან მონასტერში, თუ შევლიან დიდებულთა (des grands Sei-  
 gneurs) სამსახურში, უფლება ეძლევათ აღსარება ათქმევინონ,  
 ყმაწვილები მონათლონ, შეასრულონ ქორწინება და სხვა ამ  
 გვარი მღვდელ-მოქმედება [?]. რამდენადაც ვიცი, ასეთი ჩვეუ-  
 ლება სხვაგან არსად დედა-მიწაზე არ არსებობს.<sup>5)</sup>



<sup>5)</sup> იხ. ზემოდ შენიშნა 3.

# გურია-აჭარა

## მგზავრას წერილები

XI\*)

ბ ა ხ გ ა

აკეთიდან ბახვამდე.—კარ-მიდამო გურულ აზნაურისა.—მეღვი-  
 ნობა.—გურული ბავზვი და ბერძნების ბახუსი.—გურიელის მეღვი-  
 ნეთ-უხუცესი.—ბ-ნი იონა მეუნარგია და გურული გლეხი.—გაბრიელ  
 ეპისკოპოსი.—მისი ღვაწლი ბახვის წინაშე.—შემნახველ-გამსესხებელი  
 კასა.—ვაკე-ჯვარი და ვაკე-ჯვრელები.—სწავლა-განათლება გურიაში.

ჩემი თანამგზავრი იყო ერთი აკეთელი აზნაური, ზრდი-  
 ლი, თავაზიანი, სიტყვა-პასუხიანი. ასე ბრძანებდით, პარიზის  
 სალონებში უნდა ჰქონდეს ამ კაცს შეთვისებული ეს განწმინ-  
 დაკებული მანერებიო. ჩემთვის ჯორი ვაქირავებინე, რადგან  
 ეს ცხოველი აქ დიდს პატივშია, როგორც შიმშილისა და ხედ-  
 ნის ამტანი, ამასთან, როგორც სწორ-უპოვარი ამხელელი ყო-  
 ველგვარ მანძილისა და ხასიათის აღმართზედ. კიდევ ამიტომ  
 არის, რომ აქაური და, საზოგადოდ, სურამს-აქეთელი სულიე-  
 რი მამები ამ პირუტყვს სულ მუდამ უპირატესობას აძლევენ  
 და ზოგჯერ შეაბერდებიან კიდევცა. ჩემს თანამგზავრს მებარ-  
 გულად წამოეყვანა 17—18 წლის ბიჭი, რომლის გარეგნობას  
 ადამიანში მარტოოდენ სიბრალულის გრძნობა შეეძლო აღეძ-  
 რა: დაგლეჯილი ყაბალახი, რალაც ახალუხის მინაგვარი, ძონ-  
 ძებად ქცეული სამოსელი, მის ქვეშ—დაგლეჯილივე პერანგის

\*) იხ. „მოამბე“ № IV, 1898 წ.





ამხანაგი ტანს უფარავდა; ფეხთ ეცვა ისევ დახეული ჩუხტები, ისიც შეეკეცა, წამ-და-უწუმ ფეხებიდანა სძვრებოდა და ფრატუნით თუ შეეძლო სიარული. თან მოჰყვებოდა თავისივე მსგავსი ბედაური: ცალ-თვალა, მუნიანი, ცალის ფეხით კოჭლი, ძვალტყავა... ეტყობოდა, დიდს ხანს უმსახურნია თავის პატრონისათვის და, საცა სამართალი იყო, პატრონს ამდენის ხნის ერთგულად ნამსახური და ნაამაგვევი პირუტყვი თავისუფლად უნდა გაეშვა, რომ სიკვდილი მაინც ტვირთმოუკიდებლად ჰღირსებოდა. მაგრამ ადამიანი რილას ადამიანია, თუ პირუტყვი შეიბრალო!... იცის, რომ ვერ უჩივლებს, ჯარიმას ვერ გადაახდევინებს... ცხენიც ემორჩილება უსიტყვოდ, სანამ ბერკეტით გამოსატანი არ გაუხდება პატრონსა სვავ-ყორნის გამოსაძლომად... ჰო-და, ამ ცხენს, ანუ, უკედა ესთქვათ, ამ ცხენის ჩონჩხს აკიდებული ჰქონდა საბან-გობანი და ჯამ-ქურტელი ჩემის თანამგზავრისა. ერთიც და მეორეც ბარიდან ააქვსთ ბახმაროზედ. მართალია, ბახმაროც აგარაკად ითვლება, მაგრამ არც ისეა ჯერ მოწყობილი, რომ ცარიელ-ტარიელ კაცს შეეძლოს ასვლა და იქ ცხოვრება. ბარგს თავისი სიმძიმეც დაუმატა ჩვენმა მებარგულმა, და შეეუდგეთ გზასა.

გავედით ისევ სუფსაში, უკან დაგვრჩა დ. ნაგომარი და ერთის საათის სიარულის შემდეგ მივადექით ბახვის-წყალსა. ეს მდინარე აქ ყველა სხვა მდინარეებში ერჩევა. არა ჰგავს დამდორებულს სუფსასა ან კიდევ ნაგომრის წყალსა. მთის წყალია, ჩქარი, ერთავად ქაფი ადგა პირზე. კალაპოტი და ნაპირები სავსე აქვს უშველებელ სიბი-ქვებითა, რომელთაც ადიდების დროს პატარა კენჭებსავით მოაგორებს ხოლმე მთიდან. ამ დროს მისის გრგვინვის ხმა შორს მაძილზე ისმის თურმე და ადამიანს მისის სიმძლავრის ყურებაზედ შიში იპყრობს, თავისს უძლურებას მკაფიოდა ჰგრძნობს.

ბახვისწყალის ჩავარდნილ კალაპოტიდან იწყება სოფ. ბახვის სერები, ვახებით შეფენილი. აქაური ბუნება აფხაზეთის ბუნებას აგონებს კაცსა. ცოტა ხნის შემდეგ თვით სოფლის ვაკეს მოვექვით. სოფლის გზას იქით-აქეთ რუები ჩაუდის და

უხვადა რწყავს სოფლის ბაღებსა და ყანებსა. მათი საამო ჩხრია-  
ლი გარშამო სიგრილესა ჰყენს.

საათის 4-ზე აკეთიდან გასულები საათის 6-ზე უკვე შუა-  
გულ ბახვში ვიყავით. ერთის მოზრდილის, მწვანე ხასხას მდე-  
ლოთი მოსილ ეზოს ჭიშკარში შევედი. აქ იყო ჩვენი მას-  
პინძელი, რომელთანაც ღამე უნდა გაგვეთია და მეორე დღეს  
დილა აღრიანა ბახმაროსაკენ აღმართს შევესდგომოდით. ოთხ-  
ხუთ დღიურის სივრცე ეზო ვაზებიან ხეებითაა მოფენილი. ერთს  
მხარეს თხილის ბუჩქებია ჩარიგებული. მეორე მხარეს ჩაუდის  
კარგა მსხვილი რუ, რომელიც სახლს უკან ბოსტანსა და სი-  
მინდის ყანასა რწყავს. ცხენები ხეებზე მივებით. ჩვენი მებარ-  
გული იქავ ხის ძირას პირაღმა წამოკოტრიალდა განცხრო-  
მით. მამასახლისა შინ არ დაგვიხვდა. ჩემმა თანამგზავრმა, რო-  
გორც დაახლოვებულმა მეგობარმა სახლიპატრონისამ, თვითონ  
იკისრა იმის მაგიერობა და სახლის აივანზე ჩამოსაჯდომად  
მიმიწვია.

სახლი, ან როგორც აქ ეძახიან, ოდა ჩვენის მასპინძლისა,  
როგორც თითქმის ყველა სახლები გურიაში ხისაა, რაიცა მო-  
წმობს ხე-ტყის შედარებითს სიაფეს, საძირკველი სახლისა ნია-  
დაგს აღწნაბეგარზე არის მოშორებული. საკმაოდ მოზრდილი  
სარკმელები უეჭველად უნდა გასცქეროდეს ეზოს. დარბაზი  
აქაურის სახლისა ზომაზე დიდია, ისე დიდია, რომ ცხენი გა-  
ქენდება. ერთის მხრით გრძელი ტახტია, ხალებით დაფენილი.  
ეს კია, რომ ეს დარბაზი უფრო საზაფხულო საცხოვრებლად  
არის მოწყობილი, ვიდრე საზამთროდ. კედელი არც შიგნი-  
დან არის გაგაზილი და არც გარედან. ჯუჯრუტანებიდან  
ქარი თავისუფლად შემოდის, ასე რომ შიგ ჰაერი სულ მუდამ  
სუფთაა. ბუხარი თუმცა აქვს დარბაზსა, მაგრამ შიგ რაც უნდა  
ბევრი შეშა ჰყარათ, სითბო 2<sup>0</sup> არ აღემატება. დარბაზის გვერ-  
დით მეორე ოთახია, სასტუმრო. შემდეგ მოსდევს საქალო გან-  
ყოფილება და ერთიც საბან-გობანის დასალოგებელი. ავეჯს,  
უსაჭიროებს გარდა, აქ ვერაფერსა ჰნახავთ: მაგიდა, რამდენიმე  
სელი და ეგ არის და ეგა. ეზოში ბალახია და ხეები, შივა და

შიგ ხილიცაა, ოდას გვერდით, 20—30 მხარის სიშორეზე, სამზადი უდგას. იმის უკან თავლა, ბოსელი, სასიმინდე და სხვ.

ასეთია ოდა და მოსახლეობა აქაურის აზნაურისა. ეზოს უკან მოდებული აქვს სიმინდის ყანა, რომელსაც მოზრდილი რუ რწყავს, ბახვისწყალიდან გადმოვადებული.

ამ კარ-მიდამოს დათვალეირების გარდა დაღამებამდე იქვე, ახლოს მდგარ, სოფლის პატარა ეკკლესიის ნახვაც მოვასწარიტ. ეს ეკკლესია შესანიშნავია თავისი ცოცხალის სამრეკლოთი, რომლის მსგავსი მარტო აქეთვენ, დასავლეთ სასაქართველოში, თუ შეხვდება კაცსა. უეჭველია, გაიოცებთ და იკითხაეთ, ცოცხალი სამრეკლო რაღა არისო? ასე კი გახლავსთ. წარმოიდგინეთ ურთხელი, რომელსაც ათასის წლის განმავლობაში უმზერნია სოფლის ღვინისა და ჭირისათვისა: სიმაღლე მ მხარი აქვს, მისს, სურათი მოსილს ტანს, ოთხი კაცი ძლივას შემოაწვდენენ ხელებსა. მაღლა, სულ თავში, პატარა ბაქანი გაუკეთებიათ, ხოლო ტოტზე ზარები დაუკიდნიათ. ამ თავისებურს სამრეკლოზე უშველებელი კიბე აქვსთ მიდგმული და ისე აღიან ზედა. ხე დღესაც ცოცხალია და იმგვარივე პატივისცემა და შიში აქვსთ სოფლელებსა, როგორც ეკკლესიისა, იმგვარ წმიდად ითვლება, როგორც ეს უკანასკნელი.

საათის 9-ზედ ჩვენი მასპინძელიც მოვიდა, ღაბაბიანი, ჩასუქებული. სიმსუქნისაგან პირისახე უღაპლაპებდა. გურიში ძალზედ მსუქანის და ტანსხვილის კაცის ნახვა ძალაუნებურად იპრობს თქვენს ყურადღებასა. უმეტესობა აქაურებისა ტანადები და წვრილებია. აქაურს მკვირცხლს ბუნებას არ ეხამება როგორღაც ასეთი სიტლანქე და მძიმეობა. გაეხარდა სტუმართ მისვლა, მერე—უცხოთა. გაგვიმასპინძლდა გურულად, გულუხვად. გემო გვაჩვენა ცნობილ გურულის ჯიშის ყურძნის „მტევანდიდის“ წვენისა. ეახშამზე ერთი მეზობელიც შემოგვიერთდა. ჯერ, როგორც საზოგადოდ, ყველა ქართულს სუფრაზე ვიცით ხოლმე, ღვინო შეიქმნა ღაპარაკის საგანი.

ბახვი ძველთაგანვე იყო ცნობილი და ნაქები თავისი კარგის ღირსების ღვინითა. ზოგის აზრით (მაგ. აგრონომი ერმ.

ნაკაშიძე), თვით სახელი ბახვი ამ სოფელს ბერძენთა ღვინის ღმერთის ბახუსისაგან დაერქვაო. როგორც სხვაგან გურიაში, ისე აქაც დარჩენილია ღღემდე სიმღერა, ანუ, უკედ, ლოცვა, რომლითაც მიმართავენ აგუნას, ანუ კერპთაყვანისცემლობის დროის ღმერთს-მფარველს მიწის ნაყოფისა და ქირნახულისას. ახალ წლის ანუ კალანდის წინა ღამეს მამასახლისა გაუძღვება დანარჩენთ წევრთ ოჯახისას და მიუძღვება მარანში. ხელში ყველას ანთებული თაფლის სანთელი უჭირავსთ; თან მიაქვსთ ხაჭაპური, ღვინო და ლორის თავი. ოჯახის უფროსს, გარდა ამისა, ხელში თოხი ან ცული უჭირავს. მივა გადმოპირქვავებულ საწნახელთან და ურტყამს ცულს ან თოხს ყუით, თანაც შემდეგს ლექსს ამბობს:

აგუნა, აგუნა, გამეიარეო,  
 ბახვი, ასკანა გადმეიარეო.  
 ჩვენს მამულში ყურძენიო,  
 მტრის მამულში ფურცელიო.  
 ჩვენს მამულში გოდრითა,  
 მტრის მამულში გიდლითაო.  
 აგუნა, აგუნა, ვიიიო.  
 ჩვენს ქალებს ყაჭი და აბრეშუმი,  
 მტრის ქალებს . . . . . !

აქ აღრე ვენახები ცალკე ყოფილა, მიშვებული. პატრონები თავის ვენახებს 10 და 15 ვერსითა ყოფილან ხოლმე ხანდისხან დაშორებულნი. აკეთებებსაც კი ჰქონიათ ძველს დროში აქ ვენახები და მარტო ყურისმგდებლები ეყენათ, თვითონ პატრონები მხოლოდ სთველის დროს მოდიოდნენ. რაკი მოსავალი დიდი იცოდა მაშინ ვაზებმა, საწნახელებიც დიდები ჰქონიათ, რასაც შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს. დარაჯს ვენახის ყურისგდებისათვის გადაწყვეტილს ჭირას არ აძლევდნენ. ქირაში ღვინო ეძლეოდათ გასამრჯელოდ. რომ დასწურავდნენ ყურძენს და ქვევრებში ჩახხმას რომ დაიწყებდნენ, საწნახლის წამოყირავებამდე ღვინო რაც გამოვიდოდა, პატრონისა იყო, მერე კი—დარაჯისა. დარაჯს 30 საწყავი\*) ღვინო მაინც ერგე-

\*) საწყავი—6<sup>1</sup>/<sub>2</sub> თუნგი.

ბოდა თურმე. ახლანდელი საწნახლეები კი იმდენად პატარაა, რომ იმდენი ყურძენი, 30 საწყავი ღვინო რომ გამოვიდეს, არც კი ჩაეტევა.

მაშინ ღვინოც ბევრი ყოფილა, მსმელებიც გაწვრთნილნი და მემარნეებიც—გამოცდილნი. გურიელს ერთი მეღვინეთ-ხუცესი ჰყოლია, გვარად ანთაძე, კაცი მეტად დახელოვნებული ღვინის ღირსების გამოცნობაში, რითაც თავი დიდად მოჰქონდა თურმე გურიელსა. ერთხელ სასახლეში უცხო სტუმრებთან ჩამოვარდნილა მის შესახებ ლაპარაკი და გადაუწყვეტიათ, გამოვსცადოთო. აურევიათ ერთმანეთში 3 ნაირი ღვინო:  $\frac{2}{3}$  ფერსათული (გურიაში სოფელია),  $\frac{2}{3}$  ოსეთური, (ისიც გურიაშია) და  $\frac{1}{3}$  ჩაქვური. მოუხშიათ მეღვინეთ-ხუცესი ანთაძე და უთქვემთ—გამოიცანიო. იმასაც, გემო უნახავს თუ არა, შემდეგი პასუხი მოუხსენებია მთავრისათვის:

„ფერად ფერსათულია,  
 „გემოდ—ოსეთურია,  
 „ცოტას მოიჩაქურებსო.“

„ახლა, ბატონო, არც ღვინო გვაქვს, არც სმა ვიცით და არც ღვინის გამოცნობაო“,—ნაღვლიანად გვითხრა მასპინძელმა.

ერთი მეზობელი გლეხიც გვიჯდა გვერდით. სახით გლეხი იყო, როგორც ყველა სხვა გლეხი, არც მეტი და არც ნაკლები. თავის დღეში ვერ ვიფიქრებდით, ღვინის სმის გარდა, თუ სხვა რაშიმე გაგვიწევდა კომპანიას. მამია გურიელის ლექსთა კრება, ის იყო, ახლად დაიბეჭდა. თითქმის ყველა გურულის ოჯახში შეხვდება კაცი ამ მთელს დასავლეთ საქართველოში პოპულიარულის მგოსნის ნაწერებსა. ეს ვიცოდით, მაგრამ იმას კი მაინც ვერ მოვიფიქრებდი, თუ ჩემთან ერთად მოსუფრალი გლეხი ამ მწერლის შესახებ ჩამომიგდებდა ლაპარაკსა. ზეპირად მითხრა მისი, არ მახსოვს რომელი ლექსი, მიამბო, როგორც თვითონ ესმოდა, ღირსება მამიას პოეზიისა და ბოლოს, მისს ბიოგრაფოსს, ბ-ნ იონა მეუნარგიას, გადასწვდა. „გავგლანძღა

გურულები, ჩვენი საქებარი პოეტი გვიგინაო“. შევეცადე მემტკიცებინა მისი შემცდარი აზრი, გამეგებინა, რომ ბ-ნ მეუნარგიას თუნდაც რომ ცუდად ეხსენებინა მ. გურიელი, იმას მაინც ვერავინ დასწამებს, რომ აზრად აქონოდა გურულების ძვირად ხსენება-მეთქი. მაგრამ საქმე ის არის, რამდენად ჭკუაში დაუჯდა ან რამდენად საბუთიანად ეჩვენა ჩემს თანამოსაუბრეს ბ-ნის მეუნარგიას გამართლება. შესანიშნავი და საგულლისხმო თვით ფაქტი გახლავსთ ჭალარა-შერთულის გლეხის შეხვედრისა, რომელმაც იცის, ვინ არის მამია გურიელი, რა გაუკეთებია მას მამულისათვის და სხვ. და ეს გლეხი სოფლის მცხოვრებია, სკოლა არ უნახავს, სადღაც და ვისგანღაც ძალის-ძალათი უსწავლია ორიოდ ანბანი...

მშენიერი დილა იყო, ნაზი, უმანკო. გარემო ფრინველთა სტვენა-ჭიკჭიკით აივსო. ცხრათვალა მზისაგან დედამიწას ორთქლი აუვიდა. ცხენები შეგვიკაზმეს, დავნაყრდით, შემოგვიერთდა ჩვენი მასპინძელი მექისაცა და დილის სიგრილვზედ გამოვსწიეთ. ეზოდან გამოვედით, თუ არა, შოსეს დავადექით. შოსეთია დაქსელილი აქ მთელი სოფელი. შოსეა მარჯვნივ, შოსეა მარცხნივ, წინ, უკან. განათლებულის ქვეყნის სოფელი მოგაგონდებათ ამ მხრივ. გლეხს ზედ კარებთან ჩაუდის კობტად მოკირწყლული გზა, რომელიც უადვილებს თავისის ნაწარმოების გადაზიდვას ერთის ალაგიდან მეორეზე. ყოველსავე ამას ატყვია კურთხეული, მადლით მოსილი მარჯვენა ამ სოფლის ძვირფასის შვილის, ნეტარხსენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, რომელიც სოფელ ბახვიში დაიბადა, აქ აღიზარდა სიყრმითვე და მერე ამავე სოფელს, მისთა დაჩაგრულთა მკვიდრთა ემსახურა მთელის თვისის ცოდნითა, დაუცხრომელის ენერგიითა. ჩვენში, იმ დროს მაინც, პირველი მაგალითი იყო, რომ თავის სამშობლო სოფლისათვის ვისმე იმდენი ამაგი დაედო, რამდენიც განსვენებულმა ბახვს დასდო. ერთს დროს სრულიად დავრდომილი, დაქვეითებული, დაჯანდაკებული, მწირი სოფელი ბახვი—დღეს მისის სულმნათის შვილის, გაბრიელის, მეოხებითა პირველ სოფლად ითვლება



მთელს გურიაში და, ცოდვა არ იქნება, კაცმა სთქვას, რომ როგორც გურიაში, ისე სხვაგან საქართველოში ამას სოფელი არა სჯობსო.

უწინარეს ყოვლისა გაბრიელმა ბახველებს აღუშენა თავისის საფასით მშვენიერი ქვითკირის ტაძარი, სადაც ბახველი ყოველის ლოცვის დროს თავისს მხურვალე ვედრებას აღაღწენს უფლისადმი და სთხოვს საუკუნო ნეტარება დაუმკვიდროს ამ სოფლისათვის ნამაგდარს შვილს. გაუყვანა გზები, რომლებზედაც ადამიანს თვალი რჩება ხოლმე. შემდეგ, ბახვის წყლიდან ტოტი გამოაგდო და ვაკე-ჯვრისა (ბახვის ზემოთ სოფელია) და ბახვის მწირი და უნაყოფო ადგილები სარწყავი გახადა, გაანაყოფიერა. იქ, სადაც მანამდე აქაურებისავე თქმით, ერთი ჯამი სიმინდი არ მოდიოდა, დღეს ადამიანს თვალსა და გულს უხარებს მხარ-ნახევრის სიმაღლე სიმინდის ღერი, რომელსაც სამ-სამი ტარო ამშვენებს, ტარო და მერე როგორი ტარო! თითო მწყრთიანი... გაშენდა ბაღები და ვენახები. ერთის სიტყვით, მთელი მიდამო წალკოტად იქცა. გარდა ამისა, დაარსა სკოლა, სადაც არა ასსა და ორასს მიუღია პირველ დაწყებითი სწავლა. ყოვლად სამღვდელო სრულებით არა გვანდა იმ ჯურის ადამიანთ, რომელნიც ფულს ინახავენ. რასაც შოულობდა, მოყვისისათვის, მისის ბედნიერებისათვის, მისის, ცრემლების მოსაწმენდად, მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლად უნდოდა. იმან ამ თავისის სამაგალითო მოქმედებით სიცოცხლეშივე დასტოვა ხელთ-უქმნელი ძეგლი თავისის მაღალ-ღირსების შესაფერი, ძეგლი სამარადისო თავისის დიდ-სულოვნობისა.

სრულებით ბუნებრივი იყო მისის უწმიდესობისაგან ზრუნვა კერძოდ თავისთა თანამოგვარეთა განათლებისათვისა. მისის მეოხებითა და საფასით ათზე მეტი კაცი უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდნენ. არც ერთს სოფელს იმდენი ნასწავლები არა ჰყავს, რამდენიც ბახვსა. ინჟინერი გნებავსთ, ექიმები, მეტყვე, იურისტი — თითო ან ორი ყველა პროფესიის კაცი ჰყავს. დიად სანუგეშო მოვლენა გახლავსთ! იქ, სადაც ერთმა კაცმა

მხოლოდ პირადის მხნეობით, საკუთარის მარჯვენის მიზნავართა ესდენი სარგებლობა მოუტანა თავისს სამშობლო სოფელსა, მისგან აღზრდილთა უფრო უნდა წარმატებინათ აქაურობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო სწავლაც არა ყოფილა თამასუქი ადამიანის კაი-კაცობისა.... თუ კიდევ სული უდგას ბახვს, ისევე გაბრიელის უხვის გულისაგან, თუ კედლები შენდება საერთო წარმატებისა, ისევე გაბრიელისაგან ჩაყრილ საძირკველზე.

გაბრიელის საფასით ნაყიდ ადგილზეა ორკლასიანი სასოფლო სკოლა, რომლისათვისაც დღეს ქვეთკირის სახლი შენდება. სკოლის ეზოში მშენიერი ბაღია, იქვე ეენახია, სკები. ყოველივე ეს სამაგალითოდ და მისაბაძავად ჩაითვლება არამც თუ სოფლისათვის, არამედ ქალაქისათვისაც. სკოლასთანვე არის წიგნთსაცავი. ჩვენდა სამწუხაროდ, იმ დროს მოგვიხდა აქ გავლა, როცა მასწავლებლები ყველა ბახმაროზე იყვნენ წასულეები და, ამიტომ, აქაურობის მარტო ვარეგანის ნახვით დავკამყოფილდით.

ბახვშივე მოქმედობს შემნახველ-გამსესხებელი სასოფლო კასა, 1881 წ. 11 იანვარს გახსნილი, რომელსაც აკრავს ხუთი სოფელი ბახვის საზოგადოებისა 3,642 მცხოვრებითა ორისავე სქესისა. საინტერესოა მკითხველს ამ კასის მოქმედების ანგარიშიც გავაცნოთ. მთელის წლის (1896 წ.) განმავლობაში სესხად გაუციათ სოფლელებზე 3,293 მანეთი. ხოლო 1897 წლის 1 იანვრისათვის მოგება დარჩენიათ 170 მანეთი. მთელი თანხა 3ქონიათ 3,317 მ. და 71 კაპ. როგორც ყველგან სხვაგან, აქაც სოფლის მასწავლებელნი არიან საქმის გამძღოლნი და მესვეურნი.

ამნაირივე ამხანაგობა სოფლად გურიაში ბახვს გარდა ერთია, — სოფ. ასკანაში. აქ მოქმედება დაუწყიათ 1897 წ. 2 იანვარს. მაშინ დამაარსებლები ითვლებოდნენ 50. ნახევარ წლის განმავლობაში (ანგარიში ივლისში) ეს რიცხვი 179 ავიდა, მათში ქალი 21 იყო. ოპერაცია: საწილო ფული — 1845 მ., გასესხებულის % 178 მ. და 71 კ., დაბრუნებული





სესხი: 1,009 მ., შესანახად შემოტანილი—719 მ. და 79 კ., სხვა-და-სხვა შემოსავალი—53 მ. და 70 კ. გადარიცხული საწილო ფული 2 ლ., სულ შემოსავალი: 3,908 მ. და 20 კ.; გასავალი: საწილო გარიცხულის ამხანაგ. 2 მ., სესხად გაცემული—3599 მ. % ელამდე შემოტანილის სესხისა 2 მ. და 69 კ. მობარებული ფული გაიტანეს: 238 მ. და 60 კ. ამის %—1 მ. და 1 კ. გამგეობის ხარჯი 43 მ. და 85 კ. სულ 3,887 მან. და 15 კ. ნაღდი სალაროში 21 მ. და 15 კ.

—

ბახვიდან ბახმაროს მთის აღმართამდე მგზავრს ერთი სოფელი აქვს გასავლელი,—ეს გახლავსთ ვაკე-ჯვარი. შარა-გზის იქით-აქეთ ოდებია გადმომდგარი ამ სოფლისა, ასე რომ მთელი სოფელი თითქმის სიგრძეზედაა გაშენებული, მოჩუხჩუხე წყალით მორწყულ ყანებში დატაროვებული სიმინდი მწვანედ ხასხასებს, მხარ-ნახევარის სიმაღლე. ყოველ ეზოში ბაღი და წისქვილია. ვისაც ამ ათვის წლის წინად უნახავს აქაურობა, როცა დაგვალული სიმინდი აღამიანს ცრემლებსა ჰგვრიდა თვალეზზე და მხნელ-მთესველი, მთელის წლის შრომის შემდეგ, ყანიდან თითო ჯამ სიმინდს თუ აიღებდა სასიმინდეში შესაყრელად, დღევანდელს განაყოფიერებულს, სახეგამოცვლილს ვაკე-ჯვარს ველარც კი იცნობს. ჭეშმარიტად გასაოცარია აგეთი მეტამორფოზა!... რაც გაბრიელ ეპისკოპოსის მეოხებით ბახვისწყლიდან ტოტი გამოიყვანეს, მსგავსად ბახვისა, სამოთხეს დაემსგავსა აქაური განსგამოლენული ნიადაგი.

ვაკე-ჯვარი იქა თავდება, სადაც იწყება აღმართი გური-აქარის მთებზე გადასასვლელ გზისა, რომელსაც მგზავრი მთელი ერთი დღე უნდება. თუ აღრე არ არის წამოსული, მგზავრი ამ სოფელში უნდა გაჩერდეს ღამის გასათევად და შესასვენებლად, რომ მეორე დღეს მთაზე, უდაბურ ადგილას, არ მოუხდეს გაჩერება, სადაც თითქმის არაფრის შოვნა შეიძლება. ამ თავისის განსაკუთრებულის მდებარეობის წყალობით სოფელი ვავაქრებულია. თუ გნებავსთ, მოგაგონებთ შვეიცარიის სოფელს, სადაც ყველაფერი ფულზეა გადატანილი, ფულით

იზომება. მეგობრობა, ალერსი, თქვენის მასპინძლის სტუმართ-  
მოყვარეობა იმდენად არის კარგი, რამდენად მსუქანია თქვენი  
ჯიბე და—წინაუკმო. პირველი უმეოროდ წარმოუდგენელია. ურ-  
თიერთს შორის მკიდრო კავშირი აქვს ორსავე. იშვიათს მგზავრსა  
ნახავთ, საქმე ჰქონოდეს ვაკე-ჯვარელთან და ქებით ახსენოს მი-  
სი სტუმართმოყვარეობა. ყველანი პირაღებით აძაგებენ აქაურ-  
თა მკვიდრთა,—უპირული ხალხიაო. ესთქვათ, ბახმაროზე მი-  
ბრძანდებით. იმ ანგარიშითა ხართ წამოსული, რომ ვაკე-ჯვარ-  
ში ცხენი უნდა დაიჭირავთ. ვაკე-ჯვრელი მანეთად გაგირიგ-  
დებათ, მერე კი არც იმისი შერცხვება, ორი მანეთი მოგთხო-  
ვოსთ. მენაფისა და ნაფში მჯდომისა არ იყოს, ისეთს ადგილას,  
სადაც თქვენ მარტო დაჩაგრული მხარე ხართ და ვის ხელშიაც  
თქვენი ბედი და იღბალია, კიდევცა სქრის და კიდევცა ჰკერავს,  
უნდა ბედს დაემორჩილოთ და სხვათა დრტვინვას თქვენი ჩივი-  
ლიც შეუერთოთ. ესთქვათ, დაგიღამდათ და ღამე ვაკე-ჯვარში  
უნდა გაათიოთ. ღამე თქვენს ცხენს მოგპარავენ, ანუ უკედ-  
დაგიმალავენ, რა არის, ჩემი ცხენი ვაჭირავენინო და ქარა  
გამოყართვა მამა-სისხლადო. და მებრვე სხვ.

აქაური ჰაერი ნაქებია და საზაფხულოდ მოაგარაკენიც  
ეტანებიან. მაგრამ ცხოვრება ძვირია, ყველაფერს ცეცხლი უკი-  
დია. არა ერთისა და ორისაგან გამიგონია საჩივარი, მასპინძე-  
ლიც კი ჩვენს ხარჯზედ უნდა ვაცხოვროთო. ერთის სიტყვით,  
საზოგადო აზრი ის არის, რომ ვაკე-ჯვრელი ნემსსაც კი ატყა-  
ვებსო.

სოფლის ბოლოს სამ-ოთხ ალაგას დუქნებიც არის, სადაც  
უსაჭიროესის ყიდვა ყოველთეის შეუძლია კაცსა. დუქნის წინ  
ხშირად შეხვდებით საჩინო ადგილას ჩამოკიდებულს „პაპა-ჯვა-  
რს“ ან მფარველს დუქნისას მანე სულთაგან, მზაკვართაგან:  
პატარა, აჭრელელებული ჯოხებია; თითო მტკაველის სიგძე ჯინ-  
ჯილებიანი.

პირველი ნახევარი ჩვენის მოგზაურობისა თითქმის გავა-  
თავეთ, ესე იგი, ვნახეთ გურია, მისნი მკვიდრნი, მისი ცხოვ-

რება, რამდენის ნახვა და გაცნობა კი შეიძლებოდა ერთისთვის განმავლობაში. ჩვენის წერილების სისრულისათვის აქა გვსურს ორიოდ სიტყვა ვთქვათ, ანუ უკედ, ციფრები ვალაპარაკოთ ჩვენს მაგივრად გურიაში სწავლა-განათლების შესახებ. ეს ციფრები, ჩვენის აზრით, ყველაზე მეტად მჭევრ-მეტყველოურად ღალადებს საქართველოს ამ კუთხის გონებით დაწინაურების შესახებ. განსაკუთრებით ვაკვირდებოდით ამ მხარეს და შევნიშნეთ, რომ ისეთი სოფელი იშვიათი არ არის, სადაც წერა-კითხვა მხოლოდ ზოგიერთმა 40 წელს გადასულმა თუ არ იცის წიგნი. ცნობებს ამისათვის ვიღებთ ოზურგეთის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურის და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის 1896 წლის ანგარიშებიდან.

თანახმად ამ ანგარიშებისა, მთელს მაზრაში, სადაც 25 საზოგადოება და 100 სოფელია, 1896 წ. ითვლებოდა 72 სკოლა. მათს შორის: 1 სასულიერო ოთხ კლასიანი სასწავლებელი (ქ. ოზურგეთში), 33 — სამრევლო-საეკლესიო სკოლა, 13 — წერა-კითხვის სკოლა (სასულიერო უწყებისა); საერო განათლების სამინისტროს უწყებისა: 1 — სამოქალაქო სასწავლებელი (ქ. ოზურგეთში), 1 — სამოქალაქო ორკლასიანი, ქალებისათვის (ოზურგეთშივე), 1 — სასოფლო ნორმალური სასწავლებელი, 12 — ორკლასიანი სოფლისა, 12 — სასოფლო პირველდაწყებითი და 1 — კერძო სასწავლებელი (ბახვში). ყველა ამ სასწავლებლებში საანგარიშო წლის გასულს სწავლობდა მამრობითის სქესისა 2,550 ყმაწ., მდედრობითისა 283, სულ 2,833 ყმაწვ. ორისავე სქესისა.

ეს რიცხვი სკოლათა და მოსწავლეთა მთელის მაზრის მცხოვრებთა რიცხვს და ამავე მაზრის სიერცეს რომ შევუფარდოთ, აღმოჩნდება, რომ თითო სკოლა მოდის ყოველ 1,205 მკვიდრზე, ანუ ყოველ 27,5 ოთხკუთხ ვერსზე. ხოლო თითო მოსწავლე მოდის 30<sup>1</sup>/<sub>2</sub> მკვიდრზე.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ სკოლებთან ერთად სოფლებში არა ერთგან და ორგანაა წიგნთსაცავები გახსნილი, საიდანაც წიგნებს ეზიდებიან სოფლებიანი და სკოლაში შექმნილს ცოდნას უფრო იმტკიცებენ.

## XII

## ბ ა ხ მ ა რ ა

ბახმაროს გზა.—კოკია და „რვა-ფუთა“. —მშვენება „ტიალი-სა“.—ბახმარო: მისი წარსული, მისი აწმყო.—ერისთავების დავა.—მო-ჭაერენი.—ცხოვრების პირობანი.—ბახმაროს საძოვრები.—მეგრელი მეჯღოგენი.—უზა კვარაცხელია და მისი ფილოსოფია; მისი კარავი.—განდრეკილზე ასვლა.—მზის ამოსვლა.—ავდარი და გასვლა.

დიღის ათი საათი იყო. შოსე და ეაკე გათავდა და აღმართს შევეუდექით. მაშინაღვე ატყობთ, რომ საქმე გექმნებათ ისეთს გზასთან, რომელსაც ადამიანის ხელი არ მიჰკარებია და, მაშასადამე, მოკლებულია ყოველსავე სიადვილეს მგზავრისათვის. ითვალისწინებთ, თუ რა ზომის ჯაფა უნდა დაადგეს თქვენს ფეხებს, ან კიდევ საცოდავს პირუტყვს, რომელიც იძულებულია თქვენი ტანი ზილოს. პირველის ნაბიჯის გადადგმაზედვე მექისას ბუცეფალს სიმწარის ოფლი გადაასკდა თავის პატრონის სიმძიმისაგან. სიბრალულის გრძნობით აღვისიღმა ჩემი კოკია\*) მექისას დავუთმე და იმის ცხენის ზურგს მე მოვექეცი. იმის ლაჯებს ქვეშ აღარც კი გამოჩნდა საბრალო ცხოველი. ყურები-ღა უჩანდა. აკვნესდა, მაგრამ რა აკვნესდა!.. ქვის გულის პატრონსაც კი თვალებზე ცრემლებს მოჰკვრიდა სიბრალულისას. ცხენებს საქმეს, აღმართის გარდა, ისიც უჭირვებდათ, რომ ახალი ნაწვიმარი იყო და მოლიბულს გზაზე ფეხები წამ-და-უწუმ უცურდებოდათ. ზოგჯერ იძულებულნი ვიყავით ფეხით გვეარნა და ცხენები სალტად წაგვეყვანა: მხოლოდ მექისა, რომელსაც შესაფერისობისათვის „ცხრა-ფუთა“ დავარქვით, არა შორდებოდა თავის კოკიას.

გზა ტყე-ტყე მიდის. რცხილა, წიფელი, წაბლი, ლეკიხე ერთმანერთში არეულია. ყველას კი წიფელი სჰარბობს. ტყე მდიდარია, მაგრამ უგზოობის გამო ადამიანი ვერა სარგებლობს. მხოლოდ თავადს მ. ნაკაშიძეს დაუწყია საკასრე მასალების ჰრა,

\*) ასე ჯორს ეძახიან გურია-სამეგრელოში, საიღერსოდ.



რომელიც ჩაღვადრებით ჩააქვს ძირს. სხვა მასალას აქედან ვერ ჩაიტანს კაცი, რადგან აქაურს საცალფეხო გზაზე მარტო ცხენი თუ გაივლის და ისიც გაჭირვებით, თორემ ურემი ვერას გზით ვერ მიუდგება აქაურობას. და ამდენი სიმდიდრე მუქთადა ლპება და ოხრდება ტყეში. ეგვევ ითქმის იმ ძვირფას ნაძენარზე, რომლითაც დაფარულია აქაურის მთების მაღალი ადგილები.

აღაგ-აღაგ სულ ვიწროვდება, სული ეხუთება გზასა, ორ კედელს შუა მოქცეულსა. თუ ცხენით შიგ შეხვედით, უკან დაბრუნება არ შეგიძლიათ. თუ წინ ცხენი შემოგხვდათ, გზას ვერ უქცევთ ერთმანერთს. განსაკუთრებით გასაჭირია ამ ალაგას გავლა, როცა ჯოგს მოერეკებიან. მწყემსებმა და საქონლის პატრონებმა ეს იციან და სათოფეზედ ყვირილს მოჰყვებიან. ამ ყვირილით წინიდან მომავალს მგზავრს აფრთხილებენ, არ დაიძრათ, სანამ ჩვენ არ გავალთო. ხშირად ამ ალაგას უბედურებაც დატრიალებულა. ეს გზა ამასთანავე კალაპოტიცაა მთის ნაკადისა. ღვარობის დროს მთელი კალაპოტი ივსება, მქლავრად მოდის და რაც და ვინც გზაში შემოხვდება, ფეხზე არ აყენებს და თავისს მსხვერპლადა ხდის ხოლმე.

კარგი და, როგორ-ღა დადიან ასეთის გზითაო? იკითხავთ. დიდის გაჭირვებით. ნახევარი გზა ფეხით უნდა იაროთ. ვისაც ფეხით სიარული არ შეუძლია და ცხენი არ ეცოდება, თავის დამაგრება მაინც უნდა იცოდეს უნაგირზე, ამიტომ რომ მთელი გზა ერთმანერთზე უარესი აღმართ-დაღმართებია. ხალხი მაინც დადის, განსაკუთრებით გაჭირებული, ციებისაგან ილაჯ-გაწყვეტილი. ყველაზე საინტერესოა ისა, რომ ბავშვებიც კი დაჰყავთ ამ გზითა. ზოგს ზედ უნაგირზე დააკრავენ მაგრად, ზოგს ყუთებში ჩასვამენ და იქით-აქეთ დაჰკიდებენ ცხენსა და საპალნესავით აზიდვინებენ.

რაც უფრო ზევით ავდივართ, ნისლი განუყრელი თანამგზავრი ხდება ჩვენი. ხან ბამბასავით შიგ გავხვებით, ხან ჩვენგან გაგოგდება და სადმე ხევში დაეკიდება ხეებსა. მშვენიერი გადასახეღია ვაკისკენ: მოსჩანს ყვითელი ზოლი სულ მუდამ ამ-

ღვრეულ რიონისა, თეთრი ლიანდაგი რკინის გზისა, ქუთაისი, სენაკი, სამეგრელოს მთები, სამტრედია, ესე იგი, ნაწილი იმერეთისა, მთელი გურია და ნახევარი სამეგრელო. გზაზე ბევრაა წყავი და განსაკუთრებით მოცვი. სიარულისაგან ნერწყვამშრალი მგზავრი ხარბად ეტანება მოცვსა, რომელიც ამ უწყლო ალაგას მართლა მისწრებაა. შეგიძლიათ იმდენი მიირთვათ, რამდენიც გნებავსთ—უწყინარი ხილია.

გზა უარესად აღმართდება. ზედ ერთვის ლაფი. სიარული სჭირდება. რამდენჯერმე სასახლე ავაკეთ. უმეტეს ხანს ფეხით მივდივართ, გარდა „რვა-ფუთასი“, რომელიც წურბელასავით არა შორდება თავის კოკიასა; ისიც ქშინავს, ოფლი ასკდება სიმწარისა. უჭირდება ჩვენის მებარგულის როსინანტსაც. აქეზებენ: „ბედაური წინ!“, „ას თუმნიანო, გასწი!“ მაგრამ მაინც სიარულს უკლებს, აღონებს პატრონსა. ბოლოს, შუადღის ხანს ავატანეთ ბახმაროს გზის შუა პუნქტს—„თხემლნარას“. აქ პატარა მინდორია და გვერდით წყაროცაა. საიდანაც უნდა მოდიოდეს მგზავრი — ქვევიდან ზევით, თუ ზევიდან ქვევით, ერთხელვე შემოდებულის ჩვეულების თანახმად, აქ უნდა გაჩერდეს, შეისვენოს თვით და პირუტყვსაც შეება მისცეს. შესვენებით კი ისვენებენ, მაგრამ აქაურს წყალს მაინც არა სვამენ, მისს მსმელს „მუხლები მოეკრება“ მაშინათვე და ვერ ივლისო. ჩამოვბტით ყველანი. „რვა-ფუთიანის“ ჩამოხტომა, კოკიას გაგორება და მოსართავების დაწყება ერთი იყო. შეგვეშინდა. ეგ არის, კოკიამ ყორნები გაახარაო,—ვსთქვით. თურმე ჩვეულებადა ჰქონია მისს რჯულსა: დაღლის შემდეგ უეჭველად უნდა გაგორდნენ თურმე. ცოტათი დაენაყრდით. ამასობაში წამოგვეწივნენ ჩალვადრები, რომელთაც საპალნეები მოჰქონდათ ფქვილისა, პურისა, ზოგს ბარგი აეკიდებინა მოაგარაკეთა.

ნახევარ საათს უკან ისევ შევუდგეთ გზასა. თანამგზავრი ცხენებს არა შორდებოდნენ, თუმცა საცოდავნი პირუტყვნი ქრისტესავით ეწვალეოდნენ. ფეხები უკანკალებდათ, მთელი ტანი საპონის ქაფად ექცათ, მუცელი საბერველივით ებე-



რებოდათ. მაგრამ მხედარი მაინც ზედ იჯდა. მაშ ცხენი წა-  
ლად მინდა, თუ მე ფეხით ვივლიო. ნამდვილი მტარვალია ჩვე-  
ნი ხალხი ზოგს შემთხვევაში... თითქოს ლმობიერების ნიშან-  
წყალი დაეკარგაო.

ერთი საათიც და, ტყე უკან დაესტოვეთ, ტიალზე (შიშ-  
ველი ადგილი) გამოვედით. მთის სიომ დაგვბერა. იქავე, სომ-  
ლიასთან, დუქანი გამოჩნდა. აქაც შევისვენეთ, ცივის, მთის  
წყაროს გემო ვნახეთ, შუბლი გავიგრძელეთ და ისევ შეეუდე-  
ქით. ნისლი უფრო ხშირად გველობება წინ. ერთის მხარის მან-  
ძილზე არაფერსა ვხედავთ. შიგ ინთქება ხეები და შორს გან-  
მარტოვებით მდგარი ნაძვის ხეები. გზა უკეთესია, აღმართები  
ქრება, მიდამო ვაკდება. აქა-იქ, გზის პირას ქოხებია, შვეიცა-  
რიულ შალეს მსგავსი. შიგა დგანან „მეჰარენი“, როგორც აქ ეძა-  
ხიან ჰაერის გამოსაცვლელად ამოსულთა. იქვე ხვადავი სძლავს,  
ყვავილებთა შორის, რომელთაც ჩხრიალითა რწყავს მთიური  
ნაკადულები, წმინდა, კამკამი. მრავალ-ფეროვანის ყვავილების  
ფშვინვა საკმეველსავით აღის ზეცას სადიდებლად გამჩენისა, მის-  
თვის საგალობელის სათქმელად. ყოველი ყვავილი, ყოველი ბა-  
ლახი, ამ საოცნებო ნიადგაზე აღმოცენებული, რომელთაც გარ-  
შამო დარაჯებად მთები უდგანან, თავისკენ გიწვევენ, რომ გულ-  
ში ჩაეხუტოთ, რომ სმენა დაგიტკბოსთ სიყვარულის საგალობე-  
ლითა. ძალიან ბოროტი უნდა იყოს ადამიანი, რომ აქ იყოს,  
აქაურის ზუნების სიდიადეს, მისს დაუსრულებელს და გასაოცე-  
ბელს მშვენებას უყუროს ღ გული ნეტარების გრძნობით არ აღე-  
სოს, რომ არ აღფრთოვანდეს ჩაგრულის მოძმის შველის სურ-  
ვილითა. ამ დროს ადამიანისათვის დაბრკოლება არ არსებობს,  
უძლურება რა არის, იმან არ იცის. გინდათ, სულ აქ იყოთ,  
ამ ოცნების სამეფოში, მთელი სიცოცხლე, მთელი საუკუნე ამ  
ბუნების წიაღზე გაატაროთ. ისე გემძიმებათ აქაურობის მოშო-  
რება, როგორც ერთხელვე გულში ჩაკრულის საყვარელის არ-  
სების მოგლეჯა, ლურჯმოცილა ცა თავს დაგცქერისთ, შო-  
რიდან სალამსა და მხურვალე კოცნას გიგზავნისთ. მისი მო-  
ლიმარე, აღერსით სავსე თვალები იმასლა გეუბნებათ, რომ ამ

ადგილას ძმობისა და სათნოების მეტი არა არის-რაო, ბოროტებას ადგილი არა აქვსო... მშვენიერია, მშვენიერი აქაურობა, ისე მშვენიერი, ისე დიდებული, რომ სიცოცხლე, რაც უნდა ძალღ-უმაღური იყოს ბარად, აქ გიყვარდებათ. ყოველს ნაბიჯზე ეპოტინებით ყვავილს, რომელიც აქ უფრო წმინდა, უმწიკვლო მშვენებით არის გაბრწყინებული, ყოველს ნაბიჯზე ხელებსა ჰყოფთ ვერცხლის წყალსავით მოლუკლუკე წყალს... ჰნეტარობთ სულითა და ხორციით. თვალსა ხუჭავთ, მახსოვრებას ძალას ატანთ, რომ დაგავიწყდესთ ბარი, ქალაქი, თავისის უსიამოვნებითა.....

ცოტაც გავიარეთ და მთის ფერდობებზე გამოჩნდა ჯოგი ძროხებისა, კარვები მეჯოგეთა, მათს შორის ქოხები მოჰაერეთა და მათს გვერდით ხეები, ნაძენარით დაფარული. ექვსის ვერსის სიშორიდან ბახმაროს სახლების სახურავებიც გამოჩნდა. სიმწარე გამოვლილის გზისა გვაფიწყდება, დადლილობა ჰქრება და მხნედ მივისწრაფვით ამ ალთქმას ქვეყანისაკენ. თვალსა გვტაცებს მის გარშემო შემორკალიებული მთის მწვერვალები, ლურჯ-მოციალა ცის ჩრდილით დიფარულები. რამდენსამე ალაგას გავედით მთიდან ქუხილით წამოსულ წყლებში, რომლებიც ბახვის წყალში ერთვიან და რომელსაც აქ ორი მხარი აქვს განი, ისიც არა. გავიარეთ ბაისურა (ადგილსა ჰქვიან), შემდეგ ტყე ბუმბერაზ ნაძვებისა. აქა-იქ გაპნეულია ქოხები ხელ-მოკლე მოჰაერეთა. აჰა, გავედით ბახვის-წყალში და ავატანეთ თვით ბახმაროსაც, რომელსაც მუქის ფერ ჩარჩოსავით შემოკრული აქვს ნაძვისა და სოჭის ტყე. შუაში 20 და 30 მხარის მანძილზე დაშორებით გაპნეულია მოაგარაკეთა ფიცრული სახლები, ორ-სამ თვალიანი, ბუხრებიანი.

—

ბახმარო მთის სახელია, სადაც უწინ ამოდიოდნენ და ახლაც ამოდიან ზაფხულობით მეგრელი მწყემსები. როგორ გადაიქცა ბახმაროს მთა სააგარაკო ადგილად და რა რიგია მისი აწინდელი ყოფა? უეჭველია, ბახმაროს ერთს დროს თავისი მისტორიეც გამოუჩნდება, და ჩვენც ვეცდებით აქ ხელმისაწვდომ ვყოთ



ყველასათვის ის ცნობები, რომლებიც ადგილობრივ შვეკრი-  
ბეთ.

უწინარეს ყოვლისა მოგახსენებთ მისის სახელწოდების ამ-  
ბავს, რომელსაც, ცოტა არ იყოს, რომანიული სარჩულიცა აქვს.  
ამბად არის დარჩენილი,—ერთს აჭარელს გურიიში ერთი ლა-  
მაზი ქალი მოუტაცნია. ქალს სახელად მარო რქმევია. მო-  
მტაცებელს, რა თქმა უნდა, მღევრები გამოსდგომიან და და-  
სწევნიან კიდევცა სწორედ ბახმაროსთან. აჭარელს გადაუწყვე-  
ტია, ეს არის, წამართმევენ ჩემის გულის დამტყვევებელს და  
რაკი მისის აღერსითა და სიყვარულით მე ვერ დავსტკბი, ნურც  
სხვა გაიხარებსო, და ეგოისტს არშიყს თავისი მშვენიერი ტყვე  
მოუკლავს და მღევართათვის ოსმალურად დაუძახნია: ბახ (ნა-  
ხე) მარო (მარო—სახელი ქალისა), ე. ი., აი, მოვკალი და მი-  
დით, ნახეთ, რაც გინდათ, ის უყავითო. ეს ერთი ფურცელი  
გახლავსთ ბახმაროს ისტორიისა, იმ ბახმაროსი, რომელიც მო-  
წამე იყო აურაცხელის სისხლისღვრისა და მოტაცებისა, რად-  
გან ზემო-აჭარა ამ გზით უერთდება გურიისა და ამ ბახმარო-  
ზე გადაჰყავდათ ტყვეები და გადაჰქონდათ ნადავლი.

ბახმაროს მთები მთელს გურიიში განთქმულია თავისი სა-  
ზაფხულო, ალპიურის სამოვრებითა და მდიდარის ტყეებითა.  
ეს 30,000 დესიატინის სივრცის ადგილი საკუთრება იყო გუ-  
რიაში ცნობილ თეადიშვილების—ერისთავებისა. ხოლო დღეს  
პატრონად გამოუჩნდა ხაზინა. საგულისხმიეროა ასეთის სიმ-  
დიდრის გადასვლა ერთის პატრონისაგან მეორის ხელში, გარ-  
ნა უფრორე საგულისხმოა ზოგიერთის ვაჟბატონის ქცევა, რო-  
მელნიც ამ საქმეში თვალსაჩინო როლსა თამაშობდნენ. საქმე  
ის გახლავსთ, რომ ამ უშველებელს ერთიანს მამულს ერისთა-  
ვეები უხსოვრის დროიდანვე ჰფლობდნენ. მოდავე არავინა ჰყო-  
ლია ამ გვაროვნობას და არცარავის ფიქრად მოუვიდოდა, ამათ  
დასდავეობდნენ. მაშ როგორ მოხდაო!—იკითხავს გაოცებული  
მკითხველი. მოგახსენებთ.

ერთს ზამთარს, როცა ბახმაროსა და მის მიდამოებში ნა-  
ღირის მეტი ძე ხორციელი არავინ დადიოდა, ადგილობრივმა

მეტყვევებ ბ-ნმა ი. ქ—ძემ თავისი დარაჯები ჩააყენა ბახმაროს ტყეში. ექვსის თვის განმავლობაში აქ აცხოვრა და მერე, როგორც სახელმწიფო ქონების წარმომადგენელმა, სოფ. ხიდის-თავში (გურიაში) არხინად მყოფ ერისთავებს, პატრონებს ბახმაროსას, დავა აუტეხა—ეს მამულები სახაზინოა და უფლება არაერთარი გაქვსთ მისი სარგებლობისაო. ერისთავებმა ჯერ სერიოზულად არც კი შეხედეს ამ, მათის აზრით, უსაბუთოდ ატეხილს დავას. რა საბუთით წავვართმევს მამა-პაპიდან გადმოცემულ ქონებასაო?!... ხოლო ბ-ნს ქ—ძეს საბუთი მამულის წართმევისა ჰქონდა და ამ საბუთსაც რუსეთის კანონმდებლობაში „მფლობელობის უფლებას“ ეძახიან... ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოში უკვე გაიჩა შარშანდელის წლის აპრილის თვეში და ერისთავებმა წააგეს. საქმე ახლა პალატაშია გადატანილი და უწინდელი პატრონები თავისს უფლებას ამტკიცებენ.

გურიაში როდის მიაქციეს ბახმაროს ყურადღება, როგორც სააგარაკო ადგილსა? სულ არ იქნება 7—8 წელიწადი. ისიც—სრულებით შემთხვევით. აქ ზაფხულობით ამომავალ მეგრელ მწყემსებს სოფ. გურიანთას მცხოვრებ ძმათა ქარძივათეგან ერთს ზაფხულს ერთ-ერთი ძმა ამოჰყვა „საპაეროდ“, გურიანთის ცივებისაგან განსაკუთრებლად. მთის ჰაერმა, საუცხოვო წყალმა თავისი ზედგავლენა იქონია „მოპაერეზე“ და ცივებისაგან შეება-მოცემული ჩამოვიდა ბარად. მეორე ზაფხულს ძმა ამოიყვანა. ისიც მოკეთებული დაბრუნდა. მერე სხვებს ურჩიეს. ამ სახით, პიონერებად ქარცივაძენი ითვლებიან. პირველი სახლი (ხისა) აქ ნიკიფორე ქარცივაძემ წარმოსდგა. ამას სხვებმაც მიჰბადეს. სატყეო უწყების აგენტს სამოსახლო ადგილები სთხოვეს. იმანაც თითოეულს მთხოვნელს 200 ოთხკუთხი მხარი მიწა მიუზომა ორ მანეთად წელიწადში. მერე ექიმიც ამოვიდა ბახმაროზე, შეამოწმა ამ აგარაკის კარგი, ცივების საწინააღმდეგო, თვისება და თავისს პაციენტებს ყველას ურჩია ამოსვლა. ამან უფრო წააქეზა ხალხი და მიაშურეს. ამ სახით, იქ, სადაც ამ 7—8 წლის წინად ორად-ორი სახლი იყო, დღეს სამოცზე მე-



ტი სააგარაკო. სადგომია წარმოდგემული. მათს შორის 9 დუქანიცაა. თვით ბახმაროს საუკეთესო ადგილას, იქ, სადაც დღეს თ. ივ. მაჭუტაძეს სახლი აქვს და მასთან ერთად ორ-სამს სხვას, 1890 წელს მწყემსს ვინმე ღვინჯილიას საქონელი ეყენა და მწყემსური ქოხი ედგა. სამოსახლო მიწების შოვნა თან-და-თან სჭირდება. ზოგი ორ ნაქერს იღებს, რაკი იაფია,—ხალვათად ეიცხოვროთო.

სახლები აქ, როგორცა ვსთქვით, ფიცრულია. ხუროებად მოდიან ვაკე-ჯვრელები და აქარლები. ოთხთვალ სახლს და სამ-ზარეულოს (ცალკე) 300 მანეთად დაგიდგამენ თავისის მასალით, ორთვალს—100—150 მანეთად. მასალას იქვე გვერდით ტყეში ყიდულობენ თვითონ ხუროები სახელმწიფოა ქონებათა უწყებისაგან. ზოგს სახლს ბუხარიცა აქვს. ეს კია, ერთი პირი 30 მანეთი ჯდება. ერთი აგურხანაც გაუკეთებიათ. ბუხარი კი აქაურ სახლებისათვის აუცილებლად საჭიროა, რადგან ხანდისხან, როგორც, მაგალითად, შარშან, ძალზე ცივა, სითბო ზოგჯერ მხოლოდ 8—9 გრადუსია.

ბახმაროს მთის ჰაერით სამკურნალოდ ჯერ-ჯერობით ამოდინ გურიის ვაკე-ადგილების ცივებით დაავადებულნი ოჯახობანი. მომსვლელთა რიცხვი ყოველ წლობითა მატულობს. მაგალითად, შარშან ზაფხულს 1,000 სული მოჰაერე იყო. ამოსვლა შეიძლება მხოლოდ ცხენით. თან მოაქვსთ ყველას საბანგობანი და სურსათი, რადგან აქ სასტუმრო არ არის. უმეტეს შემთხვევაში ყოველს ოჯახობას თავისი საკუთარი სახლი აქვს. იშვიათად თუ ვინმე ჰქირაობს ოთახსა. სეზონში (1½ თვე) ერთი ოთახი 20—25 მანეთი ჰფასობს. შიგ კომფორტი არაერთარია. შარშან გასაქირავებელიც არ იყო ოთახი.

ცხოვრება, შედარებით, ძვირია, რადგან ბარიდან (ოზურგეთიდან) ამოტანა სურსათისა ძვირი ჯდება. ჩაღვადრებს ფუთ საქონელზე მარტო ამოტანისა 40—50 კაპ. მიაქვსთ. არის აქ ცხრამდე დუქანი, სადაც თითქმის ყოველ გვარის სანოვავის შოვნა შეიძლება. რა თქმა უნდა, სამი-ოთხი კაპეიკი მეტი ღირს აქ საქონელი, ვიდრე ოზურგეთში. მაგალითად

გირვანქა შაქარი ოზურგეთში სამი შაური რომ ღირს, აქ 18 კაპეკად ფასობს, პური გირვანქა—6 კაპ. მერე, კარგის პურის შოვნაც ძნელია. მეტად ცუდს პურს აცხობენ აქაურნი მეპურენი. მეგრულ მწყემსებისაგან საკლავს იშოვიოთ. ოყა ხორცი 20 კაპეკია. იმათვე შემოაქვთ სულგუნი (გადახელილი ყველი) თითო 10—12 კაპ., რძე ბოთლი ორ შაურად. კარაქი და ერბო აქარელ მწყემსებს მოაქვსთ მახლობელ ვილებიდან.

საზაფხულო სეზონი ბახმაროზე იწყება თიბათაის 20-ის შემდეგ. ამაზე ადრე აქ არ იმოსივლება, — ძალზედა ცივა. ხანდისხან, როგორც მაგალითად, შარშან, 12 თიბათვეს თოვლი მოსულა. სეზონი მარიამობისთვის შუა რიცხვებამდე გრძელდება. ღამ-ღამეობით სიცივეები იცის. სითბო ხშირად 8 გრადუსამდე დასულა. 32° სიცხე აქ მაქსიმალურია. შარშან წინ ყოფილა ასეთი სიცხე და მოაგარაკენი შინ ვერა ჩერდებოდნენ და ყველანი იქავ მოდებულ ნაძვარში იმალებოდნენ თურმე.

მოაგარაკეთათვის აქ გასართობი ჯერ არაფერია, ანუ უკეთ, თავისებური გურული გასართობია. სახელდობრ: ყოველ საღამოს ბურთაობა იმართება, რომელშიაც ბანოვანნიც იღებენ მონაწილეობას. რა სიმარტივეა ჩვეულებათა!... სიმღერა, ფერხული, ლეკური ისეა გამართული, როგორც გურიის რომელსამე სოფელში დღეობის დროს. ერთმა მასწავლებელმა კეგლი გააკეთა და ბუზსავით ეხვეოდნენ ქალი თუ კაცი. დიდს პატივშია წარდისა და ქალაღდის თამაში.

სასეირნო და თვალის სასეირო ადგილები აქ ბევრია. გარშემო მდებარე მთები: ბაისურა, განდრეკილი, ფაფარა, ყორნია და მათი კალთები მშვენიერი სასეირნო ადგილებია. ბახვის წყალი, სადაც მხოლოდ კალმახები იცის, მშვენიერი საბანაოა. ცივი წყაროები ყოველს ნაბიჯზეა. მათს შორის ერთია შესანიშნავი, ეგრედ წოდებული „გურიელის საცივი“ (საცივს გურიაში წყაროს ეძახიან), ბახმაროს ჩრდილოეთით, მაღლობზე. ამ წყაროს წყალს 4 გრადუსი-ლა აქვს სითბო. როგორც აქაურები მოგვითხრობენ, ადრე გურიის მთავარი სანადიროდ სოფ. ასკანიდან (20 ვერსია ბახმაროდან) რომ გამოვიდოდა, სადი-



ლობისას ამ ადგილას აატანდა და სადილს ამ წყაროსთან მიიჩნებოდა და სახელიც აქედან დაერქვა ამ საცივესაო.

ექიმი ბახმაროზე არ არის. ჩემს იქ ყოფნაში ერთი ბებია იყო და ერთიც ფერშალი. ბებიას, რა თქმა უნდა, პრაქტიკა ნაკლებადა ჰქონდა, ხოლო ფერშალი კი ქინაქინას ბევრს ასალეზდა, ამიტომ რომ დამალული ცივება ვისაც კი აქვს ტანში, აქ რომ ამოვა, უსათუოდ უნდა გამოაჩნდეს. როცა ბახმარო გაიზრდება, შესაფერი გზა გაუყვითლება, აქ ამოსვლას შემთხვევითი ხასიათი არ ექმნება, მაშინ, უეჭველია, თავისი ექიმიც გაუჩნდება, რაიცა მოაგარაკეთათვის აუცილებელად საჭიროა. ამბობენ, აზრად აქვსთ—ბათომის ლაზარეთიც, სადაც ცივებიანი ბევრია, ზაფხულობით აქ ამოიტანონ ხოლმეო.

ჯერ არც ეკვლესია არის აქა. მოჰაერე მღვდელი ბარე სამი თუ ოთხი იყო. ყოველ კვირა—უქმეობით მოაგარაკენი ერთს სახლში იყრიდნენ თავსა და ერთ-ერთი მღვდელი ლოცვებს უკითხავდა, რაკი ხალხი ყოველ ზაფხულს მატულობს და წირვა-ლოცვა საჭირო შეიქმნა, განზრახვა აქვსთ ხის ეკვლესია აავონ.

ყველაზე თვალსაჩინო ნაკლი აქაური—უწიგნთსაცავობაა. გაზეთები ბევრსა აქვსთ გამოწერილი, მაგრამ საქმეს მათი მიღება აჭირებს. მეტად უწეს-რიგოდ ამოაქვსთ ხომლე. შარშან ზოგიერთმა მანდილოსნებმა ითავეს, ეს ნაკლი ბახმაროს შემდგისათვის მაინც ააცილონ თავიდან და მომავალ წიგნთსაცავის სასარგებლოდ ხელის-მოწერით ფულიც კი შეჰკრიბეს. ჰფიქრობენ, სოფ. ასკანის წიგნთსაცავის ეურნალ-გაზეთები ზაფხულობით ბახმაროში დაიბარონ და ამისთვის საკუთარი კაციც დაიჭირონ.

ისე მოჰაერეთა გარდა აქ ამოდის მაზრის უფროსი, თან მისდევს ერთ-ერთი ბოქაული, რომელიც წეს-რიგსა იცავს. შიში ფირალებისა სრულებით არ არის, თუმცა ბახმაროს გარშემო ტყე და ტიანები აკრავს და 20 ვერსის სიახლოვეს სოფელი არ არის. ყველანი უღარდელადა სტხოვრობენ. ჯერ მაინც მაგალითი არა ყოფილა, რომ ვინმე გაეძარცვათ. ზამთრო-

ბით კი ცარიელდება აქაურობა, ძე-ხორციელი არა დგება. სახლები უბატონოდ რჩება. ამ უბატონოდ დაგდებულს სახლებს მეჯოგენი რაზა-კოქებს აცლიან და, თუ აღრეული ზამთარია, თავისს კარვებს თავს ანებებენ და სწორედ იმ ოთახებში, სადაც ამ ერთის თთვის წინად განცხრომითა სცხოვრობდით, საქონელს აყენებენ...

ბახმაროს, როგორცა ვსთქვით, გარშამო საუცხოვო აღზიური საძოვრები აკრავს, სადაც საზაფხულოდ მეგრელი მწყემსები მოერეკებიან ჯოგს, განსაკუთრებით ძროხისას. პირველში გამოვივრდა კიდევცა: სად გურიის საძოვრები და სად მეგრელი მწყემსები მეთქი! საქმე ის გახლავსთ, რომ გურულს მწყემსობა სათაკილო ხელობად მიაჩნია, გურულმა რომ ძროხა მოსწველოს, ესე იგი, სადედაკაცო საქმე რომ გააკეთოს, ყველასა-საგან ყბად-ასაღები გახდება, მისის აზრით. ჯოგის უკან დევნა, მეჯოგობა—გურულის აზრით, სააუგო ხელობაა, ადამიანის ღირსების დამამცირებელი. გარდა ამისა, მეჯოგის უზრდელობა ცნობილია. თვითონ სიტყვა „მეჯოგე“ ლანძღვის სიტყვად არის ქცეული. „ნამდვილი მეჯოგეა“—იტყვიან, როცა ვისიმე უზრდელობა ჰსურსთ გამოხატონ. სხვათა შორის, მიზეზიც ეგ უნდა იყოს იმისა, რომ ოზურგეთის მაზრაში საქონლის მოშენებას უკანასკნელი ადგილი უჭირავს მთელს გუბერნიაში. მაგალითად, როგორც 1896 წლის ანგარიშიდანა სჩანს, ოზურგეთის მაზრაში ცხენები ჰყოლიათ 3,469, ჯორები—139, სახედრები—37, ხარები და ძროხები—13,451, კამეჩები—139, ცხვარი—66, თხა—3,435 და ღორები 32,938, სულ 53,674 სული საქონელი.

საზოგადოდ, გურიაში საქონელი იმდენი ჰყავსთ, რომ ოჯახში საჭიროებისათვის ეყოსთ. გასასყიდად საქონელს არ აშენებენ და მაშასადამე, არც საზაფხულო იალღებზე აღიან. ასე და ამგვარად, მწყემსობა აქაურს მთებზე მეგრელების მონაპოვლიად გამხდარა. უმეტესობა მწყემსებისა ზუგდიდის მაზრიდანაა წამოსული, საკუთრივ შემდეგის სოფლებიდან: ჯგალიდან, წე-

ლენჯიხიდან, კორცხელიდან, ესე იგი იმ ადგილებიდან, სადაც მკვიდრნი საქონლის მოშენებას მისდევენ. განსაკუთრებით აქ ბევრს მწყემსს შეხვდებით კვარაცხელიას გვარისას. ეს გვარი გურიაში საერთო გვარად გამხდარა მწყემსებისათვის. მწყემსს რომ შეხვდება გურული, ჰკითხავს, კვარაცხელია ხომ არა ხარო? ყველანი მესაკუთრენი არიან. მათში მდიდრებიც ბევრი ურევია. ზოგსა ჰყავს: 100 ძროხა, 60 ცხენი, 400 თხა. წარმოიდგინეთ, აქარის საზღვარზე ღორის კოლტიც კი გაუჩენიათ, რასაც მეზობელი აქარელი, რა თქმა უნდა, გულგრილად ვერ შეხედავს.

საძოვრებს მწყემსები იჯარით იღებენ ხაზინიდან მთელის ზაფხულით. ზოგი მთელს მთაში სამას მანეთს იხდის. მერე კერძოდ ვინც მიიბარებს საქონელს, მწყემსს მოსამწყემსავს აძლევენ საქონლის რიცხვის კვალობაზე. მაგალითად, თითო ცხენზე 2 მ. აძლევენ და სხ. რჩებიან აქ თითქმის ხუთი თვე, მაინიდან მოყოლებული. სანამ კარგად არ დასთავს, აქაურობას თავს არ ანებებენ. ბარად (გურიაშივე) ღვინობისთვეში ჩამოდიან. აქ კი კერძო მემამულეებთან არიან დაბინავებულნი, ან და სახელმწიფო მამულებზე სხვილფეხ საქონელზე ორ აბაზს იხდიან, თხაზე—ორ შაურს. უმეტესად ჩოჩხათის საზოგადოებაში თ ჯამბაკურ გურიელის და მისის ძმების მამულებში დგანან გიორგობისთვიდან ვიდრე მეორე წლის მაისამდე. სხვილფეხზე და ღოჩზე (დიდი ხბო) იხდიან—1 მან., წვრილფეხ საქონლის შენახვისათვის თხუთმეტში ერთს აძლევენ. გარდა ამისა, დგანან სოფ. გურიანთას და მდ. ჩოლოქის ორსავე ნაპირებზე, შავის ზღვის პირად, სადაც ზამთრობით უფრო თბილა.

აქაური მწყემსები ზოგი 30 წელიწადია, რაც აქეთკენ დადიან. გურიაში ომამდე ჰქონდათ გზა გაკაფული. ზოგი სამის წლობით არა ბრუნდება სამშობლო სოფელში. ისე კი რიგობით დადიან სახლში დიდს დღესასწაულებში: კალანდას (ახალწელიწადს), აღდგომას და სხვ. ისეთებიც არიან, რომ აქ სახლკარდებიან და სამუდამოდა რჩებიან. საქონელს იმავე პრიმიტიულის წესით უვლიან, როგორც მათი მოძმენი სამურზა-

ყანო-აფხაზეთისა. თავისთვის თუ იკეთებენ კარავსა, რაც, აქედან ტყის სიუხვეში, იაფი ჯდება, თორემ საქონელი ზამთარ-ზაფხულ ცის ქვეშა ჰყავსთ, დარსა თუ ავდარში, უბნაოდ. საცოდავს პირუტყვს ზედ დასდის წვიმა, თოვლი, ნებში წვეს, არაინა სწმენდს, ითმენს საოცარის მდგნეობით სიცივესა და ყოველსავე გაჰირებასა. რა თქმა უნდა, ასეთს პირობებს თავისი გავლენა აქვს ხოლმე მათის ხორცისა და რძის რაოდენობასა და ღირსებაზე, ყურადღებას არაინ აქცევს თორემ.

რძისაგან აქ მხოლოდ ერთნაირს ყველს აკეთებენ—სულგუნს, ანუ, როგორც აქ ეძახიან, გადაზელილს. ასაღებენ მომეტებულად ბარელ გურულებზე, რომელთაც აქ ზაფხულობით სიმინდის ფქვილი ამოაქვსთ ხოლმე და იმაში უცვლიან. ქილა ფქვილს 80—90 კაპეიკის ანგარიშში აძლევენ, ხოლო თითო გადაზელილი, რომელიც გირვანქაზედ ცოტა ნაკლებს იწონს, ორის შაურის ანგარიშში მიაქვსთ. შრატისაგან ნადულს (ხაჭოს) აკეთებენ, მაგრამ უფრო შინაურობაში სახმარად. რძესა და მაწონს ბახმაროში ჰყიდიან მეჭაერებზე. კარაქის კეთებას სულ არ მისდევენ. ხოლო ზედმეტს ხარსა, თუ ძროხას საკლავადა ჰყიდიან ბახმაროშივე.

ბახმაროში მოჭაერთა შორის მეგრელი მწყემსები ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე. ადვილი საცნობებიც არიან, სხვებში მკაფიოდ ერჩევიან: ტლანქი მიმოხვრა, მოკლე, წყლისფერი ჩოხა, ჯვარულის შალისა, ტყავის ჩაფულა, მოკლე, ჯვარული ნაბადი, მოწითანო ფერისა და დაცხავებული, წოწოლა ქუდი ნაბდისა ან დაგლეჯილი ყაბალახი, მაცდური თვალები და ხელში ნაძვის ჯოხი, თეთრად გათლილი. ბახმაროში ყველა მწყემსების ბელადად უზა (სახელია) კვარაცხელია ითვლება. იმას მთელი ბახმარო იცნობს თავისის ბრტყელ-ბრტყელ და ცინიკურ ლაპარაკისათვის. მაგრამ, საკვირველია, ამდენი ხანი აქა სცხოვრობენ, გურულებში ტრიალებენ და ქართული მანც ჯვარულის (სოფელია ზუგდიდის მაზრაში, იქაურები ლაპარაკში კილოს უქცევენ) კილოთი უნდა ილაპარაკონ. ასე ლაპარაკობდა უზაცა. ერთს დღეს მეც გამაცნეს ეს გმირი ბახმა-



როსი. გამოვეხმაურე მისებურად, რამაც დიდად გააოცა. ვკითხე სადაურობა; როგორმყოფობა. ჯერ მეგრულად მელაპარაკა. მიქო ბახმარო იმ დროისა, როცა აქ არავენ დადიოდა, არც ქალები ამოდრიოდნენ და არა „სთვალამდნენ“ აქაურობასაო. მერე სხვების გასაგონად თავისებურის ქართულით მითხრა: „ქალემქ რომუ გაჩიდენ აქანა, წახითა და მოგვესიზა, ბატონო, საქიმე: ნადირიქ გეიქცა, ხორიცი გოუფუქუდა, სემილარისტი (ვითომ, ნასწავლი) ქალებიქ აქური გოლეფი (მთები) რომუ ნახესუ და დათვალესუ, ყოლიფერი წახითა. არ ღირს აქანა ყოფნა, ბალახი კიდო სუნთელი გაფუქუდა...“ ესე იგი ნასწავლმა ქალებმა დაიწყეს აქ სიარული და ყველაფერი დათვალესო (თვალის ჰკრესო): ბალახი, ნადირი, მთა, წყალიო. ქალის ნახვას მთა არა ჰგუობსო, ქალმა თავი არ უნდა აჩვენოსო. როგორც ნადირი თვალს მოჰკრავს ქალსა, მისს ხორცს წინანდელი გემო ეკარგებაო. ბალახსაც ძალა აკლდება, ისე ვერ ასუქებს საქონელსაო. ქალების თვალებსა აქვსთ ასეთი ძალაო.

უზასა სწამდა, რასაც ამბობდა. და მე იძულებული ვიყავ ბოლომდე მომესმინა მისი ფილოსოფია. ასეთის ფილოსოფიით ართობს ხოლმე უზა აქაურს ცუდად მყოფ ხალხსა..

მესამე დღე იყო ჩემის იქ ყოფნისა. საშინელმა მოწყენილობამ აგვიტანა. ახლო-მახლო ყველაფერი ვნახეთ, თითქმის ყველა გავიცანით. გადავსწყვიტეთ ბახმაროს აღმოსავლეთით მდებარე „განდრეკილის“ მთაზე ასვლა და მზის ამოსვლის დიდებულის სურათის ნახვა. წასასვლელად ოთხნი მოვემზადენით. ბახმაროდან სალამოს რვა საათზე გავედით. თვით განდრეკილის ძირას, ბახმაროდან ორის ვერსის მანძილზე ჩვენს ნაცნობს მეჯოგეს უზა კვარაცხელიას ეყენა ჯოგი. ღამე აქ უნდა გავგეთია და დილის 2 საათზე შევსდგომოდით მთას, რომ 4 საათისათვის, ესე იგი, როცა მზე ამოდრიოდა, მალლა ვყოფილიყავით.

ნახევარ საათის განმავლობაში უკვე უზას კარავში ვიყავით. შეგვიპატიჟა, მაგრამ მისს შეპატიჟებას რაღაც ნაძალა-

დევობა ეტყობოდა. აქ უკვე გამქრალია ის გულწრფელი სიხარული, სტუმრის დანახვით აღძრული, რასაც მგზავრი სხვაგან მთებზე შენიშნავს. აქ ხალხის სიახლოვეს გავლენით ფულის სიყვარულს სტუმარის სიყვარული მეჯოგის გულიდან განუდევნია. კარავში ბარე 15 კაცამდე დაგვიხვდა დიდი და პატარა. უზას ორი ძმაცა ჰყოლია და სულ ერთადა მდგარან. სამსავე ძმას შეძობულ მწყემსების სახელი აქვსთ.

მჭვარტლისაგან გაშავებული კარავი ნაძვის მრგვალ ძელე-ბისაგან არის შეკრული, ჯარგვალის მსგავსად; ზევიდან ნაძვის ყავრით გადაუხურავსთ. ქოხის ავეჯს შეადგენს: დაძონძილი ორიოდ სებანი, შავი, მსუბუქად გაჩორკნილი ფიცრები ტახტის მაგივრად, კეცი, თუჯის ქვაბი, ბუყუნი მაწონისათვის, ტაბაკი, რამდენიმე თეფში და ხის კოვზები. ეს არის და ეს. ამ მჭვარტლის და სიბინძურის სამეფოში ერთს კუთხეში თახჩაზე ეგდო ი. გოგებაშვილის „კონა“ და ზოგი რამ რუსული სახელმძღვანელო წიგნები. თან გვესიამოვნა და თანაც გაგვიკვირდა. თურმე ამ კარავის წევრთაგანნი ერთი ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში ყოფილა, მეორე იქვე სასულიეროში. უზა ერთსაც ბათუმის გიმნაზიისათვის ამზადებინებდა... უზა მეტის-მეტი ფულის მოყვარული და თანაც უსწავლელი რომ იყო, ვიცოდით. გამიკვირდა მისი სიუხვე, ჩემს კითხვაზე ამ საგნის შესახებ, დაახლოვებით, შემდეგი მიპასუხა: „ხომ ხედავ, ბატონო, რა ცხოვრებას ვეწევი! ჩვენი ცხოვრება რა ცხოვრებაა! ჩვენთვის სიხარულის დღე იშვიათად გათენდება, სულ ტანჯვა, ჯაფა, სიცივე, ვაგლახი. ხან მთელი ორი დღე არა მძინავს ხოლმე. რისთვის? იმისთვის, რომ უსწავლელი ვარ. მამა-ჩემს არც ფული ჰქონდა, არც მისი ჭკუა, რომ ჩემთვის ორი ანბანი ესწავლებინა. მეჯოგობა იცოდა და მეც ეს მასწავლა. ღმერთისა და თქვენის წყალობით ორიოდ სული საქონელი მყავს, ყოველ წლობით ორიოდ გროშს ავიღებ. ვიცი, რომ თუ ჩემს შვილს ვასწავლე, ერთს დღეს თქვენსავით „ჩინონიკი“ იქმნება, ჭკუაც ექმნება და ფულიცა. ჩემის ხელობით შორს ვერ წავა. თუ „ორი ღერი“ წიგნი არ ისწავლა, კაცი მქადს არ მოუტებს.

ამიტომ, მე დავიკლებ, უქმელი დავრჩები და იმას კი რამე ფრად „კლასს“ გავათავებინებ.“

როცა ვუთხარით ჩვენის მოსვლის აზრი, ფრიად გაიოცეს. მთაზე და მერე ღამით რა გინდათო? მზის ამოსვლა რომ ვახსენებთ, საცილად არ ეყოთ: მზეს ბახმაროდანაც დაინახავდითო. ჩემი უბის წიგნი და ფანქარი რომ ნახა უზამ, დაასვენა, „მთის ასაწერად“ მიდიანო და თავისიანებს ისე გააცნო ჩვენი თავი. რაკი არ იშლით და მაინცა და მაინც გინდათ ნახოთ, მარტო ვერ გაგიშვებთ, კაცსა და ძაღლებს გაგაყოლებთ, თორემ ან გზა დაგეკარგებათ, ან „უწმინდური“ (დათვი) შემოგხვდებათ და დაგამარცხებსთო. აქ დიდძალი იცის დათვებიო, — ჩვენის მსახურების სურვილი განაცხადა უზამ. ჩვენ, რა თქმა უნდა, მადლობა გადავუხადეთ. მხოლოდ მერე ვინანეთ, რომ მადლობა ტყუილად დაგვეკარგა.

ვახშმობის დრომ მოატანა. გვასვეს რძე, შემოგვთავაზეს მაწონი, გადაზელილი, ტალახის მსაგავსი ღომი სიმინდის ფქვილისა. კომლმა სული ამოგვართვა. ნავახშმევს თვალების მოსატყუებლად მივწექით ტახტზე. უზა დაგვიბრდა, თავის დროზე მე გაგაღვიძებთო. ის კი არა, გულში სხვა სდებია. მაინც ვერ დავრწმუნებინა თავისი თავი, რომ ჩვენ მართლა გვწადდა მთაზე ასვლა. ჩემს თანამგზავრებს ჩაეძინათ. მე კი კომლმა აღარ დამაძინა, მხოლოდ თავი მოვიმძინარე. კერის პირას უზა და მისი ერთი ძმა დიდს ხანს ლაპარაკობდნენ. მათის ლაპარაკის საგანი ჩვენც ვიყავით. რა თქმა უნდა, სასიკეთოდ არ მოეუხსენებინვართ. სთქვეს: დაეძინებათ, ჩვენ არ გავაღვიძოთ, მანამდე მზეც ამოვა და ესენი არ წავლენო. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ სულ გამიკრთა ძილი.

ორის ნახევარზე წამოვდექით. ველოდით, უზა კაცს გავაყოლებს, გზის მაჩვენებელსაო. ეს კი საჭირო იყო, რადგან მთაზე ათასი ბილიკებია, თუ ერთს ასცდით, დიდს ხანს მოგიხდებათ ხეტიალი უგზო-უკვლოდ. მაგრამ უზამ ისე დაიჭირა თავი, თითქო არაფერს დაგვიბრებოდა და თითქო არც ჩვენ გვეთქვას მადლობა წინდაწინვე. მერე ძალის-ძალათი გამოვარ-

თვით სატევარი, თორემ იმასაც არ იძლეოდა. არც ძალღებნი გამოგვაყოლა...

შევუდგეით აღმართს. გზას გენათებდა ცისკრის ვარსკვლავი. ჩუმი და მშვიდი ღამე იყო. ცა ისე იყო მოჭედული ვარსკვლავებითა, რომ ერთის ხელის დადება ადგილი არ დარჩენილიყო თავისუფალი. სიჩუმეს მხოლოდ შორს ბახვის წყალის ჩხრიალი არღვევდა. მისი ხმა ბახმაროს გარშემო შემოაკალბულ მთების კალთებსა ჰკოცნიდა. ათასში ერთხელ უზას ქოთაკების მიკნავებული ხმაც ამოატანდა ჩვენამდე. ჰაერი მეტად წმინდა იყო. გზაში ბალახით გამოძღარი ცხენი შემოგვხდა, ერთს ალაგას გაჩერებული. უზასაგან დაშინებულებს ცოტა გვეყო, რომ უწყინარი ცხენი დათვად დაგვესახა. სატევრის გარდა თოფიც მოგვექონდა. ერთმა თოფიანს დაუძახა:

— ვასო!

— რა იყო?

— თოფი სადა გაქვს?

— ზურგზე.

— პატრონა არის შიგ?

— არა.

— სადა გაქვს?

— ჯიბეში, ცხვირსახოცში გამოვკარი.

ამასობაში თვითონ ცხენმა გვიხსნა გასაჭირისაგან. ჩვენს ლაპარაკზე დაფრთხა და გზა გასწმინდა. ხოლო ჩვენ სიცილი აგვიტყდა და მეთოფურს ქება ვუთხარით ასე მარაგად ყოფნისათვის...

4 საათზე მთას მოვექეცით. შევისვენეთ, მაგრამ სიცივე ძალზე იკბინებოდა. ხუთის 40 წუთზე მტრედის ფერ ღრუბლებს მზის შორეული სხივები მოხვდა. ცის-კიდურს, თითქო უმანკო ქალიაო, მზის სხივების მოხვედრაზე შერცხვა, ბაგე-ტუჩები ვარდის ფერად შეეღება. მოლად მიდამო ვარდის ხავერდს დაემსგავსა. ბოლოს, თვით გამომგზავნი ამ სხივებისა გამოჩნდა. უმანკო იყო ბუნება, დედა-მიწა, რომელზედაც ჩვენ ვნებივრობდით. მთის ზურგი უთვალავ აღმასებად აბრჭყვიალდა. ამოწვერილ

მზის სხივნი ჰკრთოდნენ, თითქო გვეაღერებდა და კდემამოსილის საგალობელს გვიგალობსო. გარშამო გამეფებულს დუმილს არაფერი არღვევდა. თვით ჩვენ სულგანაბულნი შევსცქეროდით ამ დიდებულს სურათს ბუნებისას. ჩვენი სახე, თვალები—ერთიანი გამომეტყველება იყო იმ უზომო აღტაცებისა, რომელმაც მთელი ჩვენი არსება მოიცვა. მზის სხივთაგან განათებულ „ყორნიას“ მთამ საოცნებო სახე მიიღო. შორს ლაპლაპი დაიწყო შეფშეთის თოვლიანმა მწვერვალებმა.

მზემ ცოტ-ცოტად ქვეყანა გაათბო. ჩვენც ტბილად დავიძინეთ ნახევარ საათით. უკან შურდულივით დავეშვიტ. უზამ საუზმედ დაგვახვედრა რძე და მაწონი. აქეთობას ვნახეთ ბახმაროს ჩრდილოეთით მდებარე სერი ფურნია, საიდანაც მკაფიოდა სჩანს მთელი ბარი გურია-სამეგრელოსი და შავი ზღვა. მაგრამ მანამდე ნისლიც აირია და ხშირის ნაძვნარით ბახმაროში დავეშვიტო.

ის იყო და ისა—დარმა ჩხირი მოგვატეხა. დაიწყო წვიმა, ნისლი, წვიმა, ნისლი, დაიჭირა სიცივე. ვიფუფნებით საზამთრო ტანისამოსში და ეს—31 მკათათვეს!

საშინელია ავდარში აქაურობა, როცა კოკიპირულად ასხაჰს ზევიდან! მეხი ისე ახლოს ვარდება, გვეგონებათ, ეს არის, თავზე დამატყდაო. ამ დროს, უკუშ ლამეში, როცა თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი სიბნელისაგან, იელავს, მაგრამ მერე უარესად ჩამოზნელდება, მეჯოგე დაძრწის კლდე-ღრეში და ეძებს გარედ დარჩენილს საქონელს, თან გულშემზარის ხმით ღრიალებს... საქონელს უძახის... ან დათვეს ეომება... უნდა ერთხელ გაიგონოს კაცმა ეს ხმა, რომ სავსებით იგრძნოს მისი შემზარავობა...

ცოტათი გამოიდარა თუ არა, საშინელი ქარი ასტყდა. გვეგონა ამ სიხლებსაც წაიღებსო. თავი დავუკარი აქაურობას, მეტი დარჩენა არა ღირდა. გზა აქარისაკენ უნდა განმეგრძო. წავედი, მაგრამ არც მერე გაუხარნიათ მეჭაერეთა. სიცივეს ძალზე შეეწუხებინა ყველა და 15 მარიაშობისთვეს აქ არავინა ყოფილა მწყემსებს გარდა.

## ეჭიუდები ქართულის ლიტერატურიდან

წერილი მესამე

თ'დი ნაკ. ბარათაშვილი

(1816—1845)

რომ კარგად შესძლო დასასიათება ქართულ ლიტერატურის დიდებისა, გენიოსის ბარათაშვილისა, საჭიროა გჭონდეს საკრიტიკო მჭერმეტყველება ტენისა და ადამიანის სულის შეგნების უნარი შექსპირისა... ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ცხოვრებაში მართლაც რომ საოცარ მოვლენას შეადგენს ლიტერატურისას ციო მოვლენილი რაღაც უცნაურობით ეს გენიოსი პოეტი... თუ რომელსამე მუცნიერს გაიტაცებს ცნობისმოყვარეობა და ქართულ ლიტერატურის შესწავლას მოჰკიდებს ხელს, რათა მით ისარგებლოს საზოგადო ცხოვრების კანონების დასადგენად, რადგან, ბატონებო, ყოველი ლიტერატურა, როგორც ყოველივე გონების ნაწარმოები და ყოველივე მოვლენა ცხოვრებისა მასალაა, ფაქტთა გრძობა, რომლის შემწეობითაც მხოლოდ შესაძლოა გამოჩვეულ იქმნას ადამიანთა ცხოვრების ზრდისა და განვითარების საუკუნო პრინციპები და კანონები... თუ, ვამბობ, ასეთი მუცნიერი მოიძებნება, ბარათაშვილის იმ დროში საჭარბოვლოში გაჩენის ფაქტით ისეღმძვანელებს იმ კანონის განსამტვიცნებლად, რომ ცხოვრებაში ხდება ხოლმე ხანდახან ისეთი რამ, რომლის ახსნა შეუძლებელია რაიმე გარეშე პირობითა და გაკლენით, რომ ამგვარი მოვლენა ბუნების უინიანობაა, ამგვარი მოვლენა არის შემთხვევითი.

მე იმას ვერ ვიტყვი, რომ ფორმა ბარათშია და ლექსებისა და ზოგიერთის მხრით თვით შინაარსი არ ყოფილიყოს განხილვი შიგნით ჩვენის ზოგადი კოლექციისა. არ შემოდის ისა ვსთქვა, რომ ბარათშია ზოგადი ზოგადი მხრით განსაზღვრული არ იყოს ად. ჭეჭეჭეჭისა და გრ. ობობისა ზოგადი, რომ იმის ლექსთა ვრცელ არ იყოს განხილვი საფუძვლი ჩვენის ზოგადი ზრდი-სა, ხოლო გენიოსობა ვი ბარათშია მანტ განსაკვირვებელი... და ეს გენიოსობა მარტო იმაში ვი არ ვამხატა, რომ ახალის ზოგადი შინაარსი ჩვეულებრივის ნიჭისა და ტალანტით აქვს შემუ-შავებული—ამ შინაარსს გენიოსების ბეჭედი ასევე ყოველს წვი-მადნში... მისი გენიოსობა არც მხოლოდ იმაში ვამხატულა, რომ რომანტიული ღირება მიიყვანა იმ საფუძვლად, რომლის ვად-რინება შეუძლებელი იყო ქართველის ზოგადისათვის, არა, მან დაუ-დავს მტკიცე და შეუწყველი საფუძველი მთელს ახალს ქართულს ზოგადს, მან ჩავადო საძირკველი ახალის რეალურის ღირებვისა—თუ ვი რეალურის ღირებვის საკანი შეიცავს სხვისი, ხალხის, ერის გრძობათა ვამხატვას და არა ზოგადი განვიადებულს სულის ვე-თების ვამთქმა-ადმეგნესას...

მე არ ვიცი, ბატონებო, ბერი ზოგადი უფრო ძლიერის გრძობ-ბით აღსავსე, ცოტა ვიცი ზოგადი უფრო წმინდისა და ნათელის გრძობის ვამთქმული, მგოსანი უფრო სპეტაკი, ვულით და სუ-ლით ამაღლებული, არ ვიცი ბერი ზოგადი ასეთი წმინდობა სტო-ციზმით აღსავსე, ცოტა ვიცი მგოსანი უფრო ძლიერად აღმფრთე-ბული და უფრო ღრმად დატანჯული ღმერთის სულისაგანა.

სპეტაკი და ანგელისური ოცნება ბარათშია ღამანტინის ვაგანებთ, რომ ღამანტინის ამაღლებული აზრები ცოტა რიტორი-კით არ იყოს შესავსული; წმინდობა სტოციზმი მისი უფრო აღმანურია, უფრო ნაზი და ამით უფრო რადან ქრისტესებური, ვანემ სტოციზმი დე-ვიანისა, რომელიც თავისი მუდამურობით, არისტოკრატიული ინდივიდუალის შიგნით შეფერავს ამაგობას ვაგანსებთ ხოლმე; საწრფელი და სინაზე მისი მიუსუსს წრფელ ვენესას მგავგანებთ, მგრამ იმავედ უფრო ღრმას, რადგან მიუს-სუს ეტეობა, ცოტა არ იყოს, დადამანდული თვის-ნებობა, ემი-

კურიული შესიმიზმი და წითელი გრძნობათა უმდაბლესის მსარქველი  
 გაზრდადებული გატაცება.

ბაირონის გენიოსობას მე ვერ გაგებდავ და ვერ შევადარებ ბა-  
 რათაშვილს, სოფო ეს კი უპოვებელია, ბაირონის გვერდის დამძიკე-  
 ნებულ ლირიკოსთან შორის ადგილი ბართაშვილსაც კეთუნის. იმი-  
 ტომ, რომ თუ სხვებმა ბაირონის შესიმიზმი სავსებით შეითვა-  
 სეს და შეისისხდნორცეს, ბართაშვილმა უნებრები მოვალეობის  
 შეგნებულება გამოიხინა და უსასო, რადავლურ დაუსრულებულ შეს-  
 სიმიზმს კაცთა—შვილთა სოფლისა მოვალეობა ამოუყენა გვერ-  
 დით და განაცხადა: «რადგანაც კანნი გვექიან—შვილნი სოფლისა,  
 უნდა ვიდეთ ძივსდიოთ მის, გვესმის მშობლისა. არც კანი ვარვ,  
 რომ ცოცხალი მკვდასსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფ-  
 ლისთვის არა იზრუნოს!» სოფო ლამარტინის ლირიზმს დეკლამაცი-  
 ასდენს, დე-ვინი სიამყის მანტიში გახეული ქვეყანას ერთობ მღ-  
 ლიდად დასტქერის, კიტორ ჭიუგოს მღაღ-გრძნობიერ და მღაღ  
 აზროვან ლექსებს აკლავ ნაზი სიწრთეულე და თუ მიუსესეს აქვს ეს  
 სიწრთეულე, სმაგუროდ აკლავ ადმიანთა წინაშე მოვალეობის შე-  
 გნების აღსავსე სტოიციზმი.

I

მღაღის ზოგით, მწარის სეკდისა და დარდების ამშლელის,  
 გულ-მოწმეულელის ზოგით არის აღსავსე მთელი ცხოვრება ამ  
 ზოგითა... თვით სიკვდილი ამ ახლგანდა ერმისა რაღაცნაირი  
 დემონიური დანებება გულ-ქვა შეუბრალელებლის სეკდრისა ადმიანზედ.  
 დიდის ნიჭითა და გონებით აღსავსე ეს ზოგთა, მეგობართა და  
 ნათესავთ მოკლებულია, დაობლებული სული ღვთაებრივის ცეცხლით  
 დამწვარის მეოხანისა, განჭქრა სღაღ, განჭაში, მარის უფროსის  
 თანაშემწეობის ადგილის აღმარულებელის რღაში... ბაირონის სი-  
 კვდილი დიდების გვირგვინით არის მოსილი და კაცობრიობა მი-  
 სის სიკვდილის წინაშე მიხლს მოყრის ყოველთვის, რადგან თავი  
 განიწირა ჩაგრულის ერის დასახსნელად. მისი სიკვდილი საუკეთესო  
 ჯილდო იყო მთელის მისის ცხოვრებისა... მთელს სიცოცხლეში





მანინ კარგ კარემოებაში იყო, მოკვდა და იმ დროის უდიდებულესი კანცის ცრემლებით სველდებოდა დიდ ხანს მისი საფლავი, იმ ჰოტის-ბაიანის, რომლის კეთილ-განწყობილება და მტკიცე მეგობრობა სიცოცხლის ჭირ-კარამსაც დიდად უმსუბუქებდა... ლერმონტოვი დედაში მოჰქვდა, მაგრამ, ბატონებო, ვერ ვიტყვია მას, რომ ლერმონტოს, ცოტა ან იყოს, არ დაემსახურებინოს თავისი საკვდილი, რადგან დიდი ნიჭი კაცს ნებას როდი აძლევს უბრალო მომაკვდავნი ჭიანჭველად მიიჩინოს და თავდასუფლად სრისოს ფეხს ქვეშ მისგან პეტროს კანუნად აღიარებულს აღმამანის სურვილები და ღტოლვანი... ბრატაშვილის საკვდილი სწორედ «უღკთო» იყო და საკვდილი ესეთი დაუმსახურებელი, უფერული და უზრო... დიდებული მგოსანი საღაც ჩაკვდა... მაგრამ, კამბო მე, ეს საკვდილი სრულიად ეთანხმება გარმონიას იმ სურათისას, რომელიც დასტოვა ჰოტმა ლიტერატურის სურათში. მის მოშინამუღს ტანჯვითა და უსამძუნებით აღსაყვ ცოკრებისათვის ბედას საკვდილიც კი არ გაიმეტა ხეირანი, თითქმის განკებ ცდადიფოს ბრწყინვალე სულის ცხოკრების სურათის შაკ ტილოზედ ერთი ნათელი წერტილიც არ გამოეჩინა...

გრცელი ბიოგრაფია ჰოტისა, ის ბიოგრაფია, რომელიც ჩვეულებდა აქვთ ზოგაერთთ ისტორიკოსთ ლიტერატურისას, რა საჭიროა ჩვენთვის, ვინაით რა დროში სცხოკრებდა ჰოტი, ვინაით რომ უჩენესმა სამართალმა (Экспедиция суда и расправы) კავკასიის უჩენესის სასამართლოს მოხელეობა მიუსაჯა მას, ვინაით, რომ ამ მოხელეს 5 მანეთი ჰქონდა თვეში, ვინაით, როდის მოკვდა ზ რა ხნისა... და რომ არ ვიცოდეთ, სად მოკვდა, წინდაწინ შეკვეთლო მემსვდარიყვით, ბედისაგან ასე უხვად დაჯილდოვებულს გარეგანის მხრით ჰოტის, განჯაზედ უკეთესს ადგილს ვერ გამოუძებინდა სამარედ იგივე ბედი და ჩვენთვის ესეც კმარა... ანაკისთვის არ არის საინტერესო, როდის მოიტეს ფეხი, როდის რა იმსხარა და რა ბავშვობა ჩაიდინა... მთელი ისტორია მრავალ-ტანჯულის სულისა საკსებითა და ნათლად გამოხატულია ასოდუ ფურცელში მისის კლმით ნაწარმოებისა და, თუგინდ მის ბიოგრაფებსაც არ ეთქვათ, რომ იგი იყო ცოტა ანხლდი, ნერვებისანი, მახვილი, ცელქი, დამცინავი, ჩქარი, გარნა კეთილი და ამხანაგის მოყვარე, იყო დაუდგრომელის

ხსიათისა, ხან მეტის-მეტად მსიარული და იქვე იმავე წამს წყეს-  
 გადან-ულად მოწეენილი, ღმობიერი და იმავე დროს მრისხანე, მაგ-  
 რამ ოცნებით გატარებული. ესენი რომ ყველა არ აღენუსხათ მის  
 ბოგრაფებს, უმთავრესს ამ თავისებობასს მანინ გავიგებდით მის  
 ლექსების შესწავლით და მისი ძლიერი ლექსები კიდევ უფრო მეტს  
 დაგვიასხავს, უფრო დიდ მნიშვნელობას თავისებებს გვიჩვენებს ამ  
 ადამიანის სულისას, ისეთს რასმე, რაც მის თანამედროვეთა და  
 ბოგრაფთ შუამხიველად დაშთენათ.

უკვე ოცი წლის პოეტი უჩივის თავის მკაცრს სკედრს. «თუმი-  
 ცნო,—სწერს იგი გრ. ორბელიანს,—ხანდისხან ვაგრით დაუპირებ  
 მასთან (სკედრთან) შებძას, ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღ-  
 სრულება! მაგრამ რა გაეწეობა სოფლის ბრუნვასა». და პოეტი  
 ძალა-უნებურად გულდათუთქული, მაგრამ სტოიკურის მოთმინებით  
 აღტურვლილი დაემორჩილა «მკაცრს ბედს», რადგან ესმოდა, ესმოდა  
 დიდი ხნიდან პოეტს და გაეგებოდა, თუმც ცხოვრება ფუჭია და ამაო-  
 ბა, ჩვენა ყოფა წუთი სოფელი სწიფილი აღუგსებული, მაგრამ რად-  
 განაც კანნი გვექვან—შვილნი სოფლისა, უნდა კიდევს მიკსდიოთ  
 მას, გვემძას მშობლისა; იცოდა და შეგნებული ჰქონდა, რომ ძნე-  
 ლი საპოვნია კარია, რომელიც მადლიერი იყოს ამ წუთისოფლისა  
 და ამიტომ ადამიანმა უნდა დაამარხოს მშენიერება სულისა, უმან-  
 კლება გულისა, რაიცა შეადგენს ჭეშმარიტს ბედნიერებას, უმადლესს  
 სიამეს, რომელსაც კი კარია წაიდებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედ-  
 ნიერებათა სოფლისათა კი უნდა უყუროს გულ-გრილად, ამაყად  
 და სწამდეს, რომ ივინი შეურჩენელნი არიან (წერილი მაიკოსთან  
 გვ. 99).

პოეტი რომ არა ჩვეულებრივის ბუნებისა იყო, რომ რაღაც  
 უმადლესის არსების გვარი იყო, ამას თვით გრძნობდა და ეს თვით-  
 გრძნობა კიდევაც გამომავლანს ვერ ლექსად და მერე წერილებშიც.  
 წუთისოფელი რავი სცნო, მას აქეთ ხმა რამ თან სდევდა ყოველთა  
 მისთა ზრახვათა და სწავდელთა, ხმა რამ იდუმალი ცხადად თუ სიზ-  
 მრად მარად ერთს ჩასჩურჩულებდა: «კეი, უმაო, შენ მხედრო შენი,  
 ვინძლო ამოენო შენი საშვენია! «მინაგანი ხმა მიწვესო საუკეთესო  
 ხედრისაგან,—სწერს იგი გრ. ორბელიანს,—გული მეუბნება, რომ



შენ არა ხარ ახლანდელ მდგომარეობისათვის დაბადებული! ნახსო! მე არა მძინავს, მაგრამ ვაწი მინდა, რომ ამ შატარს ღრუკლდეს გამოიყვანოს და დაეგვე გაშლილს ადგილს. რა, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მშინ, რა სულმწითურად გარდავსედავ ჩემს ასმარესს! და ასეთი დიდებული ადამიანი ისე განშორდა წუთისოფელს, რომ ვერა ვხვავა სვედრი მისი და ვერ მოაშორა მით ვაშანი, არა თუ თავისი სვედრი, თანამგძმობსაც ვერ ვყოფლობდა იმ ადამიანშიაც ვი, რომელსაც ეგელასეად უფრო უნდა გაეგო ეს კაცი; მისი სასწლი და ხორცი, მისი დის შვილი—გრ. ორბელიანი მყავს სასეში. ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსი თავის დღეში არ ამატიკებს მას გრ. ორბელიანს, რომ მუდმივს მუდარებას და ეგედრებას ნიკ. ბარათაშვილისას აწავითარი ყურადღება არ მიამქცია, ერთხელაც არ გაუწვდინა მკობრულად და ნათესავურად სელი, თორემ, ვინ იცის, უკეთესს შირობაში რომ ყოფილიყო, კიდეც რამდენი მეტი ღირსება შექმნიბოდა ამ მშვენაერს მგოსანს... მაგრამ რას ვამბობ... აქ მხლად გრ. ორბელიანს ეცნება ჩირქი, რადგან ადამიანური მოკვლეობა ვერ შესარულა, თორემ განა ბარათაშვილს ეჭირებოდა კიდეც ზოკტური ღირსება, მერე კიდეც ვინ მისვდეს და მისწვდეს საიდუმლოებას ცხოვრებისას, აქნება იმ შემთხვევამ, რომელმაც დაბადა იგი, კერთი შირობანიც და ამ შირობათა გარეშე, ვინ იცის, აქნება ისიც ბიძა მისის გზას გაწყოლოდა, რიტორიკებით აქტრელებიან თავისი სინაზითა და სიმშენიერთი აღსავსე ღრმადაროვანი ზოკნია. მას ზოკნიისათვის სწორედ იმ ვაქშიათა და სვედით გამოწვეული გარემოებანი იყო საჭარო, რომელშიც იყოფებოდა ნიდაგ... ფუფუნება და განცხრომა აკლებს ძლიერებას გრძობას, ტანჯვა და უსამოკნება მეტის ძლიით აგრძობიანებს ზოკტს ცხოვრების მძიმე საიდუმლოებას, უფრო მეტის სიწრფელით აღსავსე კენესას და გოდებას გამოიწვევს მასში...

აქნება ამ სულის შემსუთიელ გარემოებებში იყოს დამალული ასა, რომ ჩვენი ზოკტი ასცდა სხვა ღირიკოსთა ნაკლულეკანებას და მათი ღირსება ვი შეიძინა. ესრედ დადაგულს, ცხოვრებისაგან გულდასერილს ზოკტს არ შექმლა ისეთი წინდით აღსავსე, მესთა მტყორცი სიტყვებით მიემართა კაცობრიობისათვის, როგორიც იცო-

და სოფელ ცხოვრებისგან განუბრუნებულმა დიდებულმა ღორდმა წა-  
 რნმა. უფერულმა დახატულმა ცხოვრებამ აღუესო სული ისეთი  
 ღრმა და წითელი კვსით, სულისა და გულის ყოველი ატომით  
 ისე შესისხლსორცებისა და შეგნებინა სიმწკაკე და სიდადე ტანჯ-  
 ვისა, რომ ბერძნი სხვა ღირსივსებზედ მძლავ დაყენა... და ამიტომ,  
 შესაძლებელია, ისტორიაც ისე გულჭკად მოეჭკეს ზეცით ვურთხეულ  
 მგოსანს, როგორც მისი ღრმ და გარემოება, შეიძლება, ისტო-  
 რიამაც მძლავრებით მოისუნაოს ის შემთხვევა, რომელმაც ასეთს სა-  
 სობის წარმკვეთსა და უნუგეშო პირობებში ჩაყენა უკვდავი მგო-  
 სანი ქართველის კრისა.

II

დაიღ, იტანჯებოდა იგი კაცი და თუ ხანდისხან მოულოდნე-  
 ლად ძალზე გამხიარულებულა, ეს მხიარულება უფრო ნერვოზული  
 იყო, უმიზეზო და უანგარიშო, უფრო თავსბრე დაძმკვევი და არა  
 სიამოვნების მოძმბებელი. ამისთვის ყოველივე იყო ამბობა... ეს  
 წუთებიც წაჰიღოდა სოფელ როგორც სიზმარი და მონასხვდა მისი  
 ხვეულებრივი მოწინება. ვისაც საგანი აქვსო, იწერება ის ერთ  
 ბარათში, ჭერ ამის სიამოვნება რა არის ამ სიამოვნებს ქვეყნაში,  
 რომ ჩემი რა იყო, რომელიც დიდი ხანია აბოლი ვარ. სიცოცხლე  
 მოძმულებია ამდენის მარტობით. შენ წარმოიდგინე სიმწარე იმ  
 კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჭყავს, დედაც, დებიც მრ-  
 ვაღნი მონათესავენი და მანც კიდევ კერავის მიჭკარებია, მანც კი-  
 დევ აბოლია ამ სიამოვნება და ვრცელს სოფელში. ვინც მძაღლის გრძნო-  
 ბის მეჭონი მეგონა, იგი ვნახე უგულა; ვისიც სული განუითარე-  
 ბული მეგონა, მას სული არა ჭჭონია, ვისიც გონება მრწამდა ზე-  
 გარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჭჭონია; ვისიცა ცრემლნი  
 მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამოძეტყველად მშვენაერის  
 სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წკეთნი საშინელის  
 საწამლავისა! სად განისუენოს სულმა, სად მიიდრივოს თავი?»

ეგრედ დატანჯულს პოეტს, კსრეთის მძაღლის მოთხოვნილე-  
 ბისა და მძაღლის მისწრაფების მეგოსანს, რასაკვირველია, არად



მიანის არც ობლობა გაცისა, არც მისი უთვისტომობა, არც მეგობართა და ნათესავთ მოკლებულობა. საბრძლოა, იმის აზრით, მხოლოდ დაობლებული სული, რომელსაც ეგონა იპოვებოდა ტოლი და მოსტყუებდა, იმედები გაუტრუებდა, ტოლი დაეკარგა და «მხელა პოკოს აწ იგი»; მას აღარა აქვს ნდობა ამ ცრუ სოფლისა, უმინანს, იკრძალებს, აღარ იცის, ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა, რადგან ეთიქრება ხელმოკრედ ვისმე დაენდოს და ესლა მხოლოდ უნუგეშობა უნდა ითმინოს... ამ სოფლის სიამოვნებანი მისგან უკუ იქცევიან, მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა და ესლა მხოლოდ ოხვრავდა დაშთენიეს, ოხვრავ შეება უბედურისა.

დღეს, ბატონებო, ამ მატრომობას სულსაც მოუტაცეს ყოველი ნაზ-გრძნობიერი ადამიანი და მით უფრო მწკვიანა იგი მატრომობა, რომ დღეინდელს საზოგადოებაში, ჩვენში მანინ, არსებობს ანაბრება, არეულება, რვევა აზრთა და გრძნობათა. ამისთანა დროში არა თუ ორს ადამიან შორის, ორს მეგობარს შორის აღარ არსებობს სოფლე თანხმობა და ურთიერთობა აზრთა და გრძნობათა, არამედ თვით ნერვული აგებულების ადამიანში აღარ არის იგივეობა, ერთიანობა და კავშირი მისს აზრსა და გრძნობათა შორის, სხვა-და-სხვა მას ეთიქრთა და ამგვარ თუ იმგვარ წადილთა შორის. მისი «მეა იყოფა, ნაწილდება, ეს ნაწილები ერთიერთმანეთის მოქაშვად ხდებათ. აზრი გრძნობას ვერ იმორჩილებს, გრძნობას აზრის შექმნაში მონაწილეობა აღარა აქვს სოფლე. მემკვიდრეობითა და ტრადიციით გადმოცემული ზნე-ჩვეულებანი ვეღარ ეთანხმებიან მიმამკვილეობით შექმნილს ახალ მისწავლებასა და ლტოლვილებას: გული სხვას ეუბნება, გონება—სხვას, წარსული ერთის მხრისაჲკენ მიიჩიდავს, აწიყო და მომავალი მეორე სულ სხვა გზისაკენ იწოდებს.

ამგვარად დაქსაქსული, გრძნობა-გონება გათოშალი, სკეპტიციზმითა და დაუდგრომლობით დატანჯული არსება კვლარსად ვერ მყოფლობს ზანუხს სხვა-და-სხვა მძიმე საგნის შესახებ—თავის თავი კვლარს ეუბნება... მიზეზიც კი ვერ გამოუჩვენებია მისის აზრისა და გრძნობის ესოდენ დაუდგრომლობისა. მეტად ურწმუნო გონების არის და ღრმა გრძნობით აღსავსე და ისეთი პატარა მოსაზრებანი ვერ დააკმაყოფილებენ, ვითომ მისი ტანჯვა ამა თუ იმ წარმავლის

მოკლენის, ანუ მიზეზის შედეგი იყოს... იგი ეპოტინება საუკუნო კითხვებს; დაუსაბამო და დაუსრულებელ მიზეზთა კვლევა-ძიებას ჭკიბებს ხელს, მაგრამ შეიგნებს რა უდიდეს უბღურებას ადამიანისა «გამოუცნობელისა და მიუწოდებლისა» გარკვევის შესახებ, «ცაღსა ფრთას მანტი კიდევ ცისაკენ იშვერს», იქნება კვლავ გაინავადოთვალ-უწვდენის ცის კამარაშია. «მეორე ფრთა სისხლად დნება» და მიწიდან არ უშვებს. დიად, მარტოობა სულისა, მარტოობა ადამიანისა მეტად გამწვავდა ამ ბოლო დროს მანტი. საზოგადოების სხვა-და-სხვა წოდებათა შორის ამოუვსებელი ორმო გაითხარა, ერთისა და იმავე ოჯახის წევრთა შორის დაუჭკვეველი კვლავ აღიმართა. ყოველი მათგანი სულ სხვა-და-სხვა მოსაზრებითა და მოთქმებით არიან გამსჭვალულნი, სულ სხვა-და-სხვა გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ძველი ტრადიციის მომხრე, ახალი აღარა დამყარდა-რა. თუ უწინ ყოველ სახემწიფოს გარკვეული აზრი ჭქონდა, ყოველ ოჯახს ადნიშნული წინაპართაგანვე იდეალი, ყოველ წოდებას თავისი პრინციპი — დღეს საზოგადო ანარქია შეიქმნა. უნდა გვწამდეს, ეს ანარქია უმჯობესისა და საუკეთესო მომავლის წინამორბედაა, მაგრამ ამ ეპოქის შვილთ მანტი მტკუნვარების მეჭედი ვერ აღუწვდითა შუბლიდან.

ესრეთი ანარქია კერძო და საზოგადო აზრთა და გრძნობათა არსებობს დღეს ქართველს საზოგადოებაში.

ქართველს არა აქვს არავითარი საზოგადო დაწესებულება, რომელიც იყოს გარკვეული აზრისა და გრძნობის აღმკვეთი ახალ-თაობაში. ქართველს არა აქვს ლიტერატურა, რომელიც რაიმე გარკვეულის იდეის, ერთის მიმართულების მტკიცედ დამტკველი იყოს... ქართველს აღარა აქვს თავისი კულტურა, რომლის ტრადიციასაც გავლენა ჭქონდეს ქართველ ემაწვილ-კაცზე, რომლის ნიადაგიც მაგრად იჭერდეს ფესვებს ამ ახალგაზდობისას... ყოველი ჩვენგანი სულ სხვა-და-სხვა რამ არის: ზოგი რუსეთის კულტურის ბრძა და ყურმობრილი მონა, ზოგი ინგლისისა და საფრანგეთის ცხოვრების მადმერთებელი, ზოგი გერმანიის ლიტერატურისა და ფილოსოფიის წინაშე ქედ-მოსრილი... კიდევ კარგი, რომ ან ერთი ამ კულტურათაგანი საკლებით ვეჭონდეს შესწავლილი... შესაძლებელია, სხვა-და-სხვა კულტურის შემენბთ, მომავლისათვის საერთო რამ

შეეჭმნათ, მაგრამ არა... ჩვენ არც რუს-ქართველნი ვართ, გღისეული და, ვინა ვერ ივართ, თვით აღარ ვაჩივთ. ბრძა-ეურმღორი-ლი მიმბამკელობენ თავისებური მოკლეხა და, შეიძლება, მიუცილებელი, მაგრამ რომ მიზნობა რასმე, უნდა იცოდე საგანი მისაბამი და კარგად გქონდეს შესწავლილი იგი, ისე ვი თუთიყუშობა გამოვა. ამ რა მოკლენათა შორის ვი ის განსხვავება, რომ რაც უნდა ბრძა მიმბამკელი იუოს ადამიანი, არ შეიძლება შეგნების ნატამალი მანინ არ ერიოს ამ მიმბამკელობაში. თუთიყუშობა ვი შეგნებელი, რეფლექტიური გამოარება სიტყვათა, და ისეთი გამოარება, რომ არავითარი აზრი ამ სიტყვისა არ ესმის მის მოლაპარაკე თუთიყუშსა... ძველი აღარა გაქვს, ახალი ვერ შეგვიშენებია... ძველი ტყავი გაკვეთს და ეს სრულიადაც არ არის სადარდებელი, სატირალი მხლელად ის, რომ ახალი სამოსლით ვერ შეგვიმოსია ჩვენი სული და სული.

ამაირს დროში ვის არ გამოუცდია ის სულის ობლობა, რომლის გამოც აფრქვევს თავის წმინდა ცრემლებს ტანჯული ადამიანი, მგოსანი... რომელს ჩვენგანს არ გამოუცდია ის გამოურკვეველი დარდი, რომლის სასელიც არ იცის?... რომელი ჩვენგანი არ გაქცეულა ოსურითა და კენესით მეორესთან, მეგობართან, ადამიანთან, საშველად და სახუგეშებლად? მაგრამ იმ მეორისაგან ამ კითხვის მეტი არა გაუგონია-რა: რა დაგემართა, რა გაწესებსო? განა დაიტანჯებოდა, რომ იცოდეს, რა აწესებს? განა წარმოსადგენია ისეთი სამწკავე იქონიოს გრძობამ გამოარკვეულმა და გათვალისწინებულმა, გრძობამ, რომელიც გონების განსახილველ და შესასწავლ მოკლენად გამსდარა?... თვით არ იცის, რად მოუცავს სკვდას გული, და ეს კითხვა ადამიანისა, რომლისაგანაც მოულოდი თანაგრძობასა და ნუგეშს, აორკენებს გულის ქენჯნას... მას ეკონა, თუ მეგობარი მანინ ჩაუძვრებოდა სულში და უფრო ადვილად გასჩნდებოდა, შეიგნებდა დამტანჯველ გრძობას... მაგრამ მოსტყუვდა და გერეთი გაცუდება იმედის სასოწარკვეთილებით აკებს მის გულს და ნადავ სულის ობლობას, სულის მეგობრის მოუზოვლობას მოსტყვამს და სტირის.

როცა საზოგადო ცხოვრება სდუღს და გადმოსდუღს, როცა უოველ ადამიანს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და ნება თავისი

სურვილის თანახმად მოქმედებისა, როცა მთელი კრი ლიტერატურა რამ დიადის აზრით, გატანებულა რაიმე დიდებულის საქმით, მაშინ აღარც კი სცალხან ადამიანს, რამე სსკაზედ იფიქროს; მისი გონება და აზრი მიახწრაფვის არჩეულ მიზნისაკენ. ხოლო როცა არავინ იცის, რას მოჭკიდოს სელი, როცა საზოგადოებრივი ინსტიტუტები დაძინებულნი არიან ხოლმე და პირადი პირუტყვი გრძნობანი წამოჭყოფენ თავს, მაშინ ადამიანი უკეთესის მოტრფიალე, იდეალურის მისწრაფებით აღსავსე, რჩება მარტოდ, განდევნილი, სხად მღალადებლად უდაბნოსა შინა და, რაღა საკვირველია, რომ სვედითა და ოხვრით აღსავსეა მისი გული, მისი ზაგენი კი კანესა-გოდების გამომთქმელნი. ასეთი დრო გასლდათ ბარათაშვილის დროც. ბარათაშვილი იმ ხანაში გამოვიდა ცხოვრებაში, როცა ქართველი კრი, ერთი წუთით ძლივს გამოღვიძებული, ისევ ძივს მიეცა. ქართველ საზოგადოებაში რეაქცია დამყარდა, ქარიშხლის შემდეგ ისევ წყნარა, მაგრამ მოღრუბლული და მოღუშული დღე დადგა.

1832 წლის შეთქმულთა განდევის შემდეგ თვით საზოგადოებასაც შაშის წარი ჭქონდა დაცემული შეთქმულთა სვედრით. ეჭვი არ არის მიძინებული იყო ყოველივე ადამიანური გრძნობა, შაშით ფიქრიც კი ეძნელებოდათ, უსათუოდ, არაფერი აღარ იყო საზოგადოებაში, რაიც გასრილდებოდა ცხოვრების უბრალო და არა-მნიშვნელოვან მოვლენას. ჭორები, მითქმა-მოთქმა, განსწწნილება ხნეობრივი, უცნობლობა და უგულობა — აი რა სუფევდა იმ დროს. ამ ხანაში დაბადა საქართველოს პოეზიის «ობოლი მარკალიტა» და თქვენ თვითონ გასინჯეთ, განა შექმლა ასეთს დროში მოვლობა «სულის მეგობარი». ოცნებით წარმოდგენილი თუ ჭყავდა ოდესმე ასეთი მეგობარი-სული, სინამდვილეს უნდა დაეხასკებინა, რომ ამგვარი ოცნება მხოლოდ ოცნებაა და ისიც მტყნარა ოცნება... თუ მისი გრძნობით აღსავსე ბუნება თხოულობდა ასეთის თანამგრძნობის სულის მოვობასა, სინამდვილე ამტკიცდა, რომ მისთვის დაკარგულია ესეთი სული, რომ სამუდამოდ ობლად და უნუგეშოდ უნდა დაშთეს.

მეგობრის სულის ძიება არ შეიცავდა სქესობრივის ინსტიტუტის მოთხოვნისა. სრულიად სსკა რამ იყო იგი ძიება... მას უნდოდა მოვლობა სული შემგნება მისი ტანჯვისა, სული მისი ოხვრის



დამამბებელი, კენესის მანუგეშებელი, ჭირის ოფლის შემპრობი, ჭირთ  
 გამჭარებელი, მაგრამ კერც კაცში და კერც ქალში კერ იზოკა ესე-  
 თი სული.

### III

თავის დღეში კერ იზოკა მან კერც სატროფო გულისა, ტროფო-  
 ბას მის გულში კენესის მეტი არა დაუტოვებია-რა. აქ, ამ წუთი-  
 სოფელში, კერც სიყვარულში მოიზოკა თანაგრძნობა და სსსოკება და  
 ამიტომაც ეს გრძნობა გააჭაროვნა, რაღაც უცნაურ და უხილავ მე-  
 ტაფიზიკურ წმინდა იდეალურ საგნად გარდააქცია და უნდა აღვიპა-  
 რთო, რომ ამშიაც ბარათაშვილს ძნელად მოეუძებნით ბადალს. იგი  
 უგალობს სიყვარულში მას, რაც კი რამა აქვს ამ გრძნობას იდეა-  
 ლური, დვთაებრივი, უცნაესი და უკვდავი. მართლაც, ბარათაშვი-  
 ლი ხანდახან იმ სიყვარულსაც დამღერის, რომელიც ქართულმა ლი-  
 ტერატურამ სპარსეთის კულტურის ზედგავლენით შეითვისა და  
 «გრძნობელობას» სიყვარულისას, მის ხორციელ მხარეს ესეც შეეხე-  
 ბა, მაგრამ ამსაც რაღაც უცნაური, ზეციერი, არა-მიწიერი ფერი მი-  
 სცა მან, «თვალეუბი უყვარს მიბნედილები, ეშისა ცუცხლით დაქან-  
 ცულები», თუმცა კარგად იცის, რომ მტრობენ, მაგრამ თანაც რა  
 ისარტო (აქ წამწამები აქვს ზოეტს სახეში) ზეცად აღმართვენ, მათ-  
 შივე ჭბოკებს საკურნებელსა, და ამ ღამაზე თვალეუბის ბასრობას უძ-  
 ელებს მსოფლო იმიტომ, რომ «მათგან სიკვდილში თვით უკვდავობა-  
 სს სჭკრეტს...» ხოლო რაღაც მანცა და მანც სიყვარულის ხორ-  
 ციელის მხარის გამოხატვა მოინდომა, კერ მოახერხა, რადგან ტყუილ-  
 უბრალო წამბამკვლეობას მისდია ამ შემთხვევაში, თორემ მთელი მი-  
 სი არსება წინააღმდეგი იყო ამ გრძნობის ამგვარად გაგებისა...  
 ამიტომაც ბერად უფრო უშნოდ, უგემურად, ბერად უფრო ცინი-  
 კურად აქვს გამოთქმული ამგვარი გრძნობა... გაისხენეთ მისი სა-  
 ყურე და ის ადგილი, საცა იგი ამბობს. «ჟი, საყურეო, გრძნობათ  
 ამრეო, კინ ბაგე შენ ქვეშ დაიბტვბარუნოს...» დაიბტვბარუნოს,  
 ბატონებო, ეს მეტად ტლანქად გამოთქმულია. შეიძლება, ღამაში  
 სიტყვაც იყოს, მაგრამ ნაწი გრძნობის აღმძვრელი კი არ არის...

და ალ. ჭავჭავაძე, ეს მადემრთებელი მეგრძნობულობისა, თავის დღეში არ იმარდა ამგვარ სიტუქას, არც ამდენზედ დაცემულს სახეს მისცემდა თავის მეგრძნობულობასა... ერთი ბიოგრაფი ბარათაშვილისა გვაწყობს, რომ ამ ლექსის შემდეგი ტაშის შესახებ — ნეტავი იმას, ვინც შენის შერსკვით, სიო მობერვით გულისა სიტხეს განიგრილებდას — თურმე ბ. ალ. სარჯვიშვილმა რამდენიმე ფურცელი დასწერა და ისიც ფრანგულადაო. ადვილი შესაძლებელია, რამდენიმე ტომიც დასწეროს ვინმემ, მაგრამ იმას ვი ვერავინ იტყვივს, რომ ის გრძნობა, რომელიც რუსთაველმა მიჰფრთხობისაგან განასხვავა, უფრო «რეალურად», როგორც ესაა ამბობენ, ან და უფრო ცინიკურად რომელსაჲმ ჩვენს პოეტს გამოესატოს.

უკვე მოგახსენეთ, რომ ღვთაებრივობა ტრფობისა ჩვენს ლიტერატურაში სავსებით და სრულად სიღრმით შეიგნო მარტო ბარათაშვილმა, მარტო ბარათაშვილმა შესძლო ამ გრძნობის ამ მხარის საუცხოოდ, აღმატებულად დასურათება...

მისი წინამორბედი პოეტი — ბუღბუღნი — ვარდს დამკეროდნენ და მარტო იმითაც დაკმაყოფილდებოდნენ, თუ ვარდი ახლო მიიკარებდა. ბარათაშვილმა ვი ვარდის — სატრფოისაგან აღმრულის გრძნობის საიდუმლოების შეგნება მოაწადინა, უნდოდა არსებითი მხარე ამ გრძნობისა გაეგო. მისი ბუღბუღი შუალაშეში მწუხრს აქეთ ვარდზედ მჯდარი ჭყუფს და მსტკინავი შეგვითხება ვარდს, მადარსე, თუ როგორ არს გაშლა შენი მღინავიო (ნელი, ჩუმი). მის მაგაერად, რომ დასტებეს ვარდით, მისი ფრთხვით დაითვრეს, «განთიადით ღამემდე» იტხს თავს, არ ზოგავს სიცოცხლეს, უძილობას, გალობს და სურს გაიგოს, როგორ არის «გაშლა მისი მღინავი», ამ გრძნობის დაბადება, მისი გაშლა, გაფურჩქვნა. აი, რის გაგება სწადიან პოეტსა და ამაში დროც იკარგება, გულიც ბერდება, თვით სიყვარულის წარმტაც ძალას ეკარგება მომხიბვლელობა. იგი ჩხრეკა-ძიების საგნად გაიხადა, ნაწილ-ნაწილ დაშლად და არ იცოდა, რომ ამგვარად უსზობდა მას საიდუმლო ძლიერებას... ეტონა, რომ ქჭონდა მცირე წადილი, ვერ მიხვდა ვი ძნელობას, გაეგო და შეეტყო სურდა, თუ ვით არის გაშლა ვარდისა და არა ფიჭრობდა ვი მის დაჭენობას.



ან კი შესაძლებელი იყო უბრალო ჭიკტიკა-არშვიით თილებულიყო ის ადამიანი, რომელიც სილამაზეს სთვლის «ნიჭად მხოლოდ ხორციელების, ის ვით უვაილი თავის დროზე მსწრაფლად დასტვენების და გულიც, მხოლოდ ამ სილამაზით გატაცებული, ცვალებადია წარმავალი და უმტკიცები, ის მგოსანი, რომელმაც კარგად იცოდა, რომ «მოკისკასე და კეკელა სატროფო, სულის დამტყვევებელია და გრძნობათა ცუდ-მომღერალი, აშვიკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმულებს, ხოლო სიყვარულს მისი გული ვერ მიიკარებს», ამ მგოსნის გული მეტად მოწყულელი იყო, მეტად აღმოფრთხილი და მეტის-მეტის კეთილის სურვილებით აღგზნებული და დეღვანი ვნებათანი მას ვერ უკვლავდნენ წყურვილსა.» არ შეეძლო წუთიერის გრძნობით დაკმაყოფილება მას, ვისაც «ტროფობა მიანდა ყოვლის კეთილის შემაერთად, რომელი მან სულსა მოჭბურა ცის ნიჭი ქვეყნად და თავის მკობად ჭებნა იგი მგოსნად», ვინც ზნეობრივ მშვენებებს ალიარებს ზეცით მოსულ ნათლად, ნათლად სულისა, დაბინდულის გულის მალხინებულად, რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა, გული და სული... რომელსაცა სწამს, რომ უკვდავება მშვენებურსა სულში მდგომარებას, მას ვერც შემოსევა და ვერც ხანი ვერ დაბერებს... ამ გვარ ზოეტს, რასაკვირველია, მხოლოდ ზნეობრივად მშვენებურ სულთა კავშირი მიანნია «სიყვარულის მშობულად, ზეკანდომ მდღლით დაუსსულად დამტკიცებულად». ამ ზოეტს მხოლოდ ამ გვარი გრძნობა მიანნია, ესთ სანუკველად, რომ მის უტობილეს არც თუ არის სასუფეველი, მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენებურება და უკვდავებით აკვირგვინებს ჭეშმარიტებას. ამგვარის ზოეტის წადილს ვერავინ უწოდოს სიყვარული სსკათაებრ, ეს იმას ემსგავსება, ვინმემ იფიქროს, რომ ამცერ უსსიკ, უნენსლოდ, შეიძლებს ნათვას კარსკვლავებრ, მის გრძნობათ ვერ დასდგან კაცთა სასული? რადგან მოკვდავს ენასა არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა.» იმიტომაც უკვდავის გრძნობით აღსაკვე ზოეტი ეტროფის მის სიყვარულ არსებას, თუმიცა სშირდა ჭკლავს და უწამლავს სიცოცხლეს, რა მხრითაც უნდა ეჩვენოს მიანც იცნობს მისის სულის ციურ მშვენებურებას... მისი სიყვარული უანგაროა, მისი სიყვარული წმინდაა და შეუმწიკველი, ეს სიყვარული არა ამ სოფლიდან არის...

ჰოეტი თავისს გულისაჲ კი მსხვერპლად მიუტანს სიყვარულს, ესრეთ გატაცებული ჰოეტი შეიშრობს ცრემლსა ჭირთ მანულებელს, რომ მისი ტანჯვა-ვაება არ შემცირდეს, გულისა დაიწვავს დასანაცრებელს, რომ არაფერი იგრძნოს ცუდი ბიწიერი და სატრფოს არ-სასიამოვნო, საწყენი და ამ გულის ფერფლსაჲ ვითა საკმაკელს შესწირავს სატრფოს მისსა სალოცველს.»

მხელად თუ ვისმე უგრძობია თავის დღეში ასე ძლიერად, ასე საოცრად ესდენ მძალი გრძნობა, უბრალო მომკვდავთათვის მხელად გასაგები და მხელად მისასუედრი; იშეათად თუ ვისმე დაუღვრია ესეთი წრფელი ცრემლი სიყვარულის ტაძრის წინაშე და არავის სომ გული არ დაუწვავს და ნაცრად არ უქცევია სიყვარულის საკურთხეველზე. და ეს მოიმოქმედა იმ კაცმა, რომელსაჲ თავის დღეში არა ღიწმობია სატრფოსაგან ტუბილი სიტყვა, რომელიც სამსსროდა ჭყავდათ მიხნეული, რომელსაჲ სშირად ეგრედ წოდებულ რიგთან ოჯახშიაჲ კი არ უშეებდნენ, ვერც მოგვიითსრობენ მისი ბოგრავები და ან კი ვინ მიაქცევდა უურადლებას ვილაც 5 მანეთიან მხელელს, მაშინ როდესაჲ ბრწინვალე ახალგაზდობას იმ დროისას, კანცელიარიის ჩოთქისა და კაღმის ნაცვლად, ხმალი ეკავათ, მხელეთა მიწერ-მოწერის ქაღალდების მტკერის ულაშვის მაგიერ საომარ მოედანზედ გამოდიოდნენ... როცა 5 მანეთი თვეში კი არა ზოგაერთი საათში ოც-ოცი ათასობით აკებდა ბანქოში, მაშინ, როდესაჲ სტოლხანაღნიკის დაძველებულის მუნდრის ნაცვლად გარდაიის წითელი პრიალა მუნდირი ამშვენებდა მეომართა მხნე მეკრდს და მათ ძლიერ მსრებს ბრჭყვიალად ჯინჯილები ამკობდა... დაღ, ბატონებო, ამისთანა დროს ვილაც ბარათშეილს ვინ მიაქცევდა უურადლებას და საოცარი ის არის, რომ ეს კაცი, ყველასაგან გაქელილი, ყველასაგან შეუწინააღმდეგელი, ყველასაგან მასხარად აკდებუელი, თვალზე ცრემლებით და სუკდით აღსავსე გულით გაუბედავის ხელით გრძნობათა უკვდავების საგალობელ ფსალმუნებს ამზადებდა და სუსტის მკვებით, შეურყეველ და მტკიცე სამიარკველს უკებდა ქართულის ერის ჰოეზიის უკვდავებს და თავისაჲ უკვდავების და დიდების სამარადისო ძეგლსა სჭედდა.

## IV

რაკი სულიერში ვერ იპოვა მეგობარი და მანუგეშებელი, ბარათაშვილმა უსულა ბუნებას მიჰმართა და აქ მოიპოვა ნაკონსაყუდელი მისის ადგენებულის და აღმოეთებული მელეჟარე სულისათვის, ბუნებამ იგი შეითვისა და მან ბუნება შეისისხლსორცა; თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ბუნებით იგი გაიმსჭვალა და ბუნება მით. ასეთი განხორციელება ბუნებისა, ასეთი გაურთიერთება ბუნებისა და კაცს შორის ძვირად ითვლება და რომელსამე ჰოეტს შეეგონოს და წარმოედგინოს. ასეთი განკაცება, განხორციელება, განსულიერება ბუნებისა, იშვიანად შეგხვდებათ ლიტერატურაში... ის კი არაფერია, რომ ატორი ბუნებას მიჰმართავს, როგორც სულიერს სავანს, არა, ეს ჩვეულებრივია, სავანისა ისა, რომ ჰოეტი თავის ღვთაებრივ სულს შთაბერავს ამ ბუნებას, განხორციელებულ არსებად შექქმნის და მერე დაუკავშირდება მთელი თავის სულიერის ბუნებით უმჭიდროესის კავშირითა.

თუ, ბატონებო, გრ. ორბელიანმა დიდებული სურათები დაგვიხატა ბუნებისა, თუ იგიც ადამიანის სახეს აძლევდა ბუნებას, მანც მის ფილოსოფიურს შესედელებას უანთიეზმადის არ მიუღწევია, მას არ წარმოუდგენია, თუ ბუნებასაც, შესაძლებელია, ჰქონდეს თავისი აზრი და გრძნობა, თავისებური სული. ბართათაშვილი კი სწორედ ამ ფილოსოფიის მოძღვრად სდება, მან ბუნება გააცოცხლა, სული ჩაუდგა და ხორციით შემოსა და ამით გიდეკ ერთი ბიჭვი წასდგა წინ. ჰოეზია იმ სიმალღემდის აიყვანა, საცა არის მისი სამეუფო, ესე იგი, «მოკლენათა შორის საიდუმლო კავშირია» შემკნებგამომსახველად განადა, ქართული ჰოეზია ფილოსოფიას დაუკავშირა.

უკვლავს გან უარყოფილი, მარად ღვენილი კაცთა გულჭკაობისა და ბედის უწყალოებისაგან, «როს მჭმუნვარება შემოესკვა», ზოგჯერ მთაწმინდას მიჰმართავს «სან მცინარსა და სან ცრემლიანს, მიღტვის მის დამაფიჭრებელ ვერანა და უდაბურ ადგილებისკენ და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შესტრფოდა, რადგან მისებრ იგიც იყო მწუხარ და სკვდიანი, რადგან მსოლოდ ის-ღა დაშთენ-

და სანუგეშებლად, გულ-დასურულთა მეგობარი მსოფლად-და ეს  
 ღრუბლიანი; მისი თვალები რა ლაქარდს იხილვენ, ცათა მიმართ  
 ტრფობით იმზირებანი და მუის მის ფიქრნი მისდა მიასწრაფვიანი,  
 მკრამი იქმდის ვერ მიადწიკენ და ჰაერშივე განიბნევიანი. სანდასან  
 ნელად მქროლნი ნიბნი ღუღეთა შორის აღმოკენესოდენ და ამით  
 მის გულს თითქო თანხმობას უცხადებდნენ; არე-მარე დუმილით  
 მოცულთა ხოლმე, ცისა გამარას ბინდი გადაკვარება, მოსდევს მთ-  
 ვარეს, ვითა მიჰნური, კარსკვლავი მარტო მისა ამარას... ამ ბუნე-  
 ბის დიადის და სკვდით აღსაკე სურათის მჭკრეტულს პოეტს ავი-  
 წყდების საწუთრება, გულისთქმა ჩემიო, — ამბობს იგი, — შენს იქი-  
 თა... კიბებს სადგურს, შენაართ სამეფოს, რომ დაშითს აქ ამოკე-  
 ბა, მკრამი ვერ სცნობენ გლას მკვდავნი განგებას ციურს... რ-  
 გორც მარტო ვარდის ცქერით არ დაკმაყოფილდა მეგობარი და სი-  
 ვგარულთა დედა-აზრს დაუწყო კიბა, ისე აქ ბუნების თანაგრძნობა  
 და დამამკვებელი მკვებეობა ვერ აცნობს მის აღმოფრთხულს  
 სულს. პოეტის გულისთქმა ბუნების იქით... კიბებს სადგურს, რომ  
 ამ სოფელიერი ამოკება დასტოვოს და აზრითა და გრძნობით სა-  
 სებით შეუერთდეს შენაართ სამეფოს... მკრამი აქაც პოეტი სასო-  
 წარგვეთილი რჩება... გლას მკვდავნი ვერ სცნობენ განგებას ციურს».  
 სანდასან განმარტოებულ ფრიალო კლდეზედ მდგარს ალვის სეს მია-  
 შურებს, ეს ხე მრავალ-მტოვანია, მკრამილობელი, ჰაეროვანი, ტურ-  
 ფა, ძალადი, ესამო არის მის ჩრდილში ყოფნა და მისთა ფოთოლოთ  
 შრიალთა სმენა და წვალთ დუდუნზე უგუდმართისა ამა სოფლისა  
 ჭირთა დათმენა...» ზოგჯერ სკვდიანი ფიქრთ გასართოებლად წყლის  
 პირს წავა და იქ მდელაზედ სანუგეშოდ ცრემლით ინამაკს... აქ  
 მტკვრის დუდუნი აღუძრავს მას ფიქრს ცხოვრების ამოკებისას, და  
 თანაც ეს მრავალ დროების მოწამე და უტყვი მტკვარი, მისი დაუ-  
 სრულბელი მიმდინარეობა, ცხოვრების კანონიერების წინაშე ქედს  
 მოასრეკინებს და ცხოვრების შვილად, მის მოკლედა თავს აღიარე-  
 ბინებს...

კერეთი მეგობარია მეტყველთაგან უარყოფილის პოეტისათვის  
 უტყვი და უსულა ბუნება, კერეთი მჭიდრო კავშირია და თანხმო-  
 ბა მათ შორის, ერთად-ერთი მტკიცე, შეურყეველი და ერთგულბით



აღსაკვეთი კავშირი, რომელიც ელიძესა მგოსანს თავის მწარე განცხადებებში. ეს ექსტრანი პოეტისა ბუნების წინაშე ერთად-ერთი საგანი იყო, რომელსაც ანც ბედი შეეცდოდა და ანც ის სასოგადოება, რომელსაც ელიძესა სახარბიელთ ბედნიერება ასეთის კაცის თანამედროეობისა. მეტად პრაქტიკულის და წვრილმალის გრძობებისა და აზრებისა იყო ეს სასოგადოება, ცხვირით მიწაში ძალზედ ჩაფლული, რომ მთისა და ძაზედ გადარტყმულის ცის წარმტაცი მშვენიერება ეგრძნო, მეტად ბრძა იყო იგი სასოგადოება და გონებადასშული, რომ პოეტთან ერთად ეთქვა და ან გაგო ასეთი დიდებული სიტყვები პოეტისა, ეძწამს რომ არის ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არის მნიშვნელობა მათის საუბრისა.

ამგვარს გამოგობრებას ბუნებისას ერთგვარი რეკლამური ფერი აქვს. კაცთა სასოგადოების განხრწნილებასა და გათახსირებას გაუბოდა ყან-ყავ რუსთა და ბუნებას მიმართავდა ხოლმე. ამ გვარი სასოგადოებრივი სასოგადოების დანებისა და გათახსირების გამო ბაირონს უსულთ ბუნებაში აქებნიებდა ნუგეშსა და თანამგრძობელს.

ასეთი განკაცება ბუნებისა იკისრს ჩვენსა პოეტმა, ძლიერის გონების, მახვილის სმენის და შორს მხედველის თვალის მექანმა მგოსანმა, და, რასაკვირველია, რაც გულქვა ადამიანში ვერ უზოგა, ბუნებაში დაუწყო ძებნა. თუ ბუნება გაასულაიერა, ბარათაშვილმა, სანდისხან სულაიერი უტყუ ბუნებად გარდაქცია, რადგან უსაკოთა და უსულთ შორის უფრო მეტი გრძობიერება დაინახა. მათი საიდუმლო ენა გაიგონა და მათი საუბრის უფრო დიდი მნიშვნელობა შეიგნო... რაღა საკვირველია, რომ ასეთ აზრებსათან საქმის დაჭერა უფრო საპრიანო და სელსაურელი იყო პოეტისათვის. რაღა თქმა უნდა, რომ თუ სულაიერი საგანი უსულთად გამოსახა იმიტომ კი არა, რომ ან გრძობიერება და ან სულაიერება მოკლეთ ამ საგნისათვის, წინაღობა ჩვენს უსულთ მიხეუელს ბუნებაში იმ სულაიერებასა და გრძობიერებას მიაგნო, რაც ადამიანთა შორის ვერა ნახა... და მაშინ, როცა ჩვენი უწინდელი პოეზია ბუნების პლასტიკურს სიმშვენიერეს უფრო მისდევდა, ბარათაშვილმა ისე განახლო-

ცელ-გასულეიქა ბუნება, რომ «სულს, ვერეთ უძნკოს, მსუღრმად  
ლოცვით მიქანტებულს», მიამსგავსა «მთვარე, ნახად მთარე, დისკო  
გადანართ შუქ მიბინდულის» მასინ, როდესაც ჩვენი უწინდელი ზო-  
ტები ვარდისა და ბუღბუღის გარდა კელარას ზოულობდნენ შესადა-  
რებლად, ბარათაშვილმა თავისი საყვარელი არსება ხან ვარსკვლავს  
დაადარა, ხან სეს და თუ მთვარე, მზე და ვარსკვლავიც ჩვეულებრივი  
სიმბოლოა სატროფოსი აღმოსავლეთის ზოეზისაში, სამაგიეროდ ეს  
ვარსკვლავი მან მოძრაჲ და მოძქმედ არსებად გარდაქცია, თითქმის  
გულ-გრილ ადამიანზე უფრო გულ-თბილ და შექმენარე არსებად.

«მისი სული შეეხვია ამ ვარსკვლავის მოღრუბლავსა», «მისი გუ-  
ლი შეეხვია სკედითა კრთოლავს, ის ვერ გააძწარებს იმით, რომ  
უეცრად ბუქით ნისლს მიეფარება, მიტომ რომ უზომო სიაშეს მია-  
გებს, რომ მიბუფტვით ნისლით გამოუხნათებს, გამოუცემიციმდება და  
გამოუდარდება, მასინ ამის გულსაც ბნელი გამოედარება... ამას უნდა,  
რომ მზე იყოს, რომ სსიენი მის დღეთა გარსა მოაგლოს, სდა-  
მოს მისთავის ჩავიდე, რომ დილას უფრო აცხავლოს, უნდა, რომ  
იყოს ვარსკვლავი განთიადისა მორბუდი, რომ მის აღმოსავლას ელ-  
დნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი, ხოლო მისი სატროფო უნდა იყოს  
მშვენიერისა ცის ნვარი, რომ განაცოცხლოს და განაცხოვლოს მდ-  
ლე სიციხითა დამკნარი, რომ მხოლოდ მზისა ციავი მის დილას  
ნამსა იშრობდეს და ერთად შეზავებულნი, შუბას მოჭიგენდნენ სი-  
ცოცხლეს, არეს აკსებდნენ სიაშით, მცენარეთ განმაცხოვლებლად,  
იყენენ მარადის უსსნელად სოფლისა ასევაკებლად...

საყვარულიც კი არ ესმის ზოეტს ეგოისტური, აქაც ზნეობ-  
რივის იდეალით არის გატაცებული, მას სურს, რომ ერთად შედუ-  
ლებულმა სულმა ორთა მიჯნურთა ქვეყნას შუბა და სიხარული  
მოჭიგინოს. დაინახავს, რომ მტკვარი ნორჩ ადვის სეს ფეხსა ევ-  
ლებს, ვითა მიჯნური სატროფოს ამაყსა—და ზოეტს ცხოვრება გახ-  
სუნდება, კიდევ და კიდევ აქ, ამ უსულა და უსავა ქმნილებათა შორის  
ზოეტი იმაჲ თავისს ბედის მსგავსებას სედავს; როგორც იღუძლ თვით  
იტანჯებოდა იღუძლისა და ძლიერის სკედით, ისე ეს მტკვარი კვების  
და გოდებს და აღმოარსებს უფსკრულებიდან და აღეჯვალი კლდესა  
ქსლების, რამდენჯერ ჭარი შეარსებს საროს, იმდენჯერ მტკვარი





უმეტესს ოხრავს, თითქოს სიშუერთი შემოფოთებული და კლდის-მინის რებსე ზვირთთა შემუსრავს. და ამიტომაც უხარონ სოლმი, ამიტომაც ესამოვნება აქ ამ ხის ჩრდილში ოცნება და მის ფოთოლთა შრიალის სმენა, რომ აქ ქსედავს იგი სურათს თავისი ძლიერის ცხადობისას... დიად, ბატონებო, მხოლოდ ბუნება იყო მისი ნუგეშის-მცემელი, მისი თანამგრძობელი, მისი გამკონი და გამგეობი და ამხანაც გარდაუხადა ბუნებას მით, რომ არცერთს ჰოკტს ქართულს ენაზედ მწერალს მანაც არ შეუთვისებია ბუნება, არ შეუდუღებია თავისი სული და გული ბუნებისთვის ამგვარად, არც ერთი არ ჩაჭკვირებია ასეთის სიღრმით ხეების ფოთოლთა იდუმალ შრიალს, მდინარის დუდუნსა და ოხრავს, და, საზოგადოდ, მთელის უსახეო და უსულო ბუნების საიდუმლო ენას, უცხოველეს სხვათა ენათა...

არა ბეგრს ჰოკტს მიუნდვია ნიავისთვის თავისი შავად მდეღვარი ფიჭვი, არ უმცვნია ვარსკვლავთა თანამავლათთვის გულისა საიდუმლო, ძლიერ ცოტას მიუცია კენესა გულისა, ტრფობისა ნაშთი ზღვის დეღვისთვის, არა ბეგრ ჰოკტს ამოურჩევია საფლავი მდელოთა შორის ტიალის მინდვრის და ძვალი შეთნილი ქარიშხალთა ზარისა და ღრიალისთვის არ ჩაუბარებია.

მაგრამ გულმეწყალე და გულჩვილი ჰოკტი არა თუ თავის მოყვარე ბუნებას, თავის მტერს ადამიანსაც ღმობიერებითა და სიბრალულით ეპურება, თორემ რაკი შეიგნებ, როგორ ეპურობდნენ თვით უმასლობელესნი პირნი ამ დიდებულ მკოხანს, განცვიფრებული ხართ, რატომ ზიზღით აღსავსენი არ არიან მისი ლექსები გაცობრიობის მიმართ, რატომ ნადველი არ არის შიგ დანთხეული და საწამლავი ცრემლებისა და ოხრავის ნაცვლად. მაგრამ აქ ისტება მთელი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი არსება ჰოკტისა. ქართველი ერის გულტურა ათასი წლის განმავლობაში ქრისტიანობის ზედ-გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ქართველი ერისთვის მამულის დაცვა სარწმუნოების დაცვად შეიქმნა, რადგან მისი მტრები ყოველთვის სხვა რჯულისანი იყვნენ და სარწმუნოებრივის მხრივ დიდ შევიწროებას აყენებდნენ. ქართველები ფანატიკოსთა ბრბო სომ არ ყოფილან, რომ მართლმადიდებლობის მეტი არა ხსოვებოდეთ-რა. არა, იგინი მამულს

ინკანდენ და, წელანაც მოგასსენეთ, მამულისა და სარწმუნოებისა შეკავშირებული შეიქმნა, მათი განცალკევება შეუძლებელი იყო... აქედან ეს სარწმუნოება, რომელიც მეტად საყვარელი შეიქმნა, მეტად ძვირფასი ქართველი ერისათვის—ძვირად დაუფიქრებელი ჩვენს ერს—ამ გატაცებამ სარწმუნოებით გადააჭარბა კიდევაც და პოლიტიკური სიბრძნე გამოიწვია... რასაკვირველია, ამ სარწმუნოებას დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა ქართველი ერის კულტურაზე, მის სულზე, და სწორედ გერეც იყო. ძლიერებამ ქრისტიან სარწმუნოების გავლენისამ ბარათაშვილმაც იხინა თავი და მთელი მისი ლექსები სულითა და გულით ქრისტიანის დაწერილია, ადამიანის, რომელსაც მტკიცედ და აქვს თავისი მოკლეობა შეგნებული, ადამიანის, რომელიც კანთას სისუსტეს სიბრალულითა და მოთმინებით დასტკიერის, ადამიანის, რომლისთვისაც ცხოვრების საზიზღრობას გული კი ვერ აუცრუებია ამ ცხოვრებაზე, არა, წინააღმდეგ, მის განკარგებისა და გაუმჯობესობის ცდა იდგა და დაუსახავს. ამიტომაც არის, რომ ცხოვრების ამოების ღრმად შემგნები პოეტი მანც იმას იტყვის, რომ «თუ კაცი გეჭკვინ, შეიღნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვემძის მშობლისა...» ამიტომაც არის, რომ უმადლესს სასწარმკეთილებაში ჩავადინილი პოეტი, მამულის სწორისა და მეგობრის მოშორებას არად ჩაგდებას, თავისი იდეალისა, თავის აზრისათვის შეუწირავს ყოველივე იმიტომ, რომ იცის, «ცუდად ხომ მანც არ ჩაუვლის ეს განწირულის სულის კვეთება და ვინ უვალი მისგან თელილი მანც დარჩება შთამომავლობას, და მის შემდგომად მისსა მოძმესა სიმნელე ვინსა გაუადვილდეს.» ეს ზნეობრივობა იხსნის პოეტს იმისაგან, რომ სიყვარულსაც ჭეშმარიტის ადამიანის თვალთ შეხედავს, როგორც ზემოდაც მოგასსენეთ. კერძო, პირად უსიამოვნებასა და დაბრკოლებას, არად აგდებას და ამ გრძნობის უმადლეს მხარეების თაყვანისმცემლად, ქურუმად და მკვლავლად ხდება.

ეს ზნეობრივი ელემენტი შეაქვს პოეტს რომანტიულ-საღირსიკო პოეზიის ერთ უმთავრეს საგნისაგან აღძრულ გრძნობის გამოსახებაში—სახეში მაქვს სიკვდილი, ეს «ნუგეში უბედურთა... მართალია, პოეტმა ამში ქართველობა გამოიხინა და ლექსი ამ საგნის



შესასებ არ დაგვიტოვას, მაგრამ იმისი ერთი წერილის ადგილი მხოლოდ სჯობს ლექსისა თავის სამშვენიერით და აზრთა სიღრმით. «მსოფლოდ ტფილისის საუცხოო საღამოები გამომაცნობს ზოგჯერ» — სწორს იგი ერთ მეგობარს, — «გუშინ, ერთ ამ საღამოს დროს, წავედი სასტუმროდ... უეცრად სასაფლაოზე გავჩნდი... მართალი გითხრა, ცოტა არ იყოს, გავოცდი აქ დასადგურებულს იდუმლობას რომ შეგხვდეს; ღამის 11 საათია, არც ერთი სულეი არაა ჭანობს. ირგვლივ საუუუუ არაააა; მიმქრალბული მთავრე მოწვევით დანათის სასაფლაოებს, როგორც ცხედართან დადგმული ჩამწვარი სანთელი. ჩუმი და ხელად მოღულებს მტკვარი, თითქმის ეშინება აქ დაღვრემილ მიდამოს მეუღრობის დარღვევა. ესაა შენ ქეიფობ და არ მინდა იმ ნაღვლიანი ფიქრებით შეგაწუხო, რომლითაც აღმავს ამ სასაფლაოზე ციურმა და თანაც მიწიერმა. მაგრამ ამის გი გეტყვი, მშვენიერი მოგონილია სასაფლაო, მიუწილებულია იგი, რათა მომაკვდავმა წაივითოს იქ თავის ცხოვრების ამბავი: ნუგეში უბედურთა არის ბედნიერების დასასრული.»

საუბედუროდ, ეს ნაწივეტიც ცუდი რუსული ენით არის დაწერილი, რაიცა ხელს უშლის ძალიან აზრის მსატკრულად გამოთქმას. აქ მანც ვხვდებით ჩვენ, რომ ზოგჯერ სიკვდილი სამუდამო არააობად მიანხია, ამინებს კიდევაც იგი და ჭმუნვით აღსავსე აზრებს აღუძრავს, მაგრამ თანაც ხვდავს, რომ სიკვდილმა ყოველის მსხველმან შემესროს ყოველი ბედნიერებაცა და უბედურებაცა და შთანთქას საუუუუ უფსკრულში... ბედნიერთ უნდა იგრძნონ, რომ მათი ბოლო არის ორი არაშინი მიწა და ამიტომ უნდა სხვაფორე უკვდავად ჭყონ თავისი სასული, მსოფლოდ უბედურთ უნდა ინუგეშონ მით, რომ სიკვდილისაგან ყოველი გასწორდეს — სუსტი და ძალ-გულგანი, ერც და მეფე, ერცა და მსცოვანი, მდიდარი და გლახავი. ერთისთვის საფლავი მომაგონებელია თავის მოკვლეობისა, მეორისთვის მანუგეშებელი, რადგან ახვენებს, რომ მის ტანვკებს ბოლო ექნება, ისეთივე ბოლო, როგორც სხვის ბედნიერებას. ბარათაშვილმა თუ წნეობრივი აზრი სიკვდილის შესახებ ისესხა რუსთველისაგან, სამაგეროდ ისეთი ზოეტური სამოხელით შემოსა, რომელიც კერ შესძლო, როგორც მოგახსენეთ, კერც აღ. ჭავჭავა-

ქმ და კერძ გრ. რბუღანმა, გარდა ამისა, იგი კერ დაკმაყოფილდა და საგნის მარტო ერთი მხრის აღწერით და გვიჩვენა, რას ჭეშქარობს კაცი, როცა სიკვდილი თვალის წინ უდგა, რა აზრებს ჭბადებს მასში სანახაობა სიკვდილისა—სასაუღლო, რა გრძნობებს იწვევს კაცში ეს სანახაობა, ზეციერი და თან მიწიერი, როგორც თვითონ უწოდებს.



ზარათაშვილი, მოგასხენეთ, უმაღლესი წარმომადგენელია რომანტიზმისა—თუ გი რომანტიზმი იყო გამომსატველი ადამიანის—პოეტის თვით უღრმესისა, თვით უსაიდუმლოებისა და აზრებითის გრძნობებისა, თუ გი რომანტიზმი, დროისა და გარემოების ზედგავლენის გამო, ამ გრძნობათა გამოსატვას მწესარე და სკვდიანის სუფარით მოსაგდა. რომანტიზმის უმაღლესს საფეხურზედ აყვანა ძნელია და მოუხერხებელი იყო ქართულის პოეტისათვის მას შემდეგ, რაკი ზარათაშვილი იგრძნო და გვავგრძნობინა ღვთაებრივი და იდეალური მხარე სიყვარულისა. დაგვანახვა ბუნების საიდუმლო გაჭირი კაცთან, «უასაკოთა და უსულოთა» ენა და გრძნობა შეგვანსდინა.

განა რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენელად არ უნდა მივიჩნიოთ ის პოეტი, რომლის ჩონგურს ოპონისა, კენესისა, კაქუნისა და მოთქმის მეტი არა გაუგონებია—რა არც მასზედ დამკვირვლის მგონისა და არც მის მსმენელთათვის; ის პოეტი, რომელსაც თავისი ჩონგურისაგან «მოკლეულის გულის ოდენ ჩივილი ესმოდან», რომელსაც დიდილისა და მხიარულის ხმის ნატვრაში ამოსდა სული. დიად, რომანტიკოსია, უდიდესი რომანტიკოსი და უადრესი პესნიმისტი «პოეტი მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით», რომელსაც მშენიანობა ჭქანდა შეგნებელი, «რომ სოფლად, ყოველსა აჭვს ყამი და ბოლო, რომ საწუთრო დიდ ხანს არაგის ახარებს». დიდი პოეტი, რომანტიკოსი მგონისა, რომელსაც «ხმა საიდუმლო» მოსკვნებას არ აძლევს და სიყრმიდანვე «ხმა საკვირველი», გულის ნადვლით აღმავსებელი, ხმა, რომელიც უღვიძებდა თავში ათას გვარ



მწარე ფიქრებს, სულისა და გულის უშხამავდა, ხმა, რომელიც უფროა გრძნობის ძირმდვი ჩახსებებდა და იქ იმ ძირში უჩვენებდა ჯოჯოხეთისა და სწამლავს, გულის, სულისა და გრძნობას უწყევლავდა. ეს ხმა ეს «სული ბორბოტი» დაბოლოს მან დასწყევლავდა, როგორც აღმშოფოთარო, სულის მშვიდობის წარმდები, ემწვილის ბრძოლა სარწმუნოების მომკვლელო, სული აღმშოფოთო, წრფელ ზრახვათა მომხიბლველი და აღმრეკო, რომელმაც მეოსნის «გულის თქმანი იმსხვერპლავა» და დასტოვა «უსაგნოდ მარტო, ჭკუით უწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი».

უდიდესი გამომხატველი ბარათაშვილის სულის განწყობილებისა — მისი «მერანია», ქართულის ლიტერატურის მარგალიტად მიჩნეული... დიად, ამ მერანში ვსედავთ ჩვენს ზოეტს, რომლის გრძნობათა აღრეკვასა და აღშოფოთებსა, სულის ობლობას და მარტობას იმ სიმწვანემდის მიუღწევია, რომ არად მიაჩნის «მოშორდეს მამულს, მოაკლდეს სწორთა და მეგობარსა, აღარ იხილოს მშობელი და სატრფო ტბილ-მოუბარი», არად მიაჩნის, მის «მამულში არ დაიმარხოს, მისთა წინაშართ საფლავთა შორის; სატრფომ გულისა არ დაიტიროს», არას დასდევს, დაე «მავმა უოჩანმა გაუთხაროს საფლავი მდელოთა შორის ტილის მიხდვრის და ქარიშხალმა ძვალთა შთენილთა ზარით ღრიალით მიწა მიყაროს; სავამოდ მიაჩნის ისიც, რომ სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა დაეცემან ცვარნი ციურნი, მისთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად ივალავებენ სვანნი მუივარნი და უხატრონოდ ოხრად მოკვდება...» ამ ზომამდის მიაღწია მეოსნის უმადურობამ კაცობრიობის მიმართ. მაგრამ დასეთ მის ზნეობრივ არსებას — დღეინდელის საზოგადოებისაგან გულ-დათოთქულმა, სვანინდელსად როდი გადაიტანა ეს სამდურავი, შვილი როდი გახლდა მამის ბორბოტი-მოქმედებისათვის ზსუნისი მგებლად; აწმყო დაგმო, მაგრამ მომავალი შეიწყინარა,

კუდად ხომ მაინც არ ჩივილის ეს განწირული სულის კვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება; და ჩემს შემდგომ მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.

დიად, მისმა «მერანმა» — ხოლო ამ «მერანის» ასსნაში იღ. ჭკუ-ჭკავსეს უნდა დაკეთანხმოთ, რომ ეს მერანი, რაღაც სიმბოლიური

საკანია, შეიძლება პოეტის აზრსა ნიშნავდეს, მისს სულის  
 ბას ან და სსკვას რასმე—მეჩანმა» გადათელა გზა უკალი, გადა-  
 თელა მშობელთა უგულობა, სამშობლო ერის გულ-ცნობა, მოძმის,  
 მოყვასის და მეგობრის საზიზღარი გულ-გრილობა, აღმდინთა აღვირ-  
 წახსნილ ეგოიზმსა და პირუტყვობას არნია «ვარსკვლავი თანამავა-  
 ლი» და «ზღვის ღელე», «შავი ყოჩანია» არნია გულის სეტრეოს  
 ცბიერ ცრემლებს, ქარიშხალი მიწის დამყრულად—აღმდინის სელს,  
 ნათესავთა გლოვას—სკაკთა მყივართა კალალი, უზატრონოდ და  
 ოსრად სადმე გადაკარგული სიკვდილი, რადგან იგივე უზატრონო,  
 იგივე ოხერი და იგივე ობოლი იყო თავისს ტოლ-აძმანავთა და  
 სწორთა შორისაც... დიად, ეს ყოველი აზრსა მის შემდეგ მომავ-  
 ლობას, დანახვა აღმდინთა სიბოროტე და გაპირუტყვება, აღმდინთა  
 გულქვაობა და უსულობა, დანახვა და გააუროთხილა, ღრმად ჩახსება  
 საზოგადოებისა და კაცის გულში და ამკვარი ცოდნითა და გამც-  
 დილებით შეიარაღებულს გზა დაულოცა. ამის მეტი რომ არა დაეწე-  
 რა-რა ბარათაშვილს, ჩვენს გვეგონია, მინც დამისახურებდა სასულს  
 უდიდესის პოეტისას, რადგან ამ ლექსშია გამოთქმული უზენაესი,  
 უწრფელესი და უღრმესი გრძობა გულისთ დათუთქულის, გულ-  
 მოწყლულის ზნეობით აღსავსე აღმდინისა. ჩვენ მგოსნის ამ ზნეო-  
 ბრიობასუდ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას. მგოსნის, რომე-  
 ლინ ხელსა ჭკრავს და ზურგს უჩვენებს მას, რაც კი შეადგენს კა-  
 ცის ცხოვრების განმაცხოვრებელს, მხოლოდ ერთი-ლა წადილი  
 დარჩენია, ის, რომ მომავალ თაობას «სიძნელე გზისა გაუადვი-  
 ლოს», შეამდებინოს «მუუზოვრად შეებრძოლოს შავ-ბელს». რა მღე-  
 რი უნდა ყოფილიყო პოეტისაგან თავის მოვალეობის შეგება წი-  
 ნაშე შთამბებისა, ისტორიისა და თავის ერის მომავლისა; ესეთი  
 კაცი, როცა ამგვარ სასოწარკვეთილებამდის მიდის, ესდენ უნუგე-  
 შობამდის მიაღწევს და მინც არ იეწეებს «მომქესა თვისა», ჭეშ-  
 მარიტად დიდი კაცია და დიდებული შვილი ქვეყნისა.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ლექსი დაწერილია მიტროპოლისის  
 «ფარისის» მიმსგავსებით. რასაკვირველია, ამით სრულადაც არა  
 მცირდება ღირსება ამ ლექსისა. შორს წაგვიყვანდა, თორემ ჩვენ შე-  
 გვეძლო აგვეხსნა, რას ნიშნავს ლიტერატურაში მიმბაძველობა, რა



დიდი მნიშვნელობა აქვს მას და ისიც გვეჩვენებინა, რომ ყოველ დიდებულ ნაწარმოებს ემხნევა კვალი მიმამბველობისა, მაგრამ ამის გამო დიდებულებს მანც არ დაუკარგავს. ჩვენს მგოსანს ნასესხები აქვს არაბი ლექსისა, ნასესხები აქვს მრავალი სიტყვები თვით ლექსისა, ეგრედ წოდებული ზოეტური ეპიტეტები, მაგრამ, როგორც ბრძანებს ბ. მეუნარცია, თვით მიტკევიჩს ეს სიტყვები ნასესხები თურმე ქქონის არაბულ ლექსიდან. წარმოადგინეთ, თვით ის შემთხვევა, რომლის გამო დასწერა მიტკევიჩმა თავისი «ფარისი», წააგას ამ შემთხვევას, რომელმაც ბარათაშვილს თავისი უკუდაგი ლექსი დააწერინა და მანც კიდევ ბარათაშვილის ლექსი დიდებულა...

მე მოვიყვან მიტკევიჩის ლექსის შინაარსს, ისე როგორც ბ. მეუნარციას აქვს მოყვანილი გაზეთ «ივერიაში» თ. ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიაში. «ფარისი ნიშნავს», ბრძანებს ბ-ნი მეუნარცია, «მხედარს, რაინდს. მიტკევიჩმა დასწერა თვისი ზოემს ზოლშის ორიენტალისტის რაუკსკის სახსოვრად, რომელსაც ის ბედი ეწერა, რაც ზოემის მხედარს. ვაცლავ რაუკსკია სამეცნიერო გამოსაკვლეკად იყო წასული და დაიღუბა. ფარისში გამოხატულია არაბი, დაუღუკელს უდაბნოში გადაკარდნილი, საცა არც წყალი არის, არც მცენარე, არც კაცის სული მოიძებნება, საცა მარტო ქვიშაა. არაბი სძლევს ყოველ გვარს დაბრკოლებას, რომელიც იმას ხვდება გზაზე და განაგრძობს წინ ქროლვას,

Мчись, летунъ мой бѣлоногій,  
Горы, дѣбры, прочь съ дороги.

შეატულ უდაბნოში ადგებება მას საშინელის ჩსაკილით ძელქორი, რომელსაც მხედარისა და ცხენის ლემის მადა აშლია. მაგრამ არაბი ამასაც დაასწავს თავს და ეტყვის თავის მერანს:

Мчись....

Скалы, коршунъ, прочь съ дороги.

მერინავის შემდეგ დაწევა მას ცის ღრუბელი, ეს აფრთხილებს მხედარს, რომ არ წაიღეს წინ, რადგანაც წინ არც ერთი ცუარი წყალი არ არის, მაგრამ კერც ეს მუქარა შეაშინებს თავ-განწირულ მხედარს:

Я не боюсь угрозъ! Лети, гонецъ!

იტყვის იგი და განაგრძობს გზას. გზა-გზა ის შეეყრება უღმინოში დაღუპულს ქარავანს, მაგრამ კერძ ეს ძვლები მოიყვანს გონზე არაბს:

Трупы, вихри, прочь съ дороги!

ბოლოს ატყდება საშინელი ქარიშხალი, რომლის მძვინვარებასაც გადაურჩება მსედარი. შემდეგ ის განერთსება დედამიწაზე და დაუწიებს ტქერას ვარსკვლავებს. მისი ფიქრები ივარკვიან ზეცას და ფიქრებთან ერთად მისი სულიც:

Такъ душу въ высь я устремилъ,  
 И въ небѣ съ мыслью схоронилъ

ათქმეიანებს ზოეტი უდაბნოში დაღუპულს მსედარს. მიტვეიანი თავის მსედრის გმირობას გვიხატავს, რომელიც კერას შეუშინებია. ბარათაშვილი კი თავის მსედრის სასოწარკვეთილებას, რომელსაც არაფერი არად მიახნის, იმ მდგომარეობაშია, სინცხლეს სიკვდილს აჩეკვს, მაგრამ სიკვდილს აზრიანს, შთამომავლობისათვის თავ-განწირულს. ბარათაშვილი ისარგებლა შემთხვევით, ისარგებლა მიტვეიანის ლექსით, მაგრამ უფრო ღრმა ნიადაგზედ დააყენა საგანი, საგნის არსებითს მხარეს შეესო, საგნის მთავარ აზრს ჩასჭიდა სული; მართლაც შემთხვევა, საზოგადო ტიპიურად გარდაჭმნა, ილ. ორბელიანის ლექთაგან დატერის გამო დატვისურათა კაცი, რომელსაც შეუგნია საზიზრობა ცხოვრებისა, კაცი, რომელსაც კერ უზოვია ტოლი და მეგობარი სულისა, კაცი, რომელიც საზოგადოების გულჭკაობასა და გულტრილობას სასოწარკვეთილებამდის მიუყვანია, კაცი, რომელიც მიურბის ყოველივე ამას, ადამიანზედ უფრო გულკეთილსა და გულ-მოწყალე ბუნებას მიმართავს; მიურბის ყოველივე ამას და მოძავალ თაობას დაანახებს, კრიდეთ, კრიდეთ საზოგადოების ამ განწინილებას, საზოგადოების გათახსირება შეკიგენი, მის საბრძოლველად გამკლავება მე კერ შეკმელი და თქვენი საქმეა მისი შვიის-ბედის შებრძოლება... ხოლო როცა საზოგადოებაზედ ვლახარაკობთ, ის კი არ გვიანდა ვსთქვათ, ვითომ ზოეტს ტვილისისა და ან მართო საქართველოს საზოგადოების განხრწნა ჭქონდა სასეში, არა, ტვილისის საზოგადოება, ქართველის ერის ცხოვრება მხოლოდ





მასალა იყო, რომლის შემწობითაც დიადის ნიჭით აღჭურვილმა მკვლევარმა შეიგნო საზოგადოებრივი მშენებლის ადამიანის არსება და ამ არსების შეგნებით დღეინდელობით გულ-მონწყულნი, სკალინდელობის იმედით გაქცნა ამ დღეინდელობას, გადათქვა იგი და გზა გაუკაფა მომავალს თაობას.

## VI

არს ნაკლები სადიდებელია ბარათაშვილის სასულიეროს მისი «მთა-წმინდა», «ბუღბუღი კარდზე», «ჩინარი», «სული ობოლი», «არ უკვირია სატროფო», «შევიშრობ ცრემლთა» და «ვზოვე ტაძარი». მაგრამ ყველა ამას გარდა მან დაგვიტოვა ის, რაიცა საუკეთესო დამატეხილებელი საბუთია მისი გენიოსობისა, მისი შეუდარებლის მნიშვნელობისა ქართულს ლიტერატურაში. ეს განსაკუთრებით «ბედი ქართლისა», რომლის შესახებაც ჩვენ ესლა ვიღაცა რეკვირით. ამ ზოგით ბარათაშვილი შეიქმნა ქართულის რეალურის ლიტერატურის მამამთავარი.

რეალიზმმა ამ საუკუნის მეორე ნახევარში დაისაკუთრა ლიტერატურა. თუ რომანტიზმი იყო კლასიციზმის წინააღმდეგი მოკლენა ლიტერატურაში, რეალიზმი რომანტიზმის წინააღმდეგმა რეაქციამ გამოიწვია.

რეალიზმის უმთავრესი თვისება და მოთხოვნილება ლიტერატურაში ის არის, რომ მწერალმა თავისი «მე» დამალოს და არ გამოაჩინოს, თავისი აზრები და გრძნობები შეაბრკილოს და ერთგვარ ფორტოგრაფიულ აპარატად გარდაქცეს, რომელიც ცხოვრების ფაქტებს მოკლენას გადმოგვცემს ისე, როგორც იგი მოხდება სოლემ, და მწერალმა თავისებურის ფერადით არ შედგოს ეს მოკლენა... ამისათვის სელაგების მთავარი აზრი უნდა იყოს ბუნების დაკვირვება და ცხოვრების მენიერებად შესწავლა... რეალიზმი უნდა იყოს — ჩვენ განზობთ იმ რეალიზმს, რომელიც შექმნა ფლობერმა და ზოლამ, რომლის მოძღვრები იყვნენ კრიტიკოსი სენეკა და ტენი — გამომსახველი სამეცნიერო პოზიციურის შესუღულები და ცხოვრება-სედა, ესე იგი, უნდა აღიაროს დეტრემინიზმი ცხოვრების მოკლე-

ნათა. ცხოვრების მოკლენანი განსაზღვრულს კანონს ეჭვედებარებინ; კაცს, როგორც ერთ ნაწილს ბუნებისას, ერთ პირუტყვთაგანს, თავისი ადგილი აქვს მიჩენილი ბუნებაში. კაცს მხოლოდ ის შეუძლიან მოაქმედოს, რის მოქმედების ნებასაც გარემოება აძლევს და სხვა-და-სხვა პირობა აჩვენებს; კაცს არა აქვს არავითარი თავისუფალი ნება, არა აქვს არავითარი ძალი ცხოვრების კანონი გარდაჭმნის და თავის ნებასეუდ მომართოს ცხოვრების მოკლენანი. კაცი პაიკი იმ დიდ ჭანდრავის ფიციარზე, რომელსაც ეწოდება ჭკუენა, და მოკლენათა სასტიკი კანონი არის ის მოთამაშე, რომლის სურვილზედაც არის დამოკიდებული პაიკის აქეთ-იქით გაწევა-გამოწევა.

თუ რომინციზში, როგორც ღვიძლი და ინდივიდუალურის ფილოსოფიისა, კაცსა სთვლიდა ბუნებისა და ცხოვრების მეფედ, თუ იგი აღიარებდა კაცთა ყოვლის შემძლებლობას, მისი სულის გვერების შეუნდუდებლობას და განუსაზღვრელობას, — რელიზში და პოზიცივიზში წინააღმდეგს განაცხადებს, — კაცის უღონობასა და სისუსტეს, ცხოვრების კანონის სიმძაფრესა და უღმობელობას. კაცი მეფე კი არა, უურმეობრივი მონა არის, ამ ფილოსოფიის აზრით, უმნიშვნელო ჭია, ანუ «ჭიანჭველა», როგორც ჩვენი პოეტი ამბობდა ხოლმე.

ინდივიდუალურის ფილოსოფიის მიმდევარნი გვირებს გვიანტავდნენ, ისტორია გვირების შემქმნელად მიაჩნდათ. პოზიცივისტები ამტკიცებენ, რომ გვირს არა შეუძლიან-რა, თუ ნიადაგი არა აქვს მზად, გარემოება ხელს არ უწყობს, ამას ყოველივეს კი ცხოვრების მიმდინარეობა ჭმნის, გარეშე ადამიანთა სურვილისა და წადლისა.

აქედან ორა უმთავრესი თვისება რელიზმისა ამ სამეცნიერო-პოზიცივიზის ფილოსოფიის მართლმომართე იყო, ხოლო ესტეტიკის კანონად აღიარებდა და მიუცილებელ საჭიროდა სდიდა, მწერალს თავისი გრძნობების გამოჭკეუება უგუ ეკდო, მხოლოდ ცხოვრების ფაქტება დაენახებინა, ლიტერატურა «დოკუმენტებად» გარდაეჭმნა, რადგან მეცნიერებისთვის მხოლოდ დოკუმენტებისა აქვს მნიშვნელობა. სხვა თვისებანი რელიზმისა, როგორც საესტეტიკო მოძღვრებისა, მერე ხარისხიანნი არიან და აქედან წარმომდინარეო-



ბენ (მაგ. რეალიზმის პირველმა პოციტიკელებმა (ჟორჯ-ზანდბა) შიდა-ბიზნესს მიმართეს და მათი ცხოვრებიდან შექმნიეს მოთხრობები, უფრო იმიტომ, რომ ადგილი შესაძლებელი უფილიყო მწერლის პირად გრძნობათა მიმართვა. ან და ზოლა ტიპებს კი აღარ ხატავს, რომანის ანუ მოთხრობის გმირებს კი აღარ გვიჩვენებთ, ბრბოს გვიჩვენებს მხოლოდ და ბრბოს ფსიხოლოგიას გვიხატავს, მხოლოდ საზოგადოების თვისებასა და ზნე-ჩვეულებას აღგვიწერს, იმიტომ რომ ესლანდელმა ფილოსოფიამ გმირები ჩამოიყვანა იმ გვარცხლებიდან, რომელზედაც იგინი ძველმა ფილოსოფიამ აიყვანა).

ბარათაშვილი აწის-მეთქი რეალიზმის მამამთავარი ჩვენში, რადგან «ბედი ქართლისას» რეალიზმს—ზემოხსენებული აზრით გაგებულს—ვერ წაუწერო ჩვენმა ესლანდელმა ლიტერატურამ და საზოგადოდ იშვიათის თხზულება, რომელშიაც ეგრეთი სისასტიკით იყოს დაცული ამ საესტეტიკო მოძღვრების კანონები.

პირველად უკვლისა ავტორის პირადობა დამალულია, სრულიად დაფარულია ავტორის აზრი ამ მოკვლის შესახებ. ვეკლამ, რასაკვირველია, ვარგად ვიცი, რომ ამ პოემას საგანდა აქვს აღგვიწეროს უკანასკნელი ხანა ჩვენის ისტორიული ცხოვრებისა, რაღა მეფე ერეკლემ სჭარბეულოს ბედი გარდასწყვიტა, ამ მოკვლის შესახებ თავისი აზრი არა ჰქონდა ისეთ მხვილ გონებისსა და გრძნობიერს პოეტს, როგორც ბარათაშვილი იყო, არ-შესაძლოა, მაგრამ ამ აზრის გამოარკვევა ამ პოემის შემწობით შეუძლებელია. მართალია, პოეტს ხანდახან თავი ვერ დაუჭერია და აქა-იქ წამოხტებისა აღტანება ხან «ჩვენის დედებით», ხან მეფისა და მის მოყმეთა ერის მამა-შვილურის კავშირით, მაგრამ ეს ისე მიკერებული აქვს პოემას და სრულიადან რომ გამოაკლოთ ეგ ლექსები, არაფერი დაუშავდება თანდათანობისა და ერთიანობის პოემისას. გარდა ამისა არც ერთი ეგ ლირიული ადგილი არ ესება მთავარ საგანს, რომლის შესახებაც თავის აზრის წარმოთქმის ამოცანას ცდილა პოეტი.

ბარათაშვილმა ამ ეპოქის ასაწერად აიღო მეფე ერეკლე, რომელიც დრომ და გარემოებამ დააჯერეს, რომ სჭარბეულოსთვის თვით-არსებითი ცხოვრება შეუძლებელი იყო და ამიტომ უნდა სხვა

სახელმწიფოსთვის გარდაეცა; სოლომონ ლეონიძე, დიდად გამტრინი-  
ნი და გონიერი კაცი, რომელსაც სურს ებრძოლოს ისტორიულ  
ბედ-შეკობას და მისი ცოლი სოფიო, რომელიც, ჩვენის აზრით,  
განგება ჭყავს ბარათაშვილს გამოყვანილი, რომ მაშინდელი საზო-  
გადოების საუკეთესო ნაწილის წმინდა გრძნობები დაესურათებინა.  
სამთავროს ძლიერ უყვარს მამული, სამთავრო უოკელი კეთილის მსურ-  
ველია მამულისთვის, სამთავრო უწრთელესი და უანგარო გრძნობებით  
არინ აღსავსენი, მაგრამ ერთი სტრატეგია არ დაუწერია ბარათა-  
შვილს ამ შოკმაში, ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ისეთი, რომ-  
ლითაც სჩანდეს, მისი თანაგრძნობის სასწორი რომელ მათგანისა-  
გენ იწევს.

ერთი მხრით მეფე ფიქრობს თავის ერზედ, კითხ მამა კეთი-  
ლი, რომელსაც სურს, რომ თავის შვილი თავის სიცოცხლეშივე  
დაასახლ-გაროს; მეორე მხრით «მსაჯულია» ქველი, მეფის შინაური,  
უმთო საყვარელი, ნიჭთა კეთილთა უხვად მორტყმული; მესამე მხრით  
გულგუთილი და მშენიერი, ზრდილი ცოლი მსაჯულისა, წინათ  
სოფიო, სულისა ტოლია.

ზირველი სჯის ქართლის ბედს, სურს და ედტვის, რომ ქართლს  
კეთილდღეობა მიანიჭოს, მაგრამ დღევანდელ გარემოების აწონ-და-  
წონვა იმ ფიქრამდის მიიყვანს, რომ საქართველოს აღარ ძალ-უმს  
თვით-არსებობა. სზარსულთა მოსისხლე გული აღა-მაჭმად-ს-ნის გა-  
მარჯვების შემდეგ აღარ დააწყინარებს საქართველოსა, სზარსუთის  
მაგალითი ლეკთაც აყვანებს, ოსმალითა კი მხოლოდ დროს უფურ-  
ბენ... იცის, რომ ძნელ არს ცხოვრება სამეფოსი, ოსს უჭკრეტ-  
დეს იგი ომის დღითი-დღე... ამას ზედ დაურთეთ განსწინილება სა-  
ზოგადოებისა, სცა ერთმანეთსა ჭკველენ, თვით მეფეს აღონენი წელთ  
წარუტაცეს, შვილს კი ვერც ერთს ვერა ჭხედავს დირსეულს, რომ  
ეჭმნეს ვერცერთსად მამულს დარღვეულს. ყოველივე ამის დამნახველი მეფე,  
მეფე ცხოვრების უღმობელობის შემენები, გარდასწევკეტს რუსეთს  
დაუგავშირეს საქართველო, მისი მსაჯულია დღევანდელ დღეს არ უფ-  
რებს, იგი უფრო ლოგიკის პატრონია, უფრო საუკუნო პრინციპების  
მისეღვითა სჯის საქმეს, მომავალს უფურებს და დღევანდელობა არ  
აშინებს, იდეალისტია იგი და მსნე, მამაცი გიბრი. იგი ვერა სე-

დავს, საქართველოს საბიძრო რამ ეძარბებოდავს, რომ მიუცრილებუ-  
 ლი იყო ს თავისუფლები ს განსუადვას. იგი მოძნრკა ცნოკრების ამ  
 ფაღლსოფიურ შრინციბებისა, რომ ესხელმწიფოს სუფლის ერ-  
 თობა არა-რას არგებს, ოდავს თვისება ერთა მის შორის სსვა-და-  
 სსვაობდავს.» იცის, რომ ქართველებს არად მიახნისთ უბედურება,  
 თუ აქვსთ ჭერ-ჭვეშე თავისუფლება...» და განა მეფემ ვი არ იცის  
 ესა, მისი გუღაც სოღომინისაკენ არის, ის ერთ წუთას კიდეკაც  
 აზირობს დაიდუმოს თავისი გუღისთქმა, მაგრამ მამდინარება სს-  
 ქართველს ისტორიისა, ისტორიული მსკლელობა და წადილი ძლიე-  
 რის რუსეთის სსხელმწიფოისა ნათლად დაანსკებს, რომ «დავს იქ-  
 ნება, თუ სვალ იქნება, ქართლსა დაიცვას რუსთ სელმწიფება.» თან  
 მსაფუღლსაც, როგორც გონიერ კაცს, მეფისაკან დასატული სსქარ-  
 თველას მდგომარებაის სუღათი ფაქრში ჩაგდებას და კტკებს აღუ-  
 ძრავს: «ვიან იცის, იქნებ იგი უკეთ ფაქრობდავს, რაც გვეჭირება,  
 ბევრვერ ღვთიურსა შრუნკასა მეფის გონება უმთა ვერა მისკდე-  
 ბისა.» წარმოიდგინეთ, შოკტი არა თუ იმას არ გვიჩვენებს, თვით  
 ვის აზრს ემსრობა, ამ სსვა-და-სსვა აზრის წარმომადგენელიც ვი  
 ვერ უწევს ერთმანეთს სსსტიკ წინააღმდეგობას. მეფე გრძნობს,  
 რომ სოღომინი მართლად შრინციბიადღურად, მაგრამ დღევანდელ  
 გაჭირვებულ დღეს, ამ უბედურებისა და დაღვევის დროს «მშვიდო-  
 ბისათვის სსუფარულ უმთა, არ იცის, რა მოაკვაროს. სოღომინიც  
 აღელვებულა და აღშოთობული, რომ მეფე უზირობს სადღს წარ-  
 სტაცოს თავისუფლება და მთელ მონღოღვს წარმოსთქვამს მეფე-  
 თა განუსაღღრელ უფლების შესასება, რომელთა დემერთი მოჭმად-  
 ლებს სოღმე უოკელთა უფლებას და მისს ერთს სიტყვას მონებენ  
 ერთი, განურჩევლად სუღელნი, ბრძენნი და იგი მათს ბედს ისე გა-  
 ნაკებს, ვითა ამღერდავს იგი კამათლებს!»

აქ მსოღოდ ერთი წარმომადგენელია გრძნობისა—ქალი, რომე-  
 ლიც ვი არა სჯის, სავნის სიგრძე-სიგანით აწონ-დაწონვას როდი  
 დაკებს, იმას ამბობს, რასაც გრძნობა ეუბნება, მამული და მამულის  
 თავისუფლება იმიტომ სჭირია, რომ «იქ გაჭირება სსვა-და-სსვა  
 რიგად ენუკეშება, მუნ სუღლსა სუღა თვისად მიახნის და გუღ-  
 სს გუღის შისუხა ესმის»... ეს წრფელი და გრძნობიერი სიტყვე-

ბი გულის აუღელგებს მსაჯულს და მის გულში ანთებულს (რესლს) ნუგუზაღს შეუმატებს, რადგან მით უფრო საშინლად მანჩია მეფის გარდაწყვეტილება, რომ ხალხა ამას გრძნობს, ხალხი ესდენ დაიტანჯება. ბრათაშვილიც აღტაცებულია ამ ქალით, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მის დროინდელის ქალებისათვის დაუბარდა-ვირება. რასაკვირველია, მოხიბლულია მისი მადლგრძნობიერებით, ნასამოვნებია, თაყვანს სცემს მის ცხოველს გულს, მაგრამ იმიტომ გა არა, ვითომ მის აზრს ეკერძებოდეს. ეგრედ გაკვირტაცებს სოღმე და სიამოვნებით აღგაკუსებს ჩვენ ბავშვის ცელქობა, ბავშვის იდეალური ოცნებანი, მაგრამ იმიტომ გა არა, რომ მათს აზრის სინამდვილესა ან საფუძვლიანობას აღვიარებდეთ.

დაიცვა რა პოეტმა თავისი პოემაში უპირადობება (impersonalite), ფაქტის სისტიკე აღმნიშნულად დაწნა და ამით რეალიზმის ერთი უდიდესი კანონთაგანი შეასრულა, რეალიზმის თვალსაზრისით აღმსარებელიც შექმნა. მეფეს თავისი სურვილის წინააღმდეგ გარემოება აფაქრებინებს მოუსპოს სამშობლოს თავისუფლებს. სისხლ-დაწრეტელ საქართველოსათვის, საქართველოსათვის, რომლის საზოგადოება დაცემული იყო სულითა და ზნეობით, თვით-არსებობა შეუძლებელი იყო. მეფე გრძნობდა, რომ აღარ შეეძლო ისეთს ერსედ დამყარებულყო, რომელთაც შეამჩნია მუსთლობა, როცა შეამჩნია დეოქეთა მისთა ესდენ დამცრობა, რომ თითქმის მოგებული ომი წააკებინეს მუსხანათობით და იუდასაკით გაჭყადეს სამშობლო. მაშინ გარდასწყვიტა, რომ მძის აღარ ითვი-სებს ქართველთა გული, რომელთა მეფე ეული იგთა იყო; ხედავდა, რომ ღირსეული და მამულისათვის გამოსადეგარი მემკვიდრე არა ჰყავდა და გარდა ამისა თვით მის შვილებს შორის ისეთი აყალ-მყალა და არეულობა იყო, რომ საქმეს ვერ გაუმდგებოდნენ. ყველა ამას ხედავდა მეფე და გარდასწყვიტა ბედი ქართლისა და მართლაც ისე ახდა, როგორც გარდასწყვიტა, მოუსდგულად იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც უწყევდა სოლომონი და შაკალა სოლომონის თანამოაზრე. ამში გამოისტა მეცნიერული დეტორმინიზმი, პოზიტიურნი შესედულება ბრათაშვილისა—ერთი კაცი, რაც უნდა გმირი ღდიდი იყოს, ვერას გაწყობს-რა ისტორიის მსუფულობას წინააღმდეგ. მე აღარ შეეგნება მშენიერის სურათის მეფისა და ლაშქრის კავშირისა, აღარ შეეგნება ომის სურათის, არც არაკვის ლქსს, მშენ-

ნიერსა და საუნესოგოს, ვიტყუი მხოლოდ რომ მთელი მაშინდელი საზოგადოება საქართველოისა მშვენიერადა აქვს დასურათებული ჰოეტს.

დასურათებული აქვს ორი სხვა-და-სხვა გუუფი ირაკლისა და სოლომონისა ამთისავე სასეში, დასურათებული აქვს საზოგადოების განხრწნა და გათახსირება, ერთის ორის სტრაქონით, მაგრამ სინამდვილით, როცა სხარსთა ძეგე დამარცხებული ქართლიდან წასვლას აპირობდა, მაგრამ იუდა უამს ეძიებდა და მუხთაღისა ანგართა ხელთა აჭყარეს მამულს სამტეიციის ბჭენი, მან მტერთ უმსხვერპლად თვისნი მოძქენა. არ დარჩა აკტორს შეუძნეველად იმ ხსაღის აზრის სუელი, რომელიც ტრიალებდა იმ დროს საქართველოში, ის ხსაღი აზრები, რომელიც მაშინდელს საუკეთესო ნაწილში იყო გაგრძელებული (უეჭველია, საფრანკეთის რეკოლიუციის სიომ აქამდისაც უწია. ჩვენ კარგად ვინით, რომ კოლტერი დიდ მოდაში იყო მაშინ საქართველოში და თვით დავით ბატონიშვილი გიორგის ძე კოლტერის მიმდევრად ითვლებოდა) და რომელიც სოლომონ მსაჯული-საგან მეფის უფლებათა კრიტიკაში აქვს გამოყვანალი აკტორს. ეს დიდებული ჰოემა არა თუ ლიტერატურული განძია ჩვენთვის, ისტორიულის მხრითაც ბევრად უფრო დრმაა, კრწელი და მრავლის ამხსნელი, ვანემ ბევრ ჩვენ ისტორიკოსთა ნაჯღაბნი.

თავის ჰოემასში რეალიზმის საკსებით დაწკაში ბარათაშვილს ხელი შეუწყო, ცოტა არ იყოს, გარემოებათაც. მაშინდელ საზოგადოების აზრის განურკვევლობა, რომლის შესახებაც ჩვენ არა ერთხელ გვილაზარაგნია, იყო იმის მიზეზი, რომ ისეთ კაცებსაც კი არა ჭქონდათ გარკვეული აზრი ჩვენის ცხოვრების საჭირ-ბოროტობა მთავარ საგნის შესახებ... წინააღმდეგ ყოველ ეჭვს გარკვეუნი უნდა იყოს დაყენებული, რომ მამულის სიყვარული მას უფრო დრმად, უფრო საკსებით ჭქონდა შეგნებული, ვინემ მის მოწინავე ჰოეტებს. ამ დიდებულ გრძნობის არსებითი მხარეები ჭქონდა შეგნებული ჭ ხაგრძნობები შგლასნს, რომელმაც სუბიულის ასეთი სეკდიანი და წრთული კენესა გაგვარონა:

„მწირო, ხომ ხედავ, მოკვლემივარ ჩემს სამშობლო გულს, ჩემთ სწორთა ყვავილთ მშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს აგერ მაისი აყვაგებს ტურფად ბუნებას, მოვა ბულბული და დაუსტვენს სიყვარულის ხმას; ხოლო მე ხშული ბნელსა სადგურს და სევიანსა ველარ ვიხილავ ჩემსა ტურფს და ტბილ მგლასნსა.

ეს-და ბარათაშვილი ამაში აღმინან დაჩხა, აღმინანი, რამდენ-საც ნაკლებეკვანებაც აქვს და ღირსებაც, არც ამას შეუძლიან მას წაართვას გენიოსობის სახელი ქართულ ლიტერატურაში... მე რამდენჯერმე ვუწოდებ ბარათაშვილს გენიოსი ქართულ ლიტერატურისა. მისი კრიტიკოსები, რომელთაც ბევრმა ზოგიერთი ჩვენი ზოცითი, ბარათაშვილზე ბევრად უფრო ნაკლები ნიჭის მეჭონი, ცათამდის აიყვანეს, ბარათაშვილის შესახებ ძლიან წინდახედულებასა და სიმუნწეს იხიენ ამ სახელის სმარებაში. თითქო სიცოცხლეში ტანჯულის და წამებულის დიდებულის ზოცისათვის სიკვდილს შემდეგ დიდებულების სახელიც კი ეძნელებოდათ. ბარათაშვილი არ იყო მსოფლიო გენიოსი, რადგან საზოგადო ლიტერატურაში გავლენა არა ჰქონია, არც არავინ კითხულობს მას ქართულის მეტი; ამას, რასაკვირველია, სხვა მიზეზებიც აქვს... ხოლო იგია გენიოსის ქართულის ლიტერატურისა, თუ გენიოსად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ზირი ლიტერატურაში, რომლის ძლიერს ნიჭს ბადალი არა ჰყავს ამ ლიტერატურაში, რომელმაც ის გვარი ლიტერატურისა, რომელსაც ხელი მიჭყო, აიყვანა უმადლესს სარისხმდის, რომელმაც ეს ლიტერატურა სრულიად ახალს გზაზე დააყენა, ახალი საუკუნო ჭ მსოფლიო სახეები დაუყენა წინ, რომლის ნიჭის განვითარებას ყოველივე გარემოება ხელს უშლიდა და რომლის ნიჭის ფრთების გაშლას ყოველივე აბრკოლებდა. თუ გენიოსია ისეთი ნიჭი, რომლის განსაზღვრა არ შეიძლება მხოლოდ დროითა და გარემოებებით, ანა-და წინანდელ მოვლასათა ზედ-გავლენით, ან ნაციონალურ თავისებურობით, არამედ რომლის გაჩენა-შექმნაში ურევია რაღაც უხილავი ძალა, რომლის მიწდობა და შეგნება ჯერ მანინ შეუძლებელია კაცობრიობისათვის.

ამით არც ის მინდა ვსთქვა, როგორც ზოგიერთნი ბრძანებენ, რომ ბარათაშვილი ანარც თვითონ მისდედა ვისგანმე დაქნილს ბილიესა და ვერც არავინ ამის შემდეგ იმისაგან გაღებულ (სტილის სიმშვენიერეს მე აღარ ვეხები) გზაზედ გაიარა... ის არა საჭიროება და სხვის მიზანძასა და იმას კი ველარვინ მიჭბაძა... თავისთვის თვითონვე გასჭრა გზა და იმის სიკვდილის შემდეგ ისეთივე უვლი მიხდარაი შეიქმნა, როგორიც მანამდის იყო... არა, ბატონო, კერე განყენებული მოკლენა შეუძლებელია ცხოვრებაში და ლიტერატურაში, ყოველივეს აქვს კავშირი წარსულთან და მომავლისთვის ყოველი-



ვეს აქვს მნიშვნელობა... უოკელივე მოკლენასა აქვს შედეგი... წინააღმდეგ ზემო მოყვანილ აზრისა, თუ მე არ შემიძლიან, რასაკვირველია, დაწმუნებით ვსთქვა, რომ ბარათაშვილი არ იქნებოდა, თუ ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი არ უოფილიყო, ის კი მანერუნდა ვსთქვა, რომ ეს მწერლები არ უოფილიყვნენ, ბარათაშვილის ნიჭს იმდენი წვრილმანი სამუშაო გაუჩნდებოდა, რომ შეიძლებოდა ბევრი დატკლებოდა რამ მის ნაწერებს (მაგ. ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა დიდი სამსახური გაუწიეს ჩვენს ლიტერატურას ახალისების შემოტანით, და სპარსულის შესვლულებისაგან ლიტერატურის განთავისუფლების). არც ის არის შესაძლებელი კაცმა სთქვას, ბარათაშვილის პოეზიას დიდი გაკლენა არა ჭქონდეს ჩვენს ლიტერატურასედ და მიმბაძველები არა ჭყვანდეს ჩვენ მწერალთ შორის, რადგან იგია დამწეები რეალიზმისა (ილ. ჭავჭავაძეა მისი მიმბაძველი) და მისი ესუმბული და მწირია არის სიმბოლიზმის სითავე, წყარო ჩვენის ლიტერატურისათვის, თუ კი სიმბოლიზმად მივიჩნევთ ალექგოროულად, მხატრულის არაკით გამოთქმას რაიე მაღლის აზრისას (ამ უმად სამომბლოს საყვარელი და ამაში ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და ზოგაერთი ჩვენი ახალი პოეტები არიან მისი მიმდევარნი).

მსოფლიო ლიტერატურაში კი ბარათაშვილს ეკუთვნის განსაკუთრებული ადგილი. რომანტიულ პოეზიას თუ ერთ თავში უდვას ბაირონი, ეს ტიტანი და არა კაცი, და მეორე თავში შელლი, ეს ანგელონი არა მიწერი, და თუ ყველა რომანტიკოსები ამ ორ ჯგუფად გაიყოფიან—ბაირონის მხრით ჭუგო და ლერმონტოვი, შელლისა კი ლამარინი და დეინი, ამით შუა ადგილი ადამიანისა კი მიუსესთვის უნდა მიგვეკუთვნა, რომ მეტის-მეტად გატარებული არ იყოს მხოლოდ ერთის გრძნობით, მხოლოდ ერთის გრძნობის გამო არ იყოს დატანჯული (სიყვარული) და თვით ამ გრძნობისთვის რომ მეტის-მეტი პირუტყველი ელფერი არ მიერა. უოკელ შემოსვევაში ადგილი ადამიანისა, მრავალ-ტანჯულას, «ჭკუით უწმუნო, გულისით უნდო, სულით მახრალისა» ადამიანისა, სულ აღმთოთებულას და გონება-წარწყმედილის ადამიანისა, ადგილი ადამიანისა, რომელსაც ღრმად აქვს შეგნებული თავისი მოკლეობა მომაკლის წინაშე, ეს ადგილი ეკუთვნის ერთად-ერთს იმ პოეტთაგანს, რომელიც მთელს სინცრესლეში უოკელის მხრით გაუსარელი იყო—ეს ადგილი ჩვენ დიდებს ბარათაშვილს ეკუთვნის.

კიტა აბაშიძე

# მური კვირა მთაში \*

(მგზავრის შენიშვნები)

1

სოფ. თიანეთიდან სოფ. მადარაშ-კარამდე

10-ს ივნისს

ძლივს მოედო ბოლო რი თვის ლოდინს. თიანეთის მახრის მთებში მცხოვრებთა აღწერა სამთარში უგზობობის გამო არ მოხდა და ზაფხულისათვის გადაიდო.

აგერ ზაფხულიც დადგა, მაგრამ გაზაფხულის გადუღებულმა აუდრებმა მაინც ხალხთ აღწერა შეაბრკალა, და აღწერისათვის დანიშნულ ზირთ მხოლოდ 10 ივნისს-და გავბედეთ მთაში წასვლა. დილის 10-ს საათზე სამგზავრად გამოწყობილნი თანამგზავრნი ცხენებით ჩემი სადგომის აივანს მოადგნენ. თანამგზავრთ გამოვეკებე და იქვე აივანზე შევდექი. შევცქეროდი იმათ დიმილით შემოსილს სახეს და ჩემდა უნებურად წამოვიძახე: «ნუ თუ, ემანწილებო, ჩვენი ცხოვრება ისეთი სულის შემსუთველი და სხეულის გამაუძღურებელია, რომ მის მცირე ხნობით გამოვრებაც კი ასე გულწრფელად განარებთ?...»

— რა დროს ეკებოი! წამო, ნუღარ იგვიანებ! — ერთხმად შემომძახეს თანამგზავრთ. ოთახში შევტრიალდი, საჩქაროდ მოვემზადე და შევეერთდი ამხანაგებს. მე და ჩემთან ერთად ოთხმა თანამგზავრმა

\*) ეს წერილი ვაკუთნის ახლად გარდაცვალებულის იოსებ ცისკარაშვილის კოლამს. რედ.

წინარად გავიარეთ თიანეთი და დასავლეთისაკენ მიმავალს გზას გავაგრძელებთ.

გავცდით თუ არა სოფელს, ერთმა ჩვენთაგანმა შემოდინა მანუში, დანარჩენთ ბანი მივეცი, ცხენებამც თითქმის იკრძინეს ჩვენი სულიერი მდგომარეობა და იერიშით გაჰკრეს. მწუხარმა სიმღერამ და ერთობილმა ჩვენმა სულიერმა მდგომარეობამ ნათლად დამარწმუნა, თუ რა ძლიერი უღელის მოხელეთა შეკრებილი ცხოვრება. ვისაც კი გამოუცდია და იცნობს «კანცელარიის» მოხელეთა უფა-ცხოვრებას, იგი დამეთანხმება, რომ რამდენიმე ხნით მაინც არის «კანცელარიის» უფელისავე სიმშენიერის დავიწყება. დიდი ღვთის წყალობა... სხვა რომ არა ვსთქვა-რა, «კანცელარიის» ობ-მოკიდებულ დავთარ-ქადაგებების მტკვერით შეზავებული ჰუკრის მაგიერ თავისუფალი, შეუშწიკლავი ჰუკრის სუნთქვაც კი კმარადა, რომ ჩვენს გაცრიაგებულს უფთელ მამწვანს სახეს «კანცელარიის» ობი ჩამოერცხვოდა. მაგრამ... აკერ ერთი ვერსი გზა გამოვიარეთ და წინ გაფრთხილებულმა წითელმა ბაიონდმა გვამცნო, რომ თქვენი სიმხიარულე-სამოგონება ჯერ ადრეულია, ჯერ კიდევ ახლო ხართ და მორჩილება-მოვალეობას ნუ ივიწყებთ: თიანეთში სააკარაკოდ მოსული ჯარი ნიშანს ესროდა გზის მხრივ და გზა შეკრათ. ბაიონდთან შევყენეთ ცხენები და გზის შეკვრის მიზეზი რომ შევიტყუეთ, მეტი რა ღონე იყო, უნდა უკან დაგბრუნებულყავით, ან არა და გზა აგვექცია. უკან დაბრუნებას და ჯარის ვარჯიშობის დასრულების ცდას ისევ უგზო-უკლოდ მეტი გზის გავლა ვარჩიეთ... გავუდით სოფ. თეთრახევანში, მთავარეთ ჯარს უკან და ათი წამის სასიარულო გზის მაგიერ ერთ საათზე ძლივს მივედით სოფ. ზემოთიანეთში. რაკი მშვიდობით დავადექით გზას, კვლავ მყარული შემოდინათ და იქნინე ავანქარეთ. სოფ. ჯიჯეთის აღმართი ავედით და აღმართის წვერზე ცხენების შესასვენებლად მცირე ხანს შევადექით. რა მშენიერს სურათს წარმოადგინს ხელის გულსავით ოთხივ მხრივ მთებით შეზღუდული მინდორი, რომელზედაც სოფ. ზემოთიანეთის საზოგადოება გაშლილი! ქვეთკირის კრამიტ დახურულს სახლებს აუარებელი ბაღები და სოფლის ირგვლივ გადაღანებული, ნიაგზე მდებარე უანა ერთიორად ამშვენებენ. ერთხელ კიდევ გადავხედეთ ზემოთიანეთს და გზას გავუდ-

ქით, მაგრამ მალევე შევდქით: თვლივის დიდს დადმართს მივადქით და დადმართზე ფეხით ჩასვლა ვარჩიეთ. დადმართის შუა ადგილას ესე ნახევარი ვერსის მანძილის ოდენა დაცემული ადგილია. ამ ადგილზე სოფ. შუათხრდამ კადმოსულს ფშაველს, გვარად ქისტაურს, დაუღვია ბინა. ერთს მეორე-მესამეც კადმობეჭელია და სოფელი გაუშენებიათ. სოფლისათვისაც სახელი თვის გვარი «ქისტაური» უწოდებიათ. ეს სოფელი დღეს ღუშეთის მაზრას ეკუთვნის.

როგორც იყო, ჩავუღიოთ დადმართს, ფშავის არაგვის მარცხენა ნაპირზე. ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რა სიკძისაა თვლივის დადმართი, მაგრამ ჩვენ ძლიერ კარგად გვაგრძნობინა დადმართის სიღიადე შხის სხივების სიცხოველემ. ადმართის წვერის სიკრილე უცნებარის ნამდვილს ზაფხულის სიციხეზე შეიცვალა. დადმართზე ფეხით ჩამოსვლამ და საგრძნობელმა სიციხემ, ცოტა არ იყო, მოგვქანდა და დასასვენებლად არაგვის ზირად გაშენებულს დუქნის საჩვენს ქვეშ ჩამოვხედით. სოფ. თვლივი გაშენებულია მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე. სოფლის ზირდაპირ მდინარის მეორე მხარეზე ორი დუქანია, რომლებსაც თვლივის დუქნებს ეძახიან. ორისავე დუქანს გვერდით ბაღები აქვს გაშენებული.

მედუქნე მისვლისათხავე გამოგვეკება და ზრდილობიანად მოგვესალმა. მივარდნილს ხეობაში სოფლის მედუქნის სისუფთავე-ზრდილობა, ცოტა არ იყო, მეუცხოვა და სწორედ ამიტომ მედუქნეს ვინაობა ვკითხე. მედუქნე გურული ბესარიონ შანიძე აღმოჩნდა. ამან ხომ უფრო გამაცნა და სწორედ რომ მესიამოვნა კიდევ. მესიამოვნა იმიტომ, რომ ჩვენი კაცი ადგილ-მდებარეობის მიუჩუება-მივარდნილობას არ მორიდებია და «გულტუროსან» ვაჭრის ზირდაპირ სავაჭრო გაუმართავს (მეორე დუქანი «გულტუროსან» ვაჭრისა).

შანიძესავე სიტყვით, თუმიცა ისე შეხედვით სავაჭრო-ვაჭრობისათვის ადგილ-მდებარეობა სასარგებლოს არას წარმოადგენს, მაგრამ ვაჭრობა მანინჯ ჯეროვანია თურმე აქ. სავაჭროს წინ ჩამოდის არაგვის ხეობაზე მცხოვრებ ფშავ-ხევსურეთის გზა. ამ ფშავ-ხევსურეთისაკანა აქვთ ვაჭრობა. თვით ჭეიდიან ფარჩა-საწვირიმალას და უიდულობენ ერბოს, ყველს და მატყლს. ორივე მედუქნეები წინად



სასმელსაც ჭეიდნენ, მაგრამ ორი წელიწადია თურმე, რაც დუშეთის მაზრის მართველობამ სასმელებით ვაჭრობა აუკრძალა.

მტირე შესვენების შემდეგ კვლავ გზას გაუდგქით. გზა აქედან ჩრდილოეთისაკენ უხვევს და მდ. არაგვის ნაპირზე მისდევს. დუქანს გაგნდით თუ არა, მდინარის მარჯვენა ნაპირას ამართულს მთის მწვერვალის ცოტა ქვემოდ სერზე აშენებული ბებრის ციხე შეგნიშნეთ.

ჩემს თანამგზავრთა შორის იყო ხურთო-მოდვერობის მცოდნე ზირი, რომელსაც შევეკითხე.

— თქვენ, როგორც სამხედრო ზირმა და ამასთან მცოდნემა უფრო, შეიძლება იცოდეთ, თუ როგორ და რა გვარად ააშენებდნენ იმ ციხეს?

— მაგ ალაგას ციხის აშენება ძნელია, რასაკვირველია, — მიზანუხა მან, — მაგრამ შესაძლოა კია. უეჭველად მისავალი გზა აქვს სიდაძვე.

«გამოცნო» — გაფიქრე, გამედიმა და სიცილით ვუთხარ: — მთა ორივე მხრიდან მიუვალი ჩანს. შეიძლება ეხლანდელს დროში ადგილიც იყოს მაგვარი ციხის აშენება მაგაზე უარეს ალაგზედაც, მაგრამ მაინც იგი შესანიშნავია, როგორც დამახასიათებელი ჩვენი წარსულისა. როგორც ეს ციხე, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ევკლას კუთხეებში გაშენებული უთვალავი ციხეები ნათლად მოწმობენ, რომ ჩვენი ხალხი უწინ დროთა შესაფერად უფრო შემძლებელი და საჭირო ცოდნა-ხელოვნებით ეოფილას აღჭურვილი.

ამ ღაზარაკში შეუმჩნევლად მივადექით მდინარის ზირად ამართულს მთას. გზა უნებ მთის სერზე შესტა. შესტა, ვამბობ, რადგან უცნობი და უჩვეუი ადამიანი სწორედ, რომ აქ გზის ეოფნას სრულიად ვერ მიხვდება და უნებლიეთ ან წყალში შეერევა მეორე ნაპირას გასასვლელად ან უკანვე დაბრუნდება.

— ესლა კი დაიწო, — სთქვა ერთმა ჩვენგანმა, ამ გზაზე უკვე ნაკლმა, თანამგზავრმა.

— რა დაიწო? — ვკითხეთ დანარჩენებმა.

— აი ეს, მთის ბილიკებზე ასვლას და ჩასვლას. წინადვე გაფრთხილებით, ემაწვილებო, რომ თავი არ შეიწოხთ და აღმართ-

დადმართები არა სთვალათ. დარწმუნებული ვარ, ანკარიში აკურჩხნა, რადგან მთლად ხევესურეთ-ქისტეთში, სადაც ჩვენ მივალთ, აღმართ-დადმართი გზებია. ვაკეთ სიარულს გირჩევთ აქვე გამოეთხოვით. ნაგაღს და მცოდნე პირს სიტყვას როგორ შეეუბრუნებდით, მით უფრო, რომ აღმართზე მივდიოდით, ვეუფას ცხენის ფაფარზე გეჭონდა მაგრამ ჩაჭიდული ხელი, რომ უნაკირიანად უკან არ ჩავეყრებოდა და ცხენს ზურგის მაგიერ გავაზე არ მოგქცევოდით.

მართლაც-და, მინამ სოფ. მადაროს-კარის ხიდს მივადექვით: არა ერთ და ორს მთის სერზე მიმავალს აღმართ-დადმართ ბილიაკზე მოგვიხდა სიარული. აკერ გამოჩნდა ხიდიც, მაგრამ რა ხიდი! მდ. არაგვზე სამს გადაბუღს კოჭზე ხის ღურსმებით თავს და ბოლოს დამატებული წვრილი ფიჭვებია გაწოთბილი. აი საზოგადოდ მთის დროებითი ხიდები. დროებითია იგი, რადგან როგორც შევიტყუეთ «მობინარი — არა გვიანი» არაგვი უფველ გაზაფხულზე თითქმის ეველას ხიდებს მტკვარს უზიდავს საწირავად.

ამ გვარს ხიდებზე ცხენით გავლას საშიშია და ჩვენც ფეხით გავედით. ხიდიდამ სოფ. მადაროს-კარამდე გზა არაგვის მარჯვენა ნაპირას წამოწოლილს მთის კალთაზე მიდის.

დაცემულმა, მობინე უანით შემოსილმა მინდვრებმა გვამცნო სოფლის სიასლოვე ეველანი წელში გავიმართებით და ცხენები ავაჩქარეთ. საღამოს ხუთი საათი იყო, სოფ. მადაროს-კარში რომ შევედით. სოფლის სამმართველოს შენობის სახეს ქვეშ ტახტზე შევნიშნეთ ფშავ-ხევსურეთის ბოქაული თ'დი ი. ჯანდიერიშვილი და პირდაპირ იმისაკენ გავეშურებით.

სოფ. მადაროს-კარის საზოგადოების სასოფლო სამმართველოს შენობა მეტი საუცხოვე ადგილზე სდგას. ოთხივ მხრივ მთებით შემოზღუდულს მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე დაცემულს ვაკე ადგილზეა გაშენებული. სამმართველოს მახლობლად აღმოსავლეთის მხრივ დგას სოფლის ზატარა, მაგრამ კობწია ეკლესია. დასავლეთით სამმართველოს შენობას ჩამოყდის მდ. მადროულა, რომლის ხეობაზე დასავლეთ-სამხრეთის მხრივ ორს მთის ფერდობზე გაშენებულია თვით სოფელი მადრო. სამმართველოს შენობა, ეკლესია და ეკლესიასთან გაშენებული ზატარა სახლი ეკლესიის მხათე-ყარაულისა

კარებისაგან ხეობის შესავალშია გაშენებული. სწორედ ამიტომ ამ ადგილს მდაროს-კარი ეწოდება. აქვე მდ. მდაროულას ორივე ნაპირას სასოფლო დუქნებია. მთელი მდარო-კარის საზოგადოება ფშავლებით არის დასახლებული. საზოგადოებაში ითვლება 340 კომლი. მდაროს-კარის საზოგადოების მცხოვრებნი, როგორც საზოგადოდ ფშავლები, ხვანთესვის კარდა უფრო მომეტებულია ცხვრის და საქონლის მოშენებას მისდევენ.

მზე რომ გადაიწურა და საკმაო სიგრილე დადგა, სასოფლო ეკვლესიის მდლა მთის ფერდობზე გაშენებულს თამარ-მეფის ნიშის სასახავად წავედი. ნიში ჩვეულებრივ ფშაური ნიშია. მინგრეულ-მინგრეულს უფროს შუაგულს ოთხი დიდი სიმაღლეა ერთი-ერთმანეთზე შეკავებული და ძირში გაკეთებული აქვს სახთლის ასახეობა ალაგი. ნიში საგულისხმიერო არაფერია, როგორც საზოგადოდ უველა ფშავის სოფლების ახლო არა ერთი და ორი სიმლოცველო ნიშები. საუცხოვოა აქ თვით ნიშის ირგვლივ მეტის-მეტად სუფთად შენახული მინდარი და დაცული ტყე.

ბუნების მშვენიერებამ დაამძალა, იქვე ფერდობზე მოხდის ხის ქვეშ წამოვწიქ და მჩქეთარე არაკვს დაუწყვე უურება. მზე მთას მოეფარა. ტყით შემოსილმა მთებმა რაღაც ხელის ხმით იწვეეს შრიალი, თითქმის არაკვს ბანს აძლევენო. მდინარე-ტყე-მთას შორს სადღაც მთაში გაფანტულმა მწვემსებმა ბანი მისცეს. ამ დიდებულმა ბუნების საამო სიმღერამ მომხიბლა, გამაბრუნა, შორს, შორს ტკბილი ოცნების მორევში შემტყფრინა და ბარის ცხოვრებით უფერულ-ბისკან გულზე გადაფარებული ჟანგი გადაშინა. მსოფლოდ ესლა, ესლა ვცან თუ რა უგერგილო და უმაღურს კალაპოტშიაღ მოწეობილა ბარელების ცხოვრება. ჩვენი დაწვრილმანება, დაქუცმაცება და დრო და ჟამისკან ჩვენი ადამიანობის დირსება-თვისების დაჩრდილვა მეტად ცხადად წარმოამიღვა თვალწინ.

მართლაც-და, სადღაც ბარად ქვეშაირიტი ადამიანური ცხოვრება? კერძოთ თუ საზოგადოდ ჩვენს ცხოვრებას განა ჩვენვე ვმეთაურობთ, ვპატრონობთ? არა! როგორც ჩვენი თავი, აგრეთვე ბუნება მიგვიფიქვებია და ჩვენი ცხოვრების მეთაურად, სადავის მტკრად სიწვრილმანე, არა ადამიანის დირსი ძუა ამოძუებული გულადობა,

ვაჟაკობით ქებულთა შემარცხვენიელი ორზირობა გაკვირდა და ამ სართა მეთათართვის თანაშემწედ ერთურთის დევნა-ქიშხობა მიგვიძღვნია. ჩვენ უკან არ ვიხვეთ, მეთაური სიხარულით ტაშს უკრავს და თვალბმული ამ ტაშზე ჯამბაზებსავით ბუქნას ვცემთ. წყალ წადებულებსავით რაღაც ცდა-ცოდვილი გვეტყობა. ვცდილობთ უმაღლესი განგებისგან მონაბარა აღამიანური დარსება არავის შევალახებინოთ, მაგრამ ეს ცდაც ჩვენდა საუბედუროდ რაღაც ჯადოს წყალობით ჩვენისავე თავის მოტყუებას წაგავს. ვაჟაკურად ჩვენი დარსება-ხატოსნების დატვა ხელიდამ გაგვეზარა, სიმკვიდრე-სიმტკიცე ჩამოგვეტალა და ჩვენმა ხირში მოცინარმა მოკეთებმა ცხოვრებითი მკვიდრი ნიადაგის მაგიერ თვალ-მხარა მწვანით შემოსილი ჭყანტობი გვიძღვნა. მერე? მერე და ჩვენც რაც კი შეგვიძლიან მივიწრაფოთ ჭყანტობისაკენ... მაგრამ ზაფხული? სიცხე? სწორედ რომ წლეჯანდელი საშინელი სიცხეა დამნაშავე? სიცხეში გაღეჭებული სად გაგრძელდეს თუ არა ჭყანტობ წყალში... მაგრამ... ეს დიადი მთებია?...

არ გავცვლი ჩემსა სამშობლოს  
სხვის ქვეყნის საპოთხეზედა...

უცბა ჩამეწვეთა ეურში და თვალები ავსნიდე. ირგვლივ ბუნება სადამოს ტკბილ ნახს მიეძინებინა. ბუნების ძილს თითქმის არაკვებულად კი ემოქმედა. ისიც კი დახუმებულიყო და წყნარად, ქურდულად მიიპარებოდა ქვევით. სჩქაროდ წამოვდექი ფეხზე და ჩემს ამხანაგებისაკენ გამოვწიე.

II

სოფელ მადაროს კარიდან — დულაძე

11-ს ივნისს.

ჟერ ისევ დილა იყო. ბარგი-ბარხანით დატვირთული ოთხი ცხენი იასაულ ფშავლებით გავისტუმრეთ ხევსურეთისაკენ და ჩვენც შევუდექით გამგზავრებას. მადაროს კარიდან ფშავ-ხევსურეთის ბოქაული თქდი ჯანდიერიც თავის ორი ჩაფრით შემოგვიერთდა და ?





საათზე გზას გაუღდექით. გზა კვლავ ჩრდილოეთისაკენ მდ. ჩხატაშვილის ხეობას მისდევს. სოფ. ჩარგლის ხიდამდე გზა მდინარის მარჯვენა ნაპირს მიდის. გავედით ხიდს და გავეყვით არაგვის მარცხენა ნაპირს. გზა ჩვეულებრივი შთის წვრილი ასფალ-ჩასასვლელი ბილიკია. კადევ კარგი რომ ბილიკი თათქმის სულ ტყიან ადგილებზე მიდის, თორემ სიტყუზე დაღმართებზე ფეხით სიარული, მერე უჩვეულო ძლიერ შეგვაწუხებდა.

12 საათზე სოფ. ინოს ძირის დუქანთან მივედით. მდუქნემ საუბრეზე მიკვიწვია. დუქანი ინოს შთის ფერდობზე დგას და მდ. არაგვის დასტქერის. საუბრე გათავებული გვექონდა, გზის გასაგრძელებლად ვემზადებოდით, რომ შინისაკენ (სოფ. ბარისასოში) მიმავალი ჩვენი მგოსანი ბახანა წამოგვეწვია. ბახანას სადღეგრძელოს კახური მრავალქამიერი მცხევა. ზოგაერთი ჩვენგანი თუმცა მხიარულების გაგრძელებას აზირობდნენ, მაგრამ დანიშნულს სოფლამდე კადევ კარგა მანძილი გვექონდა გასავალი და აჩქარება ვამჯობინეთ.

ორ საათზე ავედით ორ-წელზე. ორ-წელის იმ ადგილია, სადაც ხევსურეთის და ფშავის არაგვი ერთმანეთს ეურება. აქვე გზა ორად იყოფა. ჩრდილოეთით მიდის ფშავში და ჩრდილოეთ-დასავლეთის გზა ხევსურეთისკენ. ამ საუცხოო ალაგას ორ-წელის მაგივრად ორ-კარი რომ ეწოდოს, არც ის იქნება ცრუ-სახელი. ორივე არაგვის ხეობის შუა აღმართულს შთის მხოლოდ ორი მდინარესათვის ვიწრო კალაპოტი დაუთმია. ასე რომ რამდენიმე ნაბიჯზე მერე ხეობა უჩინარი ხდება. გადავედით ფშავის არაგვზე გადაბრუნდნენ ხიდს და ხევსურეთის შესავალს გზის ბირას მდინარის მარცხენა მხარეზე მცირე გაყვებულს მიხედობზე დასასვენებლად ჩამოვსტით. ხევსურეთის არაგვის მარჯვენა მხარეზე ჩვენს ბირდაპირ სოფ. მოწმობელი მარტო-მარტო ხევსური მიწასა ხნავდა. ამ გუთნის დედა-მეხრემ მიიქცია ჩვენი უურადლება. მასლობლად არაგვზე ხიდი არსად იყო, რომ ხევსურთან ახლო მივსულაყვ და, მერე ნაპირიდან რაც შევნიშნე, უნებლიედ ის უნდა მეკმარა.

ზატარა შთის გუთანში შებმული ერთგული ხარი თავის ზატარონ გუთნის-დედასთან ერთად დინჯად წვალება-ტანჯვით ებრძოდნენ მიწას. გუთანი მიწასაც ძლივს სჭრიდა და ამოღებულს ბელტის გა-



დაბრუნებას ხომ თვით გუთნის-დედა შეელოდა. ეს იყო მიზეზი, რომ უფველ ბელტის ამოდებაზე გუთნის-დედა გუთნის აყენება და ბელტს ფეხით აბრუნებდა. ამ წვალებით ხუთ წუთში გასატან ალას ნახევარ საათზე ძლივს გაიტანდა. ნაწვავ-ნადავი სისხლის, თფლით ლუკმის მძიმეობა სწორედ რომ ხევესურეთის გუთნის-დედაზე უნდა იყოს ნათქვამი. თუ ვაკეზე ასე ძნელია ხვანა, რაღა თქმა უნდა, რომ ძნელი და გასატანი იქნება მთების წრიაზ-ფერდობებზე ხვანა-თესვა და შკა. მთელს ხევესურეთში ხომ უფრო მძიმეობის ნახვები ეგვეს ტყიდან თავისუფალ მთის ფერდობებზეა.

სახვანა-სათესის უქონლობაა მიზეზი, რომ ზირაქეთ (კავკასიის უმთავრესი ქედი ხევესურეთს ორ-ნაწილად ჰყოფს: ზირაქეთ და ზირაქით ხევესურეთი) ხევესურეთიდან დღევანდლამდე ხევესურები ბარად, სადაც კი მოახერხებენ ხოლმე, ჩამოდის და სახლდებიან. ზირაქეთ ხევესურეთიდან არიან ჩამოსულები თელავის და ტფილისის მახრამში მცხოვრები ხევესურნი. არიან აგრედვე თვით ქალაქ ვლადიკავკაზში თხუთმეტამდე კომლი აქედან გადასახლებული ხევესურები. ქ. ვლადიკავკაზის განაპირს უბანში შეუსეიდნიათ მამული და სცხოვრობენ, რასაკვირველია, უკედ, მინამ აქ შთაში ცხოვრობდნენ. მე თითონ ვხანე ერთი ვლადიკავკაზში გადასახლებული ხევესური. ვკითხე, თუ როგორ სცხოვრობთ ახლ ადგილზე-მეთქი?

— ვერ-ვერობით დვითი ჩვენი საქმე კარგად მიდის. ზირაქელში ჩვენი დიანები ვერ ახერხებდნენ იქაურობის შეთვისებას, მაგრამ თანდათან ისინიც შეეჩვივნენ. იმედი გვაქვს, ჩვენი შვილები უფრო კარგად იცნობენ; სკოლა არის იქ ქართულებისა, იქ ვსწავლით და იქნება ჩვენც დმერთმა გვიშეელოს.

მართლა რომ დირსია, ქალ. ვლადიკავკაზში არსებული წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა სკოლის გამგეთ უურადლებს მიაქციონ იქ კარდახვეწილ ხევესურთ მომავალ თაობას და რჩევადარიგებით, შემწეობით სასწავლებელში მიიზიდონ. ეს აუცილებლად საჭიროა და მალეც, რადგან უკლებელია თხუთმეტი კომლი ნამდვილი ქართული ოჯახი სხვათა ხალხის ზედგავლენა-მეზობლობით მალე ატრეფდება და თვით მცნება ეროვნული, ზნე-სასიათი მთლად შეეცვლება. მაგრამ რა საჭიროა სიტყვის გაგრძელება. განა ერთი

და ორი საქართველოს მოწვევითი დაჯილდოვება დაჯილდოვება ჩვენს ისედაც ჰატარა ეს?..

ზირაქეთ ხევსურეთს შეადგენს ოთხი საზოგადოება: ბარის-ხოსი, დუღისა, ბატალიგოსი და როკისა. მთელს ზირაქეთ ხევსურეთში 841 კომლი სცხორებს, მაგრამ როგორც ზევეთაცა ვსთქვით, არა მტირედი რიცხვია აქედან ბარად გადასახლებული. წვრილ-წვრილად გადასახლებულთა შორის უნდა მოვიხსენიოთ სოფ. დუღიდან კარგა ბლამად 30 კომლამდე ერწოში (თანეთისავე მარაში) გადასახლებულნი ხევსურნი. აქ ამით ახალი სოფელი გააშენეს, რომელსაც თვის ძველი ბინის სახელი «დუღელები» უწოდეს.

ორწელიდან სრულ ორ სათში მივედით სოფ. ბარისხოსი. სოფელი თუმცა გზის კარგა მოშორებით მთის ფერდობზეა გაშენებული, მაგრამ გზის მახლობლად დაჯილდოვებულ ფერდობს ამშვენებს ქვიტირის კარგა მოზრდილი სკოლის შენობა. სკოლა კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისა-მიერ არის აქ დაარსებული. ეს არის ერთადერთი სკოლა მთელის ხევსურეთისათვის და ორი არაგვის ხეობაზე მდებარე ფშავლის საზოგადოებისათვის. ამოღეს ხალხს ერთი სკოლა, რასაკვირველია, რომ ვერ დააკმაყოფილებს და, როგორც თვით სკოლის მასწავლებელმა ნ. რაზიკაშვილმა (ბახანამ) მითხრა, ფშავლები თუ სარგებლობენ სკოლით, თორემ ხევსურები მაგრე რიგად არა სწავლობენ სკოლას. ესეც ისე გზად შეხვედრის დროს შევიტყე. დრო არა მქონდა, რომ სკოლაში შევბრუნებულიყავ და უფრო დაწვრილებით შემეტყუე მის აკვარციანობა. სკოლაში მისაღებ მონაწილეთა წეს-რიგი კი თვით ხევსურებისაგან შევიტყე. ყოველ-წლივ სკოლაში მისაღებ შევირდთა რაოდენობას საზოგადოებათა რიცხვზე ანაწილებენ თურმე. თვითყული საზოგადოება შეხვედრიდეს შევირდთა რიცხვს თვის სოფლებს შორის ანაწილებს, სოფლები კი კენჭის ყრით არკუნებენ მეკომურთ სკოლაში მონაწილის მიუვანას.

ეს წესი თუმცა მიღებულია და სრულდება კიდევ, მაგრამ სკოლაში მონაწილე ხევსურები მარტო ზამთრობით არიან. გაზაფხულ-შემოდგომამდე ხევსური სკოლაში ძნელად თუ გაჰკვანის შეიძენს. ან რა ჰქნას ისედაც ბუნებისაგან მეტად დაჩაგრულმა ხევსურმა. განა

ადვილად შეუღობს საზრდოს, რომ მუშა ხელი, (აქ ხომ ქაღალდის კაცინად დიდი და ზატარა მუშაობს) ადვილად მოიშორებს? გრძელს ზამთარს როგორ გაუძღვეს ხევსური თუ რამდენიმე ზაფხულ-შემოდგომის თვეებთან ჯეროვნათ არ ისარგებლა და საზამთროდ საჭირო საზრდო ოკასს და საქონელს არ შეუმზადა...

შრომობს ხევსური რაც კი შეიძლება და რამოდენადაც ამის ნების აძლევს თვით ბუნება, მაგრამ მაინც კი ღარიბია, თუმცა კი ამ სიღარიბეს ხევსური ძლიერაც არ იმჩნევს და არც ძლიერ ხელვლავს.

სადამო ხანი იყო სოფ. დუღის ხიდას რომ გაგედით და დუღის აღმართს შევუდექით. აღმართი კარგა დიდა და ისედაც დადლილი ცხენები აღმართმა საშინლად მოგვიქანც-მოგვიწევიტა. მაინც კი როგორც იყო მზის ჩასვლისას მივედით სოფ. დუღში.

ღამის გასათევად სახლის ძებნა არ დაგვჭირდა და ზირდაზირ გზის მახლობელს თავისუფალს ჭერხში ჩამოვსტით. გზის სიშვენიერემ ხომ კარგად მოგვქანცა, მაგრამ არც თუ შიმშილმა დაგვასვენა. ვახშმის მომზადებამდე საჩქაროდ მომზადებულს ჩაის შემოვუსხედით.

ხევსურები ის-ის იყო მუშაობიდან ბრუნდებოდნენ. უცხო ხალხის სოფელში მოსვლა ყველას შეეტყო და სახლში მისვლამდე თითქმის აუცილებელი რამ, მოდიოდნენ ჩვენთან საღმის მოსატყუად. მტირე ხანში მთელი კარგა მოზრდილი ჭერხე და ირგვლივ ბანები ხევსურებით გაავსო. ყველა დიდი და ზატარა, ქალი და კაცი დაკვირვებით ვვათვალიერებდნენ. ხევსურთა ცნობის-მოყვარება სრულიად არ გვეუცხვოვა. ან რა საუცხოვო იყო, როცა ჩვენი ბარის ხაღხიცი უოველ დღე სხვა-და-სხვა მიღეთის ხალხს ხედავდეს, მაგრამ მაინც ვერ შეიკავებს თავს, რომ ყველა ახალ ავლილ-ჩამოვლილს თვალი არ შეახერხოს.

კარგა რომ ჩამობნელდა, ხევსურნი წავიდ-წამოვიდნენ. ბოქაულმა ერთს მათგანს სახელდობ მინდია ქისტურს დაუძახა და ჭკითხა:

— ემაწვილებო, ვინც დადლილები ხართ, მაგრამ გულის გასაყოფებლად ხევსურული თანდური და ლექსების მოსმენა, მგონი, ურიგო არ იქნება.



ეველანი სიამოვნებით დავსთანსმდით ბოქაულს, აღარც კი და-  
ვაცადეთ მას და ჩვენ თითონა ვსთხოვეთ მინდიას ფანდური მოეტანა.  
მინდია იქვე შეიკრე სახლში მდგარიყო. გასძახა თავის ცოლს ფან-  
დური მომწოდეთ. მინდია ჩვენს მახლობლად კუნძუკ ჩამოჰდა და  
ფანდურს გაჰკრა ხელი.

— ლექსი, ლექსი, მინდია, — უთხრა ბოქაულმა. მინდიამ ჩა-  
ხველა, გასწორდა და დინჯად ნადვლიანის კილოთი დამდერა:

„შენის გულისთვის ვიჩხუბე,  
თავზე დამეცა ქვეყანა,  
შენ გაჯავრება, შენმა მზემ,  
თან-თან გულ შემომეყარა.

ერთხელ ვინატრე სიკვდილი,  
გულზედამც დამეცა ჩემ დანა,  
მერე ვთქვი:— „გადავიკარგო“,  
ჩემი ვერ დავთმი ქვეყანა.

იმით არ შემრიგდებოდი,  
ჩემ ბეჭედ გამომიგზავნა,  
ჩემ კერძის ცრემლით აგვესო,  
უბით არ ამოგეტანა.

ნეტავი, კაცი მაჩვენა,  
ქალ! წამომსვლელი შენთანა“.

მინდია გაჩუმდა და, თითქო ფანდურს გაუჰჯავრდაო, საშინლად  
ჩამოჰკრა ხელი და ააკუნესა.

- კიდევ, მინდია, კიდევ. — ვუთხარიო ერთხმიო ეველამ.
- დადლილ ვარ, მეძინების, — გვიანასუხა მინდიამ.
- ერთიც და აღარ შეგაწუხებთ.

კვლავ ააუდრიალა მინდიამ ფანდური და იმავე კილოთი დამ-  
დერა:

„ძალათ წამლალეს წყალზედა  
ველისას, განა ტყისას;  
მივალ, მივაბნევ ცრემლებსა,  
ხოვრხოშასა ჰგავს ცისასა.

გზას კაცი შემომეყარა,  
 სახელს ეტყვიან წიქასა.

— „შენ გაოხოვება მიამბეს,  
 სამჯერ აკვირე მიწასა,  
 შენს მეტი ცოლი არ მინდა,  
 ვფოცავ მზესაი ძმისასა“.

— „დამეხსენ, აგრემც დამმარხავ,  
 ვაჟავ, ნუ ამბობ ბრიყვდა,  
 მე კი ძმაიად მიჩინხარ,  
 შენ თუ არა ხარ ვისვადა\*“.  
 დაგიქსოვ კრელსა წინდასა,  
 დავაზვევ ყაჭის შიბასა,  
 თორ ცოლ კი ვერ წაართომ  
 კაცი ღარიბი მდიდარსა.  
 იმას ამბობენ ხვესურსა,  
 დაჰხედავს თოფის ლიშანსა,  
 მინდორში დავასოლიებს,  
 ნათორა გულღვიძლისასა;  
 თავს მოგჭრის ბატკანივითა  
 თავად შინ წავა მთისასა“..

სოფ. დუღი მდებარეობს ხევსურეთის არაგვის მარცხენა ნა-  
 ზირზე მდებარე მთის ზემო ფერდობზე. მთელი სოფელი, რომელც  
 დახუთი კომლი მოთავსებულია ექვს სართულიანს სსხლში. რა მხრი-  
 დანაც გინდათ შეჰხედოთ სოფელს, იგი უმეტეს-ნაკლებოდ ექვს  
 სართულიანს სსხლს წარმოადგენს. უცხო უვალი ძნელად თუ ამ შე-  
 ნობას სოფლად მიიღებს. ერთობილი შენობა და მის აღმოსავლეთ-  
 თის მხრივ სამი განმარტებული შენობა შეადგენს მთელს სო-  
 ფელს.

სახოგადოდ მთელს ზირ-აქეთ ხევსურეთის სოფლები ერთგვა-  
 რად არის ნაშენები. როგორც გვითხრეს, ამ ბოლოს დროს იწუხ  
 ზოგიერთ შეკამურმა ხევსურმა საერთო შენობიდან გასვლა და სო-  
 ფლის მახლობლად დასახლება, თორემ უწინ, რაც უნდა დიდი სო-  
 ფელი ეოფილიყო, მთელი სოფელი კოშკის მაგვარად ერთიერთმა-  
 ნეთზე აშენებულ სსხლებში იყო მოთავსებული.

\*) ვისვადა—უნდობი.



მთის ფერდობი კიბუ-კიბუდ არის გამოჭრილი იმდენად, რამდენადაც სამეოფნო თვითუელს კომლისათვის ეზო-მიდამო, რადგან თვითუელს მეკომურს ხევსურს სამ-სართულიანი სახლი აქვს, რასაკვირველია, რომ კარგა სიკძის მთის ფერდობია ჩამოჭრილი. ძირის სართულში ხევსურს ცხვარი, ძრახვა, ჯირი და ხარი ჭეაფს. მეორე სართულში თვითონა დგას და ზემო სართული კი ჭერხოდ აქვს (ჭერხო აქ საბძელ-კაღის ჭეაფს). მირველი მეკომურის საბძელის ბანი მეორე მეკომურის ეზოს შუადგენს. კაღო კი თვით მირველი მეკომურის სახლის ბანია. თუ მთის ფერდობი განიერია, წყობ-წყობად რიგზე რამდენიმე კომლი დგას და თუ არა, მაშინ თითო კომლია. სოფ. დუელს, სხვათა შედარებით, უფრო კარგად დიდი მინდორი აქვს და ამიტომ რომცნა სამს კომლს მოუხერხებია სულ ექვს სართულიან შენობაში მოთავსება. თვითუელი ამ სოფელური შენობის სართული, რასაკვირველია, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, კერძო საკომლო სამ სართულად იყოფა. ჭერხოს გარდა, სადგომი სახლი და კომი მთაში გამოჭრილს მიწაშია, მხოლოდ წინა მხრის მხარეს წნული კედელი აქვს გაკეთებული. სადგომი ოთახი ორად აქვს ხევსურს გაყოფილი: ერთი მამაკაცებისათვის და ერთიც დედაკაცებისათვის, თუმცა ბარის-კაცს რომ ჭკითსოთ, გეტყვი, რომ ხევსური დედაკაცის სადგომ-საცხოვრებელი კომია საქონელთან ერთად, მაგრამ ეს დამლაშებული სიტყვაა. აქაოდა საქონელცხვრის შინ და მინდვრად მოვლას მთლად ხევსურის დედაკაცს აბარია, მაშასადამე ბინაც უეტველად საქონელთან უნდა ჭქონდესო, მაგრამ ხევსურის დედაკაცის საქმეს განა მარტო საქონლის მოვლას შუადგენს? იგი უველათურია ოჯახში. ერბოს, უველის გამკეთებელი, მთელი ოჯახის წევრთათვის საჭირო ტანთ-საცმელისათვის შადის მომქსოვი და თვით ტანთ-საცმლის შემკერი; იგივეა ოჯახისთვის შემა-ფინისის მომტანი და მთელი ოჯახ-კომის დამსუფთავებელი-დამწმენდი. დედაკაცი უველათურს ხელით აკეთებს, ნიხაბი აქ სრულებით არ იცან და წწორედ ამითი აიხსნება მუშა დედაკაცის უსუფთაობა და ბინძურობა.

ხევსური ვაჟკაცის საქმე მხოლოდ მინდვრად მუშაობაა. აქაც კი დედაკაცი მამაკაცს გვერდით უდგას და იმაზე არა ნაკლებ მუშაობს.

მთელი ზამთარი ხომ შამაკაცი ხევესური წვეკოს წვეკა-დეჭაში ატარებს დროს, დედაკაცის ხელი კი ზამთარ-ზაფხულს არ ისვენებს. საქონლის მოვლის გარდა ზამთრობით ქსოვს დედაკაცი ტანთ-საცმელისათვის საჭირო შალს და ამზადებს საბაზროდ ერობს. ეველი კი ხევესურებს ბაზარში არ გამოაქვთ, რადგან ხევესურის ეველი მეტად დაბალი ღირსებისაა და ფშავ-თუშურ ეველთან ხომ გამოსჩენიერ არ არის. ხევესურის ოჯახის მოწყობა-მართულობას შეადგენს იქვე კედლის ზირას ჩამომწკრიებული ხის ჭურჭელი: ხონჩა, ტაბაკი, თაბახი, თეთრებუ-ჯამები, სხილენძის ქვებები და აუცილებელი ერთი ანუ რამდენიმე მოზდილი თუნგი წელიწადისთვის. იქვე კედელზე ან შუა სახლის ბოძზე აქვს ჩამოკიდებული ოჯახის წევრთა ცოტა სუფთა ტანთ-საცმელი, ხმალი, ფარი, ხანჯალი ხომ მოუშორებულად წელზე აკრავს დიდას და ზატარა ხევესურს, და ქართული ძველებური თოფი. მიწურ იატაკზე ზირღაზირ ერთი ან რამდენიმე ქეჩა-ფარდაცაა დაფენილი. ღოგინი ხევესურს ძლიერ იშვიათად აქვს. მის მაგიერობას შინაურ-გარეული ცხოველების ტყავები და ნაბდები ასრულებენ. სახლშივე უდგას ხევესურს ჰურის კიდობანი. აი ეს არის მთელი მისი ავლადილება. ხევესური როგორც, უკვე ვსთქვი, შინაური საქონლის მოშენებას მისდევს, მაგრამ ხევესურეთში რატომ შინაურს ფრინველს არ აჩენენ, ეს სწორედ რომ საკვირველია!

ღულის საზოგადოების მდებარეობა ქიქობი მითხრა, ვითომ ხევესურებს შინაური ფრინველის გაშენებას ხევის ბერები უშლიან, ვითომდა როგორც უწმინდურს საქმეს. ეს საბუთი, არა გვგონია, სამართლიანი იყოს. შინაური ფრინველების უფლებობა ხევესურეთში უფრო კი მათ საჭირო საჭმელის უქონლობით და სოფლის ირგვლივ გაბმული ხანხავეებით უნდა აიხსნას. შინაური ფრინველი ხანხავეებს არ დაინდობს, ისედაც მცირე მოსავალს გააუბარაქვებს და, რასაკვირველია, რომ წინახედის საფასურობას შინაური ფრინველი ხევესურს ვერ გაუწევს.

ამას გარდა, ხევესურეთში სიმიინდი სრულიად არ მოდის, ქერი და ჰური ხომ ისე ნაკლებად მოხდით ხევესურებს, რომ წლითი-წლებამდის თითონაც კი არა ჰყოფნისთ. იშვიათია, უფრო კი ზირიქით ხევესურეთში, რომ ხევესურმა ჰური და ქერი არ იყიდოს და ახალ მოსვლამდის შესძლოს ოჯახის გამოკვება. ასეა თუ ისე, ძნელია,





რასაკვირველია, გადაჭრით ითქვას: ჩემ მიერ დასახლებული მისთვის მიზნები ხეკსურეთში შინაური ფრინველის უფლობისა, თუ მამა ქაქაძეს მიერ ნათქვამი საბუთი.

რაკი სიტყვამ მოიტანა, უმნიშვნელო ან იქმნება ორიოდ სიტყვაც მამა ქაქაძეზე წარმოსთქვას. სოფლის განაზიარს დასახლებუთის მხრავ ფინტრული სამ ოთახიანი უავართ დახურული შენობას. შენობას ამშვენებს სიგრიძის აივანი. ეს შენობა «გავკასიაში ქრისტანობის აღმადგენელი საზოგადოების» სარჯით არის ამშენებული სამრეკლო მღვდლისათვის. მღვდლის სახლის მახლობლად არის მშვენიერი მჭავე წყარო. წყალი გემოთი ზელტერის წყალს წაავას და კაცი-ლებით უფრო გემრიელი სასმელია.

მამა ქაქაძეს აბარია დუღის, ბაცალიგოს და როშკის საზოგადოება, მის სამრეკლოს შეადგენს 25 სოფელი. ხუთი წელიწადია რაც აქ არის და, როგორც შევიტყუთ, თავის მიხედობილს საქმეს შეტის-შეტ ბეჯითად და ერთგულად კვიდება. ცდილობს, რაც კი შეუძლიან, ხალხში სარწმუნოების შეუსაბამო ზნე-ჩვეულებანი განდევნოს, მაგრამ მისი ცდა ჯერჯერობით სასურველად არ მიმდინარეობს. ხევის-ბერებს აქვთ ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვთ ხალხზე, მაგრამ ან რა ჭქნას მღვდელმა! წლის-წლობამდე სასტიკი ზამთრის გამო შეკეტულია თავის სახლში და, თუ გამოდის ხალხში, ისიც ზაფხულობით რამდენიმე თვე. ზაფხულშიაც ხომ ძნელია ხალხში ეოფნა, რადგან სწორედ ზაფხულში იშლება წელში თვით ხალხი და მომავალი კრძელი ზამთრობისათვის საზრდოს მომზადების ცდაშია. ეკვლისა? დუღის სამრეკლო ეკვლისა მღვდლის სადგომიდან 10 ვერსის სავალზეა სოფ. ხახმატის მახლობლად. სწორედ გასაკვირველია, რა ჭკუაში მოსასვლელი იყო სამრეკლო მღვდლის სადგომი ეკვლისაზე ასე შორს რომ აუშენებიათ! უქმე-დღესასწაულებში სწორად მღვდელი უნებლიედ ღამე დგომით მიდის თურმე ეკვლისაში. დიდ-მარხვაში ხომ გადავსხლდები ხოლმე აქედან, რადგან ზამთარში მისვლა-მოსვლა მეტი სახიფათო და საძნელაო, მითხრა მღვდელმა. როგორც ეკვლისაში, აგრეთვე თვით კარგა დიდს მანძილზე გაფანტულს სამრეკლო სოფლებში სიარული მართლაც რომ ძნელია და ხშირად, უფრო კი ზამთრობით, სახიფათოა. მაინც,

როგორც კერძოთ შევიტყუეთ, მ. ქიქოძე ამას არ უფრთხის, დაუზარებელივ დადის მრევლში ყველა სარწმუნოებრივ წეს-რიგის ასასრულებლად და, სადაც კი შემთხვევა ეძლევა, ცდილობს რჩევა-დარიგებით ხალხს სარწმუნოებრივის სიყვარული-სიმტკიცე აუღარძინოს, გაუსხეტაოს. მაგრამ რა ქნას ამოდენა მრევლში ერთმა მღვდელმა? სამრევლოს სამი საზოგადოების მოსაზღველად სამი მამასახლისი რვა ნაცვლით ჰქეავს, თუმცა მაგრე რიგად დიდი მოსაზღველი საქმეები სამსახურისა ამ მოხელეთ არაფერი აქვთ, და განა ერთს მღვდელს შეუძლიან ყოველის უნაკლულად და ზირხათლად გაუძღვეს სარწმუნოებრივი საქმის დამკვიდრება-განკარგულებას?... მართალია, ჯერ კიდევ კარგა დრო გავა, მინამ ხევსურეთში მთლათ მოიხზობა მართლმადიდებელი სარწმუნოების შეუსაბამო ხალხის წეს-ჩვეულებანი, მაგრამ მაინც ისიც დიდი რამ არის, რომ აქაურს მღვდელს შეუძლოს გაუწითლებლ-ვ სთქვას: «მე თუ ზირად მთაში ვარ შეკვეტილი და სასჯაო სიკეთე-ბუნებრივებს მოკლებული, სამაგიეროდ, სამწესოს ცოტა რამ სიკეთე-სარგებლობა მაინც არის მოვუტანეთ».

III

სოფელ ღუჯიდან შატალაშდე.

12-ს ივნისს.

ბანზე ცის ქვეშ მწოლიარე დილის ძილს ვერ გამოსჭიმავს ჭ ჩვენს ხომ შიხის ამოსულას თან აუკვივით. სანქაროდ გავისტუმრეთ ბარგი-ბარხანა ზირ-იქით ხევსურეთისაკენ; ჩვენ კი ცოტა შეგვიგვიანდა. ზევითაც მოვიხსენიე ბარგის კასტუმრება. შეიძლება მკითხველმა იფიქროს, მგზავრებს რა იმოდენა ბარგი ჰქონდათ, რომ ცალკე, მერე რამდენიმე ცხენით, ისტუმრებდნენ? მთაში მოსიარულეთათვის აუცილებელია ყოველისფერი, ღოგინ-საკების გარდა ყოველ გვარი საკმაო სურსათიც. მთელს ხევსურეთში რაიმე სავაჭრო არ მოიხვედბა, თვით ხალხშიაც ვერაფრითარს სურსათს, საკლავის გარდა, ვერ იშოვი და, თუ გინდა შიმშილის სიმშვენაიერე არ იგრძინო, ყოველივე საკმაო უნდა ზიდო თან. მერე მთაში მშვენაიერს შეუმწიკლავს ჰქერ-



ზე მოგზაურობის დროს ადამიანს ერთი-ორად ეხსენება მად. კქსნი ჩვენ და ოთხი ჩათვარი ერთად ვმოგზაურობდით და, რასაკვირველია, ათი კაცის ორი კვირის სავსელი კარგ საზღვრეს შეადგენდა. ამას ჩვენი ლოგინ-საკები, ჭურჭელი და ხალხის ადწერისათვის საჭირო ქადაგ-დებიც მიუმატეთ. აი ამოდენა ბარგით დატვირთულს ქარვანს წინად ვისტუმრებდით, რომ ბინაზე ჩვენზე ადრე მისულიყო და დამის კასათევად სადგომი მოემზადებინა. მართალია, დუღის საზოგადოე-ბის ასაწერად ორი თანამოგზავრი ერთი ჩათვრით დაფტოვეთ, მაინც ჩვენს ბარგს მაგრე რიგად ვერაფერი შეაჭო მათმა დარჩენამ.

შუადღის ზირველი საათი იყო, სოფ. დუღიდან რომ გავედით. გზა, მინამ დუღის მინდვრებს გავცდებით, დასვლეთისაკენ მიდის. შემდეგ კი ჩრდილოეთისაკენ უხვევს. დუღის მინდვრებს რომ გავ-ცდით და ჭალაში გადაუხვიეთ, გზიდან ცოტა მოშორებით სერზე მთიბაზ ხევსურების სიმღერა შემოგვესმა. ცხენი შევაუენე, დაუგდე სიმღერას უური, მაგრამ ერთობილი ნაღვლიანი ხმის მეტი ვერა გავარჩიე-რა. სამუშაო ხევსურების ლექსის გაკება მინდოდა, ვედარ შოვითმინე და მთიბავეებს ხმა მივეცი. რამდენსამე წამზე ჩემს გვერ-დით იდგა ჩვენი ცნობილი მინდია. სალაშის უმაღ მინდიას ვსთხოვე ეთქო ის ლექსი; რომელსაც ისინი მღეროდნენ. ამ ლექსს ჩვენ მუ-შაობის დროს ვმღერითო, მითხრა მინდიამ და ნელა და გარკვე-ვით სთქვა:

„ლორათ შაბურა არ ხარაეო,  
 კარო ნაბამო რკინისაო,  
 კედო ნავდებო სინისაო,  
 გამოგორგვილო რკინის კვერაო,  
 ხმალო, ნაქედო საფრანგესაო,  
 ქალაქ ნაწოდბო ერბოშიაო,  
 თოფო, ნაქედო ყირიმშიაო,  
 ჯაჭვო ნაქსოვო ურუმშიაო;  
 შატილ დედი ძმათ ესტუმრილაო,  
 იქით ველობას წაგიყვანენო,  
 აიქ ურჯულო გამოგივათო,  
 თოფ ჰკრიდი, გააგორიდიო,  
 მოსპრიდი ხელ, წამოილიდიო.  
 თავის ქვიტკირსა მიაკრიდიო,  
 ქალ-ხალი გაივლ-გამაივლისო,  
 შენი ნაკრავი მოაგონდებისო“.

მანამ მე ლექსს დავწერდი, ჩემი თანამგზავნი იყავი წინააღმდეგობა. ცხენი ავუჩქარე და თანამგზავრთ მალე შევეუერთდი. გზა კვლავ არაგვის ნაპირებზე მისდევს. აღმართ-დაღმართს და ხიდეებზე გასვლა-გამოსვლას ანგარიში არა ჰქონდა. გავუარეთ ხევსურეთის შესანიშნავს გუდანის ჯვარის ნიშს და მივედით სოფ. ბისოში. სოფლის ზირდაზირ არაგვის მარცხენა ნაპირზე რკინა-ხარვეზ წყაროსთან შევდექით წელის დასალევად; წყალი მძიმე სასმელია, მაინც კი უველამ ხარბათ მოგიუდეთ წყლით გავსილი თასი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მთელს ხევსურეთში და ფშავშიც გზა-და-გზა გამართულს წყაროების კუთვნილებას წელის დასალევად სწილენძის ან ხის თასი შეადგენს. თასი კარგა ტიპელი ჯაჭვით იქვე წყაროს გვერდით არის მიბმული.

სოფ. ხახმატის მისვალში წინ კადმოგვეკება ხახმატელი ხევსური და ლუდის შესმა (დალევა) გვთხოვა. ხევსურმა იქვე გზის მახლობლად სამრეწლო ეკლესიის გვერდზე გამართულს სასოფლო ლუდის სახდელს შენობიდან ქვაბით ლუდი გამოგვიტანა. ლუდი ცოტა თბილი იყო, მაინც უველამ დავლიეთ და დავლოცეთ ხევსური. მთელი ლუდის საზოგადოების სამრეწლო ეკლესია სოფ. ხახმატის მახლობლად დაცემულს არაგვის მარჯვენა მხარეს მინდორზეა გაშენებული. სამრეწლო ეკლესიის ზემოდ გორაკზედ შევნიშნეთ ხევსურების საფიცარი ხახმატის წმიდა გიორგის ნიში.

გავედი „სოფ. ხახმატს, სოფელთან ერთად გამოვეთხოვეთ ხე-ტყიან ადგილზე მიმავალს გზას და შევუდექით კავკასიის ქედის გადასვალს ველ-კეთილის აღმართს.

აღმართის დასაწყისამდე მარჯვნივ აღმოსავლეთის მხრივ არის აღმართული ჯერაც თოვლით შემოსილი მთა-სათავე ხევსურეთის არაგვისა.

ველკეთილის შუა აღმართზე გვაკებულს ადგილს რომ მივუახლოვდით, უკან მომავალი ხევსურის ჯორზე მჭდომი ჩაფრის უვირთი შემოგვესმა. ცხენები შევაუენეთ და მივიხედეთ. მიხედვას და ერთობილი სიცილი ერთი იყო. ჯორს როგორღაც ზევით წამოსვლას არ ესურვებინა და ზირი ქვევით ექნა. ჩაფარი ეალერსებოდა, უევაკებოდა, მაგრამ ჯორი თავისას არ იშლიდა. ტრიალებდა გარშემო ერთ

ადგილას და ატრიალებდა ზედ შჳდღმს. ტრიალით რომ ვერას გახდა ჯორი, ერთი გულიანა შექჳრთუნა, უკანა ფეხები აიქნია და ზედ შჳდღმი უირაზე დასცა. რაკი თავისუფლება იკრძნო, სიამოვნებითი ურთუნინი იწყო და დაეშო ქჳვევით. უკან მამაკალთ როგორც იყო დაიჭირეს ჯორი და მხედარს მიუყვანეს. ჩათარი ზედ შეჳდა, მაგრამ ჯორი მანტ ქჳვევითკენ იწვედა. აქ კი იკადრა ჩათარმა ჩამობრძასება და წინ გამოდღოლა.

სვენებ-სვენებით როგორც იყო აველით აღმართის წჳკრზე. აქ კვლავ ცხენებიდან ჩამოვხტით, ცხენები დავასვენეთ, ერთი კიდევ გადავხედეთ ზირაქეთ ხევისურეთს და ხევისურეთის შუა გულში აღმართულს თოვლით შემოსილს ჭახისს მწჳკრვალეებს და ფეხით დავგეშვით ზირაქით ხევისურეთის სოფ. ლებაისკარის დაღმართზე. დაღმართის წჳკრიადამევე აღმოსავლეთის მხრივ მოჩანს მდ. არგუნის სათავე, აქედამევე იწყობა არგუნის ხეობა.

ზირაქით ხევისურეთის გზა ამ მდინარის ნაზირებს მისდევს. თუმცა ზირაქით ხევისურეთის გზები ისეთივეა, როგორც ზირაქით ხევისურეთისა, სამაკიეროდ არგუნის ხიდეები მკვიდრი და საიმედოებია.

ზირაქით ხევისურეთს სულ სამი სასოფლო საზოგადოება — შატილისა, არდოტისა და ახიელისა — შუადგენს. შატილის საზოგადოებაში ხუთი სოფელია, არდოტისაში — სამი და ახიელისაში ხუთი. სამსავე საზოგადოებაში 345 კომლი მცხოვრებია. ზედ აღმართის ბოლოს მდ. არგუნის მარჯვენა ნაზირზეა გაშენებული სოფ. ლებაისკარი. ლებაისკარი ზირაქით ხევისურეთის მაკვარად არის გაშენებული იმ განსხვავებით, რომ სახლების გვერდების და წინა კედელი სიმა ქვისგან უორესავით ამოყვანილი აქვს. თუმცა კი აწინდელი სოფლის ზირდაზირ მდინარის მეორე მხარეს ლებაისკარის სასოფლარი ნათლად მოწმობს, რომ ლებაისკარიც ზირაქით ხევისურეთის სოფლებისავით ბურჳში უოთილა მოთავსებული. ლებაისკარეებს წინანდელი სასოფლარი და მასთან ერთად სამრეველო კვკლესია ხევისბერების რწევით მიუტოვებიათ. ევაკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებასა მთელს ხევისურეთში ერთ დროს ერთგვარევე გემზაზე აუშენებიათ კვკლესიები. მათ შორის ერთი კვკლესია შატილის

საზოგადოების სამრევლო სათვის სოფ. ლებაის-კარში ეკკლესიის აშენება და ეკკლესიის შირდაშირ მდინარის მარჯვენა მხარეს გორაკზე წამოსკუბუბულ ნიშის გაწერომა ერთი უაფთოდა. სვეის-ბერებს სოფელში მდგდლის გამწესება არაფრად ეჭაშნიკებოდათ, რასაკვირველია, და მოჭეოლიან ქადაგებს. სალოცავი ჯავრობს, თუ ჩემსკენ არ გადმოსახლდებით, ამოგწვეუტავთ, ამოგბუგავთ. ხალხი რად გაიწერამებდა ხატს და აკი იმიტომაც მიუხებებია თავი ძველი სახლკარისათვის და ხატის მხარეს გასულან.

ძველს სოფელს ესლა ცარიელი კარგა მოხდილი ბურჯი, მის მახლობლად სამხრეთის მხრივ გაშენებული საყარაულა და დასავლეთის მხრივ სამრევლო ეკკლესიის კედლებ-სახეხი-და ამშვენებს. ეკკლესიის შენობას ეტყობა რომ ახალია, მაგრამ ადარც თანჯრები აქვს. კანკელი და სხვა ეკკლესიის კუთვნილება კი მდგდელს სოფ. შატლის ეკკლესიაში გადაუტანია.

ნიში? რა შედიდურად გამჭეურებს აკლებული ეკკლესიის ქვიტკირს მდინარის შერეუ ნაშირიდან, შატარა მაგრამ თეთრად გალესილი კაშქია შატარა შენობა.

სოფ. ლებაის კარიდან ესე ოთხი ვერის მანძილზე მდ. არგუნს ვიწროდ გაუბია ქვიანი შთა. ამ ალაგას მდინარე სწორედ რომ საშინელებაა. მდინარეს უოველი ძალ-დონე მოუკრეოთა, გააფთრებული ებრძვის შთიდან წყალში ჩამოწოლილს უზარმაზარს ქვეებს და დაჭრილი ნადირით დრიალ-დმუილით მიესწრაუება ქვეითკენ. ჩვენ თუმცა ჩანჩქერს-ჩხატებს (каскады) კარგა მადლა გადავურეთ, შანც მდინარის ტალღებიდან ქვებზე ხეთქებისაგან ავარდნილმა წინწყლებმა იქაც კი მოგვაწიეს. კარგა დიდს მანძილზე მდინარეს სიწუნარე შანც არ ეტყობოდა. შეუზოვარი შთისაგან გულ-მოსული არგუნი ბობოქრობს და შეშეოთებული დრიალით შირბის.

მდ. არგუნი მდ. გუროს ჩასართავამდე დიდი არ არის და ხილებია წყალზე გაკეთებული. მდ. გუროს ჩართვის შემდეგ კი წყალი ერთი ორად იზრდება და აქედან ხილებიც იწეობა.

სადამის შვიდს საათზე როგორც იყო არგუნის მარჯვენა მხარზე კარგა მადლობ შთაზე გამოჩნდა სოფ. შატლის საყარაულა ცხე. საყარაულას მახლობლებისათანავე ჩვენი უურადლება შიიზიდა მადლა ქედზე ტუის ნაშირა მწვანეზე მოთამაშე კურდღლებმა. კურდღლებს ქვევიდან ხმა მივევით, მაგრამ, თქვენ არ მომიკვდეთ, კურდ-

დღებმა უურიც არ შეიბერტეეს. თითქო მასხარადაც აგვიგდეს, იქვე წამოსდნენ უკანა ფეხებზე და უურბე დაცქვეტილი დაგვიწიეს ტქარა. შევტქეროდით ტუის არა-გულად შეიღებს და კარგადაც ვიცოდით, ვისაც ვუუურბდით, მხოლოდ საიდუმლოდ დარჩა ჩვენთვის იმა-თი აზრი ჩვენზე. უეტველია, ჩვენს ხმაზე არც კი შეეშინდათ ფრთხლს კურდღლებს, ჩვენ რადაც ტუის ნადირებად მიგვიღეს. არც საკვირველია ეს, რადგან ჩვენისთანა ადამიანები ძნელად რომ მათ დაენახათ. საღამოს რვა საათზე მივედით სოფ. შატილში და ზირ-დაზირ მდ. არგუნის მარჯვენა ნაზირზე სოფლის ზირდაზირ შატილის მღვდლისათვის გაშენებულს ცარიელს ქვითკირის სახლში ჩამოვხდით. ეს სახლიც მღვდლისათვის «კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების» ხარჯით არის აშენებული, მხოლოდ ადგილობრივ მღვდელს სოფელში მიწურს ქვში ურჩევია ცხოვრება და ეს სახ-ლი კი მიტოვებულია. აქეთ მოგზაურ გამფლელ-გამომფლელთათვის კარგია, რასაკვირველია, ამასთანა ალაგას ცოტა-მატა რიგანია სად-გომი, მაგრამ სწორედ გაუგებარია მღვდლის საქციელი. რად უნე-ბებია სუფიერს მამას ორ-ოთახიან მშენიერ სახლის ბინძურს მი-წურს ქვზე გაცვლა? ნუ თუ აქა-და ხევსურეთის მღვდელი ვარ, ხევსურებსავით მიწურს ქვში ბინძურად უნდა ვიცხოვროვო?

საზოგადოდ, ხევსურეთში ერთად-ერთი ასე თუ ისე მცოდნე განათლებული ზირი მღვდელია. როგორც დაუუკვირდი, ხალხს სრუ-ლიად არ ეტყობა მისი გავლენა. ხევის-ბერთა და სხვა საწმუნო-ბრივს ხალხურს ჩვეულებების სიმტკიცეზე რომ არა ვსთქვათ-რა, ხალხს მღვდლის ზედგავლენა სრულიად არ ეტყობა. ან რა გვარად და როგორ შესძლებს ზედგავლენას ადამიანი, რომელიც თვის სა-მწესოზე ადამიანურს ცხოვრება-ყოფის მოთხოვნილებების მხრივ ძლიერ შორს არ არის წარსული! თუ ოდესმე რაიმე ცხოვრებითი ნიშან-წყალი სცნებია, ისიც კი მთლად ჩამორეცნია და დღეს მთლად ირგვლივ სამრევლო ხევსურთა ცხოვრებას ჩაუნთქავს. გაბედვით ვიტყვით, რომ თვით არა ერთი და ორი ხევსური უფრო უკედ ადამიანურად ცხოვრობს, მინამ შატილის საზოგადოების სამრევლო მღვდელი. ერთად-ერთი კარჩევს ხალხს და მღვდლის შორის თვით მღვდლის სამოსია, მაგრამ ვაი ამ სამოსსაც... მაგრამ კმარა...

ი. კახელი

# წერილი აფხაზეთიდან

## სოფელი აჭაგდარა

ადგილ-მდებარეობა.—მეურნეობა.—ქურდობა.—სტუმართ-  
მოყვარეობა.—დღრუპში და დღეობა.—ქრისტიანობა.

სოფელი აჭანდარა მდებარეობს ბზიფში (აფხაზეთის დასავ-  
ლეთი ნაწილი), ჩრდილო-აღმოსავლეთით დაბა გუდაუთიდან.  
აღმოსავლეთით საზღვრავს გუმურშხის მთა, დასავლეთით—და-  
ხვართის წყალი, სამხრეთით—აცის წყალი, რომლის სათავე თვით  
აჭანდარის მთაშია, ჩრდილოეთით—აჭანდარის სახელმწიფო მთა,  
რომელიც ჰყოფს აჭანდარას საჩერქეზოდან.

თავისი სახელწოდება ამ სოფელმა მიიღო სიტყვისგან „ჭა-  
დარი“. შუა აჭანდარაში სდგას საპი ას-წლოვანი ქადრის ხე  
(მოხუცთა სიტყვით, მეოთხეც ყოფილა), რომელთაც თავისი  
ვეებერთელია, შორ-შორს გაშვებულის ტოტებით დაქერილი  
აქვთ თითქმის ერთი ქცევა ადგილი და იმათი სიდიდ-სილამაზე  
უცხო მნახველს აკვირვებს.

აჭანდარა გადაშლილია მუდამ თეთრად შემოსილ, თვალ-  
უწვდენელ მთის ძირში, რომელიც ამპარტავნულად დაჰყურებს  
მთელს ამ სოფელს. ასე გვეგონებათ, სიმაღლის გამო თავს ვერ  
იმაგრებს ეს მთა და, ეს ეს არის, გრიალით უნდა დაეცეს აჭან-  
დარას და ნაცარ-ტუტად აქციოსო. მაგრამ მოაშორეთ თვალი  
მთის წვერს და ცოტა ქვემოთ ნახავთ, რომ ბუნებასაც შესცო-  
დებია აჭანდარა და იმის უბედურებისაგან გამოსახსნელად ყო-  
ველ მხრით განგებ მიუბჯენია პატარ-პატარა გორაკები, რო-





მელნიც თითქოს ჭაბანწყვეტით იმაგრებენო. თვით აქანდარა მთა-გორაკებით არის დაფენილი. იშვიათად თუ სადმე შეხვდებით ტრიალ მინდორს.

მიუხედავად იმისა, რომ აქანდარა გორაკებით არის დაფენილი, მისი ნიადაგი მეტის-მეტი ნოყიერია. თითქმის არავითარი გარჩევა არ არსებობს მინდვრებსა და მაღალ ადგილების ნიადაგთა შორის. მუშა ხალხს 'შრომა, როგორც დაბალ, ისე მაღალ ადგილზე, საკმაოდ აჯილდოვებს. განცვიფრებაში მოდის მნახველი, როდესაც ხედავს სიმინდის ყანას. სიმინდის მცენარე, თუმცა შეხედულებით ძაბუნია (ზოგიერთ ადგილას), მაგრამ ტაროს კი დიდს იკეთებს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ სიმინდის მეტს სხვას აქ არაფერს სთესენ. თუმცა ბამბაც მშვენიერი მოდის, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ შეუგნიათ, თუ რა რიგ სასარგებლოა ბამბის მოყვანა და ამიტომ არც ეტანებიან. აგერ-ეგერ კი შეხვდებით ცოტ-ცოტას, ოჯახში სახმარად დათესილს.

ტყეები, რომელიც გვერდით აკრავს აქანდარას მთას სოფლის მხრით, საკმაოდ მდიდარია. აქ შეხვდებით ას-წლოვან მუხებს, წაბლებს, წიფლებს, რცხილებს, თელებს, კოპიტებს და სხვა ათასგვარ ხეებს, რომელთა სიდიდე და სილამაზე ძალაუნებურად იტაცებს თქვენს თვალს. იშვიათად თუ სადმე შეხვდებით ერთსა და იმავე ადგილას სხვა-და-სხვა ხეებს, თითქო განგებ ერთგვარი ხე ერთ მხარეზე გაუშენებიათ, მეორე გვარი მეორეზე და ასე ამ რიგად დაუნაწილებიათ მთელი ტყე. აქანდარელმა კარგად იცის, რა ხის საქებრად რა ადგილზე უნდა წავიდეს. ამიტომ ის მარჯვედ მიდის იმ ადგილას, სადაც წიფლები, წაბლები, ანუ სხვა, მისთვის საჭირო, ხე იზრდება. დიდი ხანი არ არის იმის შემდეგ, რაც აქანდარას ტყიდან 5,500 მანეთისა მარტო ბზა გაიტანეს. ეს ფულები დღეს მთავრობის ხელშია და გადადებულია სკოლის, სასამართლოს და გზის გასაკეთებლად.

ზემო აღნიშნულ ტყეების სიმდიდრეს, გარდა ძვირფას ხეებისა, გარეული ნადირი შეადგენს. მაგრამ მარტო გარეული

ნადირით და ძვირფას ხეებით არ აკმაყოფილებს აქანდარელს ტყე. ის დაუშრეტელი წყაროა თაფლისა, რომელსაც აქანდარელის ეკონომიურ ცხოვრებაში თვალსაჩინო ალაგი უჭირავს. შემოჰკრავს თუ არა ივლისის ცხელი დღეები, თითქმის ყველა ოჯახი გზავნის ტყეში ერთ-ერთ თავის წევრს, რომელიც მიდის ტყეში და ათვალიერებს ხეებს, სინჯავს, რომელ ხის ფუტუროშია დაბუდებული ფუტკარი. მრავალ გზის ნაცად აქანდარელს არ ეძნელება ფუტკარიანის ხეების პოვნა. იპოვის თუ არა, ის მაშინვე დანიშნავს ამ ხეს ცულის შემოკვრივ და ორიოდე ნაფოტის შეგლეჯით. დარწმუნებულია, რომ ვერავინ გაბედავს ამ დანიშნულ ხის ხელის ხლებას\*). ხელახლად მიდის სხვა ადგილას. ბოლოს ბრუნდება სახლში, მიჰყავს სხვანიც და ნაშოენი თაფლი სახლში მოაქვს. ასე ამ რიგად მოგროვილი თაფლი გააქვს გულაუთაში და ჰყიდის (ტყეში თაფლის მოსაგროვებლად ზამთარშიაც მიდიან ხოლმე). ტყეში თაფლის ძებნას უფრო გასართობი ხასიათი აქვს, ვინემ ჯადისა. ტყეში ერთად მიდის ოცი-ორმოცი კაცი, თუმცა იქ დაიქსაქსიან, მაგრამ ყოველ საღამოს ერთად წასულნი დანიშნულ ადგილას იკრიბებიან და გათენებამდის ლაზღანდარობენ. გათენებისას ისევ თავთავიანთ საქმეს შეუდგებიან ხოლმე. ტყეში სამი-ოთხის დღის ასეთი ყოფნა საკმაოა, რომ თვითეულმა მათგანმა საკმაო თაფლი იშოეოს. აქანდარლებიც თაფლის ძებნას თავის გართობას ეძახიან. „წავიდეთ ტყეში, ვერ ხედავთ, რომ მოგვეწყინა“, — ეტყვიან ხოლმე ერთმეორეს, როდესაც წასასვლელად ემზადებიან.

მარტო ტყეში ნაშოენ თაფლის იმედით არა სცხოვრობს აქანდარელი, იმას შეეჭველად ჰყავს თავის სახლში შინაური ფუტკარიც, თუმცა კი ადამის დროინდელ სკაში.

ყველაზედ მეტი მნიშვნელობა აქანდარელის ეკონომიურ ცხოვრებაში ღვინის მოსაეალსა აქვს. მთელს აფხაზეთში განთქმულია აქანდარული ღვინო. აქანდარაში ბევრნაირი ყურ-

\*) თუ ვინმე გაკადნიერდა და ამ დანიშნულ ხიდან თაფლი წაიღო, ამ შემთხვევაში ის ისჯება ჩვეულების ძალით, როგორც ქურდი; ჯარიმას ახდევინებენ.



ძენია, მაგრამ უფრო კარგის ხარისხისა კაქიკი და აოსრხვაა. ამ ბოლო დროს იზაბელაც გაუშენებიათ და, შედარებით, სადაც იზაბელას ღვინო მოჰყავთ, მაგ. გურიაში, აქ (აქანდარაში) ბევრად უკეთესის ხარისხისაა. აქანდარელს ვენახი ძლიერ შეჰყვარებია და ამიტომ ყველაზე მეტს შრომას მას ანდომებს. უეჭველად თავთავის დროზე გასხლავს და გადასწინდავს. ამისთვის ის არ დაიშურებს მაღალ ხეებზე ბობღვას და მით თავის თავის განსაცდელში მიცემას. გადასწინდავს ვაზებს და ეტყვის: „მე ჩემი ვქენი და სხვა შენ იციო.“ ვაზები თითქოს მიხვდნენ პატრონის სიტყვას, თითქოს არ უნდათ მისი წყენინებაო, ისხავენ მტევნებს, მაგრამ ბოლო დროს, როდესაც მტევნები მძიმდება, თვითონვე ნანობენ, როდესაც ხედავენ, რომ ზოგიერთმა რქამ მტევნების სიმძიმე ვერ აიტანა და დედა-ვაზს უდროვოდ სცილდება, ძალაუნებურად სწყდება. მოატანა ოქტომბერმაც, ყურძენი საკმაოდ დამწიფდა. აგერ თავიდან ბოლომდის მელანივით გაშავებული ხე, თითქოს ეილასიც სიკვდილსა გლოვობს და ძაძით შემოსილიაო. ეს კაქიკის ყურძენია, რომელსაც წითელი ღვინო უდგება. მას გვერდით უდვას მეორე ხე, რომელიც პირველი შენეღვით უვაზო გეგონებათ. ხეზედ უცებ ვერ ამჩნევთ ყურძენს, მერე ძირში უცქერით, ხედავთ, რომ მირგული აქვს ვაზი. გაგიკვირდებათ, ეს ვაზი რამ გააფუქა, რომ ნაყოფი არ გამოუღიაო, მაგრამ შესცდებით! აბა კარგად დააკვირდით და ხეზე გაარჩევთ ალაგის უქონლობის გამო ერთი მეორეზე მდებარე, ორ-ორ-სამ გირვანქის წონა, ფოთლების ფერ მწვანე მტევნებს. ეს აოსრხვაა. მას უდგება მშვენიერი ხარისხის თეთრი ღვინო. ეხლა, როდესაც მოაწია ჭირნახულის მოგროვების დრომ, როდესაც კაცს შეუძლიან ან მთლად დაღუბოს წლის მოსავალი და ან წესიერად გამოიყენოს იგი, რასა შერება აქანდარელი? აქ კი აქანდარელი სუსტობს: ის ჰკრეფს იმდენ ყურძენს და აკეთებს იმდენ ღვინოს, რამდენიც მისთვის საჭიროა. დანარჩენი კი, თითქმის მთელის მოსავლის ნახევარზედ მეტი, ჯერ კიდევ ხეზეა. ის ელოდება პატრონის ხელს, მაგრამ ამ უკანასკნელს აგვიანდება. მიიწურა

ოქტომბერი და გაჩაღდა აქანდარაში მეგრული ლაპარაკი ღვი-  
ნის გასაკეთებლად მოსული მეგრელებისა. აქანდარაში მოდიან  
მეგრელები, ქირაობენ მათთვის მომზადებულ ქოხებს, „ყაზარ-  
მებად“ წოდებულს, საწნახლებს, ყიდულობენ ყურძენს და აკე-  
თებენ ღვინოს. ესლა კი გაუღიმა აქანდარელს ბედმა, ის დაუ-  
ყოვნებლივ მირბის ახალ მოსულთან და სთხოვს იმის ყურძე-  
ნი იყიდოს. ისიც სთანხმდება აიღოს ყურძენი მისგანვე (მყი-  
დველისგანვე) დაწესებულის ნიხრით. გამზიარობებული ყურ-  
ძნის პატრონი სიხარულით მიდის თავის სახლში და სიამოვნე-  
ბით ეუბნება ცოლ-შვილს, ყურძნის მუშტარი ვიშოვეო. თი-  
თო ოყა კაჭიკის ანუ აოსრხვის ყურძენს ყიდულობს თითო  
შაურად და ფუთ იზაბელას შვიდ შაურადო. მეორე დღესვე  
ყურძნის მყიდველთან მიაქეთ ყურძენი ურმებით, კალათებით  
და გიდლებით, რომელსაც ვაჭარი სწონავს ყანთრით. აიწონა  
ერთი კალათი ყურძენი, რომელიც, ცოტა რომ ვსთქვათ, ორი  
ფუთი გამოვიდოდა.—რამდენია?—ეკითხება გამყიდველი.—ეფუხ  
კაპან (თხუთმეტე ოყააო), სამიც ტარა იქნება და დაგრჩა თორ-  
მეტე ოყა.—დარა იბზი (ძლიერ კარგო),—ეუბნება გულკეთი-  
ლი გამყიდველი და ისევ განაგრძობენ ყურძნის წონებას. ბო-  
ლოს გამყიდველი ართმევს ქალაღდის ნაგლეჯს, რომელზედაც  
აღნიშნულია ამდენი ოყა ყურძნის ფასი მაქვს შენიო და ამ-  
ნაირად დაკმაყოფილებული მიდის სახლში. აი ამ რიგად ყი-  
დულობენ ღვინის მკეთებელნი ყურძენს, აკეთებენ ღვინოს,  
რომლის ვედრა, ყოველისავე ხარჯით, მათ უჯდებათ 40—60  
კაპ. და ჰყიდიან კი 3—4 მან. ერთმა მითხრა, რომ 6 მანეთ  
ნაკლებ თავის დღეში არ გამოიყიდნია კაჭიკის და აოსრხვის ვედ-  
რაო.—რად იქცევით ასე, რატომ თქვენ თვითონვე არ აკე-  
თებთ და არა ჰყიდით-მეთქი?—შეენიშნე ერთს აფხაზს.—რას  
ამბობ, კაცო, მაგის კეთებას ათასი საქმე და ქაპანწყვეტა უნ-  
და, ჩემდა სასმელად ძლივს გამოიკეთებია; უკეთესი არ არის, ასე  
რომ გავყიდოთ, მუშაობა არა გვკირდება და ფულებს კი ვიჩხრია-  
ლებთ ჯიბეში,—რიხიანად მიპასუხა.—რამდენი უნდა აიღოთ  
წელიწადში ასე იაფად ყურძნის გაყიდვითა-მეთქი?—60—200

მანეთამდიო. ვფიქრობ, რომ მკითხველი გაიგებს, თუ რამდენი-ღვინო კეთდება აჭანდარაში და გააქვთ, თუ ასე ჩალის ფასად გაყიდვით რამდენიმე ასიანები რჩებათ მცხოვრებელთ\*).

ღვინის შემდეგ საყურადღებოა კაკლის მოსავალი. თუმცა ბევრი მოუჭრიათ და ხედ გაუყიდნიათ, მაგრამ იშვიათი ადგილი იქნება ისეთი, რომ თვალწინ ვეებერთელა კაკლის ხე არ იდგეს. აჭანდარელმა კარგად იცის, რომ მოსავალის მეოცედიც თუ კი მოიწია, მის მოთხოვნილებას მაინც დააკმაყოფილებს და, თუ მაინცა და მაინც მორჩება, მაშინ არც გაყიდვას დაიზარებს. საზოგადოდ კაკლის ხეების რეკა და ნაყოფის მოგროვება სექტემბრის პირველ დღეებში იციან, რადგან მაშინ კაკალი საკმაოდ მოწიფებულია. აჭანდარაში კი კაკლის ხე თითქმის ნოემბრამდის არა თავისუფლდება ნაყოფისაგან. შესაძლებელია, სრულიადაც არ გაენტავისუფლებინა ის აჭანდარელს, თუ თვითონ კაკლის ხეს არა სცოდნოდა მეტის ბარგისაგან განთავისუფლების ხერხი. საკმაოდ დამწიფებულ ნივთს გარედ შემოხვეული კანი უსქდება და მიწაზე ცვივა. მაშინ კი ყოველ დღე მიდის ბავშვი კალათით ხეში, ჰკრეფს ჩამოცვივებულ კაკალს, მაგრამ სად იშოვის იმის მეთედს, რაც კაკლის ხეს ესხა! თავისით ძირს ჩამოცვივებული კაკალი ზოგი იკარგება, ზოგს ძაღლები სჭამენ და მეტს კი ბავშვები მიწაზე სტოვებენ. იფიქრებთ, მაშ აჭანდარაში არც ერთს კაკალი წლიდან წლამდის არ გაჰყვებაო. ტყუილი ფიქრია. თუმცა ასე დაუდევრად ეპყრობა აჭანდარელი კაკლის მოსავალს, მაგრამ აჭანდარადან ზემოხსენებულის ხერხით შეკრებილი კაკალი ყოველ წლობით რამდენიმე ათასი ფუთი გააქვთ. იმას რაღა თქმა უნდა, რომ საკმაო კაკალი ყოველ ოჯახში რჩებათ. ფუთი კაკლის ფასი აჭანდარაში 50—60 კაპეიკამდეა.

საკმაო ყურადღებას აქცევენ აჭანდარაში შინაურ ოთხფეხთა მოვლა-მოშენებას, რაშიაც იმათ ხელს უწყობს მდიდა-

\*) მიუხედავად იმისა, რომ აჭანდარაში მყიდველნი ბევრნი მოდიან, ხშირია ხოლმე ისეთი შემთხვევა, რომ ყველანი ყურძენს ვერა ჰყიდიან, და ამიტომ პატრონს ხეზე რჩება, სანამ დეკემბერში ჩიტები არ შესჭამენ.

რი საძოვარი ადგილები. ვერ ჰპოვებთ ისეთ ოჯახს, რომელსაც კამეჩები, ძროხები, ცხენები, თხები და ცხვრები არა ჰყავდეს. ხარს აქ იშვიათად თუ სადმე შეხვდებით, რადგან, როგორც სრულიად აფხაზეთში, აჭანდარაშიაც ვერ მისჩვევიან ხარებით მუშაობას. გაზაფხულიდან ზამთრამდის შინაურ ოთხფეხთ მიჩენილი ჰყავთ პატარა სოფლის ბიჭები. ზამთრობით კი ოჯახის უფროს წევრთაგანი სხვებთან ერთად ტყეში აძოვებს მარტო თხებს, ცხვრებს და ძროხებს, დანარჩენნი კამეჩები და ცხენები სახლში რჩებიან და იქ ჰკვებავენ. შინაური პირუტყვი ოჯახს ამდიდრებს: ყველით, რძით და მაწონით. რა დროსაც გნებავთ, მიბრძანდით აჭანდარელისას და ის უექველად გაგიმასპინძლდებათ ყველით (სურღგუნით), რძით და მაწონით, რომელსაც თავზედ უექველად მოასხამს მშვენიერ თაფლს, რისგანაც მაწონს ეძლევა საუცხოვო გემო. ზაფხულობით, რასაკვირველია, ცხვრებს ჰკრეჭავენ და მატყლიდან დედაკაცები ამზადებენ შალს, რაიცა შეადგენს უმეტესთა ტანთსაცმელს. გასასყიდად შალი აჭანდარადან არ გააქვთ, რადგან აქ ნაკეთები შალი შედარებით მდარეა და ამიტომ მას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს მეგრულს და სხვა შალებს.

როგორც საზოგადოდ აფხაზები, აჭანდარელიც მკვირცხელია. ყოველსავე მის მოძრაობას სიცოცხლე ეტყობა. ნიჭიერიც არის, მაგრამ ამასთანავე ძრიელ დაუღვევარიცა. ან რად არ იქნება დაუღვევარი, როდესაც ბუნება თავის თავად ხელში ძალად აწვდის, რაც საკმაოა მის მარტივ ცხოვრების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. იმას (აჭანდარელს) არა სჭირია სოფლიდან გასვლა ფულის შემოსატანად. თუ მუშაობა ჰსურს, თავის სახლში იმუშავებს და მისი შრომა, უექველად, ერთი-ორად სარგებლიანი იქნება მისთვის, ვინემ ქალაქებში წასვლა და იქ მუშაობა. აი ამიტომ ვერ ნაწავთ აჭანდარელს სავაჭროდ (რაიცა სამარცხვინოდ მიაჩნიათ) გასულს. ვერ ჰპოვებთ მათში ვერც ერთ ხელოსანს. ამ მხრით აჭანდარელი, თითქოს ხელის გაშვერით ყველას ეხვეწება მიშველეთო. მართლაც, დადგება თუ არა ოქტომბერი, აჭანდარა გაივსება ხელოსან რაჭველებით,



რომელთაც აქანდარელები აკეთებინებენ ფიცრულ სახლებს და აფხაზურ ფაცხებს. ეს კიდევ არაფერი, საკვირველი ის არის, რომ აქანდარელს ვერ მოუხერხებია უბრალო ფიცრების და სხვა უბრალო ტყის მასალის დამზადება, რომ იმით, ცოტა არ იყოს, საქმე იოლად წაიყვანოს. მოსულმა რაჭველებმა მასალაც უნდა დაამზადონ და სახლიც უნდა ააშენონ. აქ შეხვდებით მხოლოდ უხეირო მჭედელს, რომლის ნახელსაქმარი ბავშვის სათამაშოს უფრო წააგავს, ვინემ ხელოსნისას, მაგრამ აქანდარელი ჯერ ამითაც კმაყოფილია.

აქანდარელმა ზამთრისთვის არ იცის კარგად მომზადება. ის მხოლოდ ჩალას და თივას ინახავს; რაც შეეხება შეშას, თუმცა საშეშე ხე სახლის წინ უდგას, მაგრამ არა სჭრის და შეშას არ ამზადებს. არც ზამთარში იწუხებს თავს შეშისთვის. სიცხევეში გამოწვრთნილ აქანდარელს ზამთრის სუსხი ვერ აშინებს. ხშირად შეხვდებით ხოლმე დიდ თოვლში ფეხშიშველა მიმავალ კაცს, მაგრამ ამისთვის ის ყურს არ იბერტყავს.

აქანდარელი ზარმაცია. თუმცა პირველ შეხედვით მოსტყუვდებით და იტყვით, ეს ასე არ არისო. მაგრამ, როდესაც კარგად ჩაუკვირდებით იმათს ცხოვრებას, თქვენ გაიკებთ, რომ ყოველსავე სამუშაოს ის ისე მსუბუქად ეპყრობა, ისე გულგრილად ჰკიდებს ხელს, რომ თავს არ იტანჯავს, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს დრო მოიპარჯვოს და შრომისგან განთავისუფლდეს. მთელი კერა და მთელი თვეც გაივლის ისე, რომ კარზე მომდგარ საქმეს ყურადღებას არ აქცევს და „მომწყინდაო“-ს კი ურცხვად გაიძახის. ძლიერ მავნებელი გავლენა აქვს „მომწყინდას“ აქანდარელის ზნეობით მხარეზე. კიდევ უფრო ძლიერი იყო მისი გავლენა წინა დროებში, როდესაც ბოროტ-მოქმედებას სხვა გარემოებებიც ხელს უწყობდნენ. ეხლა თუმცა აღრინდელზე ნაკლებია, მაგრამ საკმაოდ საგრძნობი კი. ხშირად გვსმის: ესა და ეს მოიპარესო (ქურდობის საგანი მართლ შინაური ოთხ-ფეხია). „მოიპარეს“ ჩვეულებრივი სავაჭა-ცო მოვლენაა აქანდარაში. მოხუცს რომ ჰკითხოთ: ქურდობო? ის მოწყენით გიპასუხებს: „არაო“, მაგრამ სიამოვნებით კი მო-

იგონებს დროს, როდესაც უმთავრეს მის შრომას(?) ქურდობა შეადგენდა. ახალგაზდაც უარს გეტყვის ქურდობაზე, მაგრამ ისეთ ნაირად გაგიღიმებს, რომ გაგრძობინებს: მეშინია, არ გამაქლავნო და მთავრობის ყურამდი არ მიაღწიოს, თორემ, თუ არ ვიქტრდე, ისე როგორ გავძლებო! ისეთ კაცს სამოწყალოს და გლახაკს ეძახიან, ვისაც ქურდობის, ამ თავმოსაწონი საგმირო საქმის, უნარი არა აქვს. მთავრობამაც მიაპყრო ყური ასეთ ზნეობითი გახრწნა-გათახსირებას და კიდევაც ჯერჯერობით სასურველი შედეგი მოჰყვა იმისგან (მთავრობისგან) ქურდობის მოსასპობლად ნახმარ საშუალებებს. არც კაცის კვლავ იშეიათი მოვლენა აქანდარაში. ამ უკანასკნელს ხელს უწყობს სისხლის აღება, რაიცა, როგორც სრულად აფხაზეთში, აქანდარაშიც გამეფებულა. უმთავრეს მიზეზად როგორც კაცის კვლისა, ისე ყაჩაღობისაც, სისხლის აღება უნდა ჩათვალოს. დიდი სირცხვილი და თანაც ღვთის გმობაა, თუ არამც თუ მამის, ძმის, ბიძაშვილის, ანუ სხვა ასეთი ახლო ნათესავის, არამედ შორეული ნათესავის სისხლიც კი აუღებელი დარჩა აბხაზს. სისხლის აღებას დრო არა აქვს დანიშნული. შესაძლებელია, სისხლი აიღოს ხუთის, ათის წლის შემდეგ; ერთის სიტყვით, მაშინ, როდესაც დროს მოიმარჯვებს. ამიტომ, სულ ყველანი ყოველ წამში ერთიმეორის შიშში არიან. აი რით აიხსნება ის მოვლენა, რომ უიარაღო აქანდარელს პატივი არა აქვს.

თუ აქანდარელის ზნეობითი მხარე ერთის მხრით მეტი-მეტი გასაკიცხი და დასაგმობია, მეორეს მხრით საქები და სადიდებელია. მე ვამბობ იმათს სტუმართმოყვარეობაზე, რომელსაც უმაღლეს წერტილამდის მიუღწევია. „სტუმარი ღვთისაა, — იცის თქმა აქანდარელმა, — რისთვის არ უნდა გვიყვარდეს იგი, როდესაც სტუმრობის შემდეგ ის ჩვენ დაახლოვებულ მეგობრად ითვლება.“ მართლა, ის კაცი, ვინც მისს პურ-მარილს მიირთმევს, მასპინძლისთვის დიდ საიმედო პირად ითვლება: „პურ-მარილის შეღახვა მომაკვდინებელი ცოდვაა, როგორ უნდა წარმოვიდგინო ის, რომ ღვთის გაჩენილმა ადამიანმა პურ-მარილს უღალატოსო.“ აი ერთი დამახასიათებელი საბუთი იმათის



სტუმართმოყვარეობისა. წარმოვიდგინოთ ჩვენ, რომ ცხენით მოგზაურობთ და გზაზე დაგიღამდათ. თქვენ შეგიძლიანთ, რომელ სახლსაც ახლოს დაინახავთ, იქ მიხვიდეთ. არ გინდათ კითხვა, სახლის პატრონი ინებებს თუ არა, ღამე გაგათევინოსთ. თუ სახლში არავინ არ დაგიხვდათ, იმ შემთხვევაში თქვენვე უნდა მოხადოთ უნაგირი ცხენს და უცნობს სახლში შეხვიდეთ. თუ კაცი ანუ ბავშვი, თუ გინდ ძლიერ პატარაც იყოს, სახლში დაგიხვდათ, ცხენს მისვლისთანავე ჩამოგარსთმევთ, იმავე წამში თავის ადგილზედ წაიყვანს და თქვენ მოწიწებით სახლში შებრძანებას გთხოვსთ. არავითარ საქმეს არ შეუძლიან, რომ მასპინძელი თქვენ მოგაცილოსთ. სანამ მისას ხართ, დიდიდან მოკიდებული პატარამდე სულ ყველანი ფეხზედ დგანან\*) და ყოველ ღონისძიებასა ხმარობენ, რითიმე გასიამოვნონ და სახლში მშვიდობით გაგისტუმრონ. შეიძლება, თქვენ ურწმუნო თომას ჯიშისა ბრძანდებით და ცხენზე მჯდომმა მოიწადინეთ შეიტყუოთ მასპინძლის აზრი ღამის გათევის შესახებ და იკითხეთ, ღამის ბინას თუ მიშოვითო. ამ შემთხვევაში ძლიერ აწყენინებთ მასპინძელს. ის ერთს წამს წარბებს შეიკრავს, საძაგლად მოიქმუნება, წამოწითლდება და წყენით გიპასუხებსთ, მეც კაცთარიცხვში ვარ და რად ინებებთ ჩემს შეურაცხყოფასაო. ამის შემდეგ უეჭველად მიგიღებსთ, მაგრამ ისეთის სიამოვნებით კი აღარა, როგორის სიამოვნებითაც უკითხვად მიგიღებდათ. როგორც აფხაზეთში, აქანდარაშიც მტკაცედ არის დაცული ძველთაგან გადმონაცემი სტუმართმოყვარეობა; იმ შემთხვევაშიაც კი, თუ გინდ ეს სტუმარი მასპინძლის მოსისხლე მტერიც იყოს. როგორც საზოგადოდ სტუმარს, მტერსაც იმ რიგად ეპყრობა აქანდარელი თავის ოჯახში. არამც თუ თვითონ, არამედ არავის ნებას არ მისცემს, მისას მოსულ მტერს შეურაცხყოფა მიაყენოს.

\*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოდ აფხაზეთში და კერძოდ აქანდარაში, სტუმართან თუ ვინმე მოხუცებულთაგანი დაჯდება, თორემ ახალგაზღდას არ შეუძლიან იმდენად გაკანდიერდეს, რომ გაბედოს დაჯდომა. არამც თუ სტუმართან, არამედ თავის სოფელელ ხნიერ კაცთანაც ფეხზედ უნდა იდგეს; ეს დიდი პატივისცემაა. უმცროსი უფროს ძმასთან, შეილი მამასთან საზოგადოებაში არ დაჯდება ერთს სუფრაზე სადილის საქმელად.

აქანდარაში ქრისტიანობა ძლიერ ადრე გავრცელებულია. უნდა ვიფიქროთ, რომ ანდრია პირველ წოდებული ზღვის პირას მოგზაურობის დროს არც აქანდარას დასტოვებდა უყურადღებოდ. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე ისიც, რომ სვიმონ კანანელი, ანდრია პირველ წოდებულისგან აფხაზეთში დატოვებული, როგორც სხვა სოფლებში, აქანდარაშიაც იქონიებდა ხალხზე გავლენას. ეს მით უფრო საარწმუნოა, რომ აქანდარასა და ფსირცხის მონასტრის შუა, სადაც კანანელის საცხოვრებელი ყოფილა, სულ 11 ვერსია. ამას გარდა, ხალხში ქრისტიანობის განმტკიცების საქმეში, საზოგადოდ აფხაზეთში და კერძოდ აქანდარაში, ხელს უწყობდნენ ძველთაგანვე აგებული მონასტრები, რომელნიც შემდეგში საუკეთესო თავშესაფარად ითვლებოდნენ აფხაზეთში. ესეც რომ არ ვიცოდეთ, თვით აქანდარაც მცხოვრებთა სხვა-და-სხვა ჩვეულებებით და ნაშთებით ხმა მალლა ღალადებს: „თუმცა ჩემი შეილები ეხლა მაჰმადიანნი არიან, მაგრამ იყო დრო, როდესაც ქრისტეს აქებ-ადიდებდნენო“.

აქანდარაში ორი შესანიშნავი ეკლესიის ნაშთია. პირველი ამათგანი ერთ კოპწია გორაკზეა. ამ ეკლესიას ორი ქცევის ოღენა მშვენიერი ეზო ჰქონია და თანაც მშვენიერი ასასვლელი გზაც ყოფილა. დღეს კი ყოველივე ეს ნარეკალით არის მოცულო, ტურებისა და სხვა მხეცების საბრძანებელი გამხდარა. თვით ეკლესია საკმაოდ ფართოა ყოფილა. ამ ხუთის წლის წინად გუმბათიცა ჰქონია. მაგრამ დღეს მარტო სალი ქვები ყრია და რამდენსამე ალაბზე კედელიც არის აყვანილი. ამ ეკლესიის შესახებ არავითარი გარდმოცემა არ არის დარჩენილი ხალხში და არც ის იცის ვინმემ, ვის სახელობაზე ყოფილა აგებული.

უფრო შესანიშნავი მეორე ნაშთია. სახელი მისი—ანაფსანაჰა დდრპში. მდებარეობს წმიდა დდრპშის მთის კერწებზედ, რომლის ფერდები მდიდარის ტყით არის შემოსილი. დდრპშს დღესაც შიშითა და კრძალვით ეპყრობა ხალხი. იქ მისვლა ძლიერ საშიშოა, რადგან, თუ იმ ადგილზედ, სადაც



ეკლესიის ნაშთია, ვინმემ გაბედა ფეხის დადგმა, უტყვევლად იმავე წამში მოკვდებოა. \*) სიტყვა „დღრპშ“ აფხაზურია და ნიშნავს ქუხილის მთას. ეს სახელი იმიტომ დაერქვა ამ მთას, რომ ხალხში გადმოცემა დარჩენილი, ვითომ შუა ზღვაში დაიწყებოდა ელვა. ეს ელვა გაბმულ ძაფივით ამ მთამდისინ მიდიოდა. სწორედ იმ ადგილს, სადაც ანაფსანახის \*\*) ეკლესია იდგა, გაისმორდა საშიში ქუხილი. ეს ქუხილი არავითარ მავნე სულს და არც ცოდვილ კაცს ახლო-მახლო არ გააქაქანებდა. ეხლა კი იქ ჰპოვებთ მარტო თლილ საშენ ქვებს. ცნობის მოყვარეთ ცოტაოდენზე მიწაც ამოეთხარათ და ღეთის მშობლის პატარა ხატი ენახათ. ეს დღრპშ, საზოგადოდ აფხაზების და კერძოდ აქანდარელების საფიცარი ადგილია. ვერ ჰპოვებთ ისეთს აფხაზს, რომელმაც გაბედოს ცრუ-ფიცი დღრპშის სახელობაზე. რადგან სიკვდილის შიშის გამო მალლა ასვლა შეუძლებელი შეიქმნა, საფიცარი მასალა წმიდა დღრპშის კალთაზე გადმოუტანიათ. აი სახე ამ საფიცარისა. ერთ ვეებერთელა რცხილაზე შიყუდებულია ხის ტოტი, რომელზედაც დაკიდულია შემდეგი ნივთები: ძველებური საომარი, რკინის ტარიანი ცული, ცოტა ქვემოდ მოგრძო თოკი, — შუაზე გაღუნული უბრალო რკინა, — მოკლე თოკი, დიდ რცხილას ერთ ტოტზე ჩამოდებულია წვერ წაწვეტებული პატარა რკინა. მიწაზე: თოფის ლულა, ერთი პატარა თიანბრის ქვაბი თუნუქის თავსახურით, საიაზმეს მსგავსი უბრალო თუნუქის ჭურჭელი, მას ქვეშ დიდად დაძველებული, დაქვეყილი თუნუქი. სულ ყველა მიწაზე დებულ ნივთთა სამხრეთით და ჩრდილოეთით უძევს ორი უბრალო ჯოხი. აფხაზი შიშით და კრძალვით დგება ამ საფიცარის წინაშე. ორ თითში იჭერს პატარა ჩხირს და იფიცებს, რის შემდეგ ჩხირს ხელიდან ისვრის. გათავდა ფიცი და კიდევაც გამართლდა. მოწინააღმდეგე დარწმუნებულია, რომ

\*) წინა წლებში იქ ყოფილიყო მიწის მზომელი კომისია. დაბლა რომ ჩამოსულიყვნენ, ერთი მიწის-მზომელი და ორი ჯარის-კაცი მომკვდარიყვნენ. აქანდარელების ფიქრით, ისინი ღმერთმა დასაჯა წმიდა ადგილის შელახვისთვისო.

\*\*\*) ანაფსანახა ნიშნავს დედის სულის ხატს. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ რომ ეს ეკლესია აგებული ყოფილა დეთის მშობლის მიძინების სახელობაზე.

თუ ეს პირი დამნაშავე ყოფილიყო, აქ დაფიცვას ვერ გაბედავდაო, რაიცა არა იშვიათად ხდება ხოლმე. ეს ფიცი უბრალო სამქედურში ფიცი არ არის და არც რაიმე უბრალო საქმისთვის დააფიცებენ აქ ერთი-მეორეს.

როგორც ანდრეასიანს დღრპშ, ისე ეს ახალი (შედარებით პირველთან) საფიცარი აბარია ერთ გვაროვნებას, ჩიჩბაიებს (მეხატურნი). ისინი, როგორც პირველს, ისე მეორეს უფლიან და ყოველივე აქედან შემოსავალი იმათ ეკუთვნის. ყოველთვეში შეიკრიბება ხოლმე ერთად ეს გვაროვნება და იყოფენ შემოსავალს. იმათი მოცილე ძველთაგან არავინ ყოფილა და არც ესლა არის ვინმე. თუ ვინიცობაა აჭანდარელი ფიცულობს, იმ შემთხვევაში მეხატურნი არას იღებენ. სხვა სოფლის თუ ვინმე მოვიდა, მაშინ კი თვითეულ დამფიცველმა ათი შაურიდან მანეთამდი უნდა დაუტოვოს მეხატურთ. კვირა არ გავა, რომ მ—ნ მოფიცარნი არ მოვიდნენ. ისეთი შემთხვევა კი ხშირია, ათობით და ოცობით რომ მოდიან ხოლმე.

აჭანდარაში ვერ ვპოვებთ ისეთ ოჯახს, რომლისაც ანდრეასიანის სახელობაზე ლოცვა ბეგარად არ ვქონდეს დადებულნი. სუყველას აქეს თითო მიწაში ჩაფლული ქვევრი (ღვინის შესანახად ბოჭკებს ხმარობენ), ყოველ ღვინის შენახვაზე პირველად თავი ღვინით ეს ქვევრი უნდა აავსოს. ახალ წელს დილით ამ ქვევრს თავს მოხდიან და მთელი ოჯახობა ილოცავს ანდრეასიანს.

მარტო ზემო ნათქვამით არ კმაყოფილდება აჭანდარელის მიდრეკილება ანდრეასიანისადმი. გარდა კერძო ლოცვისა, აჭანდარელებს დაუწყებიათ საზოგადო ლოცვა, რომელიც უეჭველად უნდა მოხდეს ივლისის დამლევადან აგვისტოს შუა რიცხვებამდინ. გადაწყვეტით, რომელ რიცხვში ანუ დღეს უნდა მოხდეს, ეს დამოკიდებულია თვით მცხოვრებლებზე. მოახლოვდება თუ არა დრო საზოგადო ლოცვისა, აჭანდარელები იკრიბებიან ერთად და ნიშნავენ დღეს, როდესაც უნდა მოხდეს ეს ლოცვა. კრება ირჩევს ხევიდან თითო კაცს (სულ რვა კაცი იქნება) და იმათ ავალებს ყოველისავე სანოვავეს მოტანას



აღნიშნული დღისთვის. ჩვეულებად აქვთ, ლოცვის დღეს, რაც შეიძლება, მდიდარი სუფრა გაშალონ. საზოგადოებავე ითათბირებს იმის შესახებ, თუ რამდენი საკლავი იქნება საკმაო, რამდენი ღვინო და სხვა. ბოლოს გაუნაწილებენ ამორჩეულთ, ვინ რამდენი რა უნდა მოიტანოს და თავთავიანთ სახლებში მიდიან. ეხლა მზადებაში არიან მხოლოდ ეს ამორჩეულნი: ყიდულობენ ძროხებს, თხებს, ცხვრებს, მოაქვთ ღვინო და სხვა. ლოცვის დღის დილით პირველად ესენი მიდიან სალოცავ ადგილას, მიაქვთ ქვაბები ხორცის მოსახარშად (ხორცი სალოცავ ადგილას უნდა მოიხარშოს). აქ იმათა აქვთ ერთი ვეებერთელა თუჯის ქვაბი, რომელიც ყოველთვის აქ არის გადმოპირქვავებული და რომელსაც მხოლოდ ეხლა და ისიც შიშითა და მოკრძალებით შეახებენ ხელს. ხორცს მოხარშავენ, როგორც ამ ქვაბში, ისე ახალ მოტანილ ქვაბებშიც. მაგრამ ხორცს, მისდა მიხედვით, რომელ ქვაბში მოიხარშა, სხვა-დასხვა დანიშნულება აქვს. თუ მოტანილ ქვაბებში მოიხარშა, ის ხორცი საზოგადო სახმარია. წმიდა ქვაბში მოხარშული კი უფრო პატივსააღებია. მოაწია სადილობის დრომ, ხალხმა იწყოდენა განურჩევლად სქესისა და ასაკისა. გაიარეთ ამ დროს აქანდარაში და ერთ ადამიანს ვერა ჰპოვებთ სახლში მყოფს, გარდა მძიმე ავადმყოფთა. არც ხალხი მიდის ხელცარიელი. მიაქვთ მზამხარეული ღომები, შემწვარ-მოხარშული ქათმები. აქანდარული ხაჭაპურები, ყველები, კვერცხები და სხვა. ხალხი შეიკრიბა, მაგრამ ჯერ კიდევ საქმეს არ შეუდგნენ. ისინი უცდიან მებატურთ ჩიჩბაიებს. მოვიდნენ სულ ყველა ჩიჩბაიები ერთად და თან მოიტანეს ერთი დიდი ხაჭაპური, ერთი ბოთლი ღვინო და ერთიც ჭიქა. ხალხი პატივისცემით ეგებება მათ. უფრო ხნიერი კაცი ჩიჩბაიების გვაროვნობაში აიღებს ხელში წკირს, ზედ წამოაგებს მისთვის ცალკე მომზადებულ საკლავის გულღვიძლს. ცხვირსახოცზე სდებს მოტანილ ხაჭაპურს, იქვე გვერდით ღვინიან ბოთლს ჭიქითურთ. ეს უფროსი მებატურთა გვაროვნობაში დადგება ხალხის წინ, მის უკან დგანან სხვა ჩიჩბაიები, უფროსი წინ და უნცროსი უკან, მათ უკან ხალ-

ბი. გაიყო ხალხი, ჩამოვარდა სიჩუმე, ბუზის ფრთას შემოკვრაც კი ისმის. ამ დროს წკირით ხელში უფროსი მეხატური მუხლ-მოდრეკით ლოცულობს: „ანჯესანჯესა, შენნი მმოსავნი შევკრებილვართ შენს წინაშე, რათა აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობა. მუხლ-მოდრეკით გვედრებით, მშვიდობა შემოიყვანე ჩვენს საზოგადოებაში. ავადმყოფობა აგვაშორე, ავადმყოფნი მოგვირჩინე, კარგადმყოფნი დაიცევ ყოველისავე ხიფათისაგან, ბავშვები გაზარდე, გაზრდილნი კარგად ამყოფე, მკედარნი გვიცხოვნე“ და სხვა. გაათავა პირველმა ლოცვა, ხალხი გაიშმუშნა. მლოცველმა ხელი შეახო წკირს, მოსჭრა ყველა ნაწილისაგან თითო ლუკმა და შექამა; აგრეთვე ხაჭაპურიც ჩამოსჭრა და ღვინოც ზევიდან დააყოლა. გაათავა ყველაფერი და ადგილი დაუთმო მას უკან მდგომ მეორე ჩიჩბაიას. ისიც ისე იქცევა, როგორც პირველი. ლოცვა გრძელდება მანამდე, სანამ თავ-თავი კაცები ჩიჩბაიების გვაროვნობიდან არ ილოცავენ. სხვას არავის არა აქვს ნება ხალხის წინ წადგეს და ილოცოს. გაათავეს ჩიჩბაიებმა ლოცვა და ხალხიც ერთმანეთში აირ-დაირია. ეხლა გამგენი ეწვევიან თავდარიგს. ხალხს სხამენ მათთვის მომზადებულ საჯდომებზე. დაჯდა ხალხი. გამგემ აიღო ხელში წკირი, დანა, ხაჭაპური და ჩამოატარა. სულ ყველას თითო ნამცეცი მოუჭრა და აჭამა. თუ, ვინიცობაა, ხელში ჩაეღია და რომელსამე არა ხვდა ამ შამფურიდან, ის დიდად შეურაცხყოფილია. ამის შემდეგ გამგეთ მოაქვთ „წმიდა“ ქვებში მოხარშული ხორცი და ურიგებენ ხალხს, მაგრამ სულ ყველას კი არა, არამედ ოჯახის უფროსებსა, ესე იგი, ეს ხორცი უნდა ხვდეს მამებს. ამიტომ, რამდენიც კომლია აჭანდარაში, იმდენ ნაწილად სჭრიან „წმიდა“ ქვებში მოხარშულ ხორცს. თუ, ვინიცობაა, რომელიმე ოჯახის უფროსი რაიმე მიზეზისა გამო ამ შემთხვევას ვერ დაესწრო, მაშინ იმას ან სახლში უგზავნიან მის ულუფას და ან მის მაგიერ მისსავე შვილს ანუ ძმას, მასთან ერთად მცხოვრებს, აძლევენ. ამის შემდეგ მოაქვთ სხვა საქმელები და დაიწყება ნადიმი. საღამოს ხანს ხალხი აიშლება და ცეკვა-თამაშით თავთავიანთ სახლებში ბრუნდებიან.

საკლავების ტყავი ჩიზბაიებს უფასოდ მიაქვთ. მეორე ანუ მესამე დღეს საზოგადოება იხდის ფულებს მოტანილ სანოვანის ფასად.

ამ ნაირად, აქანდარელები, დღეს ვითომ მაჰმადიანნი, მათდა უნებურად ღვთისმშობელს ლოცულობენ. ყველა ზემო ნათქვამი უეჭველი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ აქანდარაში ქრისტიანობას მაგრად ჰქონია გადგმული ფესვები პირველ ხანებში. დღეს კი რასა ვხედავთ? რა სარწმუნოების ხალხია აქანდარელები? მე არა მგონია, დედამიწაზე კიდევ იყოს მეორე იმ ტიპის სარწმუნოება, როგორც აქანდარაშია. აქ ქრისტიანობა არეულია მაჰმადის სჯულში და გამოსულა რალაც არგაგონილი ქრისტიანულ-მაჰმადიანური სარწმუნოება. რალა თქმა უნდა, რომ, როგორც ყოველსავე მოვლენას, ამასაც თავისი გამამართლებელი მიზეზები აქვს.

მე-XVII-ე საუკუნის დასაწყისიდან მთელი აფხაზები ოსმალების მეზობლად სცხოვრობდნენ. ამით დიდი ზეგავლენა ჰქონდათ აფხაზებზე. როგორც ქრისტიანებს, იმათაც ჰყავდათ მათის სჯულის პროპაგანდისტები აფხაზეთში. ამ უკანასკნელთა რომ დიდი გავლენა ჰქონდათ აფხაზებზე, ეს იქიდან სჩანს, რომ აფხაზს უფრო ემარჯვება და კიდევაც ემარჯვებოდა ოსმალებთან ჰქონოდა და ჰქონდეს კავშირი, ვინემ სხვასთან. ყოველთვის იქითკენ მიიწეოდა და ეხლაც იმათკენ ერჩის გული. რასაკვირველია, არც აქანდარელები იყვნენ თავისუფალნი ოსმალების ზეგავლენისგან. გარდა ამისა, აქანდარას ჩრდილოდან აკრავს საჩერქეზო. ჩერქეზებს ხშირი მიმოსვლა ჰქონიათ აქანდარელებთან. თუმცა იმათი დამოკიდებულება უფრო ცარცვაგლეჯაზე იყო დამყარებული, ვინემ მეგობრობაზე. ცხოვრობენ ეხლაც აქანდარაში ისეთი კაცები, რომელთაც კარგად ახსოვსთ ათასჯერ შემოსევა ჩერქეზების და დარბევა აქანდარელებისა; „როგორც მზე ჩავიდოდა, — მიაბო ერთმა იმათგანმა, — ჩვენ იმ წამშივე შეგვკრავდით რაც კი გვებადა, ოთხფეხთ წინ გავირეკავდით და მივდიოდით სოფ. აცისკენ (სამხრეთით არის აქანდარადან); გათენებისას ისევ თავთავიანთ სახლებში ვბრუნ-

დებოდით. ღამით გადმოდიოდნენ ჩერქეზები და რასაც კი მოახელებდნენ: ოთხფეხი, ადამიანი, ნივთები და სხვა, მიჰყავდათ, მაგრამ არც ჩვენ ვრჩებოდით უკაცრავოდ. შევიკრიბებოდით სულ რჩეული ბიჭები და სამაგიეროს ვუხდიდით“. თუ რამდენად დაზარალებული ჰყოლია ჩერქეზებს აქანდარლები, ეს იქიდან სჩანს, რომ რამდენიმე სოფელი აყრილა, დაუტოვებია თავისი მიწა-წყალი და აქანდარლების მიწა-წყალზე დასახლებულან. რა თქმა უნდა, არც ისინი აძლევდნენ ჩაგრულ აქანდარლებს მოსვენებას. დღესაც ჩერჩეზების ნასახლევზე შეხვდებით სხვა-და-სხვა ხეხილებს, თუმცა ყოველივე ნარ-ეკალით არის მოცული და ტყედ ქცეული.

რასაკვარველია, ასეთ ცეცხლში მყოფ აქანდარლებს (ერთის მხრით ოსმალები, მეორეს მხრით ჩერქეზები) აერიათ რჯულის დავთარი. ბოლოს, უფრო მიენდვნენ ოსმალებს, როგორც მათთან მეგობრულად მყოფთ და ხელი მოჰკიდეს მაჰმადიანობას, თუმცა კი ვერც ქრისტიანობა ამოიგდეს გულიდან. ქრისტიანობა ისე დაიხშო ხალხში, რომ არავითარი მასთან შეერთებულ გარეგან მოქმედებებს აღარ ჰქონდათ ადგილი აქანდარაში. ნათელა, ჯვარის-წერა, ზიარება და სხვა მივიწყებული იყო ხალხისგან. ეს დრო იყო, როდესაც ზეციურ მანანასავით მოეგლინა აქანდარლებს ბერი მიქაბერიძე—კაცი შრომის მოყვარე, ზედმიწევნით მკოდნე საღმთო სჯულისა. იმისმა ენერგიულმა ქადაგებებმა, რომელთაც თვითონ თავის ცხოვრებაში ასრულებდა, დიდი გავლენა იქონია ხალხზე. აი ამით აიხსნება, რომ აქანდარლებმა განაცხადეს მონათვლის სურვილი და კიდევაც მოინათლნენ აცის წყალში. მოინათლენ აქანდარლები და ამით კიდევ გათავდა საქმე. თვითონ მიქაბერიძე გადავიდა აქანდარადან და თავის მოადგილეს დაუთმო უსუსურის აქანდარლების აღზრდა. თუ რამდენად გავლენა იქონიეს აქანდარლებზე თავის სწავლა-მოძღვრებით მიქაბერიძის მოადგილეებმა, ამას ცხადად გვიმტკიცებს ის ფაქტი, რომ ერთი წლის შემდეგ აქანდარაში ადრინდელზე უფრო მკაფიოდ გაისმა ხმა ალლახის ქება-დიდებასა და იმის წვერებით ერთი-მეორის ლოცვა.

მაჰმადიანების განმტკიცების საქმეში მოეშველა 1877 წელი, როდესაც ცხარე ომი ასტყდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ოსმალებისაგან მოტყუებული აქანდარლები (მთელ აფხაზეთთან) გარდა ორიოდესი გადხვეწნენ შორეულ ოსმალეთში. იქ ღარ-




ჩნენ სამი წელი. ეს დრო საკმარისი იყო, სამუდამოდ განმტკიცებულიყვნენ მაჰმადიანობაში.

გაუჭირდათ აქანდარლებს ოსმალეთში ცხოვრება. მოაკლდათ თავისუფლება. მათ აღარ ასულდგმულებდა მშობლური ჰაერი და ებრაელებივით იწყეს კვნესა-გოდება თავის ტურფა აქანდარაზე. ბოლოს, მოინდომეს რუსეთთან შერიგება და სამშობლოში დაბრუნება. იმათი სურვილი საქმედ მალე იქცა. 1881 წ. თითქმის სულ ყველანი დაბრუნდნენ უკან. დაბრუნებისათანავე მოჰკიდეს ხელი ოჯახობას და ცოტა ხანში თავთავისი ბინა (ფაცხები) შეიძინეს. ამის შემდეგ არც იმათ ჰქონიათ მოქრისტიანების სურვილი და არც არავინ ჰყოლიათ ასეთი თავგამოდებული მქადაგებელი, რომელსაც შესძლებოდა ქრისტეს რჯულის სიყვარული დაეთესა იმათს გულში.

როგორც ზევითა ვსთქვით, აქანდარლებში ქრისტიანობა მაჰმადიანობისგან არ არის განსაზღვრული. გარდა ზემო ნაჩვენებ ჩვეულებებისა, კიდევ ჰპოებთ მათში ქრისტიანობის მაჩვენებელ ჩვეულებას. მაგალითად, მაჰმადიანი ღვინოს არ სვამს, იქანდარაში კი, გარდა შოლისა და კიდევ ორიოდესი, ყველანი სვამენ. მაჰმადიანის ქალს ცოდვად მიაჩნია სხვა კაცთან გამოჩენა. აქ ჩადრი არ აქვთ და თითქმის ყოველ საზოგადო კრებაში, თუ ეს უკანასკნელი მხიარულებას შეეხება, უეჭველად ქალები მონაწილეობას უნდა იღებდნენ. რაც შეეხება უქმედლებს, მაჰმადიანებისაგან გადმოუღლიათ მარტო ბაირამი. გარდა ამისა, აქანდარელები ოსმალელებივით პარასკევს არა უქმობენ, თუმცა არც კვირა დღეები არად მიაჩნიათ. მაგრამ აღდგომისა და ახალწლის დღეებს კი თითო კვირაობით უქმობენ. დანარჩენი ჩვეულებები: აფხაურა, ქორწინება, კაცის სულის წყლიდან ამოყვანა, მეხით მოკლულის ოჯახობის მოღვაწეობა და სხვა, როგორც სრულიად აფხაზეთში, აქანდარაშიც იმ წეს-რიგზე სრულდება და ამიტომ ამაზე არას ვიღვეით რადგან ამ ჩვეულებების შესახებ უკვე დაიბეჭდა „მთაბე“-ში წერილები ნიკო ჯანაშიასი.

კაწია ჭყავშანელა



რედაქტორი  
 ალექსანდრე ჭყონაძე

გამომცემელი  
 ალექსანდრე ჯაბადაძე



# „მ ო ზ მ გ მ“

წელიწადი მეხუთე

გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

7—10 თაბახი (224—320 გვ.)

## ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 10 მან. 6 მან. 4 მან.  
საზღვარ-გარედ . . . . . 13 მან. 7 მან. 5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: პირველად—4 მან., 1 აპრილამდე—3 მ., და 1 სექტემბრამდე—3 მან. ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა ადრესის გამოცვლისათვის ათი შაური უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Моамбе„ ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ და ან შესწორებულ იქმნება. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში, — მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერა-მოწერა, დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

ხელ-ნაწერები, რომლებზედაც არავითარი პირობა არ იქმნება აღნიშნული, რედაქციისაგან მიღებულ იქმნებიან როგორც უფასონი.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭველად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ მურნალმა თავისი აზრი წარმოთქვას, მათ ორ-ოლი ეგზემპლიარი უნდა გაეგზავნონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდინ ნაშუადღევს.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის-მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმონ უგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი ალექსანდრე ჭკონია გამომცემელი ალექსანდრე ჯაბაძარი